გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
15 მარტი ორშაბათი 2010
№060(13048) ფასი 60 თეთრი



ეროვნული ბიბლიოთეკა

>> გვერდი 19

## ფერარიმ დუბლით დაიწყო

# ჩემპიონატი მორჩა?

## მდევრები ლიდერს თითქმის ვეღარ ხედავენ. ოლიმპის პოტენციური 12-ქულიანი ჰანდიკაპი



გუშინ ამერზე. ლოკომოტივი-სიონი 0:1 ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

>> გვერდი 2-4

## მძიმედ ვიწყებთ, მძიმედ ვამთავრებთ

22/10

ანთიმოზი ივერიაში ვერ ჩამოჩქანდება

რაგბი. რუმინეთი-საქართველო >> გვერდი 12



## პეთ-თრიკები, სენსაციები და... ფანები მოედანზე

ვალენსიას სამივე გოლი მესიმ გაუტანა

მსოფლიო ფეხბურთი >> გვერდი 7-11



## ქართული გოლები ევროპაში

## მერებაშვილი, ალექსიძე, გაბედავა და ქანთურიას დუბლი

ქართული ლეგიონის მონაგარი >> გვერდი 5



დავით იმედაშვილი მთელი მატჩის განმავლობაში აქტიური იყო

# დაძაბული გამარჯვება

**14.03. რუსთავი. ფოლადი**
**500 მაყურებელი**

| | |
|---|---|
| ოლიმპი | 1 |
| ვიტ ჯორჯია | 0 |

1:0 აკინო (74-პენ)

ოლიმპი: ჭანტურია - თ. ლონლაძე, ფრაგა, მაჭავარიანი, ხუბუა - დობროვოლსკი, რეხვიაშვილი - ქედია (90. გიგაური), იმედაშვილი, ხიდეშელი (46. რ. ჯიქია) - აკინო (89. იაშვილი).

*სათადარიგოები: მერლანი, გოგოლაძე, ელოხი, პ. დათუნაიშვილი*

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი - ხურცილავა, ადამაძე, დ. ლომაია, ჯაფარიძე - ბეჭვაია (83. ჩიმაკაძე), გ. დათუნაიშვილი, რაზმაძე, ვასაძე - ლიპარტია (68. კლიმიაშვილი), ბერიაშვილი (65. ვ. კვარაცხელია).

სათადარიგოები: ა. მიქაბერიძე, გურეშიძე, მაისაშვილი, ზაქრაძე.

გაფრთხილება: ბერიაშვილი (33), რაზმაძე (38), ლონლაძე (39), ხუბუა (67), ბეჭვაია (71), ლომაია (82)

არბიტრი: მ. ურუშაძე

ჩემპიონატის ერთპიროვნულმა ლიდერმა ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო მინიმალური ანგარიშით; ასევე ზედიზედ მეორედ მოხდა, როცა გამარჯვების მომტანი ერთადერთი გოლი **ანდერსონ აკინომ** გაიტანა; ამას გარდა, ასევე ზედიზედ მეორე შემთხვევაა, როცა რუსთაველი ქომაგები სტადიონს გაორებული გრძნობით ტოვებდნენ. რა თქმა უნდა, საყვარელი გუნდის გამარჯვება ყველას უხაროდა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ „ოლიმპის“ ბოლოდროინდელი ასპარეზობა აშკარად უკეთესის მთაბეჭდილებას უნდა ტოვებდეს. თან, ეს არ ეხება მხოლოდ ორ უკანასკნელ საშინაო მატჩს: მეორე ეტაპის დაწყების შემდეგ ფეხბურთელთა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა „მძიმედ“ გამოიყურება; თუმცა, მთავარი ხომ სასურველი შედეგია და „ოლიმპი“ კვლავაც დამაჯერებლად ლიდერობს ჩემპიონატში. რა თქმა უნდა, ყველას გვინდა, რომ ჩვენს მოედნებზე მეტ-ნაკლები საფეხბურთო სანახაობა ვიხილოთ ხოლმე; თანაც, არავინ ითხოვს, მაინცდამაინც საერთაშორისო დონეს მიახლოებული რამ გვიჩვენონ ფეხბურთელებმა, მაგრამ როცა ჩემპიონატის ფავორიტების მატჩში ერთ ხეირიან გააზრებულ კომბინაციას ვერ დაინახავ, მართლაც, ძნელია ამის შემდეგ შეხვედრის პერიპეტიების დაწვრილებით აღწერა...

ერთპიროვნული ლიდერისა და მოქმედი ჩემპიონის შეხვედრა გარკვეულ ინტერესს კი იწვევდა, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. სანახაობრივ მხარეს ვგულისხმობთ, თორემ დაძაბულობა თავიდანვე იგრძნობოდა; ამას გარდა, 90 წუთის განმავლობაში არ შეჩერებულა ფეხბურთელთა გაუთავებელი უკმაყოფილება არბიტრების ნებისმიერი გადაწყვეტილების შემდეგ; დრო და დრო, ზომაზე მეტად ხისტი თამაშიც მიდიოდა; აი, რაც შეეხება სახიფათო მომენტებს, ასეთი რამ მართლაც იშვიათობა იყო. შეხვედრის დასაწყისი სტუმრებმა აქტიურად დაიწყეს - „ვიტ ჯორჯიას“ ფეხბურთელები პირველი 15 წუთის განმავლობაში მასპინძელთა მოედანზევე იწყებდნენ პრესინგს. ოღონდ, რასაც სახიფათო შეტევა ჰქვია, ამ პერიოდში მხოლოდ ერთხელ განახორციელეს: **ჯაბა ლიპარტიას** კუთხურს **გიორგი ბერიაშვილის** თავური დარტყმა მოჰყვა - ბურთი მიზანს ასცდა. ტაიმის ბოლომდე „ვიტ ჯორჯია“ მხოლოდ ერთხელ დაემუქრა მასპინძელთა კარს, მაგრამ **გიგა ბეჭვაიას** საჯარიმოდან დარტყმული ბურთი **გრიგოლ ჭანტურიას** ნადავლი გახდა. აი, მასპინძლების პირველი მეტ-ნაკლებად სახიფათო შეტევა მხოლოდ 28-ე წუთზე ვნახეთ: აკინომ ფლანგურ გარღვევაზე **გიორგი ქედია** გაიყვანა, შეტევას კი თვითონ ბრაზილიელი აგვირგვინებდა, მაგრამ საბოლოო დარტყმა არ გამოუვიდა. „ოლიმპის“ კიდევ ერთი მეტ-ნაკლებად სახიფათო შეტევაც არ უნდა გამოგვრჩეს: **დავით იმედაშვილისა** და ანდერსონ აკინოს წამოწყებული კომბინაცია შორეული დარტყმით გიორგი ქედიამ დაასრულა; არადა, მასპინძელთა მარჯვენა გარემარბს შეტევის გაგრძელების ერთდროულად რამდენიმე ვარიანტი ჰქონდა, მაგრამ...

საერთოდაც, პირველ ტაიმში მასპინძელთა პასიურობა, ალბათ, იმის გამოც იყო განპირობებული, რომ ცენტრფორვარდის პოზიციაზე გამწესებულ აკინომდე, ბურთი, ფაქტობრივად, არც მიდიოდა. ამას გარდა, მარჯვენა ფლანგზე **თემურ ლონლაძე** და **გიორგი ქედია** მეტ-ნაკლებად მაინც თუ აქტიურობდნენ, მასპინძელთა საპირისპირო ფლანგზე ამას ნამდვილად ვერ ვიტყოდით...

„ოლიმპის“ მთავარმა მწვრთნელმა **თემურ მახარაძემ** შესვენების შემდეგ მოედანზე **რევაზ ჯიქია** შემოიყვანა, რომელმაც ცენტრფორვარდის ადგილი დაიკავა; ამასთან, აკინომ ოდნავ სიღრმისკენ დაიხია და ეს ტაქტიკური გადაადგილებები მასპინძელთა თამაშზე აშკარად დადებითად აისახა. „ოლიმპი“ მეორე ტაიმის დასაწყისშივე შეტევაზე გადავიდა და აკინომ საჯარიმო დარტყმა მეტად სახიფათოდ შეასრულა - ბურთი მცირედით აცდა სტუმართა კარს. ამის შემდეგ ზედიზედ სამჯერ ვიხილეთ აკინო-იმედაშვილის „დუეტის“ შესრულებით სახიფათო მომენტი, მაგრამ სამჯერვე „ოლიმპის“ კაპიტნის თავური დარტყმა არაზუსტი იყო. ერთიც უნდა აღვნიშნოთ: არავის ეგონოს, რომ მასპინძლებმა შტურმი წამოიწყეს; უბრალოდ, მეტოქესთან შედარებით უფრო სწრაფად და რაც მთავარია, მონდომებით თამაშობდნენ. აი, რაც შეეხება სტუმრებს, მეორე ტაიმში „ოლიმპის“ კარის მიმართულებითთ... არც ერთხელ დაურტყამთ! სამაგიეროდ, ორგანიზებულად იცავდნენ საკუთარ საჯარიმოს მისადგომებს და მეკარე **გრიგოლ ბედიაშვილიც** უშეცდომოდ თამაშობდა. ფაქტობრივად, ისეთი სიტუაცია შეიქმნა, მასპინძლებს მხოლოდ „სტანდარტული“ თუ უშველიდათ და ასეც მოხდა: ქედიას ფლანგური გადაცემის შემდეგ „ვიტ ჯორჯიას“ მარჯვენა მცველს **დავით ხურცილავას** ბურთი ხელზე მოხვდა და არბიტრმა პენალტი დანიშნა. მართლაც ძნელია ვამტკიცოთ: იყო თუ არა ასპროცენტიანი პენალტი, მაგრამ ფაქტი ფაქტად დარჩა: მთავარმა მსაჯმა **მამუკა ურუშაძემ** სტუმართა პროტესტის მიუხედავად გადაწყვეტილება არ შეცვალა. პენალტის ნიშნულთან კი აკინო მივიდა და ჩემპიონატში თავის 21-ე გოლიც გაიტანა. მატჩის დარჩენილ დროში აკინოს კიდევ ერთხელ შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ ქედიას ფლანგურ გადაცემას ვერ მიუსწრო. სულ ბოლო მომენტი კი თვითონ ქედიას ჰქონდა, როცა **გიორგი რეხვიაშვილის** პასის შემდეგ ნახტომში, თავით ცდილობდა გოლის გატანას, მაგრამ დარტყმა არაზუსტი გამოდგა.

**გია ტუხაშვილი**
რუსთავი-თბილისი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 24 | 18 | 5 | 1 | 49-13 | 59 |
| 2. ზესტაფონი | 25 | 14 | 8 | 3 | 41-21 | 50 |
| 3. დინამო | 25 | 13 | 7 | 5 | 39-15 | 46 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 25 | 12 | 9 | 4 | 34-23 | 45 |
| 5. სპარტაკი | 25 | 8 | 8 | 9 | 31-37 | 32 |
| 6. სამტრედია | 25 | 7 | 6 | 12 | 32-47 | 29 |
| 7. სიონი | 25 | 4 | 11 | 10 | 13-29 | 23 |
| 8. ბაია | 25 | 5 | 7 | 14 | 19-32 | 21 |
| 9. ლოკომოტივი | 24 | 3 | 9 | 12 | 12-30 | 18 |
| 10. გაგრა | 25 | 3 | 5 | 17 | 21-45 | 14 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| აკინო (ოლიმპი) | 21 |
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 15 |
| კვარაცხელია (ვიტ ჯორჯია) | 11 |

**მომდევნო ტური**

**19 მარტი. პარასკევი**

ვიტ ჯორჯია-ბაია
სპარტაკი-გაგრა
დინამო-ლოკომოტივი

**20 მარტი. შაბათი**

ზესტაფონი-ოლიმპი
სიონი-სამტრედია

# უშეღავათო ფრე ტალახში

**14.03. ზუგდიდი. გ. თუთბერიძე**
**2 000 მაყურებელი**

| | |
|---|---|
| ბაია | 1 |
| დინამო | 1 |

0:1 კრსტესკი (79), 1:1 რ. ონიანი (89)

დინამო: ლორია - თომაშვილი, გ. კაშია, კრსტესკი, ჩიკვილაძე - ედნილსონი, ფირცხალავა (62. ლექვთაძე), შ. კაშია - კოშკაძე (87. ნემსაძე), კახელიშვილი, ვაწაძე.

*სათადარიგოები: შეყრილაძე, ჩადუნელი, კაკუბავა, თექთურმანიძე, სიხარულიძე*

ბაია: სომხიშვილი - თოდუა, აქუბარდია, ყველაშვილი, აკობია - ვართაგავა, რ. ონიანი, ლუნგუ, ლომია, ფიფია (65. ქირია) - ბაკარაძე

*სათადარიგოები: ზარქუა, სახოკია, ეხვაია, წურწუმია, სამადაშვილი*

არბიტრი: გ. ვადაჭკორია

14 მარტს ზუგდიდის ცენტრალურ სტადიონზე გამართულ მატჩს დაახლოებით 2 000-მდე ქომაგი დაესწრო. ცხადია, ხალხმრავლობის მიზეზი თბილისის „დინამოს“ სტუმრობა იყო. თავიდანვე ჩანდა, რომ ორივე გუნდი მოედანზე მოსაგებად გახლდათ გასული, რაც გულშემატკივრებს გარკვეულწილად სანახაობრივი ფეხბურთის გარანტიას აძლევდა, მაგრამ მოედანმა თამაშის ხარისხს სერიოზული დაღი დაასვა - გადაუღებელი წვიმების გამო, გაზონი, რბილად რომ ვთქვათ, ცუდ მდგომარეობაში იყო და როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ ერთ-ერთმა გულშემატკივარმა აღნიშნა - ფეხბურთის ნაცვლად ტალახბურთი ვიხილეთ...

„დინამომ“ გაცილებით აგრესიულად დაიწყო თამაში და სტუმართა 4-3-3-ს ზუგდიდელებმა კონტრშეტევითი ტაქტიკა (4-5-1) დაუპირისპირა. ამის მიუხედავად, გულშემატკივართა აქტიურობით გამხნევებული „ბაიას“ ფეხბურთელები პირველივე წუთებიდან ცდილობდნენ უპირატესობის მოპოვებას. მასპინძელთა ერთადერთი გამოკვეთილი ფორვარდი **ბაკარაძე** უკვე მე-2 წუთზე აღმოჩნდა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც გვერდითმა მსაჯმა სამართლიანი თამაშგარე დააფიქსირა.

მე-5 წუთზე კი ზუგდიდელთა ნახევარმცველმა **ჩისამბა ლუნგუმ** გუნდის კაპიტან **ონიანს** ქუსლით ეფექტური პასი მისცა და ხელსაყრელ პოზიციაზე გაიყვანა, თუმცა ონიანი მოწოდების სიმაღლეზე ვერ აღმოჩნდა და მომენტიც დაიკარგა. სტუმრებმა მალევე აუღეს ალღო მეტოქის თამაშს და მე-8 წუთზე პირველი კუთხურის უფლება მოიპოვეს, თუმცა ამ „სტანდარტულის“ დროს მეკარემ იმარჯვა.

უნდა ითქვას, რომ დინამოელები გაცილებით გააზრებულად უტევდნენ, თუმცა მასპინძელთა მეკარე **სომხიშვილი** საკუთარი კარის დაცვას მაინც ახერხებდა. ზუგდიდელებიც ცდილობდნენ მოწინააღმდეგის კართან ხიფათის შექმნას, თუმცა პირველ ტაიმში **ლორიას** დაჯაბნა ვერ შეძლეს.

31-ე წუთზე დინამოელებმა საკმაოდ ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს და გოლიც გაიტანეს, მაგრამ გვერდითმა მსაჯმა თამაშგარე მდგომარეობა აღნიშნა, რასაც ფეხბურთელთა მხრიდან პროტესტი მოჰყვა, თუმცა ცხადი იყო, რომ არბიტრი გადაწყვეტილებას არ შეცვლიდა. ამას გარდა, თბილისელებს რეალური საგოლე მომენტი პირველი ტაიმის მიწურულსაც ჰქონდათ - **ჩიკვილაძემ** ახლო მანძილიდან კარის მიმართულებით დაარტყა, მაგრამ სომხიშვილმა გუნდის გადარჩენა შეძლო.

მეორე ტაიმში მოედანზე უფრო მეტად მოტივირებული ფეხბურთელები ვიხილეთ, მაგრამ... ცუდი მინდორი მაინც თავისას შვრებოდა. განახლდა თუ არა თამაში, საკამათო სიტუაცია შეიქმნა - სტუმართა ერთ-ერთი ფორვარდი მასპინძელთა საჯარიმოში საეჭვოდ წაიქცა, თუმცა მსაჯმა პენალტი არ დანიშნა...

დინამოელებმა შეტევებს კიდევ უფრო მოუხშირეს და 79-ე წუთზე **კრსტესკიმ** მასპინძელთა გუნდი დასაჯა - თავისიანები ეფექტური დარტყმით დააწინაურა. გატანილმა გოლმა მასპინძლები გამოაფხიზლა. საბოლოო ანგარიში თამაშის მიწურულს, 89-ე წუთზე დაფიქსირდა, როცა **აკობიას** მიერ ჩაწოდებული საჯარიმო „ბაიას“ კაპიტანმა ონიანმა გოლად აქცია და უმალ გმირად იქცა - 1:1. მალევე, მსაჯმა საფინალოდ ჩასტვინა და გუნდებმა მოედანი თითო ქულით დატოვეს.

**მატჩის შემდეგ**

**ელგუჯა ქომათიანი (ბაია):** „ისეთ ძლიერ მეტოქესთან, როგორიც თბილისის „დინამოა“, ჩვენთვის ქულაც საკმაოდ დიდი წარმატებაა. რა თქმა უნდა, „ბაია“ აგრძელებს ბრძოლას უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის. ყველაფერს გავაკეთებთ მიზნის მისაღწევად“.

**ბუბა ტყავაძე (დინამოს მმართველი დირექტორი):** „სამწუხაროა, რომ პირველ ტაიმში გატანილი გოლი არ ჩაგვითვალეს. ეს იყო არაკვალიფიციური გადაწყვეტილება, რამაც მატჩის საბოლოო შედეგზე გავლენა იქონია“.

**ირაკლი ლაგვილავა**
ზუგდიდიდან



ალექსანდრ კრსტესკიმ დინამოში პირველი გოლი გაიტანა

ლევან ჯანეზაშვილის ფოტო

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

# რაც თამაში, ის შედეგი!

14.03. ზესტაფონი. ცენტრალური
3 000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ზესტაფონი | 0 |
| სპარტაკი | 0 |

ზესტაფონი: რ. კვასხვაძე - ბენაშვილი, გამეზარდაშვილი (87. ხიდეშელი), გ. ონიანი, ელიავა - კორლალიძე (56. აფციაური), მ. დაუშვილი, ძარია, გრიგალაშვილი - წინამძღვრიშვილი (55. გელაშვილი), დვალი.
სათადარიგოები: მამალაძე, კობახიძე, გორგიაშვილი, მიქაბერიძე
სპარტაკი: ბათიაშვილი - ფოფხაძე, ბოიომო, ბაქრაძე, თარხნიშვილი - ჩივაძე (89. კვახაძე), შონია, მედ ნალო (74. მგალობლიშვილი), მგელაძე, მაისურაძე - კლოვისი (70. დეკანოიძე).
სათადარიგოები: ნ. დაუშვილი, კანდელაკი, ბუზალაძე
გაფრთხილება: კლოვისი (62), მედ ნალო (73)
არბიტრი: ლ. სილაგავა

როგორც ჩანს, „ზესტაფონმა" ჩემპიონობაზე საბოლოოდ ჩაიქნია ხელი. ფეროელებმა გუშინ საკუთარ განათებულ არენაზე მორიგი დაუგეგმავი ქულები დაკარგეს და თუ სასწაული არ მოხდა, „ოლიმპს" პირველობაში ველარ შეეცილებიან. გია გეგუჩაძემ გუშინ ცოტა მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო და გუნდის 3 წამყვანი ფეხბურთელი - აფციაური, გელაშვილი და ხიდეშელი სათადარიგოთა სკამზე გაამწესა. მათ ნაცვლად კი ძირითადში კორლალიძე, წინამძღვრიშვილი და გამეზარდაშვილი გამოჩნდნენ, რომლებიც არანაკლებ გამოცდილი ფეხბურთელები არიან. თუ ჩირიკაშვილის დისკვალიფიკაციას არ ჩავთვლით, „სპარტაკი" ზესტაფონს საბრძოლო შემადგენლობით ეწვია. ცხინვალელთა რიგებში გიორგი დემეტრაძის გამოჩენასაც ელოდნენ, მაგრამ საქართველოს ნაკრების ფორვარდყოფილი განაცხადში არ ყოფილა. შეხვედრის დაწყებამდე გუნდებმა „ზესტაფონის" ახლახან გარდაცვლილი გენერალური დირექტორის დავით აბაშიძის ხსოვნას წუთიერი დუმილით მიაგეს პატივი...

წვიმიანი ამინდის მიუხედავად, მოედანი კარგ მდგომარეობაში იყო და ფეხბურთელებს ამინდი პრობლემას ვერ უქმნიდა, თუმცა მატჩი ორივე გუნდმა ფრთხილად დაიწყო და პირველმა ტაიმმა საკმაოდ ულიმლამო ბურთაობაში ჩაიარა. პირველ ნახევარში საგოლე მომენტს ვინ დაეძებს, ზესტაფონელებს ხეირიანად კარშიც არ დაურტყამთ ბურთი. ვლადიმერ ხაჩიძის შეგირდებს კი ტაიმის მიწურულს ჰქონდათ ორი მომენტი. ჯერ მედ ნალოს მიეცა გოლის გატანის შანსი, მაგრამ დარტყმა სუსტი გამოუვიდა და კვასხვაძემ აულო, შემდეგ კი ზესტაფონელთა კიპერმა თარხნიშვილის სახიფათო დარტყმაც მოიგერია.



გია გეგუჩაძეს ამ ფრეს ვერავინ მოუწონებს

გულშემატკივრები „ზესტაფონის" თამაშით უკმაყოფილებას ვერ მალავდნენ და შესვენებაზე გასული ფეხბურთელები შეძახილებით კარგადაც შეაფაცხუნეს. მეორე ტაიმში ფეროელები უფრო მონდომებულები გამოვიდნენ მოედანზე და რამდენჯერმე გოლის გატანაც შეეძლოთ. თუმცა არც „სპარტაკი" იყო უქმად - ცხინვალელები მასპინძლებს მწვავე კონტრშეტევებით პასუხობდნენ და რამდენჯერმე შეეძლოთ მათი დასჯა.

გეგუჩაძემ მეორე ტაიმის დასაწყისშივე შეცვლებს მიმართა. კორლალიძისა და წინამძღვრიშვილის ნაცვლად, რომელთაც თამაში აშკარად არ წაუვიდათ, მოედანზე აფციაური და გელაშვილი შეიყვანა. ახალგამოსულმა ფეხბურთელებმა თამაში გაამწვავეს და „ზესტაფონმა" ახალი ძალებით შეუტია. 57-ე წუთზე მასპინძლებმა პირველი რეალური საგოლე მომენტი შექმნეს - გრიგალაშვილმა საჯარიმოს მისადგომებიდან უძლიერესად დაარტყა, ბურთი ხარიხას მოხვდა და შემდეგ კარის ხაზზე დაეცა - „სპარტაკი" აშკარა გოლს გადაურჩა. ამას დვალის, დაუშვილის, ელიავასა და ძარიას სახიფათო დარტყმები მოჰყვა. 64-ე წუთზე კი ძარიამ გელაშვილი მეკარესთან პირისპირ გაიყვანა, მაგრამ ზესტაფონელთა ბომბარდირს მიზანმა უმტყუნა. მორიგი შეტევისას ძარიამ კვლავ შეატოვა გელაშვილი მეკარეს, მაგრამ ამჯერად ფორვარდს ბათიაშვილმა არ გაატანინა.

შეტევებში გართულ ფეროელებს 66-ე წუთზე სტუმართა კონტრშეტევა გამოეპარათ და სასწაულებრივ გადარჩნენ. მგელაძემ მარჯვენა ფლანგიდან საპირისპირო მხარეს კლოვისი მოძებნა, მაგრამ აფრიკელმა „მოახერხა" და სამიოდე მეტრიდან ბურთი ცარიელ კარს ააცილა.

დარჩენილ დროში უპირატესობას კვლავ გეგუჩაძის შეგირდები ფლობდნენ და მატჩის მიწურულს ნანატრი გოლის გატანაც შეეძლოთ, მაგრამ არ გაუმართლათ - ჯერ ბენაშვილის სახიფათო დარტყმა მოიგერია მეკარემ, ბოლოს კი გელაშვილის თავური დარტყმის შემდეგ ცხინვალელებმა კარის ხაზიდან გამოიტანეს ბურთი. გულშემატკივრები „ზესტაფონის" თამაშით და შედეგით უკმაყოფილონი დარჩნენ, თუმცა შესვენებაზე მოწყობილი ობსტრუქცია აღარ გაუმეორებიათ და ამჯერად გუნდს ტაშით დაემშვიდობნენ. მატჩის შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს „ზესტაფონის" მთავარი მწვრთნელი გია გეგუჩაძე პოსტის დატოვებას აპირებდა, რაც გუნდის პრესსამსახურმა კატეგორიულად უარყო.

**დავით კოხრეიძე**
ზესტაფონიდან

# ...და ბურთი ორჯერვე ხაზზე გაჩერდა

14.03. სამტრედია. ე. მანჯგალაძე
1 500 მაყურებელი

| | |
|---|---|
| სამტრედია | 1 |
| გაგრა | 0 |

1:0 სამსეიშვილი (22-პენ)
სამტრედია: ხარძეიშვილი - კუპრეიშვილი, გოგია, სამსეიშვილი, ქორიძე - ჩომახიძე (87. ნინუა), ფიცხალავა, ჩალაძე, ტყემალაძე - ზ. ხაჭიპერაძე (84. ეცადეიშვილი), ბარაბაძე.
სათადარიგოები: შენგელია, ჩხაიძე, დვალიშვილი, კირკიტაძე, გოგიშვილი
გაგრა: სტურუა - ტყეშელაშვილი, ქორთუა, თ. შალიკიანი, ჯიშკარიანი - ი. შალიკაშვილი (20. თევდორაძე), ზ. ჩხეტიანი, მოსიაშვილი (72. პავლიაშვილი), და სილვა, გედენიძე (66. გულორდავა) - ოქრიაშვილი.
სათადარიგოები: ნ. კვასხვაძე, გაბუნია, შელია, ოვონიკოკო
გაფრთხილება: ტყემალაძე (35), ჩხეტიანი (70), ოქრიაშვილი (71)
გაძევება: სტურუა (19)
არბიტრი: ლ. კვარაცხელია

„სამტრედიამ" საგაზაფხულო ეტაპი არც თუ ისე დამაჯერებლად დაიწყო და სახიფათო ზონასთან მყოფი გუნდები საკმაოდ მიიახლოვა. მდგომარეობის გამოსასწორებლად იმერლებს გათამაშების აუტსაიდერის დამარცხება მართებდათ. თავის მხრივ, გაგრელთათვის ამ მატჩის მოგება უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნების ერთ-ერთი ბოლო შანსი იყო...

ხანგრძლივი წვიმების შემდეგ სამტრედიის არენის მინდვრის საფარი ცუდ მდგომარეობაში იყო. ატალახებული მოედანი ფეხბურთელებს გადაადგილებასა და სხვა საფეხბურთო ნიუანსების შესრულებაში გვარიანად უშლიდა ხელს. მარტო ის რად ღირს, რომ ორი საგოლე შეტევისას ბურთი ორჯერვე კარის ხაზზე გაჩერდა...

შეხვედრა ორივე გუნდმა აქტიურად დაიწყო. პირველად კარის მიმართულებით მასპინძლებმა დაარტყეს - ტყემალაძის შორეული „გასროლა" ხარიხას გადასცდა. ცოტა ხანში კი სამტრედიელთა საჯარიმოში შეიქმნა არეულობა - მცველებმა ბურთი ცუდად მოიგერიეს, მაგრამ მოსიაშვილის დარტყმა მიზანს ასცდა. სტუმართა გუნდის შეტევების სულისჩამდგმელი ერთადერთ ფორვარდად გამწესებული ოქრიაშვილი იყო, რომელმაც კარგი თამაშით სამტრედიელ გულშემატკივართა სიმპათია და ოვაციები დაიმსახურა.

მე-14 წუთზე მან რამდენიმე მეტოქეს გვერდი აუარა და საჯარიმოში შეიჭრა, სადაც მცველთან ორთაბრძოლისას დაეცა. გაგრელები პენალტს ითხოვდნენ, თუმცა არბიტრ ლევან კვარაცხელიას წესების დარღვევა არ დაუფიქსირებია. სამაგიეროდ, ხუთიოდე წუთში 11-მეტრიანი საპირისპირო კარში დაინიშნა. მეკარესთან პირისპირ გასულმა ზაურ ხაჭიპერაძემ სტურუას თავზე გადაუგდო ბურთი, რომელიც ზუსტად კარის ხაზთან ტალახში გაქვავდა და... თითქოს „გაგრაც" გადაურჩა გოლს, მაგრამ ამ ეპიზოდისას მეკარემ ხაჭიპერაძე ხელით შეაჩერა. კვარაცხელია მხოლოდ პენალტის დანიშვნით არ შემოიფარგლა და სტურუას წითელი ბარათიც აუფრიალა. სამსეიშვილმა სათადარიგო მეკარე თევდორაძეს აულებელი დაურტყა და „გაგრა" მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო - 1:0.

რამდენიმე წუთში მასპინძლებს ანგარიშის გაზრდის კარგი შანსი მიეცათ - ხაჭიპერაძე მარცხენა ფლანგიდან შეიჭრა საჯარიმოში, ორი მეტოქე ჩამოიცილა, საპირისპირო მხარეს გახსნილ ჩომახიძეს დიაგონალური გადაცემა გაუკეთა და... ბურთი ისევ ტალახმა შეაჩერა, თორემ სამტრედიელთა კაპიტანს შეტევის დაგვირგვინება არ გაუჭირდებოდა.

ისიც ვთქვათ, რომ ცუდმა მოედანმა გაგრელებსაც შეუშალა ხელი. კაცნაკლული სტუმრები თავდაუზოგავად იბრძოდნენ და საგოლე მომენტებსაც ქმნიდნენ. 41-ე წუთზე ოქრიაშვილის საჯარიმო დარტყმა მეკარემ უხერხულად მოიგერია, დამატებაზე გედენიძე ურტყამდა, მაგრამ ერთობ ხელსაყრელი პოზიციიდან თითქმის ცარიელ კარს ააცილა.

მეორე ტაიმი გაგრელებმა უფრო აქტიურად დაიწყეს. 55-ე წუთზე ოქრიაშვილს შესანიშნავი დრიბლინგი გამოუვიდა, 5 ფეხბურთელი ჩამოიცილა და მარჯვენა მახვილი კუთხიდან მეკარისთვის უხერხულად დაარტყა, ხარძეიშვილმა ბურთი ცუდად მოიგერია და გოლიც გავიდოდა, ხაზზე ისევ ტალახს რომ არ შეეჩერებინა ბურთი...

საპირისპირო შეტევის დროს მოედანმა უკვე ხაჭიპერაძეს შეუქმნა პრობლემა და მისი აქტიურობაც ფუჭი გამოდგა. დარჩენილ დროში უპირატესობა მთლიანად მასპინძლების მხარეს იყო. სამტრედიელებმა ერთმანეთის მიყოლებით რამდენიმე მწვავე შეტევა განახორციელეს. მიზანთან ახლოს იყვნენ ხაჭიპერაძე, ჩომახიძე, ფირცხალავა და ჩალაძე, თუმცა ანგარიში აღარ შეცვლილა.

**დავით კოხრეიძე**
სამტრედიიდან

U 17

ამხანაგური მატჩი

# ევროპის ჩემპიონმა მინიმალურით გვაჯობა

## ველით ჭანტურიას და გამარჯვებებს

| გერმანია-საქართველო | 1:0 |
|---|---|

1:0 პუში (64)
გერმანია: ჰორნი (41. რაკოვსკი) - და კოშტა (41. პლეშკე), გაისი (41. ჰოფმანი), სამა, ჰარტჰერცი (41. შულცი) - დიურჰოლტცი (41. ბიტენკურტი), ჰინი (41. გონსალვეში), ჰიურცელერი (41. პუში), კიტელი (41. მიულერი) - ნგანკამი (41. იუნესი), პარლერი (41. ბილდირიჩი)
საქართველო: ლეგაშვილი - ხარაბაძე, გაგნიძე, დოლიძე, ტვილდიანი - ხუბუა, პარუნაშვილი (57. არაბული) - კოშაძე, სხირტლაძე (63. ხუჯაძე), ყაზაიშვილი - ხოჭოლავა
სათადარიგოები: ტყეშელაშვილი, გაჩეჩილაძე, გიგაური, რეხვიაშვილი

მატჩის ჩატარების ადგილად ხან ერთი ქალაქი დასახელდა, ხან მეორე და ხანაც მესამე. ბოლოს ითქვა, რომ გერმანიისა და საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებების ამხანაგური შეხვედრა მანჰაიმში გაიმართებოდა, მაგრამ უამინდობის გამო ესეც ვერ მოხერხდა და საბოლოოდ, მატჩი ფრანკფურტში, ხელოვნურსაფრიან მოედანზე გაიმართა.

თავიდანვე ნათელი იყო, რომ შეხვედრის ფავორიტები გერმანელები იქნებოდნენ და ეს არცაა გასაკვირი. გერმანიის 17-წლამდელთა ნაკრების შარშანდელი თაობა ხომ ევროპის ჩემპიონი გახდა და დღევანდელი გუნდი ტიტულის შესანარჩუნებლად იბრძვის. ჩვენთვის საინტერესო იყო, რას გააწყობდა საქართველოს ნაკრები ასეთ ძლიერ მეტოქესთან ჭიდილში. მატჩის ნახვის საშუალება არ გვქონია, მაგრამ გერმანული ინტერნეტგამოცემებისა და თამაშის უშუალო თვითმხილველთა ნაამბობს თუ დავეყრდნობით, ჩვენმა გუნდმა საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა და პირველ ტაიმში თამამადაც უტევდა. შესვენების შემდეგ კი გიორგი დევდარიანის ფეხბურთელებს გადაღლა დაეტყოთ, რითაც მოწინააღმდეგემ შესანიშნავად ისარგებლა და 64-ე წუთზე ლევერკუზენელმა კოლია პუშმა გამარჯვების გოლი გაიტანა.



გოლის ავტორი კოლია პუში

ქართველთა გადაღლა ვახსენეთ და ამის ერთ-ერთი მიზეზი, ალბათ, ის უნდა იყოს, რომ გიორგი დევდარიანმა ოპტიმალური შემადგენლობა ათამაშა და მხოლოდ ორი შეცვლა გამოიყენა, მაშინ როცა მისმა კოლეგა შტეფან ბიოგერმა პირველი ტაიმის შემდეგ ათი ფეხბურთელი შეცვალა, რადგან ელიტრაუნდის განაცხადში შესაყვანი 18 მოთამაშე ჯერაც არ შეურჩევია. ბიოგერმა მატჩის შემდეგ ქართველები შეაქო და განაცხადა, რომ პირველ ტაიმში საკუთარი გუნდის თამაშით უკმაყოფილო დარჩა, მეორეში კი მისმა შეგირდებმა უკეთესი შთაბეჭდილება დატოვეს. დევდარიანმა კი პირიქით, თავისი ფეხბურთელების პირველ ნახევარში ნაჩვენები თამაშით გამოთქვა კმაყოფილება.

მარცხს, თუნდაც მინიმალურს და თუნდაც ევროპის ჩემპიონთან, დადებით შედეგად ვერაფრით მივიჩნევთ, მაგრამ რასაკვირველია, შედეგებს გაცილებით დიდი მნიშვნელობა ელიტრაუნდში ექნება, სადაც საქართველოს ნაკრები გაძლიერებული ითამაშებს. გერმანიასთან ხომ გიორგი ჭანტურია გვაკლდა, რომელიც ჩვენს გუნდს ,სავარაუდოდ, დღეს შეუერთდება ავსტრიაში.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ქართველები უცხოეთში

# გუშინ, ჰააგაში...

გეხსომებათ, 28 დეკემბერს შოთა არველაძის ავტობიოგრაფიული წიგნის („გუშინ") პრეზენტაცია გაიმართა. შოთამ თავისი ქმნილება ასობით ადამიანს ავტორის ხელმოწერით აჩუქა.

„არველაძეების ფონდის" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, წიგნის პრეზენტაცია გასულ უქმეებზე ჰოლანდიაში, საქართველოს საელჩოშიც გაიმართა. ჰააგაში გამართულ პრეზენტაციას, რომელიც ჰოლანდიაში საქართველოს ელჩის, ქალბატონ მაია ფანჯიკიძის თაოსნობით გაიმართა, 50-ზე მეტი ადამიანი დაესწრო. მათ შორის, ცნობილი სახეებიც - კომპოზიტორი გია ყანჩელი, რომელიც ჰააგაში ანტვერპენიდან ჩავიდა, და უცხოეთში მოღვაწე ჟურნალისტი დავით კაკაბაძე, რომელიც „ტიტების ქვეყანას" პრაღიდან ეწვია. პრეზენტაციას პატივი დასდო NATO-ში საქართველოს წარმომადგენელმა, ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა გეგა მგალობლიშვილმაც. ღონისძიების დროს რამდენიმე ათეული ავტოგრაფებიანი წიგნიც გაიყიდა.

**დავით ცაბაძე**

საქართველოს ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა XXV ტური

# დაკარგული შანსი

14.03. თბილისი. ამერი
50 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი | 0 |
| სიონი | 1 |

0:1 ი. შენგელია (35. დეკანოსიძის პასით)

ლოკომოტივი: ქვილითაია - ვეკუა, ხატიაშვილი, გუშარაშვილი, სარალიძე - გ. ნუგ. ჭელიძე, ქებაძე (68, წულაძე), დიაკვნიშვილი, კაჭახიძე (46. ა. შენგელია) - დ. ჩაგელიშვილი (46. ბონდო გოცირიძე), მეტრეველი.

სათადარიგოები: გვენცაძე, გადელია, ბოჭორმელი, კაკულია

სიონი: ბობლიაშვილი - ლ. ჭელიძე, ქემოკლიძე, დიდავა, რაქვიაშვილი - ვ. უგრეხელიძე, გოგობერიშვილი, გ. დეკანოსიძე, გ. მელქაძე - გ. მაისურაძე (78. რუსეიშვილი), ი. შენგელია

სათადარიგოები: ზუხბაია, ლ. მერებაშვილი, ნაყოფია, უგულავა, შ. ჯიშკარიანი, ლ. მელქაძე.

გაფრთხილება: ვეკუა (26), ა. შენგელია (60), ხატიაშვილი (81), რუსეიშვილი (83)

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი



შეხვედრის ერთადერთი გოლი ირაკლი შენგელიამ (მარცხნივ) გაიტანა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

„ლოკომოტივს" გუშინ შესანიშნავი შანსი მიეცა, რომ სეზონში პირველად, გასავარდნი ზონისთვის თავი დაელწია. რკინიგზელებს ეს რომ მოეხერხებინათ, სულაც არ იქნებოდა გასაკვირი, რადგან გელა სანაიას გუნდი ბოლო ტურებში ალმავლობით თამაშობს და ქულათა სოლიდურ მარაგს მოუყარა თავი. თუმცა ლოკომოტიველებმა ამჯერად ველარ შეძლეს შთამბეჭდავი ფეხბურთის ჩვენება და მათმა უშუალო კონკურენტმა „სიონმა" გლდანში სავსებით დამსახურებულად გაიმარჯვა.

ბოლნისელებმა თითქმის მთელი შეხვედრა მეტოქეზე გაცილებით უკეთ ჩაატარეს, განსაკუთრებით კი პირველ ტაიმში გამოირჩეოდნენ. წვიმისა და ატალახებული მოედნის მიუხედავად, თამაში საკმაოდ სანახაობრივი გამოდგა. ბუნებრივია, მრავლად იყო ელემენტარული შეცდომები, მაგრამ არც ერთი გუნდის ფეხბურთელებს თავი არ დაუზოგავთ.

„სიონს" ალექსანდრე გოგობერიშვილი დაუბრუნდა, რომელმაც სეზონის პირველი ნახევარი სწორედ ბოლნისელთა შემადგენლობაში ჩაატარა, შემდეგ კი ერთი პერიოდი უგუნდოდ იყო. ბუნებრივია, გამოცდილი ნახევარმცველი ოპტიმალური ფორმისგან ჯერ შორსაა, მაგრამ უნდა ველოდოთ, რომ სულ მოკლე ხანში გოგობერიშვილი კვლავ „სიონის" ლიდერი გახდება.

სახიფათო მომენტების გარეშე მხოლოდ საწყისმა ოცმა წუთმა ჩაიარა, თორემ ამის შემდეგ საგოლე შანსების ნაკლებობა აღარ ყოფილა. მეტოქის კარის დალაშქვრის პირველი რეალური შესაძლებლობა **გიორგი მელქაძემ** გაუშვა ხელიდან, რასაც **ირაკლი შენგელიას** არანაკლებ სახიფათო და ასევე ოდნავ არაზუსტი დარტყმა მოჰყვა.

თავიდანვე უნდა ვთქვათ, რომ შენგელია მოედანზე ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული იყო, ჩვეულებისამებრ, დაუღალავად იშრომა და შეხვედრის მიწურულსაც კი გასაოცრად ენერგიული იყო. ამჯერად იგი ცენტრფორვარდის პოზიციაზე გაამწესეს და ამ გადაწყვეტილებამ აბსოლუტურად გაამართლა. სრულიად ლოგიკურია, გამარჯვების გოლი სწორედ მან რომ გაიტანა. 35-ე წუთზე **გიორგი დეკანოსიძის** მიერ ჩამოწოდებულ კუთხურს შენგელიამ თავი შეაგება და იმის მიუხედავად, რომ დარტყმა არც ძლიერი იყო და არც აუღებელი, ანგარიში გაიხსნა.

პირველი ტაიმის მიწურულს „ლოკომოტივი" გოლს ორჯერ სასწაულებრივად გადაურჩა და ორივეჯერ **გიორგი მაისურაძის** დარტყმის შემდეგ. პირველ ეპიზოდში კარისკენ მიმავალი ბურთი „ლოკომოტივის" ფეხბურთელს მოხვდა, მეორედ კი მაქსიმე ქვილითაიამ საუცხოო რეაქცია გამოავლინა და საკუთარი კარი აშკარა გოლისგან იხსნა.

„ლოკომოტივს" ალმაფრენით არც მატჩის მეორე ნახევარი ჩაუტარებია, მაგრამ მეტოქის შეწუხება მაინც შეძლო. თამაშის გადარჩენა სანაიას გუნდს ბოლო წუთებში უფრო შეეძლო. **მეტრეველმა** ერთხელ არაზუსტად დაარტყა, მეორედ კი **ბობლიაშვილს** ვერ აჯობა. ყველაზე მწარედ კი ლოკომოტიველებს შეცვლაზე შესული **წულაძის** მიერ გაფუჭებული მომენტი გაახსენდებათ. ეს უკანასკნელი მოწინააღმდეგის კართან უმეთვალყურეოდ დარჩა და ორიოდე მეტრიდან ვერ შეძლო ბურთისთვის საჭირო მიმართულების მიცემა.

მეორე ტაიმში უქმად არც **ხვიჩა ქასრაშვილის** ფეხბურთელები ყოფილან, მაგრამ მათ აქცენტი საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე გააკეთეს, რაც სავსებით ლოგიკური იყო. რაკი „სიონის" შემადგენლობიდან შენგელია გამოვარჩიეთ, აქვე „ლოკომოტივიდანაც" გამოვყოფთ **გიორგი ჭელიძეს**, რომელიც თავისი გუნდიდან ამჯერადაც ყველაზე კლასიან მოთამაშედ მოჩანდა და რკინიგზელთა შეტევათა უმეტესობის ორგანიზატორი იყო.

ამ მარცხით „ლოკომოტივს" უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნების შანსი არ დაუკარგავს, მაგრამ აშკარაა, რომ ერთ-ერთ უმთავრეს მოცილესთან მარცხი სანაიას გუნდს საქმეს საგრძნობლად გაურთულებს. „სიონმა" კი პირიქით, მეორე ეტაპზე მოპოვებული პირველი გამარჯვებით საკმაოდ კომფორტული მდგომარეობა დაიბევა.

### მატჩის შემდეგ

**გელა სანაია (ლოკომოტივი):** „ორი განსხვავებული ტაიმი ვიხილეთ და მთელი მატჩი მეორე ტაიმის დონეზე რომ ჩაგვეტარებინა, დარწმუნებული ვარ, არ დავმარცხდებოდით. ხელი შეგვიშალა მძიმე გრუნტმა, რამაც კომბინაციური ფეხბურთის თამაშის საშუალება არ მოგვცა. ამ შეხვედრას საფუძვლიან ანალიზს ჩავუტარებთ და მარცხისგან სათანადო დასკვნებს გამოვიტანთ".

**ხვიჩა ქასრაშვილი (სიონი):** „მეტოქეს ყველა კომპონენტში ვაჯობეთ და სამართლიანად გავიმარჯვეთ. მოხარული ვარ, რომ წარუმატებელი მატჩების სერია შევწყვიტეთ და გამარჯვებისა და გოლების გარეშე ჩატარებული ამდენი შეხვედრის შემდეგ, სამი ქულა მოვიპოვეთ. უშუალო კონკურენტის დამარცხება ფსიქოლოგიურადაც მოგვაძლიერებს და საკუთარი ძალების რწმენას შეგვმატებს".

**ლევან ჯანეზაშვილი**

ინიციატივა

# ლოკომოტივი გულშემატკივრის ხმას ითხოვს

## მათ უნდა გაარკვიონ, ჩაწყობილია თუ არა თამაშები

თბილისის „ლოკომოტივის" გენერალური დირექტორი უჩა ნებიერიძე პროფლიგის ხელმძღვანელობას ეროვნულ ჩემპიონატში ჩაწყობილი თამაშებისა და მსაჯთა მიკერძოების წინააღმდეგ ბრძოლის უჩვეულო მეთოდს სთავაზობს. ლიგის თავკაცებს მან შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა:

*„როცა ამ საკითხზე ვიწყებთ ფიქრსა და საუბარს, უპირველესად, უნდა დავფიქრდეთ იმაზე, ვისთვის ტარდება ჩემპიონატი და თამაშები. ჩემი აზრით, ეს ხდება არა მხოლოდ ფეხბურთელებისა და ფეხბურთის განვითარებისთვის, არამედ მაყურებლისთვის. მაგრამ თუ მაყურებელს შევთავაზებთ ცრუ და უინტერესო ფეხბურთს, მაშინ საყურებლად არ მოვა და სამწუხაროდ, ასეც ხდება. ამ მცირე შესავლით იმის თქმა მინდა, რომ მაყურებელი და თითოეული მოქალაქე ქართული ფეხბურთისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია. ზუსტად მათი დახმარებითაა შესაძლებელი, ყველანაირი უკანონობის აღმოფხვრა და ობიექტური სურათის მიღება. უნდა შემუშავდეს გეგმა, რის მიხედვითაც მაყურებლის უმრავლესობა გადაწყვეტს თამაშისა და მსაჯის ობიექტურობას. კერძოდ, ყოველი მატჩის შემდეგ უნდა ჩატარდეს გამოკითხვა მაყურებელთან - რამდენად ობიექტურად ითამაშეს ფეხბურთელებმა და რამდენად ობიექტური იყო მსაჯობა. გამოკითხვა უნდა იყოს ანონიმური. თუ მაყურებლის 75%+1 ჩათვლის, რომ მატჩი ჩატარდა უკანონოდ და წესების დარღვევით, შედეგი უნდა გაუქმდეს და დაისაჯოს ორივე გუნდი; გამოკითხვაში მონაწილეობა უნდა მიიღოს მინიმუმ 100-მა ადამიანმა ან სტადიონზე დასწრებულთა მინიმუმ 30%-მა; ამ გეგმაზე უნდა შეთანხმდეს ყველა კლუბი, ის უნდა იყოს საბოლოო და აღარ უნდა საჩივრდებოდეს. რაც შეეხება გამოკითხვას, ეს ძალიან მარტივია - უნდა დარიგდეს ბილეთებთან ერთად ფურცელი, სადაც დაიწერება ორი კითხვა - ითამაშეს თუ არა ფეხბურთელებმა სამართლიანად (კი ან არა), და მეორე კითხვა - იყო თუ არა მსაჯობა სამართლიანი (კი ან არა). ასევე შეიძლება დამტკიცდეს კომისია, რომელმაც გადაწყვეტილების მიღებისას დიდი მნიშვნელობა უნდა მიანიჭოს მაყურებლის აზრს და უნდა იხელმძღვანელოს ამით. თუ მოგეწონათ პროექტი, მზად ვარ, დავხვეწოთ და მოგეხმაროთ პროექტის განხორციელებაში".*

ასეთია მიმართვის შინაარსი. თავისთავად საინტერესოა, როცა კლუბის ხელმძღვანელი ძლიერაა დაინტერესებული, საფეხბურთო სამკუთხედის (ფეხბურთი-მედია-გულშემატკივარი) ყველაზე გულწრფელი და დამოუკიდებელი სეგმენტი აქტიურად ჩართოს სამართლიანი თამაშის წესების დამკვიდრებაში. გულშემატკივარს ხომ ჩვენთან არ უსმენენ, ბევრს კი სთხოვენ.

დავინტერესდით უჩა ნებიერიძის წერილით და უფრო დეტალური განმარტებისთვის კითხვებით მივმართეთ:

**- ბატონო უჩა, წერილიდან ნაწილობრივ ჩანს, თუ რა მოტივებით მიმართეთ პროფესიული ფეხბურთის ლიგას...**

- წერილის დაწერა იმ შემოთავაზებამ მიკარნახა, რომლითაც პროფესიული ფეხბურთის ლიგამ კლუბებს მოგვმართა - ქართული ფეხბურთის მომავლისთვის ვითანამშრომლოთო. ჩემი მოსაზრება ლიგას ელექტრონული ფოსტით გავუგზავნე. მესმის, რომ ჩემი შეხედულება ტექნიკურად დასახვეწია, მაგრამ იდეა მისაღები უნდა იყოს. მე საქართველოში ვცხოვრობ და კარგად ვხვდები, რომ აქ ათასგვარ ფაქტორს უნდა გაუწიო ანგარიში, მაგრამ ანონიმური გამოკითხვა რომ ჩატარდეს, აუცილებლად დავაფიქსირებ ჩემს მოსაზრებას. ასევე იქნება ბევრი სხვა ადამიანიც. ეს ყველაფერი ტექნიკურადაც არ იქნება რთული შესასრულებელი.



უჩა ნებიერიძე

**- ამ პროექტის განხორციელების წინა პირობად რა მიგაჩნიათ?**

- ყველა კლუბი წინასწარ უნდა შევთანხმდეთ, რომ გულშემატკივრის აზრს დავეთანხმებით, როგორიც არ უნდა იყოს ის. მესმის, რომ მხოლოდ გულშემატკივრის გამოკითხვა ბევრისთვის მიუღებელი იქნება და ამიტომ, განვიხილოთ მეორე ვარიანტიც - შეიქმნას კომისია, ხმების 50 პროცენტი მისი იყოს, 50 პროცენტი კი გულშემატკივრების, მაგრამ გულშემატკივრის ხმის უგულებელყოფა დაუშვებელი უნდა იყოს. ბოლოს და ბოლოს, ფეხბურთი ხალხისთვისაა, ხალხს კი ანგარიშს არ უწევენ.

**- ეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ნაირსახეობა ხომ არ არის?**

- შეიძლება ასეც ითქვას, რადგან გულშემატკივარი არავიზე დამოკიდებული არ არის. ახლა ამბობენ - ცნობილი, პატივცემული ადამიანები მოვიზიდოთ და მათი პასუხი მოვისმინოთო. ეს არასწორი აზრი მგონია, რადგან საქართველო პატარა ქვეყანაა, ყველა ყველას იცნობს და ერთმანეთს ანგარიშს უწევენ. ხომ გესმით, რასაც ვგულისხმობ? დაწყევლილი წრეა, ყველა ხვდება, რომ ვითარების გამოსწორება სასიცოცხლოდ აუცილებელია, მაგრამ რომელიმე გუნდის ან პიროვნების გაწირვა არავის სურს. გულშემატკივარს კი არავისი ეშინია და არავის ხათრი არ აქვს, მას მხოლოდ ქართული ფეხბურთის ხათრი აქვს, მისი წინსვლა და ჩაწყობილი თამაშების მხილება სურს. რაც მთავარია, ანონიმ გულშემატკივარს ვერავინ შეაშინებს.

**- გულშემატკივარმა ჭორი რომ დაიჯეროს, მისი გადაწყვეტილება ობიექტური იქნება?**

- ჭორს ვილაცები აუცილებლად აჰყვებიან, მაგრამ 75-80 პროცენტი ჭორებით არ იხელმძღვანელებს, ეს გამორიცხულია.

**- ხმების გაყალბება და კარუსელის დატრიალება? ეს არ იქნება პრობლემა?**

- სტადიონზე კარუსელს როგორ დაატრიალებენ?

**- ერთი და იმავე ადამიანები რამდენჯერმე ჩააგდებენ პასუხს და სასურველი შედეგი გარანტირებული იქნება.**

- გამორიცხულია, რადგან პასუხის ჩაგდება მხოლოდ ბილეთით იქნება შესაძლებელი.

**- კი მაგრამ, ამას ყველა კლუბი დათანხმდება? სიმართლე გითხრათ, მეეჭვება...**

- რატომ არ უნდა დათანხმდნენ?! ქართულ ფეხბურთში მდგომარეობის გაუმჯობესებით, უპირველესად, კლუბები უნდა იყვნენ დაინტერესებულები.

**- მერედა, არის ინტერესი?**

- დარწმუნებული ვარ, 80 პროცენტი მაინც აგვყვება და ქართული ფეხბურთში მდგომარეობის გაუმჯობესებით დაინტერესდებიან.

**- თქვენი აზრით, ვინ არ დაგიჭერთ მხარს?**

- წინადადების განხილვის შემთხვევაში გამოვლინდება. შემიძლია, დავასახელო ის კლუბები, რომლებიც ამ აზრს შეუერთდებიან, მაგრამ უტაქტობა რომ არ გამოვიდეს, არ დავკონკრეტდები. თუმცა, უმაღლესი ლიგის ათივე გუნდის თანხმობის გარეშე, ინიციატივა ვერ განხორციელდება. არ მაქვს პრეტენზია, რომ საზოგადოებას იდეალურ გზას ვთავაზობ, მაგრამ გარკვეულ სამუშაო ვარიანტს ერთობლივად მაინც შევიმუშავებთ.

**- საერთო აზრია, რომ თბილისის „ლოკომოტივი" ამ სიბინძურეში გარეული არ არის. წელს დაიჩაგრეთ და თქვენი მიმართვაც ამის შედეგია?**

- წელს არა, მაგრამ გასულ სეზონში მე-6 ადგილი, ვფიქრობ, ამას უნდა დავაბრალოთ. ახლა კი ჩვენი გაფუჭება, ელემენტარულად, არც ულირთ, არ სჭირდებათ, რადგან ისედაც სუსტი გუნდი გვყავს. უბრალოდ, ამ წერილით პროფესიული ფეხბურთის ლიგისა და ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას იმიტომ მივმართე, რომ დროა, მდგომარეობა რადიკალურად შევცვალოთ.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ჩემპიონატი

პირველი ლიგა. XVIII ტური

| | |
|---|---|
| კოლხეთი (ფ)-35-ე ს.ქ | 3:1 |
| ტორპედო-მარტვილი | 3:1 |
| ჩიხურა-ჰერეთი | 1:0 |
| კოლხეთი (ხ)-მესხეთი | 3:0 |
| მერცხალი-მეშახტე | 3:0 |
| IBSU-ბათუმი | 1:3 |
| ნ/დინამოელი-ჭიათურა | 2:1 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტორპედო | 17 | 13 | 2 | 2 | 48-10 | 41 |
| 2. ბათუმი | 17 | 12 | 3 | 2 | 31-9 | 39 |
| 3. კოლხეთი (ფ) | 17 | 12 | 2 | 3 | 42-16 | 38 |
| 4. ჩიხურა | 17 | 10 | 2 | 5 | 38-31 | 32 |
| 5. ნ/დინამოელი | 16 | 9 | 4 | 3 | 42-36 | 31 |
| 6. გურია | 16 | 8 | 3 | 5 | 34-33 | 27 |
| 7. მარტვილი | 17 | 7 | 2 | 8 | 36-34 | 23 |
| 8. მერცხალი | 17 | 7 | 2 | 8 | 43-36 | 23 |
| 9. IBSU | 17 | 6 | 4 | 7 | 44-43 | 22 |
| 10. ჰერეთი | 17 | 5 | 3 | 9 | 36-34 | 18 |
| 11. მეშახტე | 17 | 5 | 2 | 10 | 26-27 | 17 |
| 12. კოლხეთი (ხ) | 17 | 5 | 1 | 11 | 32-34 | 16 |
| 13. მესხეთი | 17 | 5 | 1 | 11 | 32-37 | 16 |
| 14. ჭიათურა | 17 | 4 | 0 | 13 | 28-37 | 12 |
| 15. 35-ე ს.ქ | 16 | 1 | 3 | 12 | 32-34 | 6 |

## ჭაბუკთა ლიგა. XVI ტური

### 1992-93

| | |
|---|---|
| სიონი-ზესტაფონი | 0:2 |
| სამტრედია-ოლიმპი | 1:1 |
| ბაია-გაგრა | 3:1 |
| ვიტ ჯორჯია-ლოკომოტივი | 0:0 |
| დინამო-სპარტაკი | 9:0 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაია | 16 | 14 | 2 | 0 | 48-17 | 44 |
| 2. დინამო | 16 | 13 | 2 | 1 | 67-18 | 41 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 16 | 8 | 2 | 6 | 28-25 | 26 |
| 4. გაგრა | 16 | 8 | 1 | 7 | 33-28 | 25 |
| 5. ზესტაფონი | 16 | 7 | 1 | 8 | 23-46 | 22 |
| 6. ოლიმპი | 16 | 6 | 4 | 6 | 37-33 | 22 |
| 7. სამტრედია | 16 | 5 | 4 | 7 | 28-28 | 19 |
| 8. ლოკომოტივი | 16 | 5 | 4 | 7 | 22-26 | 19 |
| 9. სიონი | 16 | 2 | 1 | 13 | 18-48 | 7 |
| 10. სპარტაკი | 16 | 1 | 1 | 14 | 5-40 | 4 |

### 1994-95

| | |
|---|---|
| სიონი-ზესტაფონი | 4:0 |
| სამტრედია-ოლიმპი | 3:3 |
| ბაია-გაგრა | 4:0 |
| ვიტ ჯორჯია-ლოკომოტივი | 1:5 |
| დინამო-სპარტაკი | 3:1 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 16 | 12 | 3 | 1 | 45-10 | 39 |
| 2. დინამო | 16 | 11 | 3 | 2 | 32-18 | 36 |
| 3. ბაია | 16 | 11 | 2 | 3 | 41-13 | 35 |
| 4. ლოკომოტივი | 16 | 10 | 2 | 4 | 31-11 | 32 |
| 5. სიონი | 16 | 7 | 3 | 6 | 22-26 | 24 |
| 6. სპარტაკი | 16 | 5 | 1 | 10 | 14-31 | 16 |
| 7. სამტრედია | 16 | 5 | 1 | 10 | 18-25 | 16 |
| 8. ვიტ ჯორჯია | 16 | 4 | 3 | 9 | 14-25 | 15 |
| 9. გაგრა | 16 | 2 | 3 | 11 | 10-36 | 9 |
| 10. ზესტაფონი | 16 | 1 | 3 | 12 | 8-40 | 6 |

## ბიზნეს ლიგა

რეგულარული ჩემპიონატი

### XIII ტური

**ვისოლი-მითანა 5:1**

გოლები: 1:0 ბობოხიძე (2), 2:0 ნაკანი (14) 3:0 ბობოხიძე (21), 4:0 არჩვაძე (23), 5:0 ნაკანი (27), 5:1 დაჩანიძე (30); *მატჩის საუკეთესო მოთამაშეები:* დავით ბობოხიძე (ვისოლი), გოგა ხუროშვილი (მითანა)

**საქ. უნივერს-პეპსი 6:3**

გოლები: 0:1 მიზანდარი (15), 1:1 კობიძე (17), 2:1, 3:1 გოგიაშვილი (19, 22), 4:1 მაისაია (23), 4:2 ხუჯაძე (24), 4:3 კბილაძე (27), 5:3 კობიძე (28), 6:3 გოგიაშვილი (28); *მატჩის საუკეთესო მოთამაშეები:* გიორგი გოგიაშვილი (სუ), ანდრო მიზანდარი (პეპსი)

**სპორტმედია-თიბისი ბანკი 2:2**

გოლები: 0:1 ნოზაძე (2), 0:2 ძამაშვილი (5), 1:2, 2:2 მეკოკიშვილი (9, 16); *მატჩის საუკეთესო მოთამაშეები:* ლაშა დვალიშვილი (სპორტმედია), დიმიტრი ბრანკოვი (თიბისი ბანკი)

**ალგორითმი-PSP 3:5**

გოლები: 0:1 მაჭავარიანი (3), 0:2 ტარიელაშვილი (6), 0:3 კობახიძე (18), 0:4 ტარიელაშვილი (23), 1:4 სეფერთელაძე (26), 2:4 ჩანთლაძე (28), 2:5 მაჭავარიანი (29), 3:5 იმნაძე (30); *მატჩის საუკეთესო მოთამაშეები:* დავით ლუკავა (ალგორითმი), ლევან მაჭავარიანი (PSP)

**ფალავანი-გიგაბაიტი 1:0**

გოლი: 1:0 ჯორბენაძე (25); *მატჩის საუკეთესო მოთამაშეები:* ლევან ფურცელაძე (ფალავანი), ლაშა კვალიაშვილი (გიგაბაიტი)

**საუკეთესო მოთამაშის გამოკითხვა**

| | |
|---|---|
| ლევან მაჭავარიანი (PSP) | 8 ხმა |
| ლაშა დვალიშვილი (სპორტმედია) | 6 ხმა |
| დავით სოლოლაშვილი (სპორტმ.) | 5 ხმა |
| გიორგი გიგილეიშვილი (ავტოგ.) | 5 ხმა |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ლევან მაჭავარიანი (PSP) | 21 |
| ბაჩო კოგიძე (სუ) | 15 |
| გიორგი ჯინიკაშვილი (გიგაბაიტი) | 13 |
| ირაკლი ჩიქოვანი (ავტოგილდი) | 13 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვისოლი | 10 | 6 | 3 | 1 | 35-17 | 21 |
| 2. გიგაბაიტი | 9 | 6 | 2 | 1 | 27-18 | 20 |
| 3. საქ. უნივერს. | 9 | 6 | 1 | 2 | 38-11 | 19 |
| 4. პეპსი | 8 | 5 | 1 | 2 | 26-23 | 16 |
| 5. პატრული | 10 | 5 | 1 | 4 | 25-15 | 16 |
| 6. ფალავანი | 10 | 5 | 1 | 4 | 29-29 | 16 |
| 7. მითანა | 10 | 4 | 2 | 4 | 23-24 | 14 |
| 8. თიბისი | 10 | 4 | 1 | 5 | 22-29 | 13 |
| 9. PSP | 11 | 4 | 0 | 7 | 32-36 | 12 |
| 10. ალგორითმი | 8 | 4 | 0 | 4 | 23-14 | 12 |
| 11. სპორტმედია | 10 | 2 | 2 | 6 | 20-28 | 8 |
| 12. ავტოგილდი | 10 | 2 | 2 | 6 | 23-41 | 8 |
| 13. AMTS | 7 | 0 | 0 | 7 | 5-43 | 0 |

ლეგიონის უქმეები

# ჭანტურიას დუბლი ბარსელონაში

## ახლადგამომცხვარი ლეგიონერების სადებიუტო გოლები

16 წლის **გიორგი ჭანტურია** აღარ ხუმრობს - გუშინ „ბარსელონას“ ჭაბუკთა ბ გუნდი „რეუსს“ ეწვია და 2:1 მოუგო. გამარჯვება თავიდან ბოლომდე ნორჩი ქართველი ფორვარდის დამსახურებაა, ჭანტურიამ დუბლი შეასრულა და სეზონში 12 თამაშში 11 გოლი დაუგროვდა. მეორე ტაიმში ქართველის ნაცვლად **სერხი ბარხუანმა ერნესტო** გამოიყვანა.

ზედიზედ მეორე თამაშია **ზურაბ ხიზანიშვილი** ვერ ხვდება „რედინგის“ სასტარტო შემადგენლობაში, შაბათს მისმა გუნდმა „ბრისტოლ სიტის“ უმასპინძლა და 2:0 მოუგო. ხიზანიშვილის ადგილი ვერც დაცვის მარჯვენა ფლანგზე მოიძებნა (**გუნარსონი**) და ვერც ცენტრში (**ინგიმარსონი, მილსი**), ქართველი ოდენ სათადარიგოს როლით დაკმაყოფილდა. არადა „ბრისტოლთან“ მცველმა **ენდი გრიფინმა** ტრავმის გამო ვერ ითამაშა. „რედინგი“ 44 ქულით მე-16 ადგილზეა და, ალბათ, აღარ გავარდება.

საფრანგეთში ქართველთა „ლე მანმა“ „6-ქულიანი“ მატჩი წააგო, შინ 0:1 უშუალო კონკურენტ „ნიცასთან“. „ლე მანი“ 21 ქულით მე-18 ადგილზეა და უსაფრთხო ზონას 7 ქულა აშორებს. „ნიცასთან“ მატჩში **გიორგი მაკარიძე** სათადარიგო იყო, **ამირან სანაია** განაცხადში ვერ მოხვდა.

შაბათს ბერლინში გაუგონარი რამ მოხდა, ფანები მოედანზე გადაიჭრნენ, მათ ყელში ამოუვიდათ „ჰერტას“ ნაგებები. **ლევან კობიაშვილის** გუნდი 60 წუთის განმავლობაში **გეკასის** გოლით იგებდა, მაგრამ საბოლოოდ „ნიურნბერგთან“ 1:2 დამარცხდა უშუალო კონკურენტთან. ლევანმა 90 წუთი ითამაშა მარცხენა მცველის პოზიციაზე. „შპორტალმა“ ჩვენებურს 3,5 ბალი დაუწერა და მისი თამაში დადებითი კუთხით შეაფასა: *„მისი ფლანგიდან „ნიურნბერგს“ მომენტები არ შეუქმნია, პირველ ტაიმში კარგად ითამაშა და შეტევებშიც რამდენჯერმე ჩაერთო, მეორეში დახმარება სჭირდებოდა დაცვას და შეტევებისთვის აღარ ეცალა“.* **ლევან ყენიას** (ტრავმა) „შალკემ“ 2:1 მოუგო „შტუტგარტს“, ხოლო **დავით თარგამაძის** (განაცხადში ვერ ხვდება) „ფრაიბურგმა“ სტუმრად „ბაიერნთან“ დათმო - 1:2. „ბაიერნი“ 56 ქულით პირველ ადგილზეა, ხოლო „ფრაიბურგი“ 20 ქულით ბოლოსწინაა და მხოლოდ „ჰერტას“ უსწრებს.

მეორე ბუნდესლიგაში **ალექსანდრე იაშვილის** „კარლსრუემ“ „აუგსბურგი“ 1:0 დაამარცხა. გუნდის კაპიტანი ქართველი 75-ე წუთზე შეცვალეს, სტუმართა გუნდში ოდენ სიმბოლურად ირიცხება **ოთარ ხიზანეიშვილი**, ასე რომ, მასზე არ შევჩერდებით. „კარლსრუელ“ 33 ქულით მე-11 ადგილზეა. **მათე ღვინიანიძის** „მიუნხენი“ (35 ქულა, მე-9 ადგილი) დღეს ეწვევა „დუისბურგს“. „შპორტალმა“ 3,5 ბალი დაუწერა იაშვილს. *„ჩვენ გამარჯვება გვსურდა, ძალიან მოვინდომეთ და მობილიზებულნი გავედით მოედანზე. ბოლო ორი თამაშია ბუნდესლიგაში გადასვლის კანდიდატებს ვჯობნით. ასე უნდა გავაგრძელოთ და მომავალ სეზონში უფრო შეკრული კოლექტივით წავრდგეთ მაყურებელთა წინაშე“*, - განაცხადა თამაშის შემდეგ ჩვენმა თანამემამულემ.

ავსტრიულ ბუნდესლიგაში **ილია კანდელაკის** „შტურმი“ „ნოიშტადტს“ ეწვია და დაუზავდა - 0:0. ილია მატჩის განაცხადს კი დაუბრუნდა, მაგრამ მას თამაში არ მოუწია. ჩეხურ გამბრინუსლიგაში, **დიმიტრი ტატანაშვილის** „კლადნო“ „იაბლონეცს“ ეწვია და 0:1 დამარცხდა, ჩვენებური სათადარიგო იყო. ქართველი ფორვარდი 67-ე წუთზე გამოვიდა მოედანზე. 26 წლის ფორვარდმა წლეულს პირველად ითამაშა. „კლადნო“ 14 ქულით ბოლოსწინა ადგილზეა, შეგახსენებთ, რომ ტატანაშვილი „პლზენიდან“ იჯარის წესით არის განათხოვრებული. რუმინეთის ჩემპიონატში „გაზ მეთანი“ „ჩაპლაულს“ 0:0 დაუზავდა. სტუმართა რიგებში 90 წუთი ითამაშა **აკაკი ხუბუტიამ**. „გაზ მეთანი“ 27 ქულით მე-10 ადგილზეა.

უნგრეთის ჩემპიონატში თავი **რატი ალექსიძემ** შეგვახსენა, „დიორი ეტომ“ მისი გოლის წყალობით „კეჩკემეტი“ დაამარცხა - 1:0. ალექსიძემ მე-11 წუთზე გახსნა ანგარიში, **კოლტაიმ** ქართველს საჯარიმოში მიაწოდა და 11-მეტრიანის ნიშნულის სიახლოვიდან რატიმ მეკარეს მარცხენა დაბალ კუთხეში გაუტანა. „ეტოს“ დიდი ქართული ლეგიონიდან რატის გარდა მხოლოდ **გიორგი განუგრავამ** ითამაშა, რომელიც 58-ე წუთზე შევიდა მოედანზე და ყვითელი ბარაათი მიიღო. ნბ1-მა ალექსიძის თამაში 6 ბალით შეაფასა, განუგრავასაი - 5-ით. „ეტო“ 33 ქულით მე-3 ადგილზეა.

**გიორგი მერებაშვილმა** პირველი გოლი გაიტანა ლეგიონერის სტატუსით, ამისთვის მას სულ სამი მატჩი დასჭირდა. ქართველის „ვოივოდინამ“ 4:0 გაანადგურა „ჩუკარიჩკი“, ჩვენებურმა 85-ე წუთზე პენალტით გაიტანა. „ვოივოდინა“ 27 ქულით მე-4 ადგილზეა.

უკრაინული ვიშალიგის მე-20 ტურში თავისი სადებიუტო გოლი გაიტანა „ილიჩევეცის“ ქართველმა ლეგიონერმა **გიორგი გაბედავამ**. გიორგის წყალობით სტუმრებმა სიმფეროპოლიდან ქულა წაიღეს - „ტავრიას“ 3:3 დაუზავდნენ. 82-ე წუთზე ყოფილმა გაგრელმა **კონსტანტინ იაროშენკო** შეცვალა, 6 წუთში კი ქართველმა ახლო მანძილიდან ძალიან ძლიერი დარტყმით გაათანაბრა. ქართველები მოედანზე ერთმანეთს არ გადაჰყრიან, **ვასილ გიგიაძე** 64-ე წუთზე შეცვალეს. *„მოხარული ვარ, თუ როგორ გააძლიერა შეცვლაზე შესულმა ახალგაზრდა გაბედავამ თამაში. მას კარგი დაყენებული დარტყმა აქვს, ამიტომაც ვთხოვე, პირველივე შესაძლებელობლისას კარში დაერტყა. მიხარია, რომ ჩანაფიქრი გამოგვივიდა“*, - განაცხადა „ილიჩევეცის“ მწვრთნელმა **ილია ბლიზნიუკმა**. „ტავრია“ 30 ქულით მე-7 ადგილზეა, „ილიჩევეცი“ 20 ქულით - მე-12.

**ალექსანდრე კობახიძის** „კრივბასი“ სტუმრად „ჩერნომორეცთან“ 1:3 დამარცხდა. ჩვენებურმა კარგად ითამაშა, მისი ბრწყინვალე პასით მე-40 წუთზე **ვარანკოვმა** გაიტანა. მე-2 ტაიმში ჩვენებური გააფრთხილეს. „კრივბასი“ 7 ქულით უიმედო აუტსაიდერია. **ირაკლი მოდებაძის** „მეტალურგმა“ შინ, ზაპოროჟიეში დონეცკის „მეტალურგი“ დაამარცხა - 3:2. ირაკლიმ სიმბოლურად ითამაშა, ის 92-ე წუთზე დროის გაყვანის მიზნით შეიყვანეს. „მეტალურგი“ 23 ქულით მეათეა.

**სანდრო გურულის** „კარპატი“ კიევის „არსენალს“ დაუზავდა - 3:3. მასპინძელთა 10 ნომერი მოედანზე 29-ე წუთზე შევიდა. კვლავ არ ჩანან „დნიპროს“ რიგებში **ჯაბა კანკავა** და **უჩა ლობჟანიძე** (ტრავმები), „დნიპრო“ 33 ქულით მე-4 ადგილზეა.

დაიწყო რუსეთის ჩემპიონატიც - წუხელ მოსკოვურ დერბიში 17 წლის **ჯანო ანანიძემ** სასტარტო შემადგენლობაში ითამაშა. „სპარტაკი“ 0:1 დამარცხდა „დინამოსთან“. ჯანო 88-ე წუთზე შეცვალეს, მას „ჩემპიონატმა“ 5 ბალი დაუწერა. ჩვენს დიდ ინტერესს ჩრდილოკავკასიური დაპირისპირება იწვევდა, მახაჭყალაში „ანჟი“ ნალჩიკის „სპარტაკს“ დაუზავდა - 0:0. მასპინძელთა რიგებში ითამაშეს **დავით კვირკველიამ** (შეფასება - 5,5), **გოჩა ხოჯავამ** (5), **ზურაბ არზიანმა** (5,5) და **რევაზ ბარაბაძემ** (5,5), ვინც პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალეს, ხოჯავამ კი პირველივე ტაიმში მიიღო გაფრთხილება. კვირკველიას გარდა ყველა მათგანისთვის რუსულ პრემიერლიგაში სადებიუტო მატჩი იყო, **ნუკრი რევიშვილის** დებიუტი „ანჟიში“ კი გადაიდო. სტუმართა ქართულმა სამეულმა სასტარტოში ითამაშა: **გოგიტა გოგუა** 69-ე წუთზე შეცვალეს, **დავით სირაძე** - 81-ეზე, ხოლო **ალექსანდრე ამისულაშვილმა** მოედანზე 90 წუთი გაატარა. ჩვენებურებმა 5,5-5,5 შეფასება მიიღეს. რუსულ მედიაში ქართული შვიდეულიდან ყველაზე მეტად სირაძის აქტიურობა გამოყვეს. ხოლო კვირკველიამ ერთხელ ძალიან სახიფათოდ დაარტყა საჯარიმო.

რუსეთის ჩემპიონმა „რუბინმა“ ტიტულის დაცვა „ლოკომოტივის“ დაცვის რბევით დაიწყო - 2:0. სამწუხაროდ, ვერ ვიხილეთ **ლაშა სალუქვაძე**, ნაგებულთა რიგებში კი **მალხაზ ასათიანმა** 90 წუთი ითამაშა (შეფასება - 6).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



რატი ალექსიძე გამარჯვების გოლს ულოცავენ



ლევან კობიაშვილი (მარცხნივ)



გოჩა ხოჯავა (მარჯვნივ)

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# მარცვალაძეზე ადრე ვერც კი ვიოცნებებდით...

რუსეთული პრემიერლიგისგან განსხვავებით, პირველ დივიზიონში ახალი სეზონი 27 მარტს იწყება. ამ დღეს **ოთარ მარცვალაძისა** და **ედიკ საჯაიას** „ვოლგა" ჩემპიონატს ვოლგისპირული დერბით, ვოლგოგრადის „როტორთან" საშინაო მატჩით იწყებს. მანამდე კი ჩვენებურთა გუნდი ესპანეთში მოსამზადებელ შეკრებას განაგრძობს. პირენეებზე ნიჟნინოვგოროდელებმა მორიგი საკონტროლო შეხვედრა **სოსო გრიშიკაშვილის** ერევნულ „მიკასთან" გამართეს. მატჩი ფრედ, 0:0 დასრულდა. ედიკ საჯაიას ამ შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია. ოთარ მარცვალაძემ მეორე ტაიმი სრულად ითამაშა. მან კი გუნდის კაპიტანი **ანტონ ხაზოვი** შეცვალა. ამ მატჩში, „მიკას" რიგებში მეკარე სოსო გრიშიკაშვილს არ უთამაშია. როგორც ირკვევა, გრიშიკაშვილს მცირედი ტრავმა აქვს.

ნიჟნინოვგოროდელები ესპანურ შეკრებაზე დასკვნით ამხანაგურ შეხვედრას დღეს, 15 მარტს ფინურ ჰიკ-თან ჩაატარებენ. თხრობას „ვოლგასა" და მარცვალაძეზე განვაგრძობთ. პოპულარულმა „სპორტ ექსპრესმა" „ვოლგას" პრეზიდენტ **ალექსანდრ გოიხმანთან** ინტერვიუ გამოაქვეყნა. ნიჟნინოვგოროდელთა კლუბის შეფი გახარებულია ქართველ ფორვარდ ოთარ მარცვალაძის დამატებით.

*„დეკემბერში ფორვარდ ვლადიმირ შიშელოვთან გვინდოდა კონტრაქტის გაფორმება და კიდევ კარგი, არ ავჩქარდით. მის ნაცვლად ახალგაზრდა, ტექნიკური და სწრაფი ოთარ მარცვალაძე დავიმატეთ. მარცვალაძემ გასული სეზონი „ანჟიში" ისე კარგად ჩაატარა, რომ, მართალი გითხრათ, თავდაპირველად ამ ფეხბურთელის დამატებაზე ვერც კი ვიოცნებებდით. ოთარის ჩვენს გუნდში მოწვევა ალექსანდრ პობეგალოვის სურვილი იყო. მის ტრანსფერზე „ანჟის" ხელმძღვანელობასთან ხანგრძლივი მოლაპარაკებები გვქონდა, რომელიც შედეგიანად დავასრულეთ და დღეს ოთარ მარცვალაძე ჩვენი გუნდის სრულუფლებიანი წევრია"*, - განაცხადა „ვოლგას" პრეზიდენტმა ალექსანდრ გოიხმანმა, რომელიც გუნდის ლიდერად ხაზოვს მიიჩნევს, იმ ხაზოვს, რომელიც მარცვალაძემ „მიკასთან" მატჩში შესვენებაზე შეცვალა.

**დავით ცაბაძე**

# დებიუტი 13 ნომრით

ოდესის „ჩერნომორეცში" ტესტირებაზე მყოფ **გიორგი ჩელებაძის** საკითხი დადებითად გადაწყდა. **რევაზ ჩელებაძის** ვაჟმა, რომელიც საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების წევრ-კანდიდატია (ჭაბუკთა ნაკრების თავკაცმა **ვლადიმერ გუცაევმა** „ლელოსთან" ინტერვიუში გიორგი ჩელებაძეც ახსენა), ოდესელთა კლუბთან 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა 1+2 სისტემით. გიორგის 13-ნომრიანი მაისურა მისცეს და ახალ გუნდში დებიუტიც დააგემოვნებინეს - მან „ჩერნომორეცის" სარეზერვო გუნდში კრივოი როგის „კრივბასის" წინააღმდეგ ითამაშა. ოდესელები 1:4 დამარცხდნენ. ჩელებაძე სასტარტო შემადგენლობაში იყო და მხოლოდ პირველ ტაიმში ითამაშა. შესვენებამდე „ჩერნომორეცი" 1:3-ს აგებდა.



გიორგი ჩელებაძე

**დავით ცაბაძე**

ჩვენებური

# ვოლფსბურგელი გოგია გერმანიის ნაკრებში და ფრანგების წინააღმდეგ

მოგეხსენებათ, საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები პირველ უცხოურ შეკრებაზე თურქეთშია. 10-25 მარტის პერიოდში **ვლადიმერ გუცაევის** გუნდი სამ ამხანაგურ შეხვედრას გამართავს, აქედან პირველ საკონტროლო მატჩს ჩვენი ჭაბუკები დღეს, 16 მარტს შვეიცარიის ქვედალიგოსან „უზენდორფთან" ჩაატარებენ. სიდეში გამგზავრებამდე ჭაბუკთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის ვლადიმერ გუცაევის ინტერვიუ შემოგთავაზეთ. 19-წლამდელთა თავკაცმა „ლელოსთან" საუბარში დააფიქსირა, რომ დიდი სურვილი აქვს „ვოლფსბურგის" დუბლებში მოასპარეზე შემტევმა ნახევარმცველმა **აკაკი გოგიამ** მის და სხვა ასაკობრივ ნაკრებებში იასპარეზოს, მაგრამ... მაშინ გუცაევს არც ის დაუმალავს, რომ გოგიას არ აქვს გადაწყვეტილი, ითამაშებს მშობლიური ქვეყნის ნაკრებში თუ გერმანიის ჭაბუკთა გუნდში იასპარეზებდა...



აკაკი გოგია

ჯერ კიდევ ძნელია იმისი თქმა, მიიღო თუ არა აკაკი გოგიამ საბოლოო გადაწყვეტილება. ის კი ცხადია, რომ ჩვენებური გერმანიის 18-წლამდელთა ნაკრებში მიიწვიეს. საქმე ისაა, რომ 23 და 25 მარტს გერმანიის 18-წლამდელთა ნაკრები ფრანგ თანატოლებთან ამხანაგურ მატჩებს გამართავს. ამ შეხვედრებისთვის, 18-წლამდელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **მარკო პეცაიუოლიმ** ნაკრებში სხვა ფეხბურთელებთან ერთად „ვოლფსბურგიდან" აკაკი გოგიაც მიიწვია. მიიღებს თუ არა აკაკი გოგია გერმანელთა მიწვევას და თუ ითამაშებს გერმანელ ჭაბუკთა ნაკრებში, ამას მიმდინარე თვის ბოლომდე გავიგებთ. თუ ჩვენებური გერმანიის 18-წლამდელთა ნაკრებში ითამაშებს, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ის საქართველოსთვის სანაკრებო დონეზე დაკარგულია. ფიფას შესაბამისი წესით, ამ ფეხბურთელის დაბრუნების შანსი მანამდე გვაქვს, სანამ გერმანიის 21-წლამდელთა ნაკრებში ოფიციალური დებიუტი არ ექნება. მაგრამ საამისოდ, პირველ რიგში, თავად ფეხბურთელის სურვილია საჭირო.

ცნობისთვის, აკაკი გოგია საქართველოშია დაბადებულ-გაზრდილი. ბოლო 5-6 წელიწადია, რაც ის გერმანიაში ცხოვრობს და ამ ქვეყნის მოქალაქეა. აკაკი 18 იანვარს 18 წლისა გახდა და რამდენიმე თვეა, რაც „ვოლფსბურგის" 17-წლამდელთა გუნდიდან დუბლებში გადაიყვანეს. ის არა მარტო „მგლების" ჭაბუკთა გუნდში, არამედ, იმ რეგიონალლიგაშიც ერთ-ერთი გამორჩეული იყო, რომელშიც „ვოლფსბურგის" 17-წლამდელები ასპარეზობდნენ. „მგლების" 17-წლამდელებში გოგია ძირითადად შემტევ ნახევარმცველად ასპარეზობდა, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში, თავდამსხმელადაც უწევდა თამაში. გასულ სეზონში გოგიამ „ვოლფსბურგის" 17-წლამდელთა შორის 27 შეხვედრა ჩაატარა და 12 გოლი გაიტანა. 18 წლის ქართველი ფეხბურთელი 178 სმ სიმაღლისაა და გერმანულ კლუბთან მისი კონტრაქტის ვადა 2013 წლის 30 ივნისს იწურება.

**დავით ცაბაძე**




## ნოდარ ნაჭყებიას ფელეტონი

**3 მარტი.** ესტონეთთან ამხანაგური მატჩის წინ ლელოელმა გია ტუხაშვილმა ეროვნული ნაკრების ყველა მწვრთნელის სადებიუტო მატჩი შეგვახსენა. ამ ჩამონათვალში კი ყველაზე მეტად აი, ეს მენიშნა: 20 წელიწადში საქართველოს ნაკრებს მეთვრამეტედ შეეცვალა მთავარი მწვრთნელი. მგონი, ცოტა არ იყოს, ბევრია. მთავარი ის არის, რომ ამ ცვლილებებს შედეგი არ მოუტანია (თემურ ქეცბაიას შედეგზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია). გვყავდა ყველანაირი ყაიდის მწვრთნელი, ქართველიც, უცხოელიც, სახელიანიც, უსახელოც... დასკვნა კი ვფიქრობ, მხოლოდ ეს შეიძლება იყოს: მთელი 20 წელი მწვრთნელების შეცვლის მეტი ფედერაციას ნაკრების სასიკეთოდ არაფერი გაუკეთებია. მწვრთნელის შეცვლა ხომ ძალიან იოლი საქმეა. მერე ყველაფრის მწვრთნელზე გადაბრალება კი - უფრო იოლი.

**4 მარტი.** საქართველოს ნაკრებმა როგორც იქნა, მოიგო! ესტონეთთან ჩვენების თამაშის ხარისხი იდეალური მაინცდამაინც ვერ იყო, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მთავარი ეს არც იყო. საერთოდაც, მთავარი ყოველთვის შედეგია და როდესაც თამაშის ხარისხზე მიდგება საქმე, ხარისხი იმისთვისაა საჭირო, რომ შედეგის მიღწევა გაგვიიოლდეს.

მოკლედ, კმაყოფილები უნდა ვიყოთ.

**5 მარტი.** საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელმა ლაშა თოთაძემ „ლელოსთან" ინტერვიუში თქვა, „ლოკომოტივის" სტადიონის მოედანი საშინელება იყოო. ფეხბურთელს რომც არ ეთქვა, ისედაც ვიცოდით, თავადვე ვნახეთ.

კარგად მახსოვს, რამდენიმე წლის წინ „ჩელსიმ" შეგნებულად რომ გააფუჭა საკუთარი მოედანი „ბარსელონასთან" თამაშის წინ, მაგრამ ეჭვი მეპარება, ჩვენს შემთხვევაში იმავესთან გვქონდეს საქმე. დაკვირვებულ ადამიანს კი ისიც ეცოდინება, რომ „ლოკომოტივზე" დიდი ხნის წინაა გაჩენილი უბალახო კუნძულები. ერთი სიტყვით, იმის თქმას ვცდილობ, რომ სტადიონი უპატრონობით სულს ღაფავს, ხოლო რატომ არ ჰყავს სტადიონს პატრონი, ამის თაობაზე სჯობს, მერიას ვკითხოთ, რომელმაც არენა ჯერ გაასხვისა, მერე ისევ ჩამოართვა და ფაქტობრივად დაივიწყა.

**6 მარტი.** ცირკია! სააპელაციო კომიტეტმა „სპარტაკი" და „სიონი" გაამართლა და სასჯელი გაუუქმა. კომიტეტმა ამათ შეხვედრაში უპატიოსნობის ელემენტები ვერ დაინახა. თუმცა ცირკი სულ სხვა რამის გამო ვახსენე. გვიმტკიცებდნენ, უტყუარი საბუთები გვაქვს, რომლებითაც მტკიცდება, პროფლიგის პრეზიდენტ გია ფირცხალავას პირადი კომერციული ინტერესები ამოძრავებდა, გუნდებს რომ ამტყუნებდაო. ხოლო როცა გაირკვა, რომ სასჯელი გაუქმდა, „უტყუარი საბუთები" ემოციად, ცხელ გულზე ნათქვამ სიტყვის მასალად მოინათლა. ცირკია, აბა, რა?!

**7 მარტი.** დღეს კვირაა და კაცი ცირკშიც ნავიდოდა, რომ მუშაობდეს.

**8 მარტი.** ვერ ვნახე და ვიფიქრე, „დინამოსა" და „ოლიმპის" შეხვედრის მიმოხილვას მაინც წავიკითხავ „ლელოში"-მეთქი. დავიწყე კითხვა და... ჟურნალისტი მერაბ მამულაშვილი თამაშს ყოვლად უინტერესოს, უფერულს და უჯიგროს უწოდებს. სიმართლე გითხრათ, ამის მერე მიმოხილვა სრულად აღარც წამიკითხავს. მხოლოდ თვალი გადავავლე და პირდაპირ ბოლო აბზაცზე გადავხტი: მიმომხილველისთვის მეგობარს უთქვამს, შვილმა მთხოვა, ეს ფეხბურთელები ვერ დარბიან და სხვა არხზე გადავრთოთო.

სცოდნია იმ ბავშვს კარგის და ცუდის გარჩევა.

„ლელოში" სხვა მნიშვნელოვანი ამბავიც ეწერა: ეროვნულ სტადიონზე 8 ათასი სკამია დამტვრეული! ჯოგს, რომელიც სტადიონზე სკამების სამტვრევად დადის, შეგონება არ უშველის. დაცვა უნდა მუშაობდეს უკეთესად. დაიჭირე და სკამის საფასური ჯიბიდან ამოაღებინე. ეს არის და ეს. ჯოგს კარგი მწყემსი სჭირდება, ლაპარაკით ვერაფერს გააგებინებ.

**9 მარტი.** „ლელო" ჩემპიონატის ტურის მიმოხილვას მიუბრუნდა და კიდევ ერთხელ ითქვა, ტურში ყველაფერი ვნახეთ, ფეხბურთის გარდაო. ისე, მართლა, რატომ ეზარებათ ფეხბურთელებს სირბილი და რატომ დასეირნობენ მოედანზე? რატომ არიან ასეთი უჯიგროები? მაგრამ აბა, ვინმემ გაბედოს და მათ თამაშში სპორტული სულისკვეთება ვერ დაინახოს! ჯიგრიანი კონტრბრალდებები მერე ნახეთ.

**10 მარტი.** ფუტსალის ჩემპიონატის მატჩი ფუტსალისავე ასოციაციის გენერალურმა მდივანმა ჩაშალა. აღვშფოთდი, მაგრამ არ გამკვირვებია. ქვეყანაში, სადაც ადამიანები იმიტომ ილუპებიან, რომ ყუმბარის განსხვავებულ სასმისად გამოყენების სურვილი უჩნდებათ, გენმდივნის მიერ ჩაშლილმა თამაშმა როგორ უნდა გაგაკვირვოს!

**11 მარტი.** ჩემპიონატის მორიგი ტურისას ფეხბურთელს საკუთარ საჯარიმოში ბურთი ჯერ ერთ ხელზე მოხვედრია, მერე მეორეზე, მსაჯს კი გადაუწყვეტია, ეს ყველაფერი საჯარიმოს გარეთ მოხდაო. არადა, მატჩის ბოლოსწინა წუთი იყო და ვინ იცის...

„ლელოში" ამ ამბის წაკითხვამ სხვა შემთხვევა გამახსენა, რამდენიმე წლის წინ თავად რომ კიხილე - მსაჯმა თამაშგარე მაშინ დააფიქსირა, როდესაც პასის გაკეთების მომენტში პასის მიმცემიც და მიმღებიც საკუთარ ნახევარზე იმყოფებოდნენ.

**12 მარტი.** ოთარ გაბელიას ინტერვიუში ერთი საინტერესო ფრაზა ამოვიკითხე: ზოგი ახალგაზრდა მოთამაშე, ნაკრებში თუ არ გამოიძახეს, უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მიღებით იმუქრებაო. ჩავასწორებ - ამას შანტაჟი უფრო ჰქვია. შანტაჟისტებთან კი, გამიგია, მოლაპარაკება არ უნდა გამართო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს ჩემპიონატის წინ

# ჟრუანტელი თასთან

მსოფლიოს თასი დედამიწის გარშემო მოგზაურობს. ამ დღეებში ის ინგლისში გახლდათ და მას **უეინ რუნი** მიუახლოვდა. შეგრძნებები? „მანჩესტერ იუნაიტედისა" და ინგლისის ნაკრების ვარსკვლავი ამბობს, რომ სასურველ ჯილდოსთან მიახლოებისას „რაღაც" იგრძნო. დაგვეთანხმებით, საინტერესო განცდაა. უფრო კონკრეტულად? უფრო კონკრეტულად ის, რომ დღეს ფორვარდი არნახულ ფორმაშია, ასე ცხოვრებაში არ უთამაშია და მთელი ინგლისი იმედოვნებს, რომ სამხრეთ აფრიკის მუნდიალი ისტორიაში რუნის გაბრწყინების მუნდიალად შევა.

მაგრამ დავუბრუნდეთ იმას, რასაც ზემოთ „რაღაც" ვუწოდეთ - როდესაც 24 წლის ვარსკვლავი მსოფლიოს თასს მიუახლოვდა ტანში არაბუნებრივმა ჟრუანტელმა დაუარა. მოგეხსენებათ, მას მერე, რაც ჟრუანტელმა რომელიმე ინგლისელს ბოლოს დაუარა, 44 წელიწადია გასული. რუნის „წინაპრები" ერთადერთხელ იყვნენ მსოფლიოს ჩემპიონები - 1966 წელს, როდესაც მუნდიალი მათ სამშობლოში ჩატარდა და თილისმა სასაცილო ლომი „ვილი" იყო. რუნიმ თქვა:

*„ახლოს რომ მივედი უცნაურმა ჟრუანტელმა დამიარა. ინგლისი მსოფლიოს ჩემპიონატზე ძალიან კარგად მომზადებული ჩავა. იმედი მაქვს, რომ კარგად გამოვალთ და აი, ამ თასს ივლისში შინ ჩამოვიტანთ. გამოგიტყდებით, სულ ვცდილობ მსოფლიოს ჩემპიონატზე ბევრი არ ვიფიქრო, მაგრამ უნებლიედ ის მაინც შემოიპარება ხოლმე ჩემს გონებაში. საკუთარი ქვეყნის ნაკრებში თამაში ყოველთვის საამაყოა, მნიშვნელობა არ აქვს რომელ შეჯიბრებაში მონაწილეობ, მსოფლიოს ჩემპიონატი კი წარმოუდგენელი რამ გახლავთ".*

მსოფლიოს თასის საქვეყნო მოგზაურობა „კოკა კოლამ" დააფინანსა. ინგლისში დიდი ჯილდო დასავლეთ ლონდონში ერლზ კოსტში მიიტანეს, სადაც 3500 ფანის წინაშე მას ცნობილმა როკჯგუფმა The Enemy-მ უმღერა. თასის გაცობის წინ რუნიმ როკჯგუფის წევრებთან მის ბოლო დროს მოხშირებულ თავურ გოლებზე იხუმრა: *„თავურებზე ბევრს ვვარჯიშობ, მაგრამ შესაძლოა ყველაფერი ჩემი მელოტი შუბლის გამო იყოს".*

„ლელოს" მკითხველს მოეხსენება, რომ წარმოშობითა და აღზრდით ლივერპულელს შარშან, წლის ბოლოს ვაჟი ეყოლა, რომელსაც **კაი** დაარქვა. თურმე მამობას მის ფეხბურთზე კარგად უმოქმედია.

*„მამობა ძალიან დიდ სიამოვნებას მანიჭებს. შვილის მოვლა ძალიან დიდი სამუშაო ყოფილა, მაგრამ ძალიან სასიამოვნოა. თუ ვინმე იტყვის, რომ შვილმა შემცვალა, მართალი იქნება. ბოლო წლებში ისედაც ბევრი რამ შეიცვალა, მამობამ კი პასუხისმგებლობა დაამატა. ახლა ვიცი, რომ ჩემი ბიჭისთვის სამაგალითო უნდა ვიყო და საკუთარ ყოველ ნაბიჯს ვაკვირდები".*

რუნიმ თქვა, რომ იმ საქმეთაგან, რომელიც აქამდე გაუკეთებია, პატარასთვის საფენების შეცვლა ყველაზე ძნელი გამოდგა: *„ჩემი შვილი უკვე დაესწრო რამდენიმე თამაშს, თუმცა წარმოდგენა არ ჰქონდა, რა ხდებოდა გარშემო".*

როდესაც მსოფლიოს ჩემპიონატებზე ნანახს იგონებს, გონებაში, უპირველეს ყოვლისა თანაგუნდელის **მაიკლ ოუენის** მიერ 1998 წელს, არგენტინელთა კარში გატანილი გოლი მოსდის. რუნი ამბობს: *„მახსოვს, მაიკლის გოლს რომ ვუყურე მთელი ოჯახი ბებიაჩემთან ვიყავით. მაშინ პატარა ბიჭი გახლდით".*

და ვინ არის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი? რასაკვირველია, მისი ყოფილი თანაგუნდელი **კრისტიანო რონალდო**. რუნიმ პორტუგალიელზე ასე თქვა: *„მე ცხოვრებაში გამიმართლა მის მხარდამხარ რომ ვთამაშობდი. ის ძალიან დიდი ფეხბურთელია, მაგრამ თუ მსოფლიოს ჩემპიონატზე პორტუგალიას გავაგდებთ, საუცხოო იქნება".*

ხოლო, ოთხშაბათს, ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში „მილანის" კარში გატანილ ორ გოლზე ასე თქვა: *„საუცხოო იყო, მაგრამ ამ ორი გოლს ზედმეტი მნიშვნელობაც არ უნდა მივანიჭოთ".*

**ილია ბაბუნაშვილი**




უეინ რუნი

## საფრანგეთი

XXVIII ტური

| | |
|---|---|
| ლე მანი-ნიცა | 0:1 |
| ლორიანი-ლანსი | 1:0 |
| მონაკო-ბორდო | 0:0 |
| მონპელიე-ოსერი | 1:1 |
| ნანსი-ბულონი | 1:3 |
| პსჟ-სოშო | 4:1 |
| ლიონი-სტ. ეტიენი | 1:1 |
| ლილი-გრენობლი | 1:0 |
| ვალანსი-რენი | 0:2 |
| ტულუზა-მარსელი | 1:1 |

### II დივიზიონი

XXVIII ტური

ბასტია-არლი 3:0; ბრესტი-აიაჩო 0:1; დიჟონი-გინგამი 1:0; ისტრი-ანჟერსი 1:1; ტური-სედანი 1:3; ვანი-სტრასბური 1:1; კაენი-კლერმონი 2:1; ლავალი-ჰავრი 4:0; ნიმი-შატორუ 1:4; მეცი-ნანტი დღეს.

## ჰოლანდია

XXVII ტური

| | |
|---|---|
| ტვენტე-დენ ჰააგი | 3:1 |
| ბრედა-გრონინგენი | 0:3 |
| ალკმაარი-ვაალვიკი | 6:2 |
| ვენლო-უტრეხტი | 0:1 |
| ნიიმეგენი-როდა | 0:2 |
| ფეიენოორდი-ჰერაკლესი | 1:1 |
| ვიტესი-ჰერენვეენი | 0:1 |
| ვილემი-სპარტა | 3:1 |
| აიაქსი-ეინდჰოვენი | 4:1 |

### II დივიზიონი

XXXII ტური

აპელდოორნი-ომნივორლდი 0:2; კამბური-დორდრეჰტი 3:0; ემენი-ტელსტარი 3:2; ექსელსიორი-მაასტრიხტი 3:0; ეინდჰოვენი II-ჰელმონდი 3:2; ვოლენდამი-ვეენდამი 4:3; ფორტუნა-გრააფსხაპი 0:2; იგლზი-ცვოლე 1:0; ტოპ ოსი-დენ ბოში 1:3.

## ბელგია

XXIX ტური

| | |
|---|---|
| გენტი-შარლერუა | 2:1 |
| ანდერლეხტი-გენკი | 2:0 |
| ბრიუგე-რუზელარე | 1:0 |
| კორტრეიკი-ლოკერენი | 3:1 |
| სტ. ტრუიდენი-ბეერსხოტი | 2:0 |
| ვესტერლო-სერკლი | 2:1 |
| ვარეგემი-სტანდარდი | 1:1 |

### II დივიზიონი

XXX ტური

ტურნჰაუტი-ანტვერპენი 3:1; ბევერენი-ბერგენი 0:1; ეუპენი-ჰევერლე 0:2; ლიეჟი-ტურნე 1:0; ლომელი-სტანდარდი (ვ) 0:1; რონსე-ბრიუსელი 0:0; ტუბეკე-ოსტენდე 0:0; ტინენი-ლიერსი 0:1; ბორინაჟი-ვაასლანდი 2:1.

## პორტუგალია

XXIII ტური

| | |
|---|---|
| ნავალი-ლეირია | 1:0 |
| ბრაგა-რიო ავე | 1:0 |
| აკადემიკა-პორტუ | 1:2 |
| ოლჰანენსე-ბელენენსეში | 1:3 |
| ლეიქსოეში-სეტუბალი | 1:2 |
| ნასიონალი-ბენფიკა | 0:1 |
| სპორტინგი-გიმარაეში | 3:1 |
| ფერეირა-მარიტიმუ | დღეს |

### II დივიზიონი

XXIII ტური

სანტა კლარა-პორტიმონენსე 3:0; კარეგადო-ოლივეირენსე 4:1; ავეში-კოვილია 3:0; ფრეამუნდე-შავეში 2:0; ბეირა მარი-ვარზიმი 3:0; ჟილ ვისენტე-ფეირენსე 1:1; პენაფიელი-ფატიმა 2:1; ტროფენსე-ეშტორილი 1:1.

## შოტლანდია

გადადებული მატჩები

| | |
|---|---|
| ფალკირკი-სტ. ჯონსტონი | 1:2 |
| ჰემილტონი-სტ. მირენი | 1:0 |
| მოზერველი-ჰართსი | 3:1 |

### I დივიზიონი

XXVIII ტური

ეირდრი-ეირი 1:1; დანფერმლაინი-დანდი 3:1; ინვერნესი-მორტონი 1:0.

### II დივიზიონი

XXIX ტური

ბრეჩინი-არბროა 0:2; კლაიდი-კოუდენბითი 1:2; ისტ ფაიფი-პიტერჰედი 3:0; სტენჰაუზმური-დამბარტონი 1:0; სტირლინგი-ალოა 0:3.

### III დივიზიონი

XXIX ტური

ალბიონი-მონროუზი 1:0; ელჯინი-ლივინგსტონი 0:1; ფორფარი-ანენი 1:5; ქუინზ პარკი-ისტ სტირლინგი 2:0; სტრანრარი-ბირუიკი 3:1.

## შოტლანდიის თასი

### 1/4 ფინალი

| | |
|---|---|
| კილმარნოკი-სელტიკი | 0:3 |
| დანდი-რეითი | 2:2 |
| ჰიბერნიანი-როსი | 1:2 |
| რეინჯერსი-დანდი იუნ | 3:3 |

## დანია

XX ტური

| | |
|---|---|
| ოდენსე-სონდერილი | 1:1 |
| ესბიერგი-ჰერფოლგე | 2:1 |
| მიდტიულანდი-ოლბორგი | 2:0 |
| რანდერსი-ნორდსილანდი | 0:0 |
| კოპენჰაგენი-ბრონდბიუ | 2:0 |
| ორჰუსი-სილკებორგი | დღეს |

## ავსტრია

XXIV ტური

| | |
|---|---|
| ლინცერი-ავსტრია (კ) | 0:0 |
| ზალცბურგი-კაპფენბერგი | 1:0 |
| რიდი-მატერსბურგი | 3:0 |
| ვინერი-შტურმი | 0:0 |
| რაპიდი-ავსტრია (ვ) | 2:0 |

### II დივიზიონი

XX ტური

ავსტრია II-სტ. პოლტენი 4:1; გრატკორნი-ადმირა 0:1; ალტახი-დორნბირნი 2:0; ავსტრია (ლ)-ვენა 2:1; ჰარტბურგი-ზალცბურგი II 2:1; ტიროლი-ლუშტენაუ 1:2.

## კვიპროსი

XXV ტური

| | |
|---|---|
| აპეპ-ენოსისი | 1:2 |
| აეკ-ნეა სალამისი | 0:1 |
| დოქსა-არისი | 0:0 |
| ეთნიკოსი-ერმისი | 0:0 |
| ანორთოსისი-აპოპ | 2:1 |
| აპოელ-აპოლონი | 2:0 |
| ომონია-აელ | 4:0 |

## საბერძნეთი

XXVI ტური

| | |
|---|---|
| ატრომიტოსი-ირაკლისი | 2:1 |
| აეკ-კავალა | 3:0 |
| ოლიმპიაკოსი-იანინა | 2:2 |
| ლევადია-ქსანთი | 2:1 |
| პანთრაკიკოსი-პანიონიოსი | 0:1 |
| ასტერასი-პანათინაიკოსი | 0:1 |
| ლარისა-ერგოტელისი | 1:0 |
| არისი-პაოკ | 2:0 |

### II დივიზიონი

XXV ტური

ეთნიკოსი (პ)-აგროტიკოსი 2:2; დოხა-პანსერაიკოსი 1:1; ილისიაკოსი-პიერიკოსი 0:1; ეთნიკოსი (ა)-ილიუპოლი 0:1; კერკირა-დიაგორასი 3:2; პანაიტოლიკოსი-ოფი 1:1; როდოსი-კალამატა 2:0; ანაგენისი-ოლიმპიაკოსი (ვ) დღეს; ტრასივულოსი-იონიკოსი დღეს.

## ირლანდია

II ტური

| | |
|---|---|
| გალვეი-ბრეი | 2:1 |
| სპორტინგი-სლიგო | 1:1 |
| დანდალკი-დროგედა | 2:2 |

### II დივიზიონი

II ტური

კორკი-უოტერფორდი 0:2; ლიმერიკი-დერი 0:1; ფინ ჰარპსი-სოლტჰილი 2:0; მონეგანი-ლონგფორდი 2:2; ეთლონი-მერვუ 1:0; უექსფორდი-შელბურნი 1:1.

## ნორვეგია

I ტური

| | |
|---|---|
| ბრანი-ჰაუგესუნდი | 0:0 |
| ოლესუნდი-ლილესტრიომი | 3:0 |
| ოდ გრენლანდი-სტაბეკი | 2:3 |
| სტარტი-სანდეფიორდი | 2:0 |
| სტრიომსგოდსეტი-კონგსვინგერი | 2:0 |
| ტრომსიო-ჰონეფოსი | 2:0 |
| მოლდე-როზენბორგი | 1:2 |
| ვოლერენგა-ვიკინგი | დღეს |

## შვედეთი

XXVIII ტური

| | |
|---|---|
| კალმარი-გიოტებორგი | 0:3 |
| ჰაკენი-იურგორდენი | 2:1 |
| ჰალმსტადი-ტრელებორგი | 0:0 |
| ჰელსინგბორგი-ბრომაპოიკარნა | 1:0 |
| აიკ-მიალბიუ | 0:0 |
| გაის-მალმიო | დღეს |
| გეფლე-ელფსბორგი | დღეს |
| ერებრო-ატვიდაბერგი | დღეს |

## შვეიცარია

XXIV ტური

| | |
|---|---|
| აარაუ-ციურიხი | 1:3 |
| ბელინსონა-ქსამაქსი | 3:2 |
| გრასჰოპერსი-სტ. გალენი | 2:1 |
| ლუცერნი-ბაზელი | 0:1 |
| იანგ ბოიზი-სიონი | 1:0 |

### ჩელენჯლიგა

XX ტური

ივერდონი-ლოკარნო 5:0; ლე მონი-სტად ნიონე 1:2; თუნი-ლოზანა 2:0; ლუგანო-შაფჰაუზენი 4:2; ვადუცი-სერვეტი 1:2; ვილი-ვინტერტური 0:0; ბილი-ვოლენი დღეს.

## თურქეთი

XXV ტური

| | |
|---|---|
| გაზიანთეპი-ტრაბზონი | 1:1 |
| გენჩლერი-ფენერბახჩე | 0:0 |
| ანკარა-ქასიმფაშა | 0:3 |
| ანტალია-სივასი | 3:0 |
| ბუიუქშეჰირი-დიარბაქირი | 1:0 შეწყდა |
| ქაისერი-ესქიშეჰირი | 1:2 |
| ბურსა-მანისა | 2:0 |
| გალათასარაი-ანკარაგიუჯუ | 3:0 |
| დენიზლი-ბეშიქთაში | დღეს |

### II დივიზიონი

XXVI ტური

ბოლუ-ალთაი 2:0; ადანა-გირეშუნი 0:1; პაჩეთეფე-ბბ გაზიანთეფი 2:5; ქარსიაქა-ქართალი 0:1; ქარაბუქი-ორდუ 1:1; ქოჯაელი-ერჩიესი 1:1; მერსინი-ქონია 3:1; რიზე-დარდანელი 3:3; სამსუნი-ბუკა დღეს.

## უელსი

XXVIII ტური

| | |
|---|---|
| აბერისტვითი-პორტმედოგი | 1:0 |
| პრესტატინი-ბანგორი | 1:1 |
| უელშპული-ნიუტაუნი | 1:5 |
| ქარსოუსი-ლანელი | 0:2 |
| ეირბასი-პორტ ტალბოტი | 0:0 |
| ქონასი-კარმარტენი | 0:0 |
| ნითი-ტნს | 0:1 |
| რილი-სეუნი | 6:0 |
| ჰევერფორდვესტი-ბალა თაუნი | 1:1 |

## ინგლისი

### FA Trophy. 1/2 ფინალი

| | |
|---|---|
| კიდერმინსტერი-სტივენეიჯი | 1:5 |
| სოლსბერი-ბაროუ | 0:1 |

## ჩრ. ირლანდია

XXXI ტური

| | |
|---|---|
| ინსტიტუტი-ლისბერნი | 2:3 |
| გლენავონი-დუნგანონი | 1:3 |
| კრუზეიდერსი-ნიური | 4:1 |
| ბალიმენა-პორტადაუნი | 0:1 |

## ბულგარეთი

XVIII ტური

| | |
|---|---|
| მინიორი-მონტანა | 1:1 |
| ბოტევი-სლივენი | 0:3 |
| ლოკომოტივი (ს)-ლოკომოტივი (მ) | 3:1 |
| სლავია-პირინი | 0:0 |
| ცსკა-სპორტისტი | 4:1 |
| ჩერნო მორე-ლოკომოტივი (პ) | 3:2 |
| ლიტექსი-ლევსკი | 3:0 |
| ჩერნომორეცი-ბეროე | დღეს |

## ხორვატია

XX ტური

| | |
|---|---|
| ზაგრები-ვარტექსი | 3:0 |
| სიბალია-ლოკომოტივა | 1:0 |
| დინამო-ზადარი | 0:0 |
| შიბენიკი-ინკერი | 0:0 |
| კარლოვაცი-სლავენი | 0:0 |
| მედიმურიე-ოსიეკი | 1:1 |
| ისტრა-კროაცია | 1:0 |
| ჰაიდუკი-რიეკა | 1:1 |

## ჩეხეთი

XIX ტური

| | |
|---|---|
| სლავია-ტეპლიცე | 0:0 |
| ბუდეიოვიცე-ლიბერეცი | 1:1 |
| იაბლონეცი-კლადნო | 1:0 |
| პლზენი-ბოჰემიანსი 1905 | 3:0 |
| ბოჰემიანსი-სლოვაცკო | 1:1 |
| ბოლესლავი-სპარტა | 1:2 |
| სიგმა-პრშიბრამი | 3:1 |
| ბრნო-ბანიკი | დღეს |

### II დივიზიონი

XVIII ტური

დუკლა-სპარტა II 2:2; მოსტი-კარვინა 0:0; ოპავა-ვიტკოვიცე 3:1; ჟლინი-პლუჩინი 2:0; ჩასლავი-ვიქტორია 0:3; პრადეცი-უსტი 3:2.

## ესტონეთი

II ტური

| | |
|---|---|
| ლევადია-კურესაარე | 1:1 |
| ტამეკა-კალიუ | 2:3 |
| ტულევიკი-პაიდე | 1:0 |
| ლოოტუსი-კალევი | 0:1 |
| ტრანს ნარვა-ფლორა | 1:0 |

## უნგრეთი

XVIII ტური

| | |
|---|---|
| ფერენცვაროში-ნირეღიჰაზა | 0:0 |
| მტკ-პალადაში | 0:0 |
| პაკში-ვაშაში | 2:2 |
| ვიდეოტონი-ლომბარდ პაპა | 2:0 |
| დიოში-კეჩკემეტი | 1:0 |
| კაპოშვარი-ზალაეგერსეგი | 1:1 |
| დებრეცენი-ჰონვედი | 2:1 |
| უიპეშტი-დიოშდიორი | 4:1 |

## ისრაელი

XXVI ტური

| | |
|---|---|
| ჰაპოელი (თ-ა)-ბნეი იეჰუდა | 4:0 |
| ჰაპოელი (რ)-ჰაპოელი (ა) | 0:1 |
| ჰაპოელი (რ-გ)-ჰაპოელი (ა) | 3:2 |
| მაკაბი (ნ)-მაკაბი (ა-ნ) | 5:0 |
| მაკაბი (ფ-თ)-ჰაპოელი (ფ-თ) | 0:0 |
| ბეითარი-აშდოდი | 2:0 |
| ჰაპოელი (ბ-შ)-ბნეი სახნინი | 1:0 |
| მაკაბი (ა)-მაკაბი (თ-ა) | დღეს |

## მოლდოვა

XXI ტური

| | |
|---|---|
| დაჩია-ოლიმპია | 1:1 |
| აკადემია-ისკრა სტალი | 1:1 |
| ვიიტორული-შერიფი | 0:3 |
| ნისტრუ-ცსკა | 0:0 |
| ზიმბრუ-დინამო | 3:1 |
| ტირასპოლი-სფინტული | 2:0 |

## პოლონეთი

XVIII ტური

| | |
|---|---|
| ოდრა-პიასტი | 2:0 |
| იაგელონია-ვისლა | 0:0 |
| კრაკოვია-კორონა | 3:0 |
| პოლონია (ვ)-რუხი | 1:1 |
| პოლონია (ბ)-ლეგია | 1:0 |
| შლიონსკი-ლეხია | 1:2 |
| არკა-ზაგლებე | 0:2 |
| ბელხატოვი-ლეხი | 1:1 |

## რუმინეთი

XXI ტური

| | |
|---|---|
| ჩახლაული-გაზ მეთანი | 0:0 |
| ასტრა-პოლიტეხნიკა | 1:1 |
| სტიაუა-ოცელული | 1:0 |
| უნივერსიტატეა-ბრაშოვი | 3:0 |
| ინტერნაციონალი-პანდური | 0:0 |
| კლუჟი-დინამო | 2:2 |
| უნირეა (ა)-რაპიდი | 0:1 |
| ვასლუი-გლორია | 0:1 |
| ტიმიშოარა-უნირეა (უ) | 0:0 |

## რუსეთი

I ტური

| | |
|---|---|
| ცსკა-ამკარი | 1:0 |
| კრილია-ზენიტი | 0:1 |
| ანჟი-ნალჩიკი | 0:0 |
| როსტოვი-ტომი | 0:2 |
| სიბირი-ტერეკი | 0:2 |
| რუბინი-ლოკომოტივი | 2:0 |
| ალანია-სატურნი | 1:1 |
| სპარტაკი-დინამო | 0:1 |

## სერბეთი

XVIII ტური

| | |
|---|---|
| იავორი-ბორაკი | 1:0 |
| ცრვენა ზვეზდა-ნაპრედაკი | 2:1 |
| მლადი-იაგოდინა | 0:0 |
| ჰაიდუკი-პარტიზანი | 0:2 |
| ოფკ-რადი | 3:2 |
| სარტიდი-მეტალაკი | 0:1 |
| ვოივოდინა-ჩუკარიჩკი | 4:0 |

## სლოვაკეთი

XXII ტური

| | |
|---|---|
| კოშიცე-დუბნიცა | 1:1 |
| რუჟომბეროკი-ტატრანი | 2:0 |
| სლოვანი-ნიტრა | 2:1 |
| ტრნავა-დ. სტრედა | 7:0 |
| ინტერი-პეტრჟალკა | 2:0 |
| ჟილინა-ბისტრიცა | 3:1 |

## სლოვენია

XXVI ტური

| | |
|---|---|
| რუდარი-ინტერბლოკი | 1:2 |
| მარიბორი-დრავა | 3:2 |
| ოლიმპია-პუბლიკუმი | 1:3 |
| დომჟალე-კოპერი | 0:1 |
| ნაფტა-გორიცა | 0:1 |

## უკრაინა

XX ტური

| | |
|---|---|
| ჩერნომორეცი-კრივბასი | 3:1 |
| დინამო-ვოლინი | 1:0 |
| მეტალურგი (ზ)-მეტალურგი (დ) | 3:2 |
| კარპატი-არსენალი | 3:3 |
| ზაკარპატია-ზორია | 2:1 |
| ტავრია-ილიჩივეცი | 3:3 |
| დნიპრო-ობოლონი | 2:0 |
| შახტარი-მეტალისტი | 2:1 |

## არგენტინა

IX ტური

| | |
|---|---|
| ველესი-ლანუსი | 1:0 |
| გოდოი-ატლეტიკო | 2:1 |
| ჩაკარიტა-ინდეპენდიენტე | 0:1 |
| კოლონი-ხიმნასია (ლ-პ) | 1:1 |
| ესტუდიანტესი-ნიუელსი | 2:0 |
| ბანფილდი-არსენალი | 0:0 |
| რივერ პლეიტი-ურაკანი | 2:0 |
| როსარიო-სან ლორენსო | 1:0 |
| ტიგრე-ბოკა ხუნიორსი | გვ. დასრულდა |
| რასინგი-არგ. ხუნიორს | გვ. დასრულდა |

## ჩილე

გაადებული მატჩები

| | |
|---|---|
| სან ლუისი-ატ. ნუბლენსე | 3:3 |
| კობრელოა-სან ფელიპე | 0:0 |
| ს. მორნინგი-უნიონი | 1:1 |
| უონდერერსი-პალესტინო | 2:0 |
| ლა სერენა-აუდაქსი | გვ. დასრულდა |

## ეკვადორი

VI ტური

| | |
|---|---|
| უნ. კატოლიკა-ოლმედო | 0:0 |
| მანტა-ელ ნასიონალი | 2:2 |
| ლდუ კიტო-ესპოლი | 1:1 |
| მაკარა-ინდეპენდიენტე | 1:1 |

## პერუ

V ტური

| | |
|---|---|
| სესარ ვალეხო-სენსიანო | 5:0 |
| სპორტ ბოისი-ინტი გასი | 1:1 |
| უნივერსიტარიო-ხოსე გალვესი | 1:0 |
| ლეონი-ტოტალ ჩალაკო | 0:1 |
| მელგარი-კ. ნასიონალი | 1:1 |
| ალ. ატლეტიკო-სპ. კრისტალი | 0:0 |

## ურუგვაი

XVIII ტური

| | |
|---|---|
| სერო ლარგო-დეფენსორი | 1:3 |
| მონტევიდეო-რასინგი | 1:2 |
| ატენასი-ნასიონალი | 0:6 |
| დანუბიო-სერიტო | 1:0 |
| ფენიქსი-რამპლა | 1:0 |
| ტაკუარემბო-ლივერპული | 0:1 |
| რივერ პლეიტი-სერო | გადაიდო |
| სენტრალი-პენიაროლი | გვ. დასრულდა |

## ავსტრალია

### პლეი ოფი

| | |
|---|---|
| სიდნეი-ველინგტონი | 4:2 |

# ჰეთ-თრიკები: ეს მესია, ისიც იგუაინი

## ლა ლიგაში ორხელისუფლებიანობა გრძელდება

ესპანეთის ჩემპიონატში 65-65 ქულით „ბარსელონა" და „რეალი" ლიდერობენ, თუმცა ბურთების უკეთესი სხვაობის წყალობით წინ ისევ **მანუელ პელეგრინის** გუნდია. ვფიქრობთ, ჩემპიონის ვინაობა მართლა „ელ კლასიკოზე" თუ გაირკვევა, იმდენად სჯობს ეს ორი გრანდი დანარჩენებს.

ტურის მიმოხილვას ქრონოლოგიურად მივყვეთ, შაბათს ყველაზე გამორჩეული თამაში „სანჩეს პისხუანზე" გაიმართა, სადაც ლიდერთა ჯგუფის ორი წარმომადგენელი, „სევილია" და „დეპორტივო" თამაშობდა. ორივე გუნდმა უკვე იცოდა კონკურენტი „მალიორკას" მარცხის შესახებ, რაც მათ ჩემპიონთა ლიგის საგზურის ბრძოლას უიოლებდა. თამაში ძალიან მოსაწყენად დაიწყო, პირველივე სახიფათო მომენტს კი გოლი მოჰყვა - 21-ე წუთზე სტუმართა კარისკენ ჯარიმა დაინიშნა, **დიეგო პეროტის** ჩაწოდებას კი ცენტრალური მცველის **ფედერიკო ფასიოს** თავური მოჰყვა, **დანიელ არანსუბიას** ბურთის მოგერიება ალბათ უკეთაც შეეძლო - 1:0. გოლმა თამაში გამოაცოცხლა, ხოლო „დეპორის" ხურდამ არ დააყოვნა - **ანდრეს გუარდადომ** მარცხნიდან დაბალი ბურთი ჩააწოდა, **ადრიანმა** კი მცველს წამით დაასწრო - 1:1. ახლა უკვე ორივე გუნდი უტევდა გააფთრებით, „სევილია" ახლოს იყო გოლის გატანასთან, მაგრამ პეროტის მორიგი საჯარიმო **ალვარო ნეგრედომ** ვერ გარდასახა გოლად. 37-ე წუთზე **ხუან ვალერონის** ბრწყინვალე პასით გუარდადო გავიდა დასარტყამ პოზიციაზე, მაგრამ მექსიკელს მიზანმა უმტყუნა. ეს პირველი ტაიმის უკანასკნელი საგოლე მომენტი იყო.

მეორე ტაიმში პირველი შანსი მასპინძლებს მიეცათ, როცა არანსუბიამ კუთხური უხერხულად მოიგერია, ბურთი კი ნეგრედოს მიუვიდა, მაგრამ გოლკიპერმა თავადვე გამოასწორა შეცდომა. თამაშის დაწყებიდან ერთი საათის გასვლის შემდეგ ნეგრედოს შემცვლელი **ლუიშ ფაბიანო ხესუს ნავასის** ჩაწოდებულს გამოეხმაურა, მაგრამ ბრაზილიელი ფორვარდის თავური ძელმა აისხლიტა. თამაშის უკანასკნელ წუთზე სტუმართა კარში კუთხური დაინიშნა, თავით ყველას ისევ ფასიომ აჯობა, მაგრამ ამჯერად ცენტრალურმა მცველმა ოდნავ ააცილა „დეპორტივოს" კარს. „სევილია" მე-4 ადგილზეა და კონკურენტ „მალიორკას" ქულით უსწრებს.

**მანოლო ხიმენესი** (სევილია): *„ჩვენ უფრო მეტი აგრესია გვმართებს მოედანზე. „დეპორტივომ" მალევე გაათანაბრა, ამიტომაც მათ მშვიდად გააგრძელეს კონტრშეტევებზე თამაში. დასანანია, რადგან მიზანს ვერ მივაღწიეთ. სამი ბრწყინვალე ფორვარდი გვყავს, მაგრამ ტრავმების გამო სამივე ერთდროულად ფორმაში არასოდეს ყოფილა".*

**მიგელ ანხელ ლოტინა** (დეპორტივო): *„ფრე სამართლიანი შედეგია. „სევილიას" ფლანგებზე ძალიან სახიფათო მოთამაშეები ჰყავს, მაგრამ მათ ვერ შექმნეს ბევრი საგოლე მომენტი. ჩვენი დამარცხება კი ასე ადვილი არ არის".*

შაბათსვე, „მალიორკა" „ხეტაფეს" ესტუმრა და 0:3 განადგურდა. კუნძულელები, ტრადიციულად, სუსტად თამაშობენ სტუმრად, თუმცა მადრიდის გარეუბანში „ლოს ასულონესს" საერთოდ ვერაფერი დაუპირისპირეს. ანგარიში **ხაიმე გავილანის** ბრწყინვალე ჩაწოდების შემდეგ გაიხსნა, თავით ყველას **პარეხომ** აჯობა. დანარჩენი ორი გოლი მეორე ტაიმში გავიდა, ჯერ პარეხომ **მიკუს** გაატანინა, შემდეგ მალიორკელმა **ნუნიესმა** საჯარიმოში ხელით ითამაშა, რისთვისაც გააძევეს, პენალტი კი უნაკლოდ **მანუ დელ მორალმა** შეასრულა. ასტურიის დედაქალაქ ხიხონში კი „სპორტინგი" და ბილბაოს „ატლეტიკი" დაზავდნენ. ბისკაიის დერბიში გოლთან ყველაზე ახლოს ბასკური გუნდი იყო - მეორე ტაიმში **ტოკეროს ხოსე ანხელს** მოჰპარა ბურთი, მცველს სხვა გზა აღარ დარჩა და მოცელა ბასკი ფორვარდი. **იგორ გაბილონდომ** მეკარის მარცხენა კუთხეში დაარტყა, მაგრამ **ხუან პაბლომ** ბურთი მოიგერია.

**ხოაკინ კაპაროსი** (ბილბაო): *„პენალტის გაფუჭების შემდეგაც კი არ ჩამოგვიშვია ხელები და ვაგრძელებდით შეტევებს. კარგად ვითამაშეთ. ჩვენ მოსაგებად ვიყავით მომართულნი და მეტოქეს ვაჯობეთ კიდეც. შარშანდელთან შედარებაც არ არის, იმდენად მოუმატა „სპორტინგმა".*

ამასობაში „სანდი მირორში" გამოაქვეყნეს ინფორმაცია, რომლის თანახმადაც „ვილიარეალი" 27 წლის ლივერპულელი **ალბერტ რიერას** შეძენით არის დაინტერესებული. ზაფხულში მან ფრანგი **რობერ პირესი** უნდა შეცვალოს გუნდში. სავარაუდო სატრანსფერო თანხად 6 მილიონი ფუნტი სტერლინგი სახელდება.

„ბარსელონამ" ტურის ცენტრალურ მატჩში „ვალენსია" გაანადგურა - 3:0. უფრო ზუსტნი ვიქნებით თუ ვიტყვით, რომ **ლეო მესიმ** პერსონალურად აჯობა „ლოს ჩეს", არგენტინელმა ხომ ჰეთ-თრიკი შეასრულა. კატალონიას „ვალენსია" შესუსტებული შემადგენლობით ეწვია, **უნაი ემერის** გუნდს არ ჰყავდა ტრავმირებული **დავიდ ვილია**. ასე რომ, ბომბარდირთა დუელი არ შედგა. „ბარსამ" მძიმედ დაიწყო, სახიფათო მომენტები პირველად „ვალენსიამ" შექმნა. **მიგელის** ჩაწოდებულის შემდეგ **ხორდი ალბამ** თავური ოდნავ ააცილა. შემდეგ **ჩავი ერნანდესმა** მოატყუა **მაქსველი**, მაგრამ დარტყმა ძლიერი ვერ გამოუვიდა და **ვიქტორ ვალდესმა** აიღო ბურთი. ტაიმი „ვალენსიამ" თანაბარ ორთაბრძოლაში უდანაკარგოდ ჩაამთავრა, თუ არ ჩავთვლით **დავიდ ალბელდას** ტრავმას.

შესვენებაზე დისკვალიფიცირებულმა **პეპ გვარდიოლამ ბოიან კრკიჩი ტიერი ანრით** შეცვალა და ამ ცვლილებამ აშკარად გაამართლა. მაგრამ გუნდის მთავარი კოზირი მაინც ლეო მესი იყო, 55-ე წუთზე მესიმ ბურთი ჩავისგან მიიღო, სამ მცველს გასცდა და ანგარიში გახსნა. 68-ე წუთზე „ვალენსიას" შეეძლო გათანაბრება, როცა **პაბლო ერნანდესმა ნიკოლა ჟიგიჩი** მეკარესთან პირისპირ გაიყვანა, მაგრამ ფორვარდმა „ბარსას" მეკარეს ვერ აჯობა. შემდეგ მესისთან ორთაბრძოლაში **მადურომ** მეორე ყვითელი ბარათი მიიღო, ამან კი საბოლოოდ გატეხა „ვალენსია" და მესიმ დაბნეულ სტუმრებს წუთნახევარში ორი გოლი გაუტანა და მე-4 ჰეთ-თრიკი შეასრულა.

მადრიდის „რეალი" „ვალიადოლიდს" ესტუმრა და უკვე პირველ ტაიმში მიაღწია ორბურთიან უპირატესობას. 28-ე წუთზე მასპინძელთა კარისკენ ჯარიმა დაინიშნა, მანძილი საკმაო იყო **ვილიარის** კარამდე, მაგრამ **კრიშტიანო რონალდომ** მაინც პირდაპირ კარში დაარტყა, ბურთი ოდნავ მოხვდა ცოცხალ კედელს და კარში გავიდა. ტაიმის ბოლო წუთზე **გონსალო იგუაინმაც** გაიტანა, მას საგოლე გადაცემა **რაფაელ ვან დერ ვაარტმა** მიაწოდა. მეორე ტაიმი დაიწყო და გონსალო იგუაინმა დუბლი შეასრულა, კრიშტიანო რონალდომ თავით დაუგდო ბურთი არგენტინელს, რომელიც მეკარესთან პირისპირ გავიდა და არც გატანა გასჭირვებია - 0:3. ამის შემდეგ „რეალის" კარში კურიოზული გოლი გავიდა, **არბელოამ** დაკარგა ბურთი, **კასილიასმა** მოგერიებისას **ალბიოლს** გაარტყა, რომელმაც საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი. 65-ე წუთზე იგუაინმა ჰეთ-თრიკი რონალდოს ჩაწოდების შემდეგ შეასრულა.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

### მომდევნო ტური

20 მარტი. ბილბაო-ხეტაფე, დეპორტივო-ვალიადოლიდი, ხერესი-ტენერიფე, რეალი-სპორტინგი, ესპანიოლი-სევილია. 21 მარტი. მალაგა-ვილიარეალი, მალიორკა-ატლეტიკო, ოსასუნა-რასინგი, ვალენსია-ალმერია, სარაგოსა-ბარსელონა.



მესიმ სამი იკმარა

### ხეტაფე-მალიორკა 3:0

**ხეტაფე (4-2-3-1):** უსტარი - მ. ტორესი, ბელენგერი, რაფა, მანე - ბოატენგი, კასკერო (87. ა. გონსალესი) - პ. ლეონი, პარეხო, გავილანი (59. მანუ) - სოლდადო (76. მიკუ).

**მალიორკა (4-4-2):** ავატე - ხოსემი, ნუნიესი, რამისი, აიოზე - ალვარესი (46. მატიონი), მ. სუარესი (72. ვებო), ბ. ვალერო, კასტრო - ვიქტორი (47. მარტი), ადურისი.

**გოლები:** 1:0 პარეხო (32), 2:0 მიკუ (80), 3:0 მანუ (85-პენ)

**გაძევება:** ნუნიესი (83. მალიორკა)

**გაფრთხილება:** 4-0; **კუთხური:** 9-3; **ჯარიმა:** 16-9; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 18-12 (9-3); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 10 000

### სპორტინგი-ბილბაო 0:0

**სპორტინგი (4-2-3-1):** ხ. პაბლო - სასტრე (30. ანხელი), ბოტია, ერნანდესი, კანელია - რივერა, კამაჩო - ლ. მორანი (71. კ. მატეო), დე ლას კუევასი (83. კარმელო), კასტრო - ბარალი.

**ბილბაო (4-2-3-1):** ირაისოსი - ირაოლა (23. სუსაეტა), სან ხოსე, ამორებიეტა, კასტილიო - ორბაისი, ხ. მარტინესი - გურპეგი, ტოკერო (90. მუნიაინი), გაბილონდო (68. დ. ლოპესი) - ლორენტე.

**გაფრთხილება:** 5-3; **კუთხური:** 7-5; **ჯარიმა:** 15-15; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 17-17 (5-6); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 20 000

### სევილია-დეპორტივო 1:1

**სევილია (4-4-2):** პალოპი - სტანკევიჩიუსი, ფასიო, ესკუდე, ადრიანო - ხ. ნავასი, ზოკორა, რენატო, პეროტი (65. კაპელი) - ნეგრედო (53. ლ. ფაბიანო), კანუტე (76. აკოსტა).

**დეპორტივო (4-3-3):** არანსუბია - მ. პაბლო, კოლოტო, ლოპო, ლაურე - ხ. დომინგესი, ტომასი (71. ალვარესი), გუარდადო (84. ბოდიპო) - ხ. როდრიგესი, ადრიანი, ვალერონი (77. ლასადი).

**გოლები:** 1:0 ფასიო (21), 1:1 ადრიანი (24)

**გაფრთხილება:** 2-4; **კუთხური:** 12-1; **ჯარიმა:** 14-15; **თამაშგარე:** 0-3; **კარში დარტყმა:** 17-6 (8-4); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 40 000

### ალმერია-მალაგა 1:0

**ალმერია (4-2-3-1):** დ. ალვეში - მასედო (77. ხუანმა ორტისი), პელერანო, აკასიეტე, სისმა - მბამი (84. კორონა), ბერნარდელო - კრუსატი (90. ხოსე ორტისი), სორიანო, პიატი - გოიტომი.

**მალაგა (4-2-3-1):** მუნუა - გამესი, გონსალესი, ველიგტონი (33. გასპარი), მტილიგა - ფერნანდო, ტორიბიო - ხ. ლოპესი, ბენაშური (67. ობინა), ვალდო (66. აპონიო) - კაისედო.

**გოლი:** 1:0 სორიანო (56)

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 6-7; **ჯარიმა:** 10-11; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 7-15 (3-3); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 11 000

### რასინგი-სარაგოსა 0:0

**რასინგი (4-2-3-1):** კოლტორტი - კრესპო, მორატონი, ორიოლი, კრისტიანი - კოლსა, დიოპი (85. ლასენი) - მუნიტისი, კანალესი, ტ. მორალი (70. სერანო) - სისკო (69. ბოლადო).

**სარაგოსა (4-2-3-1):** რობერტო - დიოგო, იაროშიკი, კონტინი, პონსიო - აგილარი, ედმილსონი (75. კოლუნგა) - არისმენდი (87. ლაფიტა), ანდერი, ელიზეუ (79. პენანტი) - სუასო.

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 3-4; **ჯარიმა:** 29-19; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 9-8 (3-4); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 17 000

### ტენერიფე-ესპანიოლი 4:1

**ტენერიფე (4-2-3-1):** არაგონესესი - ექტორი, მანოლო, კულებრასი, სისილია - რიკარდო, რიჩი - ხუანლუ (74. მ. ალონსო), ალფარო, აიოსე (68. კომე) - ნინო.

**ესპანიოლი (4-4-2):** კამენი - ჩიკა, პარეხა, ფორლინი, დიდაჩი - ლ. გარსია, მოისესი, ვერდიუ, მარკესი - ალონსო (45. ბაენა), ოსვალდო (61. საპარი).

**გოლები:** 1:0 რიჩი (20), 2:0 ნინო (49), 2:1 ვერდიუ (70), 3:1 ალფარო (82), 4:1 ნინო (90)

**გაფრთხილება:** 1-4; **კუთხური:** 9-2; **ჯარიმა:** 16-21; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 21-10 (8-3); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 17 000

### ვილიარეალი-ხერესი 2:0

**ვილიარეალი (4-4-2):** დ. ლოპესი - ა. ლოპესი, გონსალო, გოდინი, კაპდევილია - კანი (82. ესკუდერო), ბრუნო, სენა, იბაგასა (66. პირესი) - ხ. ლორენტე (74. როსი), ნილმარი.

**ხერესი (4-4-2):** ჩემა - ფრანსისი (51. რედონდო), ხიოდა, აიტამი, მენდოსა - კალვო (74. ანტონიტო), სანჩესი, კეიტა, მომო - ბერმეხო, მიჩელი (57. ორელანა).

**გოლები:** 1:0 ლორენტე (32), 2:0 ესკუდერო (90)

**გაფრთხილება:** 0-3; **კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 11-19; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 25-4 (9-2); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 14 000

### ბარსელონა-ვალენსია 3:0

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დ. ალვეში, პიკე, მილიტო, მაქსველი - ჩავი, ბუსკეტსი, ინიესტა (85. ჟეფრენი) - პედრო, მესი (87. ტურე), კრკიჩი (46. ანრი).

**ვალენსია (4-2-3-1):** სესარი - მიგელი, მადურო, დეალბერტი, ბრუნო (76. ბარახა) - ალბელდა (43. ფერნანდეში), ბანეგა - პ. ერნანდესი, სილვა, ალბა - დომინგესი (64. ჟიგიჩი).

**გოლები:** 1:0 მესი (56), 2:0 მესი (81), 3:0 მესი (82)

**გაძევება:** მადურო (68. ვალენსია)

**გაფრთხილება:** 1-6; **კუთხური:** 7-3; **ჯარიმა:** 9-19; **თამაშგარე:** 6-1; **კარში დარტყმა:** 19-7 (8-4); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 90 000

### ვალიადოლიდი-რეალი 1:4

**ვალიადოლიდი (4-2-3-1):** ვილიარი - პ. ლოპესი, ბარახა (8. ნივალდო), არსო, დელ ორნო - ლაზარო, პელე - ალემანი (69. ბუენო), მედუნჯანინი, მარკიტოსი (59. კეკო) - დ. კოშტა.

**რეალი (4-4-2):** კასილიასი - არბელოა, ალბიოლი, ს. რამოსი, მარსელო - ლ. დიარა, ჩაბი ალონსო (85. გაგო), ვან დერ ვაარტი, გრანერო (68. გუტი) - იგუაინი (73. რაული), რონალდო.

**გოლები:** 0:1 რონალდო (28) ,0:2 იგუაინი (45), 0:3 იგუაინი (52), 1:3 ალბიოლი (58 ს.კ.), 1:4 იგუაინი (65)

**გაფრთხილება:** 5-3; **კუთხური:** 2-2; **ჯარიმა:** 26-22; **თამაშგარე:** 3-7; **კარში დარტყმა:** 11-21 (2-11); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 20 000

ატლეტიკო-ოსასუნა დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 26 | 21 | 2 | 3 | 71-21 | 65 |
| 2. ბარსელონა | 26 | 20 | 5 | 1 | 64-16 | 65 |
| 3. ვალენსია | 26 | 13 | 8 | 5 | 42-29 | 47 |
| 4. სევილია | 26 | 13 | 5 | 8 | 39-29 | 44 |
| 5. მალიორკა | 26 | 13 | 4 | 9 | 41-31 | 43 |
| 6. დეპორტივო | 26 | 12 | 6 | 8 | 30-28 | 42 |
| 7. ბილბაო | 26 | 12 | 5 | 9 | 34-30 | 41 |
| 8. ვილიარეალი | 26 | 10 | 6 | 10 | 38-37 | 36 |
| 9. ხეტაფე | 26 | 11 | 3 | 12 | 34-32 | 36 |
| 10. ალმერია | 26 | 8 | 9 | 9 | 30-35 | 33 |
| 11. სპორტინგი | 26 | 8 | 8 | 10 | 28-32 | 32 |
| 12. ოსასუნა | 25 | 8 | 7 | 10 | 24-26 | 31 |
| 13. ატლეტიკო | 25 | 8 | 7 | 10 | 38-38 | 31 |
| 14. ესპანიოლი | 26 | 7 | 7 | 12 | 19-36 | 28 |
| 15. მალაგა | 26 | 6 | 9 | 11 | 31-34 | 27 |
| 16. რასინგი | 26 | 6 | 9 | 11 | 24-37 | 27 |
| 17. სარაგოსა | 26 | 6 | 8 | 12 | 30-48 | 26 |
| 18. ტენერიფე | 26 | 6 | 5 | 15 | 25-53 | 23 |
| 19. ვალიადოლიდი | 26 | 3 | 11 | 12 | 28-48 | 20 |
| 20. ხერესი | 26 | 3 | 6 | 17 | 18-48 | 15 |

**ბომბარდირები:** 22 - მესი (ბარსელონა); 19 - იგუაინი (რეალი); 17 - ვილია (ვალენსია); 15 - რონალდო (რეალი); 12 - იბრაჰიმოვიჩი (ბარსელონა), ფორლანი (ატლეტიკო), სოლდადო (ხეტაფე).

## სეგუნდა დივიზიონი

### XXVIII ტური

**კარტახენა-კადისი 4:1**

**გოლები:** 0:1 აბრაამი (6), 1:1 ტოჩე (58), 2:1 ვიქტორი (65), 3:1 ტოჩე (76), 4:1 დე ლუკასი (80)

**რაიო ვალეკანო-ვილიარეალი 0:2**

**გოლები:** 0:1 რუბენი (35-პენ), 0:2 კრისტობალი (80)

**უნიონი-ბეტისი 1:3**

**გოლები:** 0:1 ემანა (20), 0:2 პერეირა (38), 1:2 რომო (44-პენ), 1:3 კაპი (90)

**ნუმანსია-უესკა 1:0**

**გოლი:** 1:0 ინიგო (64)

**ლევანტე-ხიმნასტიკი 6:1**

**გოლები:** 1:0 ხუანლუ (2), 2:0 ხუანლუ (30), 3:0 პინია (34), 4:0 გუერა (39), 5:0 სისკო (62), 6:0 ხორდა (83), 6:1 კრუსი (87)

**კორდობა-მურსია 0:1**

**გოლი:** 0:1 ჩანდო (20)

**კასტელონი-ხირონა 0:1**

**გოლი:** 0:1 მოა (60)

**გაძევება:** პედრო (74. კასტელონი)

**ერკულესი-ლას პალმასი 0:1**

**გოლი:** 0:1 რონდონი (48)

**სალამანკა-რეალ სოსიედადი 0:0**

**უელვა-ელჩე 2:1**

**გოლები:** 1:0 ანტონი (47), 2:0 კარმონა (84), 2:1 უსერო (90)

**ალბასეტე-სელტა 0:2**

**გოლები:** 0:1 ასპასი (54), 0:2 ტრაშორასი (67)

**გაძევება:** ალბერტო (52. ალბასეტე)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სოსიედადი | 28 | 14 | 10 | 4 | 39-24 | 52 |
| 2. ერკულესი | 28 | 14 | 9 | 5 | 41-24 | 51 |
| 3. კარტახენა | 28 | 13 | 9 | 6 | 42-27 | 48 |
| 4. ლევანტე | 28 | 11 | 12 | 5 | 38-26 | 45 |
| 5. ბეტისი | 28 | 12 | 9 | 7 | 40-28 | 45 |
| 6. ნუმანსია | 28 | 12 | 7 | 9 | 36-32 | 43 |
| 7. ვილიარეალი B | 28 | 11 | 9 | 8 | 39-35 | 42 |
| 8. ელჩე | 28 | 10 | 8 | 10 | 38-39 | 38 |
| 9. უელვა | 28 | 9 | 10 | 9 | 26-26 | 37 |
| 10. ხიმნასტიკი | 28 | 10 | 6 | 12 | 28-36 | 36 |
| 11. ლას პალმასი | 28 | 8 | 12 | 8 | 30-30 | 36 |
| 12. ხირონა | 28 | 9 | 9 | 10 | 37-39 | 36 |
| 13. კორდობა | 28 | 8 | 11 | 9 | 22-28 | 35 |
| 14. სალამანკა | 28 | 8 | 11 | 9 | 31-35 | 35 |
| 15. ვალეკანო | 28 | 8 | 10 | 10 | 41-39 | 34 |
| 16. უესკა | 28 | 7 | 12 | 9 | 21-24 | 33 |
| 17. სელტა | 28 | 7 | 12 | 9 | 24-27 | 33 |
| 18. მურსია | 28 | 7 | 12 | 9 | 33-33 | 33 |
| 19. ალბასეტე | 28 | 6 | 11 | 11 | 37-46 | 29 |
| 20. კადისი | 28 | 6 | 10 | 12 | 32-48 | 28 |
| 21. უნიონი | 28 | 6 | 8 | 14 | 24-35 | 26 |
| 22. კასტელონი | 28 | 4 | 9 | 15 | 25-43 | 21 |

**ბომბარდირები:** 12 - ვერდიუ (კარტახენა), რუბენი (ვილიარეალი), მოლინა (ელჩე); 11 - დიასი (კორდობა), სტუანი (ალბასეტე); 10 - დე ლუკასი (კარტახენა), ს. გარსია (ბეტისი).

# გოლები და სენსაციები



რომამ კრისტიანო ლუკარელი ვერ შეაჩერა

ტური სენსაციით დაიწყო. სიცილიაში ჩასულმა „ინტერმა“ „კატანიასთან“ იწვნია მარცხი და კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ გუნდს გარკვეული პრობლემები აქვს. **სინიშა მიხაელოვიჩის** სამწყსომ თამაშით აჯობა მეტოქეს და სამი ქულა სრულიად დამსახურებულად მოიპოვა. ეს ის შემთხვევა გახლდათ, როდესაც მილანელებს არაფერი ჰქონდათ სათქმელი მსაჯობაზე, შეთქმულებაზე თუ მათ წინააღმდეგ გაერთიანებულ სრულიად იტალიაზე. მოკლედ, კუნძულელებმა მეტოქე უბრალოდ დაჯაბნეს და ამაზე ანგარიშიც ნათლად მეტყველებს, 3:1.

ოთხივე გოლი შეხვედრის მეორე ნახევარში გავიდა, თუმცა უინტერესო არც პირველ ტაიმს ეთქმოდა. საწყისი წუთებიდანვე ტერიტორიულ და სათამაშო უპირატესობას მასპინძლები დაეუფლნენ. პირველი საგოლე მომენტი **ადრიან რიკიუტის** შეექმნა, რომელმაც ფაქტობრივად 100%-იანი შანსი გაატანა ქარს - კართან ხუთ მეტრში აღმოჩნდა და ცოტა უკეთ რომ მიელო ბურთი, გოლი გარდაუვალი იქნებოდა. ადრიანმა უხეიროდ დაარტყა და **ჟულიო სეზარს** ბურთის მოგერიების საშუალება მისცა - დამატებაზე **ბიაჯანტიმ** ითამაშა, თუმცა მისი დარტყმული არაზუსტი გამოდგა. ტაიმის შუაში სიცილიელებმა კიდევ ერთი შანსი გაატანეს ქარს, ამჯერად **მარტინესი** აღმოჩნდა დასარტყმელ პოზიციაზე და მანაც უჩვეულო უზუსტობა გამოიჩინა. მომენტი **მაქსი ლოპესსაც** ჰქონდა, მისი მცდელობაც ამაო გამოდგა. ერთადერთი, რაც პირველ ნახევარში სტუმრებმა მოახერხეს, **მაკდონალდ მარიგას** შორეული დარტყმული გახლდათ, რომელსაც მასპინძელთა კიპერი იოლად გაუმკლავდა.

მეორე ტაიმში მილანელები ცოტა გამოფხიზლდნენ, გააქტიურდნენ და 54-ე წუთზე დასაჩუქრდნენ კიდეც - მარჯვენა ფლანგზე **სამუელ ეტოომ** გაინავარდა და საჯარიმოში შეიჭრა, ყველას რომ ეგონა, კარში დაარტყამსო, მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო და კიდევ უკეთეს პოზიციაში მდგომ **დიეგო მილიტოს** უპასა, ამ უკანასკნელს კი ანგარიშის გახსნა აღარ გასჭირვებია - 0:1.

სიცილიელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ არ გატყდნენ და თითქმის მთელი გუნდით მეტოქის ნახევარზე გადაინაცვლეს. ბუნებრივია, ეს დიდ რისკთან იყო დაკავშირებული, რადგან მილანელებს კონტრშეტევებზე თამაშის ჩინებული შანსი მიეცათ. რამდენჯერმე კარგად გამოიყენეს მოშიშვლებული ზონები და მწარედაც უჩხვლიტეს კუნძულელებს, თუმცა ამას კონკრეტული შედეგი არ მოჰყოლია. საპასუხო გოლი მასპინძლებმა 74-ე წუთზე გაიტანეს, რომლის ავტორი მაქსი ლოპესი გახლავთ. ფლანგიდან გაკეთებული გადაცემის შემდეგ, არგენტინელმა ფორვარდმა ბურთს სწორი მიმართულება მისცა და გულშემატკივრები ლამის ჭკუიდან გადაიყვანა - 1:1. თუმცა, სიცილიელ ტიფოზებს მთავარი წინ ელოდათ, მათმა გუნდმა ხომ კიდევ ორი გოლი მიართვა მეტოქეს და ხმაურიანი სენსაცია გამოაცხო. გადამწყვეტი 80-ე წუთი გამოდგა, როდესაც მატჩის არბიტრმა „ინტერის“ კარში თერთმეტმეტრიანი დანიშნა, ამასთან, მოედნიდან **სალი მუნტარი** გააძევა. აფრიკელი შუახაზელი ცოცხალ კედელში იდგა, როდესაც საჯარიმო დარტყმის შემდეგ, კარისკენ მიმავალი ბურთი ხელით შეაჩერა - მატჩის არბიტრმა აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება მიიღო და მილანელებს ბევრი არც უდავიათ. უმაღლესი საფეხბურთო სასჯელი სისრულეში **ჯუზეპე მასკარამ** მოიყვანა - 2:1. აღსანიშნავია, რომ „კატანიას“ ლიდერმა ჟულიო სეზარი ეფექტური დარტყმით დაამწუხრა, დაახლოებით ისე ამორატყა ბურთს ფეხი, როგორც **ფრანჩესკო ტოტიმ** ევრო - 2000-ის ნახევარფინალურ მატჩში ჰოლანდიის წინააღმდეგ. თუმცა, კიდევ უფრო დამამცირებელი სტუმართათვის მესამე გაშვებული გოლი გახლდათ - მარტინესმა მარცხენა ფლანგიდან შეისეირნა სტუმართა საჯარიმოში, გზად ორი მცველი პატარა ბავშვებივით ჩამოიცილა და მეკარეც სახტად დატოვა - 3:1.

ნამატჩევს **სინიშა მიხაილოვიჩი** ბედნიერი იყო, რაც ნამდვილად არ გახლავთ გასაკვირი: *„მთელი შეხვედრის განმავლობაში ვცდილობდით, რომ მეტოქისთვის ჩვენი თამაში მოგვეხვია თავს. მიხარია, რომ ეს შევძელით და ასეთი ძლიერი მეტოქე დავამარცხეთ. ჩემი შეგირდები არასდროს ნებდებიან, ყოველთვის ბოლომდე იბრძვიან და ეს განვლილმა პაექრობამაც დაამტკიცა. ახლა, მთავარია, არ მოვდუნდეთ და არ ჩავთვალოთ, რომ მიზანი მიღწეულია - თითოეული ქულისთვის ასეთივე მონდომებით უნდა ვიბრძოლოთ“.*

საინტერესო შეხვედრა გაიმართა „სან პაოლოზე“, სადაც „ნაპოლიმ“ „ფიორენტინასთან“ წააგო - 1:3. არადა, შეხვედრა მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა. პირველ ნახევარში ნეაპოლელებმა უამრავი მომენტი გაატანეს ქარს და ამისთვის დაისაჯნენ კიდეც. მარტო **დენისს** სამჯერ მაინც შეეძლო **სებასტიან ფრეის** კარის აღება. მასპინძლებმა მიზანს 48-ე წუთზე მიაღწიეს, როდესაც **ეზეკიელ ლავეციმ** თავური დარტყმით დალაშქრა სტუმართა კარი - 1:0. არგენტინელ შემტევს დუბლის გახერხების ჩინებული შანსი ჰქონდა, თუმცა კიპერთან პირისპირ დარჩენილს დარტყმა დაუგვიანდა, მცველი წამოეპარა და მომენტი ხელიდან გაუშვა.

ფლორენციელებმა შეტევებისთვის ბოლო ნახევარ საათში მოიცალეს და მეტოქეს სამი უპასუხო გოლი მიართვეს. შეხვედრის გმირი უდავოდ **ალბერტო ჯილარდინოა**, რომელმაც ორი გოლი გაიტანა და „ფიორენტინას“ უმნიშვნელოვანესი სამი ქულა მოუტანა. ჯილამ თავური დარტყმებით იხეირა, მესამე გოლი კი შეხვედრის უკანასკნელ წუთზე **სტევან იოვეტიჩმა** გაიტანა. ამრიგად, „ვიოლამ“ 38 ქულას მოუყარა თავი და სატურნირო მდგომარეობა ოდნავ გაიუმჯობესა.

საოცრება მოხდა ტურინში, სადაც „იუვენტუსს“ ჩემპიონატის აუტსაიდერმა სამბურთიანი უპირატესობა ამოუქაჩა. დიახ, „სიენასთან“ პაექრობაში „ვეკია სენიორა“ 3:0 დაწინაურდა და აი, რაც შემდეგ მოხდა, ვერავითარ ლოგიკაში ვერ ჯდება. ყველა შემთხვევაში, ქებათა ქება ტოსკანურ გუნდს, რომელმაც კიდევ ერთხელ გამოაჩინა მებრძოლი ხასიათი და ტურინიდან სასწაული ქულა წაიღო. შეხვედრა ხეირიანად დაწყებულიც არ იყო, როდესაც **ალესანდრო დელ პიერომ** დუბლი გააკეთა და თითქოს შეხვედრის ბედი სტარტზევე გადაწყვიტა. **ანტონიო კანდრევამ** მე-10 წუთზე (!!!) ანგარიში გამანადგურებელი გახადა და ტურინელებმაც საქმე მოთავებულად ჩათვალეს. აქ უკვე **მასიმო მაკარონემ** გაისროლა ჩვეულად და ერთი ბურთის გაქვითვა მოახერხა. 46-ე და 74-ე წუთებზე უკვე **გეზალმა** გამოიჩინა თავი და ყველასთვის მოულოდნელად, წონასწორობა აღადგინა. მესამე გოლი სტუმრებმა თერთმეტმეტრიანი დარტყმით გაიტანეს და შეხვედრის საბოლოო ანგარიში დააფიქსირეს. აქვე აღვნიშნოთ, რომ „იუვეს“ კარს **ანტონიო კიმენტი** იცავდა, რომელიც კლუბის მესამე მეკარე გახლავთ. რა შეიძლება ითქვას? - ბრავო „სიენა“!

ამ ტურში კიდევ ერთი 3:3 დაფიქსირდა და აქაც ერთ-ერთმა ლიდერმა დაკარგა ქულები. „რომამ“ **კრისტიანო ლუკარელის** ვერაფერი მოუხერხა და მხოლოდ ქულას დასჯერდა. ახმახმა ფორვარდმა ჰეთთრიკი შეასრულა და მარტომ გაქვითა **პეროტას**, **ტონის** და **პისაროს** გოლები. 42-ე წუთზე, მაშინ როდესაც ანგარიში 2:4 იყო სტუმართა სასარგებლოდ, პისარომ თერთმეტმეტრიანი გააცუდა და ამის გამო, მწარედაც დაისაჯა. ზუსტად პენალტით შეაგდო მესამე გოლი ლუკარელიმ და შეხვედრის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

უხვგოლიანი მატჩები შედგა უდინესა და გენუაში. „უდინეზესთან“ პაექრობაში ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის მებრძოლმა „პალერმომ“ ცხვირი წაიმტვრია, „ჯენოამ“ კი დრამატულ პაექრობაში კერკეტ „კალიარის“ აწაპნა სამივე ქულა. მარცხის მიუხედავად, „პალერმო“ მეოთხე პოზიციაზე დარჩა, „ჯენოამ“ კი მეშვიდე ადგილზე აინაცვლა და კვლავაც ინარჩუნებს ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვების თეორიულ და თუნდაც პრაქტიკულ შანსს.

ტურის ბოლო მატჩში „მილანმა“ „კიევოს“ გაჭირვებით მოუგო. ერთადერთი გოლი მატჩის მიწურულს გაიტანა **ზეედორფმა**, რომელიც დაახლოებით 10 წუთის შესული იყო მოედანზე. თუმცა გამარჯვების სირთულეს მნიშვნელობა აღარ ჰქონდა - მთავარი ის იყო, რომ „როსონერიმ“ „ინტერთან“ ჩამორჩენა ერთ ქულამდე დაიყვანა...

ტურის ბოლო მატჩში „მილანმა“ „კიევოს“ გაჭირვებით მოუგო. ერთადერთი გოლი მატჩის მიწურულს გაიტანა **ზეედორფმა**, რომელიც დაახლოებით 10 წუთის შესული იყო მოედანზე. თუმცა გამარჯვების სირთულეს მნიშვნელობა აღარ ჰქონდა - მთავარი ის იყო, რომ „როსონერიმ“ „ინტერთან“ ჩამორჩენა ერთ ქულამდე დაიყვანა...

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

### მომდევნო ტური

20 მარტი. ფიორენტინა-ჯენოა, რომა-უდინეზე, პალერმო-ინტერი. 21 მარტი. კიევო-კატანია, მილანი-ნაპოლი, ატალანტა-ლივორნო, სიენა-ბოლონია, ბარი-პარმა, კალიარი-ლაციო, სამპდორია-იუვენტუსი.

### კატანია-ინტერი 3:1

**კატანია:** ანდუხარი 6.5 - პ. ალვარესი 6.5, სილვესტრი 6.5, ტერლიცი 7, კაპუანო 6.5 (87. პოტენცა) - იცკო 6, ბიაჯანტი 6, რიკიუტი 6.5 (75. დელვეკიო 6) - მასკარა 7, მაქსი ლოპესი 7 (83. კარბონი), მარტინესი 7.5.

**ინტერი:** ჟულიო სეზარი 6.5 - მაიკონი 6, ლუსიო 6.5, მატერაცი 6, ხ. ძანეტი 5.5 - სტანკოვიჩი 6 (75. პანდევი 5.5), კამბიასო 6 (78. მუნტარი 3), მარიგა 6 (46. კვარესმა 6.5) - სნეიდერი 6 - მილიტო 6, ეტო'ო 6.

**გოლები:** 0:1 მილიტო (54), 1:1 ლოპესი (78), 2:1 მასკარა (81-პენ), 3:1 მარტინესი (90)

**გაძევება:** მუნტარი (81. ინტერი)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 17-22; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 16-18 (4-4); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 21 000

### ნაპოლი-ფიორენტინა 1:3

**ნაპოლი:** დე სანქტისი 6 - კამპანიარო 6, არონიკა 6, რინაუდო 5.5 - მაჯო 6.5, გარგანო 5.5, პაციენცა 5.5 (65. ჩიგარინი 6), სუნიგა 6.5 (88. ბოლიაჩინო) - ჰამშიკი 5, ლავეცი 6.5 - დენისი 5 (75. კვალიარელა 6).

**ფიორენტინა:** ს. ფრეი 7 - კომოტო 6 (56. დე სილვესტრი 6.5), კროლდრუპი 6, ფელიპე 5.5, პასკუალი 6 (56. ბაბაკარი 6.5) - დონადელი 6, ბოლატი 6 (63. მონტოლივო 6), გობი 6 - სანტანა 6.5, იოვეტიჩი 7.5 - ჯილარდინო 7.5.

**გოლები:** 1:0 ლავეცი (47), 1:1 ჯილარდინო (60), 1:2 ჯილარდინო (86), 1:3 იოვეტიჩი (90)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 6-5; **ჯარიმა:** 11-21; **თამაშგარე:** 6-1; **კარში დარტყმა:** 17-15 (7-3); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 40 000

### ლივორნო-რომა 3:3

**ლივორნო:** რუბინიო 6 - ნ. რივასი 5.5, კნეჟევიჩი 5, ესპოზიტო 6 - პერტიკონე 6 (47. დინისი), ა. ფილიპინი 6, მორო 6, პიერი 6 - ბელუჩი 5 (50. მოცარტი 6), დი ჯენარო 6.5 (81. დანილევიჩუსი) - კ. ლუკარელი 8.

**რომა:** ჟულიო სერჟიო 5.5 - მოტა 5, მექსე 6, ჟუანი 5.5, რიისე 5.5 - დე როსი 6, პისარო 6.5 (82. ჟულიო ბაპტიშტა) - ტადეი 6.5, პეროტა 7, მენეზი 6 (75. ჩერჩი) - ტონი 6.5.

**გოლები:** 1:0 კ. ლუკარელი (9), 1:1 პეროტა (11), 1:2 ტონი (19), 2:2 კ. ლუკარელი (26), 2:3 პისარო (27), 3:3 კ. ლუკარელი (71-პენ)

*მე-40 წუთზე პისარომ ვერ გაიტანა პენალტი (ძელი)*

**გაფრთხილება:** 4-5; **კუთხური:** 2-1; **ჯარიმა:** 23-30; **თამაშგარე:** 7-1; **კარში დარტყმა:** 13-14 (4-5); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 15 000

### უდინეზე-პალერმო 3:2

**უდინეზე:** ჰანდანოვიჩი 6.5 - ისლა 6, პასკუალე 6, საპატა 5.5, ლუკოვიჩი 5.5 - ინლერი 6, ასამოა 7, სამარკო 6 - სანჩესი 7 (84. ლოდი), ფლორო ფლორესი 7.5 (83. ფერონეტი), დი ნატალე 7.5 (89. კორადი).

**პალერმო:** სირიგუ 5.5 - კასანი 6, ბოვო 5.5, კიაერი 6, ბალცარეტი 5.5 - ლივერანი 5.5, ბლაზი 5.5 (61. ბერტოლო 6), ნოჩერინო 6 - პასტორე 5 (46. სიმპლისიუ 6.5) - კავანი 6.5, მიკოლი 6 (75. ერნანდესი).

**გოლები:** 1:0 ფლორო ფლორესი (43), 1:1 სიმპლისიუ (51), 2:1 ფლორო ფლორესი (65), 3:1 ასამოა (70), 3:2 კავანი (80)

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 4-7; **ჯარიმა:** 13-15; **თამაშგარე:** 2-4; **კარში დარტყმა:** 24-13 (11-4); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 14 500

### იუვენტუსი-სიენა 3:3

**იუვენტუსი:** კიმენტი 5.5 - გრიგერა 5, ლეგროტალიე 6 (53. სალიჰამიჯიჩი 4.5), ფ. კანავარო 6, დე ჩელიე 5.5 - მარკიზიო 5.5 (46. კამორანეზი 5), ფელიპე მელო 5.5, სისოკო 6 - კანდრევა 6 - ტრეზეგე 5, დელ პიერო 7 (76. დიეგო 5.5).

**სიენა:** კურჩი 6.5 - როზი 6.5, კრიბარი 5.5, პრატალი 5.5 (45. ოდიბე 6), დელ გროსო 6 - ეკდალი 5 (16. ლარიონდო 6) - რეჯინალდო 6.5, ვერგასოლა 6.5, ციოლისი 5, გეზალი 7 - მაკარონე 7.5 (86. კოდრეა).

**გოლები:** 1:0 დელ პიერო (2), 2:0 დელ პიერო (7), 3:0 კანდრევა (10), 3:1 მაკარონე (16), 3:2 გეზალი (46), 3:3 გეზალი (74-პენ)

**გაფრთხილება:** 2-4; **კუთხური:** 2-6; **ჯარიმა:** 25-24; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 10-16 (6-6); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 22 804

### ბოლონია-სამპდორია 1:1

**ბოლონია:** ვივიანო 6 - რაჯი 6.5, პორტანოვა 6.5, ბრიტოსი 6.5, ლანა 6.5 - ბუშე 6, გუანა 5.5, მუდინგაი 6, მოდესტო 5 (71. კაზარინი) - ადაილტონი 5.5 (82. ხიმენესი) - სალაიეტა 5.5 (77. სუჩი).

**სამპდორია:** სტორარი 6.5 - ციგლერი 6.5, გასტალდელო 6.5, ლუკინი 5.5, ძაური 5.5 - სემიოლი 5 (75. პადალინო), პალომბო 6, პოლი 5.5, გუბერტი 5 (46. მანინი 6) - პაცინი 5.5, პოცი (27. კასანო 5).

**გოლები:** 0:1 გასტალდელო (87), 1:1 რაჯი (90)

**გაფრთხილება:** 0-1; **კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 26-15; **თამაშგარე:** 8-1; **კარში დარტყმა:** 7-10 (2-2); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 18 500

### ჯენოა-კალიარი 5:3

**ჯენოა:** ამელია 5.5 - პაპასტატოპულოსი 7, ბოკეტი 6.5, მორეტი 6 (57. მესტო 6.5) - მ. როსი 7.5, მილანეტო 7, საპატერი 7 (61. იურიჩი 6.5), კრიშიტო 6.5 - პალასიო 8, სკული 7, პალადინო 7.5 (77. ხარჯა).

**კალიარი:** მარკეტი 5 - მარძორატი 5, არიაუდო 5.5 (46. ბარონე 6.5), ასტორი 5.5, აგოსტინი 6 - დესენა 7, კონტი 6.5, ბიონდინი 6 - კოსუ 6.5 - ლარივეი 6.5 (67. ჟედა), მატრი 6.5 (78. ნენე).

**გოლები:** 0:1 დესენა (16), 1:1 საპატერი (36-პენ), 2:1 პალასიო (39), 2:2 კონტი (41), 3:2 სკული (43), 4:2 მ. როსი (45), 4:3 მატრი (55-პენ), 5:3 მილანეტო (59)

**გაფრთხილება:** 3-3; **კუთხური:** 11-4; **ჯარიმა:** 19-12; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 18-13 (10-6); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 25 417

### ლაციო-ბარი 0:2

**ლაციო:** მუსლერა 4.5 - სივილია 4.5 (62. კრუსი 5.5), სტენდარდო 6, რადუ 5.5 - ბროკი 6, ფირმანი 5, კ. ლედესმა 4, მათუსალემი 6 (37. ჰიტცლშპერგერი 5/68. მაური 6), კოლაროვი 4 - როკი 4.5, ფლოკარი 5.

**ბარი:** ჟილე 7 - ბელმონტე 6.5 (86. სტელინი), ა. მაზიელო 6.5, ბონუჩი 6.5, ს. მაზიელო 6.5 - ე. ალვარესი 6.5, დონატი 5.5, ალმირონ 7 (60. გაცი 6), ალეგრეტი 6 - მეჯორინი 5.5 (67. სფორცინი 5.5), კასტილიო 5.

**გოლები:** 0:1 ალმირონი (51), 0:2 ე. ალვარესი (64)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 6-2; **ჯარიმა:** 16-18; **თამაშგარე:** 0-5; **კარში დარტყმა:** 24-5 (8-3); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 11 130

### პარმა-ატალანტა 1:0

**პარმა:** მირანტე 7 - ძაკარდო 6, პაჩი 6, დელაფიორე 6.5, ა. ლუკარელი 6 - ვალიანი 6, მორონე 6, გალოპა 6.5 (76. ლ. ანტონელი 6), ბიაბიანი 5.5 (63. ბოჟინოვი 7), ლანცაფამე 6 (63. ლუნარდინი 6) - კრესპო 6.5.

**ატალანტა:** კონსილი 6 - დარიჩი 6, კაპელი 6, თ. მანფრედინი 6.5, ბელინი 6 (73. პელუზო 6) - პადოინი 6, გუარენტე 6 (70. ვალდესი 5.5), დე აშენტისი 6 - კ. დონი 5 - ტირიბოკი 5 (80. გაბიარდინი), ამორუზო 6.

**გოლი:** 1:0 ბოჟინოვი (72)

**გაძევება:** კ. დონი (74. ატალანტა)

**გაფრთხილება:** 3-3; **კუთხური:** 5-6; **ჯარიმა:** 15-19; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 15-13 (3-4); **ბურთის ფლობა:** 39%-61%.

**მაყურებელი:** 15 695

### მილანი-კიევო 1:0

**მილანი:** აბიატი 6 - აბატე 5.5 (45. ოდო 6), ტიაგო სილვა 6, ფავალი 6, ძამბროტა 5.5 - გატუზო 5 (57. ფ. ინძაგი 6.5), პირლო 5 (79. ზეედორფი 7), ამბროზინი 6.5, ბექჰემი 5.5 - რონალდინიო 7, ბორიელო 6.

**კიევო:** სორენტინო 7 - სარდო 6, მანდელი 6.5 (80. მორერო 6), იეპესი 7, მანტოვანი 6.5 - რიგონი 6.5, ლუსიანო 7, მარკოლინი 6.5 (80. ბენტივოლიო 6), პინცი 6 - პელისიერი 6.5, დე პაულა 6 (73. არიატი 6).

**გოლი:** 1:0 ზეედორფი (90)

**გაფრთხილება:** 1-5; **კუთხური:** 8-2; **ჯარიმა:** 13-22; **თამაშგარე:** 2-9; **კარში დარტყმა:** 18-10 (5-3); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 37 866

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 28 | 17 | 7 | 3 | 53-25 | 59 |
| 2. მილანი | 28 | 17 | 7 | 4 | 47-26 | 58 |
| 3. რომა | 28 | 15 | 8 | 5 | 48-32 | 53 |
| 4. პალერმო | 28 | 13 | 7 | 8 | 40-34 | 46 |
| 5. იუვენტუსი | 28 | 13 | 6 | 9 | 45-39 | 45 |
| 6. სამპდორია | 28 | 12 | 8 | 8 | 35-34 | 44 |
| 7. ჯენოა | 28 | 12 | 6 | 10 | 49-46 | 42 |
| 8. ნაპოლი | 28 | 10 | 11 | 7 | 36-34 | 41 |
| 9. კალიარი | 28 | 11 | 6 | 11 | 46-41 | 39 |
| 10. ფიორენტინა | 28 | 11 | 5 | 12 | 36-34 | 38 |
| 11. ბარი | 28 | 10 | 8 | 10 | 34-34 | 38 |
| 12. პარმა | 28 | 10 | 7 | 11 | 29-37 | 37 |
| 13. კიევო | 28 | 10 | 5 | 13 | 26-28 | 35 |
| 14. ბოლონია | 28 | 9 | 8 | 11 | 33-38 | 35 |
| 15. კატანია | 28 | 7 | 10 | 11 | 32-34 | 31 |
| 16. უდინეზე | 28 | 8 | 7 | 13 | 35-41 | 31 |
| 17. ლაციო | 28 | 5 | 11 | 12 | 22-32 | 26 |
| 18. ლივორნო | 28 | 6 | 6 | 16 | 20-40 | 24 |
| 19. ატალანტა | 28 | 5 | 7 | 16 | 22-39 | 22 |
| 20. სიენა | 28 | 5 | 7 | 16 | 31-51 | 22 |

**ბომბარდირები:** 19 - დი ნატალე (უდინეზე); 16 - მილიტო (ინტერი); 13 - ჯილარდინო (ფიორენტინა), პაცინი (სამპდორია); 12 - მატრი (კალიარი), პატო (მილანი); 11 - პ. ბარეტო (ბარი), მაკარონე (სიენა); 10 - მიკოლი (პალერმო), ტოტი (რომა).

## სერია B

### XXIX ტური

**ვიჩენცა-ბრეშა 1:0**

**გოლი:** 1:0 მარტინელი (14)

**გაძევება:** რისპოლი (22. ბრეშა)

**რეჯინა-მოდენა 0:1**

**გოლი:** 0:1 ტროიანო (15)

**ანკონა-ტორინო 2:1**

**გოლები:** 1:0 სურაკო (29), 2:0 კოლაკონე (67), 2:1 რ. ბიანკი (73)

**გაძევება:** ლორია (77. ტორინო), ჯერარდი (90. ანკონა), ლეონი (90. ტორინო)

**ლეჩე-ჩიტადელა 1:5**

**გოლები:** 0:1 არდემანი (9), 0:2 ბელაცინი (20), 0:3 იუნკო (22), 0:4 ბელაცინი (35), 0:5 არდემანი (48), 1:5 კორვია (69-პენ)

**სალერნიტანა-ჩეზენა 0:0**

**სასუოლო-ასკოლი 0:1**

**გოლი:** 0:1 ანტენუჩი (64)

**გაძევება:** ბიანკო (90. სასუოლო)

**პადოვა-კროტონე 2:0**

**გოლები:** 1:0 ვანტაჯატო (21), 2:0 ვანტაჯატო (37)

**გაძევება:** დე მარტინო (90. კროტონე)

**ემპოლი-გალიპოლი 2:2**

**გოლები:** 1:0 კორალი (29), 1:1 დაინო (44), 2:1 ედერი (59-პენ), 2:2 დაინო (61)

**გაძევება:** ფრანკინი (57. გალიპოლი)

**ფროზინონე-პიაჩენცა 2:3**

**გოლები:** 1:0 სანტორუვო (8), 1:1 გუერა (51), 1:2 მოსკარდელი (74), 1:3 გუსმანი (85), 2:3 ტროიანიელო (86)

**ალბინოლეფე-ტრიესტინა დღეს**

**გროსეტო-მანტოვა დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლეჩე | 29 | 13 | 10 | 6 | 44-34 | 49 |
| 2. ანკონა | 29 | 14 | 5 | 10 | 42-35 | 47 |
| 3. გროსეტო | 28 | 12 | 10 | 6 | 44-41 | 46 |
| 4. ჩეზენა | 28 | 11 | 12 | 5 | 33-16 | 45 |
| 5. სასუოლო | 28 | 12 | 9 | 7 | 40-29 | 45 |
| 6. ბრეშა | 29 | 13 | 6 | 10 | 40-34 | 45 |
| 7. ჩიტადელა | 29 | 11 | 9 | 9 | 39-33 | 42 |
| 8. მოდენა | 29 | 12 | 6 | 11 | 25-28 | 42 |
| 9. ტორინო | 29 | 11 | 8 | 10 | 37-28 | 41 |
| 10. ემპოლი | 29 | 11 | 8 | 10 | 39-34 | 41 |
| 11. ვიჩენცა | 29 | 9 | 12 | 8 | 31-25 | 39 |
| 12. ასკოლი | 29 | 10 | 9 | 10 | 42-40 | 39 |
| 13. ალბინოლეფე | 28 | 10 | 8 | 10 | 36-35 | 38 |
| 14. ფროზინონე | 29 | 11 | 5 | 13 | 38-48 | 38 |
| 15. კროტონე (-2) | 29 | 9 | 10 | 10 | 32-37 | 35 |
| 16. პადოვა | 29 | 8 | 10 | 11 | 30-31 | 34 |
| 17. პიაჩენცა | 29 | 9 | 7 | 13 | 24-32 | 34 |
| 18. გალიპოლი | 29 | 8 | 10 | 11 | 29-44 | 34 |
| 19. რეჯინა | 29 | 9 | 6 | 14 | 32-40 | 33 |
| 20. ტრიესტინა | 28 | 8 | 9 | 11 | 27-36 | 33 |
| 21. მანტოვა | 28 | 6 | 12 | 10 | 31-35 | 30 |
| 22. სალერნიტანა | 29 | 5 | 7 | 16 | 28-47 | 22 |

**ბომბარდირები:** 20 - რ. ბიანკი (ტორინო), პინილია (გროსეტო); 18 - კარაჩოლო (ბრეშა); 17 - ანტენუჩი (ასკოლი), მასტრონუნციო (ანკონა); 14 - არდემანი (ჩიტადელა).

## ლეგა პრო 1/A

### XXVII ტური

ვარეზე-პრო პატრია 3:1, ლუმეცანე-პაგანეზე 2:0, სორენტო-ფოლინიო 2:1, ბენევენტო-პერგოკრემა 0:1, ვიარეჯო-ალესანდრია 0:2, არეცო-კომო 2:3, კრემონეზე-მონცა 1:1, ლეკო-ფილინე 2:2, პერუჯა-ნოვარა 0:2.

## ლეგა პრო 1/B

### XXVII ტური

რეალ მარჩანიზე-კოზენცა 1:1, რიმინი-ტერნანა 1:1, პეშინა-ვერონა 1:1, პესკარა-სპალ 1:0, კავეზე-პორტოგრუარო 1:2, ფოჯა-რეჯანა 2:1, პოტენცა-ტარანტო 0:0, ჯულიანოვა-რავენა 2:2, ანდრია-ვირტუს ლანჩანო დღეს.

# არეულობა ბერლინში

პარასკევს „შალკემ“ „შტუტგარტი“ დაამარცხა და გალიდერდა, მაგრამ გელზენკირხენული კლუბის ლიდერობამ მხოლოდ ერთ დღეს გასტანა, რადგან შაბათს „ბაიერნმა“ „ფრაიბურგთან“ დაგეგმილი 3 ქულა აიღო (მართალია, გაჭირვებით, მაგრამ მაინც) და მიუნხენელები პირველ ადგილზე დაბრუნდნენ. მთავარი ის არის, რომ „შალკეს“ მწვრთნელმა **ფელიქს მაგათმა** მატჩის შემდეგ გელზენკირხენული კლუბის ერთ-ერთ ქომაგს საჩემპიონო „ვერცხლის სინის“ ასლზე ხელი მოუწერა! „დესპოტი ფელიქსი“ „შალკეში“ ზაფხულიდან მუშაობს და აქამდე ასეთი რამ არ გაუკეთებია, ახლა კი, გულშემატკივრებს აძლევს იმის უფლებას, რომ ჩემპიონობაზე იოცნებონ. პრინციპში, ეს ლოგიკურიცაა, რადგან 26-ე ტურის შემდეგ, „შალკე“ მეორე ადგილზეა, „ბაიერნს“ სულ რაღაც 2 ქულით ჩამორჩება და ჩვენ ვიცით, რომ სეზონის მიწურულს მაგათის გუნდები ყოველთვის ძალიან კარგ ფიზიკურ ფორმაში არიან. და ფანის კითხვას, ამ სეზონში სულაც დუბლს ხომ არ შევასრულებთო, ფელიქსმა ტრადიციულად ღიმილით უპასუხა: *„კატეგორიულად ვერაფერს გამოვრიცხავ!“* გამორიცხული მართლაც არაფერია - გელზენკირხენელები ხომ თასის ნახევარფინალში არიან და 24 მარტს „ბაიერნს“ ხვდებიან. ბუნდესლიგაში კი „შალკეს“ 26 ტურის შემდეგ 54 ქულა აქვს - სამით მეტი, ვიდრე შარშან ამ დროს „ვოლფსბურგს“ ჰქონდა, რომელიც, როგორც იცით, მაგათმა ჩემპიონი გახადა.

მაგრამ „ბაიერნს“ არ სძინავს. მართალია, მიუნხენელები უსუსურ „ფრაიბურგთან“ ძალიან დიდხანს, 76-ე წუთამდე თვლემდნენ და ერთ-ერთ აუტსაიდერთან შინ 0:1-ს აგებდნენ, მაგრამ ბოლო 15 წუთში გამოფხიზლდნენ. უფრო სწორად, **არიენ რობენი** გამოფხიზლდა და „ფრაიბურგს“ ორი გოლი გაუტანა, რითაც „ბაიერნს“ მიმდინარე სეზონის ყველაზე დიდი სენსაცია აარიდა. მიუნხენელთა ჰოლანდიელმა ლიდერმა პირველი გოლი ჯარიმით გაიტანა, მეორე კი პენალტით. როგორც მოსალოდნელი იყო, მან მეკარე **ჰანს-იორგ ბუტს** თერთმეტმეტრიანი აღარ დაარტყმევინა. აღსანიშნავია, რომ ჯარიმის დარტყმისას ბურთის სიჩქარე 116 კმ/სთ (!) იყო. ერთი სიტყვით, ერთ კვირაში რობენმა მეორედ იხსნა რეკორდმაისტერი - გადამწყვეტი, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გამსვლელი გოლი „ფიორენტინას“ კარში სწორედ მან გაიტანა. **ლუის ვან გაალი**: *„პირველ ტაიმში რობენს ვერ ვცნობდი, რის გამოც შესვენებაზე მაგრად ვეჩხუბე. შედეგიც სახეზეა: მეორე ნახევარში ისევ ის რობენი ვიხილეთ.“* მოკლედ, რობენთან ერთად, მთელი მიუნხენი დუბლზე ოცნებობს და „ზებენერშტრასეზე“ ფიქრობენ, იქნებ ჩემპიონთა ლიგაშიც გამოგვივიდეს რამეო. რობენი ამბობს, რომ თუ ყველაფერი კარგად იქნება, „ბაიერნს“ ნამდვილად შეუძლია ჩემპიონთა ლიგის მოგება.

ამას წინათ, დორტმუნდის „ბორუსიამ“ „რურის დიდი დერბი“ წააგო (1:2 „შალკესთან“) და გულშემატკივრები „შავ-ყვითლებს“ „რურის მცირე დერბის“ წაგებას ნაღდად აღარ აპატიებდნენ. ამიტომაც იყო, **იურგენ კლოპის** შეგირდებმა „ბოხუმს“ პირველივე წუთიდან დაუნდობელი ბრძოლა რომ გაუჩაღეს. მოგეხსენებათ, „ბორუსია“ ძალიან სწრაფ ფეხბურთს თამაშობს და რაც არ უნდა გასაკვირი იყო, „დორტმუნდს“ შაბათს „ბოხუმიც“ აჰყვა. მალევე გამოჩნდა, რომ ბოხუმელები ასე არ უნდა მოქცეულიყვნენ... აღსანიშნავია, რომ „ბოხუმის“ სტადიონი ამ სეზონში მეორედ გაივსო და ქომაგებმა ისევ გამანადგურებელი ანგარიშით წაგებული თამაში იხილეს - როგორც მე-16 ტურში, „ბაიერნთან“ (1:5). თუმცა „დორტმუნდმა“ „მხოლოდ“ 4 გოლი იკმარა. ამ ოთხიდან ორი **ლუკას ბარიოსის** ანგარიშზეა, რომელსაც ბოლო სამ ტურში არც ერთი გოლი არ ჰქონდა გატანილი. დორტმუნდელთა არგენტინელ გოლეადორს 13 გოლი აქვს და ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირისთვის განკუთვნილ ჯილდოს, ტრადიციულ „ზარბაზანს“ უმიზნებს. „ბოხუმის“ თავკაცმა **ჰაიკო ჰერლიხმა**, რომელიც ყოფილი დორტმუნდელია („ბორუსიაში“ 12 წელი ითამაშა) მატჩის შემდეგ თქვა, ჩემს შეგირდებს ვერაფერში დავადანაშაულებ, მეტოქემ დღეს პირწმინდად დაგვჩაგრაო. სახლში მისულ ჰერლიხს კი 6 წლის ვაჟი ფინი ძალიან გახარებული დახვდებოდა - **ფინ ჰერლიხი** „დორტმუნდის“ ფანია...

ბერლინში ტრაგედია ტრიალებს, უკვე დაიწყო მოთქმა-გოდება. ყველაზე ცუდი ის არის, რომ **ლევან კობიაშვილის** გუნდისთვის გვირაბის ბოლოს სინათლე აღარ მოჩანს. შაბათს ბერლინელებს „ექვსქულიანი“, სიკვდილისა და სიცოცხლის თამაში ჰქონდათ „ნიურნბერგთან“, რომელიც ასევე ელიტაში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვის და ეს თამაშიც წააგეს, თანაც საკუთარ მოედანზე - 1:2. „ნიურნბერგიდან“ გამარჯვების გოლი **ანგელოს ხარისტეასმა** 91-ე წუთზე გაიტანა, საფინალო სასტვენის შემდეგ კი, „ჰერტას“ ფანები მოედანზე შეიჭრნენ! მათ ფეხბურთელებთან პირადი ანგარიშსწორება ჰქონდათ გადაწყვეტილი და მართალია, მოთამაშეებმა სწრაფად დატოვეს მოედანი, მაგრამ გადარეულმა ქომაგებმა კინაღამ გასახდელში შეაღწიეს! სპეცდანიშნულების რაზმმა მოქმედება ოდნავ დააგვიანა, მაგრამ იმდენი კი შეძლო, რომ ფანები გასახდელში ვერ შევიდნენ, სამაგიეროდ, „ჰერტას“ სათადარიგოთა სკამს მისდგნენ, გაანადგურეს და არც სარეკლამო ბილბორდები დაინდეს! კარგი მხოლოდ ის არის, რომ არავინ დაშავებულა. ამ ყველაფრის შემხედვარე ბერლინული კლუბის მენეჯერი **მიხაელ პრეეტცი** ტიროდა. *„14 წელია, „ჰერტას“ ვემსახურები და ასეთი რამ არასდროს მინახავს. გული საშინლად მტკივა, ჩვენი გუნდი კატასტროფის წინაშეა და ახლა მხოლოდ სასწაული თუ გვიხსნის,“* - ლუღლუღებდა პრეეტცი, ბოლოს კი დასძინა, დღეიდან მეორე ბუნდესლიგაზე ფიქრს სერიოზულად ვიწყებთო...

„ვოლფსბურგი“ გამოცოცხლდა! „შაბათს“ „მგლებმა“ ბუნდესლიგაში ზედიზედ მეოთხე თამაში მოიგეს და თანაც როგორ: მოქმედმა ჩემპიონმა ამბიციური „გლადბახი“ მისსავე მოედანზე 4:0 გაანადგურა. და თანაც, ეს ყველაფერი ყაზანის „რუბინთან“ მძიმე მატჩიდან (1:1) 42 საათის შემდეგ მოხდა. ოთხიდან ორი გოლი **ედინ ჯეკომ** გაიტანა და მის ანგარიშზე უკვე 14 გოლია. ბოსნიელი გოლეადორი არ მალავს, რომ მისი მიზანი საუკეთესო ბომბარდირის წოდებაა, რითაც უნდა, რომ ევროპის რომელიმე ტოპ-გრანდს მასში 40 მილიონი ევროს გადახდა გაარისკინოს (ამ თემაზე შაბათის ნომერში ვწერდით). მორიგი გოლი გაიტანა გამთამაშებელმა **ზვიეზდან მიშიმოვიჩმაც**, რომელსაც ასევე წასვლაზე უჭირავს თვალი, ოღონდ არა გერმანიის საზღვრებს მიღმა, არამედ „შალკესკენ“. რაც შეეხება „გლადბახს“ - **მიხაელ ფრონტცეკის** გუნდისთვის ეს მარცხი კატასტროფას ნაღდად არ ნიშნავს, რადგან მიონხენგლადბახელებს 30 ქულა აქვთ და გასავარდნ ზონას 7 ქულა აშორებთ. „გლადბახის“ მიზანი ხომ ელიტაში დარჩენაა და ამ მიზანს საფრთხე ჯერჯერობით ნამდვილად არ ემუქრება. რაც შეეხება „ვოლფსბურგის“ მიზნებს - „მგლები“ ჩემპიონთა ლიგის საგზურს ნამდვილად ველარ მოიპოვებენ, აი, ევროპის ლიგის საგზურისთვის გაბრძოლების შანსი კი ჯერ კიდევ აქვთ.

ყველასათვის მოულოდნელად გამოცოცხლდა „ჰანოვერიც“. **მირკო სლომკას** ბიჭებმა ერთი კვირის წინ 140-დღიანი პაუზის შემდეგ პირველი თამაში მოიგეს, შაბათს კი პირველს მეორე გამარჯვებაც მიაყოლეს და ძალიან კარგ ხასიათზე დადგნენ. „ჰანოვერმა“ იმ „აინტრახტის“ დამარცხება შეძლო, რომელსაც ევროპის ლიგის საგზურისთვის გაბრძოლება სურდა, მაგრამ **მიხაელ სკიბეს** გუნდს ახლა უკვე ზედიზედ სამი თამაში აქვს წაგებული. მოკლედ, „აინტრახტი“ ღმერთს არ უქნია და ეს გუნდი ცხრილის შუაში დარჩება. დიდი შანსია, რომ ფრანკფურტელთა წაგებების სერია მომდევნო ტურშიც გაგრძელდეს, რადგან 20 მარტს „ბაიერნს“ მასპინძლობენ...

„მაინცს“ ათი კაციც ეყო იმისთვის, რომ „კიოლნი“ დაემარცხებინა, რადგან კიოლნელებს აბსოლუტურად არაფერი გაუკეთებიათ. მატჩის შემდეგ კი, „მაინცის“ პრეზიდენტმა **ჰარალდ შტრუტცმა ლუკას პოდოლსკიზე** მწარე სიმართლე თქვა:

*„თუ ასე გააგრძელებს, პოლდი ყველას თავს შეაძულებს. ის უკვე ბევრს ეზიზღება, რადგან ძალიან მეტიჩარა, ეგოისტი და საძაგელი ტიპია. მოედანზე ისეთ რაღაცებს აკეთებს, რომ ცოტა ხანში ყველა აითვალწუნებს. პოდოლსკი ბორის ბეკერს მაგონებს, რომელიც ჩოგნებს ამტვრევდა ხოლმე და გემახსოვრებათ, ერთ დროს ყველასათვის საყვარელი სპორტსმენი ბოლოს ყველას შესძულდა“.*

კვირას „ჰოფენჰაიმმა“ ზედიზედ მეორე საშინაო მატჩი წააგო. „ლევერკუზენმა“ კი ფრიად თვალსასეირო შეხვედრაში შინ „ჰამბურგი“ დაამარცხა და ჩემპიონობისთვის ბრძოლას აგრძელებს.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

## მომდევნო ტური

19 მარტი. კიოლნი-ბორუსია (მ). 20 მარტი. **აინტრახტი-ბაიერნი, ნიურნბერგი-ჰოფენჰაიმი, შტუტგარტი-ჰანოვერი, ვერდერი-ბოხუმი, ფრაიბურგი-მაინცი, ბორუსია (დ)-ლევერკუზენი. 21 მარტი. ჰამბურგი-შალკე, ვოლფსბურგი-ჰერტა.**



ფანებს ჰერტას უსუსურობა ყელში ამოუვიდათ, მოედანი დაიპყრეს და ფეხბურთელებზე ინევდნენ!

## შალკე-შტუტგარტი 2:1

**შალკე (4-3-1-2):** ნოიერი 2.5 - რაფინია 3, ჰიოვედესი 3, ბორდონი 3, ვესტერმანი 4 - კლუგე 3 (85. მორიტცი), მატიპი 4.5 (46. ბაუმიოჰანი 3), შმიტცი 4 - რაკიტიჩი 4 - ფარფანი 5 (46. ედუ 3), კურანი 2.

**შტუტგარტი (4-2-2-2):** ლემანი 3.5 - ტრეში 3, ნიდერმაიერი 4, ტასკი 4, მოლინარო 3.5 - ხედირა 3, კუზმანოვიჩი 3.5 - გებჰარდტი 4.5 (73. რუდი), გლები 4 (81. მარიკა) - კაკაუ 4, პოგრებნიაკი 5.

**გოლები:** 1:0 ედუ (46), 1:1 ტასკი (50), 2:1 კურანი (55)

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 11(3)-11(4); **ჯარიმა:** 23-21; **კუთხური:** 2-3; **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

**მაყურებელი:** 61 673

## ბოხუმი-ბორუსია (დ) 1:4

**ბოხუმი (4-2-2-2):** ჰეერვაგენი 4 - კონჩა 4.5, მალტრიტცი 4.5, იაია 5.5, ფუხსი 5 - დაბროვსკი 4.5, მარიჩი 5.5 - ფრაიერი 5.5 (46. აზაუაგი 4), ჰოლტბი 3.5 - ეპალე 5.5 (46. იუჰანსონი 4.5), შესტაკი 4.5 (82. ჰაშემიანი).

**ბორუსია დ. (4-2-3-1):** ვაიდენფელერი 3 - ოვომოიელა 3, სუბოტიჩი 3.5, ფელიპე სანტანა 3, შმელცერი 3 - კელი 2, ნ. შაჰინი 1.5 - ბლაშჩიკოვსკი 2.5 (65. ვალდესი/78. კოხი), ზიდანი 3 (63. ჰაინალი 3), გროსკროიტცი 3 - ბარიოსი 2.

**გოლები:** 0:1 მალტრიტცი (18-საკ. კარში), 0:2 ზიდანი (27), 1:2 ჰოლტბი (53), 1:3 ბარიოსი (74), 1:4 ბარიოსი (77)

**გაძევება:** მარიჩი (33. ბოხუმი)

**გაფრთხილება:** 0-2; **დარტყმა:** 11(2)-13(9); **ჯარიმა:** 7-11; **კუთხური:** 3-4; **ბურთის ფლობა:** 36%-65%.

**მაყურებელი:** 30 748

## ბორუსია (მ)-ვოლფსბურგი 0:4

**ბორუსია მ. (4-2-2-2):** ბეილი 4 - ლეველსი 3.5, ბრუვერსი 5, დანტე 4, დემსი 4.5 - მეეუვისი 5 (64. ჰერმანი 4), ბრედლი 5 - როისი 4, არანგო 4 - ბობადილია 4.5 (64. ნოივილი 5), კოლაუტი 5 (46. ფრენდი 4).

**ვოლფსბურგი (4-1-2-1-2):** ჰიტცი 3 - პეკარიკი 3, მადლუნგი 3.5, რიტერი 3.5, მ. შეფერი 3 - ჟოსუე 3.5 (85. შინდცილორცი) - ჰასებე 4 (49. შიმუნეკი 3.5), გენტნერი 2.5 - მიშიმოვიჩი 2 - მარტინსი 5 (63. დეჟაგა 3), ჯეკო 1.5.

**გოლები:** 0:1 მიშიმოვიჩი (41), 0:2 ჯეკო (49-პენ), 0:3 გენტნერი (58), 0:4 ჯეკო (80)

**გაფრთხილება:** 1-0; **დარტყმა:** 25(8)-19(9); **ჯარიმა:** 13-14; **კუთხური:** 7-7; **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 39 128

## ჰერთა-ნიურნბერგი 1:2

**ჰერტა (4-2-3-1):** დრობნი 3.5 - კრინგე 3.5 (53. ნიკუ 4.5), ა. ფრიდრიხი 4, ჰუბნიკი 4, კობიაშვილი 3.5 - სისერო 3, დარდაი 4 (67. კაჩარი 4) - პიაჩეკი 4 (78. ვიხნიარეკი), რაფაელი 3.5, რამოსი 3.5 - გეკასი 3.5.

**ნიურნბერგი (4-2-3-1):** რ. შეფერი 2 - დიკმაიერი 4, ვოლფი 4, მარო 4.5, პინოლა 4.5 - ტავარესი 5 (57. ფრანტცი 4), ოტლი 4 - რისე 3.5 (77. ნორდტვეიტი), გიუნდოგანი 4, ბუნიაკუ 3.5 - ჩუპომოტინგი 5 (66. ხარისტეასი 3).

**გოლები:** 1:0 გეკასი (36), 1:1 ბუნიაკუ (61), 1:2 ხარისტეასი (91)

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 25(9)-16(6); **ჯარიმა:** 12-21; **კუთხური:** 9-2; **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 57 761

## მაინცი-კიოლნი 1:0

**მაინცი (4-2-3-1):** ვეტკლო 3.5 - ზაბავნიკი 3.5, სვენსონი 2.5, ნოვესკი 2, ფათი 3 - კარჰანი 3, პოლანსკი 3.5 (79. ბუნგერტი) - ფ. ჰელერი 3.5 (55. ამრი 2.5), ტროიანი 3.5 (46. შიურლე 2), სოტო 3.5 - ბონსე 4.

**კიოლნი (4-3-2-1):** მონდრაგონი 2.5 - ბრეჩკო 5.5 (66. ბროზინსკი 4), ჟერომელი 4, მოჰამადი 3.5, ერეთი 4.5 - მანიშე 5, მაკენა 5, მატუშიკი 5.5 (62. ტოშიჩი 3.5) - ნოვაკოვიჩი 4, ფრაისი 5 (84. იშიაკუ) - პოდოლსკი 5.

**გოლი:** 1:0 შიურლე (57)

**გაძევება:** ბონსე (27. მაინცი)

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 12(6)-11(3); **ჯარიმა:** 16-22; **კუთხური:** 2-4; **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 20 300

## ჰანოვერი-აინტრახტი 2:1

**ჰანოვერი (4-1-2-1-2):** ფრომლოვიტცი 2.5 - შმიდებახი 3, ჰაგი 2.5, დურიცა 4.5, კ. შულცი 3.5 - ანდრეასენი 3 - პინტო 3, ჯაპკა 3.5 (55. ჩერუნდოლო 4) - ელსონი 4 (77. ბრუგინკი) - ა. კონე 3.5, ია კონანი 2.5 (88. ჰანკე).

**აინტრახტი (4-1-4-1):** ნიკოლოვი 3.5 - ფრანცი 4, კრისი 3, რუსი 3.5 (67. იუნგი 3.5), შპიხერი 4.5 - შვეგლერი 3 - პ. ოხსი 4.5, ა. მაიერი 4 (74. კაიო), ტებერი 5, კიოლერი 4 - ჰალილ ალთინთოფი 3.5 (81. ფენინი).

**გოლები:** 1:0 ანდრეასენი (14), 1:1 ჰალილ ალთინთოფი (45+2), 2:1 პინტო (57)

**გაძევება:** ტებერი (54. აინტრახტი), ფრანცი (91. აინტრახტი)

**გაფრთხილება:** 2-4; **დარტყმა:** 14(6)-13(5); **ჯარიმა:** 13-22; **კუთხური:** 5-2; **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 38 847

## ბაიერნი-ფრაიბურგი 2:1

**ბაიერნი (4-2-2-2):** ბუტი 3.5 - ლამი 3.5, ვან ბუიტენი 3.5, ბადშტუბერი 3.5, ალაბა 4 - ვან ბომელი 3.5, პრანიჩი 4.5 (71. ტიმოშჩუკი) - რობენი 2, თ. მიულერი 2.5 - კლოზე 4, ოლიჩი 4.

**ფრაიბურგი (4-1-4-1):** პუპლინი 2.5 - მუიჯა 4 (74. ვილიამსი), ტოპრაკი 4, ბუტშერი 4, ბასტიანსი 3.5 - ი. შუსტერი 4 - აბდესადკი 3.5, ფლუმი 4 (87. სისე), მაკიადი 3.5 (72. ბანოვიჩი), იეგერი 4 - იდრისუ 4.

**გოლები:** 0:1 მაკიადი (31), 1:1 რობენი (76), 2:1 რობენი (83-პენ)

**გაფრთხილება:** 3-4; **დარტყმა:** 21(10)-7(3); **ჯარიმა:** 15-16; **კუთხური:** 9-1; **ბურთის ფლობა:** 71%-29%.

**მაყურებელი:** 69 000

## ჰოფენჰაიმი-ვერდერი 0:1

**ჰოფენჰაიმი (4-3-1-2):** ჰილდებრანდი - რაიტალა (86. ტერაცინო), შიმუნიჩი, კომპერი, აიხნერი - ვუკჩევიჩი, ვაისი, სალიჰოვიჩი - კარლოს ედუარდო (83. ლუის გუსტავო) - მაიკოსუელი, იბიშევიჩი (72. ტაგო).

**ვერდერი (4-2-2-2):** ვიზე - ფრიტცი, მერტეზაკერი, ნალდო, პასანენი - ბარგფრედე, ფრინგსი (68. დ. იენსენი) - ბოროვსკი, ჰანტი (67. მარინი) - პისარო, უგო ალმეიდა (91. როზენბერგი).

**გოლი:** 0:1 პისარო (81)

**გაფრთხილება:** 1-0; **დარტყმა:** 9(1)-16(6); **ჯარიმა:** 16-16; **კუთხური:** 5-7; **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 30 150

## ლევერკუზენი-ჰამბურგი 4:2

**ლევერკუზენი (4-2-2-2):** რ. ადლერი - შვააბი, მ. ფრიდრიხი, ჰიიპია, კადლეცი - ვიდალი, კასტრო - რენატო (80. ლ. ბენდერი), ბარნეტა (89. ზინკევიჩი) - კისლინგი, დერდიოკი (87. ჰელმესი).

**ჰამბურგი (4-2-2-2):** ფ. როსტი - დემელი, როზენალი, მატიისენი, აოგო (68. ტროხოვსკი) - იაროლიმი, ზე რობერტო (76. პიტროიპა) - ელია, იანსენი - პეტრიჩი, ვან ნისტელროი (70. ბერგი).

**გოლები:** 1:0 კისლინგი (22), 1:1 ზე რობერტო (33), 2:1 დერდიოკი (55), 3:1 კისლინგი (62), 3:2 როზენალი (83), 4:2 კასტრო (84)

**გაფრთხილება:** 2-0; **დარტყმა:** 16(7)-9(4); **ჯარიმა:** 18-17; **კუთხური:** 5-5; **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 30 210

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 26 | 16 | 8 | 2 | 53-22 | 56 |
| 2. შალკე | 26 | 16 | 6 | 4 | 42-20 | 54 |
| 3. ლევერკუზენი | 26 | 14 | 11 | 1 | 56-25 | 53 |
| 4. ბორუსია (დ) | 26 | 13 | 6 | 7 | 43-33 | 45 |
| 5. ჰამბურგი | 26 | 11 | 10 | 5 | 46-30 | 43 |
| 6. ვერდერი | 26 | 11 | 9 | 6 | 51-31 | 42 |
| 7. მაინცი | 26 | 10 | 8 | 8 | 29-32 | 38 |
| 8. ვოლფსბურგი | 26 | 10 | 7 | 9 | 49-46 | 37 |
| 9. შტუტგარტი | 26 | 9 | 8 | 9 | 37-35 | 35 |
| 10. აინტრახტი | 26 | 9 | 8 | 9 | 33-38 | 35 |
| 11. ჰოფენჰაიმი | 26 | 9 | 5 | 12 | 34-31 | 32 |
| 12. ბორუსია (მ) | 26 | 8 | 6 | 12 | 34-46 | 30 |
| 13. კიოლნი | 26 | 6 | 9 | 11 | 22-33 | 27 |
| 14. ბოხუმი | 26 | 6 | 9 | 11 | 27-46 | 27 |
| 15. ნიურნბერგი | 26 | 6 | 6 | 14 | 24-43 | 24 |
| 16. ჰანოვერი | 26 | 6 | 5 | 15 | 29-48 | 23 |
| 17. ფრაიბურგი | 26 | 5 | 5 | 16 | 24-49 | 20 |
| 18. ჰერტა | 26 | 3 | 6 | 17 | 22-47 | 15 |

ბომბარდირები: 16 - კისლინგი (ლევერკუზენი); 14 - ჯეკო (ვოლფსბურგი), კურანი (შალკე); 13 - ბარიოსი (ბორუსია დ); 12 - ბუნიაკუ (ნიურნბერგი), დერდიოკი (ლევერკუზენი); 11 - პისარო (ვერდერი); 10 - გომესი (ბაიერნი), რობენი (ბაიერნი); 9 - იბიშევიჩი (ჰოფენჰაიმი), კროოსი (ლევერკუზენი).

## II ბუნდესლიგა

### XXVI ტური

**ალენი-კობლენცი 0:2**

გოლები: 0:1 კრონტირისი (42), 0:2 გლოკნერი (90)

**ალემანია-არმინია 2:1**

გოლები: 1:0 აუერი (10), 1:1 ფორტი (39), 2:1 აუერი (44)

**ფიურტი-უნიონი 0:0**

**ფრანკფურტი-ფორტუნა 2:0**

გოლები: 1:0 კიდიმარი (24), 2:0 კიდიმარი (63)

**ზტ. პაული-ობერჰაუზენი 5:3**

გოლები: 1:0 ებერსი (5), 1:1 შტოპელკამპი (18), 2:1 მ. ლემანი (24), 2:2 გორდონი (30), 3:2 ოჩიპკა (54), 4:2 ბრუნსი (73), 4:3 მილეტიჩი (76), 5:3 ბოლი (85)

**კარლსრუე-აუგსბურგი 1:0**

გოლი: 1:0 შტინდლი (27)

**კაიზერსლაუტერნი-კოტბუსი 4:1**

გოლები: 1:0 როდნი (3), 2:0 სემი (24-პენ), 3:0 სემი (39), 4:0 იენდრიშეკი (69)

**პადერბორნი-ჰანზა 2:2**

გოლები: 0:1 ბარტელსი (7), 1:1 ლიონინგი (12), 1:2 დალენი (44), 2:2 კრაუსე (86)

**დუისბურგი-მიუნხენ 1860 დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კაიზერსლაუტ. | 26 | 17 | 6 | 3 | 45-20 | 57 |
| 2. აუგსბურგი | 26 | 14 | 8 | 4 | 51-29 | 50 |
| 3. ზტ. პაული | 26 | 15 | 4 | 7 | 54-30 | 49 |
| 4. ფორტუნა | 26 | 13 | 5 | 8 | 37-24 | 44 |
| 5. არმინია | 26 | 13 | 4 | 9 | 37-26 | 43 |
| 6. დუისბურგი | 25 | 12 | 6 | 7 | 41-33 | 42 |
| 7. პადერბორნი | 26 | 10 | 8 | 8 | 37-37 | 38 |
| 8. ფიურტი | 26 | 11 | 3 | 12 | 41-37 | 36 |
| 9. მიუნხენ 1860 | 25 | 10 | 5 | 10 | 32-32 | 35 |
| 10. უნიონი | 26 | 9 | 8 | 9 | 32-34 | 35 |
| 11. კარლსრუე | 26 | 10 | 3 | 13 | 34-38 | 33 |
| 12. ალემანია | 26 | 9 | 6 | 11 | 27-33 | 33 |
| 13. კოტბუსი | 26 | 8 | 7 | 11 | 36-37 | 31 |
| 14. ობერჰაუზენი | 26 | 8 | 4 | 14 | 26-43 | 28 |
| 15. ჰანზა | 26 | 7 | 5 | 14 | 24-35 | 26 |
| 16. ფრანკფურტი | 26 | 6 | 8 | 12 | 20-42 | 26 |
| 17. კობლენცი | 26 | 5 | 6 | 15 | 23-43 | 21 |
| 18. ალენი | 26 | 5 | 6 | 15 | 16-40 | 21 |

ბომბარდირები: 20 - თურკი (აუგსბურგი); 14 - ებერსი (ზტ. პაული); 12 - აუერი (ალემანია), ფედერიკო (არმინია), ჰარნიკი (ფორტუნა), ზალიკი (პადერბორნი); 11 - იენდრიშეკი (კაიზერსლაუტერნი); 10 - ალაგუი (ფიურტი), ნიოთე (ფიურტი).

## III ბუნდესლიგა

**ბრაუნშვაიგი-უნტერჰახინგი 1:0, ოფენბახი-რეგენსბურგი 0:0, ოსნაბრიუკი-ვუპერტალი 1:1, ვერდერი II-ინგოლშტადტი 0:0.**

*დანარჩენი მატჩები გადაიდო*

# შოკური თერაპია



ნიკლას ბენდტნერს გააქვს გამარჯვების გოლი ჰალ სიტის კარში

*„გულისთვის ეს კარგი ნამდვილად არ არის, მაგრამ ჩემპიონობისთვის დიდებულია,* - თქვა „არსენალის" თავკაცმა **არსენ ვენგერმა** ათკაციან „ჰალთან" ბოლო წამს გატანილი გოლით 2:1 გამარჯვების შემდეგ, - *ახლა, 8 თამაშილა დაგვრჩა ჩასატარებელი, პოზიცია კი საიმედო გვაქვს. რატომაც არ უნდა გვქონდეს იმედი, რომ ტიტული დაგვრჩება? ყოველ შემთხვევაში, ერთი რამისა ნამდვილად მჯერა: ყველა ღონეს ვიხმართ. ჩვენი დამოკიდებულება დღევანდელ შეხვედრაშიც კარგად ჩანდა. ცოტა გადაღლილები კი ვიყავით, მაგრამ სამი ქულა გვჭირდებოდა და ბოლო წამამდე ვიბრძოლეთ".*

და მართლაც, **ნიკლას ბენდტნერმა** გამარჯვების გოლი შეხვედრის ბოლოს, მსაჯის წამატებულ წუთებში გაიტანა. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, „ჰალი" ათი კაცით იყო მოედანზე დარჩენილი. წითელი ბარათი **ჯორჯ ბოატენგმა** მიიღო. თავიდან მსაჯმა **ენდრი მარინერმა,** ბენდტნერთან განელვა-გამონელვის გამო, ისიც გააფრთხილა და არსენალელიც (ამ გუნდებს შორის შეხლა-შემოხლა პირველ წრეშიც მოხდა და ეს ეპიზოდი მაშინდელის გაგრძელებას ჰგავდა), ხუთი წუთის შემდეგ კი **ბაკარი სანიასთან** უხეშობა მოედნის დატოვებად დაუჯდა. სხვათა შორის, სანამ სანიას წააქცევდა, ბოატენგმა კიდევ ერთ ეპიზოდში მიიღო მონაწილეობა, თავის საჯარიმოში **გაელ კლიში** წააქცია, თუმცა მარინერმა კლიში „გააყვითლა" - სიმულანტი ხარო.

ერთი სიტყვით, „ჰალი" მთელი მეორე ტაიმი უმცირესობაში იყო და მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამის მიუხედავად, ბოლო წამამდე გაუძლო. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩრდილოლონდონელები ნამდვილად ვერ თამაშობდნენ ისე, როგორც ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში, როდესაც „პორტუს" 5:0 გადაუგრბინეს.

ლიდერმა „ჩელსიმ" კი **ჯანფრანკო ძოლას** „ვესტ ჰემს" 4:1 აჯობა. თავიდან, თითქოს თანაბრობა იყო: მართალია დასავლეთლონდონელები ბრაზილიელმა **ალექსმა** დააწინაურა, მაგრამ **სკოტ პარკერმა** 14 წუთში გაქვითა ანგარიში. შესვენების შემდეგ ლიდერმა თავისი ომახიანი სიტყვა თქვა და სამი გოლი გაიტანა, რომელთაგან ორი აფრიკის 2009 წლის საუკეთესო ფეხბურთელად ახლახან დასახელებულმა **დიდიე დროგბამ** შეაგდო. მატჩის შემდეგ, „ლურჯების" მწვრთნელთან **კარლო ანჩელოტისთან** საუბრისას ჟურნალისტებმა ყურადღება იმაზე გაამახვილეს, რომ მათმა ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის მეტოქემ, „ინტერმა" სერია A-ში მოულოდნელად „კატანიასთან" წააგო და იტალიელს ჰკითხეს, თქვენი დღევანდელი გამარჯვება მრავალმნიშვნელოვანი ხომ არ არისო. ანჩელოტიმ უპასუხა:

*„არა მგონია, დღევანდელი შედეგი ვინმესთვის რაიმე მესიჯი ყოფილიყო. ეს თამაში ზუსტად ზის თავის ადგილას და თავისი ფუნქცია აქვს, მეტი არაფერი. ჩვენ ძალიან გვინდა ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გასვლა, მაგრამ ეს ასევე უნდა „ინტერსაც". ერთი სიტყვით, გამარჯვებისთვის ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ. ერთადერთი, რასაც დავძენ, ის არის, რომ ვფიქრობ, კარგ ფორმაში ვართ".*

ყველაზე მეტად, რაც „ჩელსისთან" დაკავშირებით გულშემატკივარს აინტერესებდა, მეკარის ამბავი იყო. მოგეხსენებათ, ლონდონელთა მთავარი მეკარე **პეტრ ჩეხი** დაშავებულია, დაშავდა მეორე გოლკიპერი **ილარიოც,** რის გამოც „ვესტ ჰემთან" გამოუცდელი **როს ტერნბალის** დებიუტი შედგა. მის შესახებ ანჩელოტიმ ასე თქვა:

*„მართალია, დღეს როსს თამაშში ხშირად ჩართვა არ მოუხდა, მაგრამ თავდაჯერებული იყო. საერთოდაც, ბოლო თვეში მან ჩინებულად ივარჯიშა, ფორმაში შევიდა და ვფიქრობ, ნებისმიერი რანგის შეხვედრაში მონაწილეობა დაიმსახურა".*

„ტოტენჰემ ჰოთსპურმა" „ბლექბერნს" 3:1 სძლია. ამ დღეს ლონდონელთაგან რუსმა **რომან პავლიჩენკომ** გაიბრწყინა. მან ორი გოლი შეაგდო და „სფურზს" ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი მეოთხე ადგილის დაკავების კარგი შანსი შეუნარჩუნა. მოგეხსენებათ, მთელი სეზონის განმავლობაში პავლიჩენკო სულაც ვერ თამაშობდა კარგად და ერთიხანობა მისი „ტოტენჰემიდან" წასვლაზეც კი იყო ლაპარაკი, მაგრამ ბოლო დროს ყველაფერი შეიცვალა. პირველი გოლი კი მასპინძელთაგან **ჟერმაინ დეფომ** შეაგდო. მატჩის შემდეგ გამარჯვებულთა თავკაცი **ჰარი რედნაპი** რუსის ქებას ვერ აუდიოდა:

*„ის დიდებულია. მას გოლებიც გააქვს და ტექნიკურადაც სრულყოფილია. მას მადა გაეხსნა. სატრანსფერო ბაზარი გაიხსნა, დაიხურა და რომანმა დაინახა, რომ რუსეთში ვერ ბრუნდებოდა. სხვა გზა არ დარჩა, მკლავები დაიკაპიწა და როგორც ხედავთ, დღეს საუკეთესო ფორმაშია".*

„ბირმინგემისა" და „ევერტონის" შეხვედრა 2:2 დასრულდა. მეორე ტაიმი რომ დაიწყო, მასპინძლებს საქმე გასათანაბრებლად ჰქონდათ და ბირმინგემელთა ბავშვობისდროინდელმა ფანმა **კრეიგ გარდნერმა** გაქვითა კიდეც ანგარიში. ასე და ამგვარად, **ალექს მაკლიშის** გუნდს შინ ექვსი თვეა არ წაუგია. „ბოლტონმა" „უიგანს" 4:0 აჯობა - **ოუენ კოილის** გუნდისთვის ეს პრემიერლიგის ბოლო ოთხ შეხვედრაში მესამე გამარჯვებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ბოლტონელები გასავარდნთა ზონას თანდათანობით შორდებიან. მოგეხსენებათ, კოილი იანვრამდე „ბარნლის" ედგა სათავეში. ახალ გუნდში მისმა მეთოდმა აშკარად გაამართლა.

*„როდესაც „ბოლტონის" გაწვრთნას დავთანხმდი და საქმეს ხელი მოვკიდე, დარწმუნებული ვიყავი, რომ შედეგი მექნებოდა. ახლა აშკარაა, რომ მოკლევადიანი პროგრამა შესრულებულია. ჩვენ გრძელ გზაზე პირველი ნაბიჯი უკვე გადავდგით. ჩვენს თამაშს უკვე შეეხედება, კონკრეტულად დღევანდელ შეხვედრასი კი სამი ქულა გვინდოდა და მოვიპოვეთ კიდეც".*

„ასტონ ვილამ" სტოკში 0:0 ითამაშა, რაც მისთვის ქულის მოპოვება კი არა დაკარგვაა, ხოლო „ბარნლიმ" „ვულვერჰემპტონს" უიღბლო **კლარკ კერლისლის** ავტოგოლის წყალობით აჯობა.

ლიდერთა ჯგუფიდან იყოჩაღა „მანჩესტერ იუნაიტედმაც" და, რასაკვირველია, თავი კვლავ **უეინ რუნიმ** გამოიჩინა - თავდამსხმელმა, რომლისგანაც ინგლისელი გულშემატკივარი მსოფლიოს ჩემპიონატზე გაბრწყინებას ელის, „ფულჰემის" კარში ორი გოლი შეაგდო. ეს, მიმდინარე სეზონში, ყველა შეჯიბრებაში ერთად, მისი 31-ე და 32-ე გოლები გახლდათ. მესამე გოლი ბულგარელმა **დიმიტარ ბერბატოვმა** დაამატა. აღსანიშნავია, რომ ბერბატოვმა მეორე გოლის დროს რუნის ჩინებული ასისტენტობაც გაუწია.

„ფულჰემს" „იუნაიტედის" კართან სულ ერთი-ორი საგოლე მომენტი ჰქონდა. მათგან ყველაზე თვალში საცემი **ბობი ზამორასი** იყო. ზამორამ თამაშის დამთავრებამდე დაახლოებით 15 წუთით ადრე მეკარე **ვან დერ საართან** პირისპირ დარჩენით ვერ ისარგებლა, იზოზინა და **ნემანია ვიდიჩს** ჩამოსწრებისა და ბურთის განზე გაგდების საშუალება მისცა. სტატისტიკა მეტყველებს, რომ **როი ჰოჯსონის** გუნდი გასვლით შეხვედრებში ცუდად თამაშობს - ამ სეზონში „ფულჰემმა" სტუმრად პირველად და უკანასკნელად 15 აგვისტოს, ბეჩავ „პორტსმუთთან" მოიგო 1:0. ეს ჩემპიონატის პირველი შეხვედრა გახლდათ.

და ბოლოს, იმის შესახებ, რომ სანდერლენდის „სინათლის" სტადიონზე მასპინძელთა კარი მოჯადოებულს ჰგავდა. „სანდერლენდმა" ანგარიში შეხვედრის დასაწყისშივე გახსნა, შემდეგ კი... „სიტის" მართლაც მწვავე მომენტები ჰქონდა, განსაკუთრებით მეორე ტაიმში, მაგრამ მსაჯის წამატებული წუთებამდე გოლი არ გავიდა. აი, 4 წამატებულიდან მესამეზე კი **ადამ ჯონსონის** საოცრად მოჭრილი ბურთი პირდაპირ **კრეიგ გორდონის** კარში ჩაეშვა.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

### გადადებული მატჩი

16 მარტი. უიგანი-ასტონ ვილა.

### XX ტური

20 მარტი. ასტონ ვილა-ვულვზი, ევერტონი-ბოლტონი, პორტსმუთი-ჰალი, სტოკი-ტოტენჰემი, სანდერლენდი-ბირმინგემი, უიგანი-ბარნლი, არსენალი, ვესტ-ჰემი. 21 მარტი. მანჩესტერ იუნაიტედი-ლივერპული, ფულჰემი-მანჩესტერ სიტი, ბლექბერნი-ჩელსი.

### ტოტენჰემი-ბლექბერნი 3:1

**ტოტენჰემი:** გომესი, ჩორლუკა, დოუსონი, ბასონგი, ასუ-ეკოტო, პალასიოსი, კრანჩარი, მოდრიჩი (89. გუდიონსენი), ბეილი, პავლიუჩენკო, დეფო (82. კრაუჩი).

**ბლექბერნი:** რობინსონი (26. ბრაუნი), სალგადო, სამბა, ჟივე (74. დი სანტო), შიმბონდა, ემერტონი (62. ენდრიუსი), ნზონზი, დანი, პედერსენი, ოლსონი, კალინიჩი.

**გოლები:** 1:0 დეფო (45), 2:0 პავლიუჩენკო (55), 2:1 სამბა (80), 3:1 პავლიუჩენკო (85)

**გაფრთხილება:** 0-0; **კუთხური:** 5-6 **ჯარიმა:** 12-8; **თამაშგარე:** 6-1; **კარში დარტყმა:** 16-12 (6-1); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 35 474

### ბირმინგემი-ევერტონი 2:2

**ბირმინგემი:** ჰარტი, კარი, ჯონსონი, დანი, რიჯუელი, გარდნერი (60. ლარსონი), ბოიერი, ფერგიუსონი, ფეჰეი, ჯერომი, ბენიტესი (72. მაკფადენი).

**ევერტონი:** ჰოვარდი, ფ. ნევილი, ჟაგიელკა, დისტინი, ბეინესი, არტეტა, კეჰილი (75. როდუელი), პეიტინგა, ანიჩებე (79. გოსლინგი), პიენაარი, იაკუბუ (67. დონოვანი).

**გოლები:** 0:1 ენიჩებე (19), 1:1 ჯერომი (26), 1:2 იაკუბუ (22), 2:2 გარდნერი (51)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 10-11; **კარში დარტყმა:** 7-13 (4-11); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 24 579

### ბოლტონი-უიგანი 4:0

**ბოლტონი:** იაასკელაინენი, სტეინსონი, ობრეინი, ნაითი, რობინსონი, ლი (72. უეისი), სკოენი, მუამბა, უილშერი (67. ტეილორი), კ. დევისი (76. კლასნიჩი), ელმანდერი (75. გარდნერი).

**უიგანი:** კირკლენდი, ბოისი, კოლდუელი, ბრამბლი, ფიგეროა, ნზოგბია, დიამე, მაკარტი, მოზესი (54. გომესი), შარნერი (54. სკოტლენდი), როდალეგა (78. ტომასი).

**გოლები:** 1:0 ელმანდერი (10), 2:0 კ. დევისი (48-პენ), 3:0 მუამბა (53), 4:0 ტეილორი (69)

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 3-6; **ჯარიმა:** 24-13; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 9-13 (5-5); **ბურთის ფლობა:** 41%-59%.

**მაყურებელი:** 20 053

### ბარნლი-ვულვზი 1:2

**ბარნლი:** იენსენი, მირსი, კერლისლი, კორტი, ფოქსი (40. ჯორდანი), ელიოტი, ბიკეი (55. ბლეიკი), ალექსანდერი, იგლზი (55. ტომპსონი), პეტერსონი, ნაჯენტი

**ვულვზი:** ჰანემანი, ზუბარი, კრედოკი, ბერა, უორდი (84. კიო), ფოული, ჰენრი, გუედიოურა (60. მენსიენი), ჯონსი (71. კიო), ჯერვისი (79. ებანკს-ბლეიკი), დოილი

**გოლები:** 0:1 ჯერვისი (26), 0:2 კერლისლი (47-საკ. კარში), 1:2 ტომპსონი (73)

**გაფრთხილება:** 1-4; **კუთხური:** 11-6; **ჯარიმა:** 10-22; **თამაშგარე:** 2-6; **კარში დარტყმა:** 20-7 (7-3); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 21 217

### ჩელსი-ვესტ ჰემი 4:1

**ჩელსი:** ტერნბული, ივანოვიჩი (80. ჟირკოვი), ალექსი, ტერი, ფერეირა, ბალაკი, მიკელი, ლემპარდი, მალუდა (87. კალუ), ანელკა (66. ჯ. კოული), დროგბა

**ვესტ ჰემი:** გრინი, სპექტორი, გებიდონი, აპსონი, დაპრელა, კოვაჩი, პარკერი, ბეჰრამი, ილანი (84. დიამანტი), მიდო (68. კ.კოული), დაიერი (68. სტანისლასი)

**გოლები:** 1:0 ალექსი (16), 1:1 პარკერი (30), 2:1 დროგბა (56), 3:1 მალუდა (77), 4:1 დროგბა (90)

**გაფრთხილება:** 0-1; **კუთხური:** 11-1; **ჯარიმა:** 13-10; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 31-7 (9-2); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 41 755

### სტოკი-ასტონ ვილა 0:0

**სტოკი:** სიორენსენი, ჰუთი, ფაიე, ჰიგინბოტომი, კოლინზი, დილეპი, უილანე, უაიტჰედი, ეზერინგტონი, სიდიბე (54. კიტსონი), თუნჩაი (54. ფულერი).

**ასტონ ვილა:** ფრიდელი, კუელარი, კოლინზი, დანი, უორნოკი, იანგი, მილნერი, პეტროვი, დაუნინგი, ჰესკი, კარეუ (77. აგბონლაორი).

**გაფრთხილება:** 0-4; **კუთხური:** 8-6; **ჯარიმა:** 7-8; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 16-12 (3-3); **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

**მაყურებელი:** 27 598

### ჰალი-არსენალი 1:2

**ჰალი:** მიჰილი, მებდი, მოუიოკოლო, ზაიატე (56. კუპერი), დოუსონი, ფეგანი, ბალარდი, ბოატენგი, მერნი, ელტიდორი (83. კოლბეინი), ვენეგოორი (73. გარსია).

**არსენალი:** ალმუნია, სანია, კემპბელი, ვერმაელენი, კლიში, დენილსონი, დიაბი, ნასრი (76. ედუარდო), ებუე (66. უოლკოტი), არშავინი, ბენდტნერი.

**გოლები:** 0:1 არშავინი (14), 1:1 ბალარდი (28-პენ), 1:2 ბენდტნერი (90)

**გაძევება:** ბოატენგი (45. ჰალი)

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 2-8; **ჯარიმა:** 16-13; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 9-18 (1-4); **ბურთის ფლობა:** 32%-69%.

**მაყურებელი:** 25 023

### მანჩესტერ იუნ-ფულჰემი 3:0

**მანჩესტერ იუნ:** ვან დერ სარი, გ. ნევილი (87. ფაბიო), ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა, ვალენსია (73. პარკი), ფლეტჩერი, ქერიკი, ნანი, რუნი, ბერბატოვი.

**ფულჰემი:** შვარცერი, კელი, ჰიუზი, ჰანგელანდი (63. გრინინგი), შორი, გერა, მერფი, ბეირდი, ს. დევისი (46. დაფი), ზამორა, დემპსი (72. ნიელენდი).

**გოლები:** 1:0 რუნი (46), 2:0 რუნი (84), 3:0 ბერბატოვი (89)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 11-1 **ჯარიმა:** 7-12; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 35-8 (9-3); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 75 207

### სანდერლენდი-მანჩესტ. სიტი 1:1

**სანდერლენდი:** გორდონი, ჰატონი, ტერნერი, მენსა, ა. ფერდინანდი, კემპბელი (85. ბერდსლი), მეილერი, რიჩარდსონი, მოლბრანკი (77. ზენდენი), ჯონსი (46. ჰენდერსონი), ბენტი.

**მანჩესტერ სიტი:** გივენი, რიჩარდსი (64. ვიეირა), კომპანი, ლესკოტი, ბრიჯი (33. სანტა კრუზი), საბალეტა, დე იონგი, ბერი, რაიტ-ფილიპსი (73. ჯონსონი), ტევესი, ბელამი.

**გოლები:** 1:0 ჯონსი (9), 1:1 ჯონსონი (90)

**გაფრთხილება:** 2-4; **კუთხური:** 3-7 **ჯარიმა:** 12-12; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 15-17 (4-8); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 41 398

### ლივერპული-პორტსმუთი დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტ. იუნ | 30 | 21 | 3 | 6 | 70-24 | 66 |
| 2. ჩელსი | 29 | 20 | 4 | 5 | 69-27 | 64 |
| 3. არსენალი | 30 | 20 | 4 | 6 | 71-33 | 64 |
| 4. ტოტენჰემი | 29 | 15 | 7 | 7 | 53-28 | 52 |
| 5. მანჩესტ. სიტი | 28 | 13 | 11 | 4 | 53-36 | 50 |
| 6. ლივერპული | 29 | 14 | 6 | 9 | 45-29 | 48 |
| 7. ასტონ ვილა | 27 | 12 | 10 | 5 | 37-21 | 46 |
| 8. ბირმინგემი | 29 | 12 | 8 | 9 | 30-31 | 44 |
| 9. ევერტონი | 29 | 11 | 9 | 9 | 46-42 | 42 |
| 11. ფულჰემი | 28 | 10 | 8 | 11 | 32-32 | 38 |
| 11. სტოკი | 29 | 8 | 12 | 9 | 28-33 | 36 |
| 12. ბლექბერნი | 29 | 9 | 7 | 13 | 31-48 | 34 |
| 13. ბოლტონი | 30 | 8 | 8 | 14 | 36-54 | 32 |
| 14. სანდერლენდი | 29 | 7 | 10 | 12 | 37-45 | 31 |
| 15. უიგანი | 29 | 7 | 7 | 15 | 27-57 | 28 |
| 16. ვესტ ჰემი | 29 | 6 | 9 | 14 | 37-49 | 27 |
| 17. ვულვზი | 29 | 7 | 6 | 16 | 23-47 | 27 |
| 18. ბარნლი | 30 | 6 | 6 | 18 | 31-63 | 24 |
| 19. ჰალი | 29 | 5 | 9 | 15 | 27-61 | 24 |
| 20. პორტსმუთი | 28 | 5 | 4 | 19 | 24-47 | 19 |

**ბომბარდირები:** 25 - რუნი (მანჩესტერ იუნ); 21 - დროგბა (ჩელსი); 18 - ბენტი (სანდერლენდი); 17 - დეფო (ტოტენჰემი); 15 - ტევესი (მანჩესტერ სიტი); 14 - ფაბრეგასი (არსენალი); 13 - საა (ევერტონი), ტორესი (ლივერპული); 12 - ლემპარდი (ჩელსი).

## ჩემპიონშიპი

### XXXVI ტური

**ქოვენთრი-პლიმუთი 1:1**

გოლები: 0:1 არნასონი (45), 1:1 მაკინდო (49)

**დონკასტერი-დერბი 2:1**

გოლები: 1:0 შარპი (15-პენ), 2:0 ემანუელ-ტომასი (69), 2:1 ჰალსი (74)

**იფსვიჩი-სკანთორპი 1:0**

გოლი: 1:0 უიქჰემი (90)

**ლესტერი-კარდიფი 1:0**

გოლი: 1:0 უეგჰორნი (29)

**მიდლსბრო-ნიუკასლი 2:2**

გოლები: 0:1 ლავენკრანდსი (16), 1:1 რობსონი (36), 2:1 მაკდონალდი (74), 2:2 კეროლი (82)

**პრესტონი-ნოტინგემი 3:2**

გოლები: 1:0 უოლესო (20), 2:0 დევიდსონი (29-პენ), 3:0 ჯეიმსი (32), 3:1 ბლექსტოკი (57-პენ), 3:2 ერნშოუ (76)

**რედინგი-ბრისტოლი 2:0**

გოლები: 1:0 სიგურდსონი (12), 2:0 სიგურდსონი (22-პენ)

**შეფილდ იუნ-ქუინზ პარკი 1:1**

გოლები: 1:0 კრესუელი (44), 1:1 ტაარბტი (49)

**სუონსი-შეფილდ უენ 0:0**

**უოტფორდი-პიტერბორო 0:1**

გოლი: 0:1 დიკინსონი (51)

**ვესტ ბრომვიჩი-ბლექპული 3:2**

გოლები: 0:1 ადამი (6), 1:1 მილერი (13), 2:1 კორენი (53), 2:2 ორმეროდი (72), 3:2 დორენსი (78-პენ)

**ბარნსლი-კრ. პალასი 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნიუკასლი | 35 | 21 | 10 | 4 | 66-26 | 73 |
| 2. ვესტ ბრომ. | 36 | 20 | 9 | 7 | 71-40 | 69 |
| 3. ნოტ. ფორესტი | 36 | 18 | 10 | 8 | 51-30 | 64 |
| 4. სუონსი | 36 | 15 | 15 | 6 | 31-23 | 60 |
| 5. ლესტერი | 35 | 15 | 12 | 8 | 43-33 | 57 |
| 6. კარდიფი | 35 | 15 | 7 | 13 | 57-44 | 52 |
| 7. ბლექპული | 36 | 13 | 11 | 12 | 53-44 | 50 |
| 8. ქოვენთრი | 36 | 13 | 11 | 12 | 41-47 | 50 |
| 9. შეფილდ იუნ | 36 | 13 | 10 | 13 | 49-49 | 49 |
| 10. მიდლსბრო | 36 | 13 | 9 | 14 | 47-40 | 48 |
| 11. დონკასტერი | 36 | 12 | 12 | 12 | 47-44 | 48 |
| 12. პრესტონი | 36 | 12 | 11 | 13 | 45-52 | 47 |
| 13. ბარნსლი | 35 | 13 | 7 | 15 | 44-54 | 46 |
| 14. ბრისტოლი | 36 | 10 | 15 | 11 | 40-51 | 45 |
| 15. ქუინზ პარკი | 35 | 11 | 11 | 13 | 49-53 | 44 |
| 16. რედინგი | 34 | 12 | 8 | 14 | 46-50 | 44 |
| 17. იფსვიჩი | 36 | 9 | 17 | 10 | 40-46 | 44 |
| 18. დერბი | 36 | 12 | 6 | 18 | 43-54 | 42 |
| 19. უოტფორდი | 34 | 10 | 9 | 15 | 44-51 | 39 |
| 20. კრ. პალასი | 35 | 12 | 12 | 11 | 36-37 | 38 |
| 21. შეფილდ უენ | 36 | 10 | 8 | 18 | 38-56 | 38 |
| 22. სკანთორპი | 35 | 10 | 8 | 17 | 41-62 | 38 |
| 23. პლიმუთი | 35 | 8 | 7 | 20 | 34-51 | 31 |
| 24. პიტერბორო | 36 | 7 | 9 | 20 | 38-57 | 30 |

**ბომბარდირები:** 16 - უიტინგემი (კარდიფი); 15 - შარპი (დონკასტერი); 14 - ჩოპრა (კარდიფ სიტი); 13 - ადამი (ბლექპული); 12 - ემბროუზი (კრ. პალასი), ერნშოუ (ნოტინგემი), ჰენდერსონი (შეფილდ იუნ), ჰუპერი (სკანთორპი), ნოლანი (ნიუკსლი), სიმპსონი (ქუინზ პარკი).

## პირველი ლიგა

### XXXVI ტური

ბრენტფორდი-მილტონი 3:3, ბრაიტონი-სვინდონი 0:1, ბრისტოლი-ტრანმერი 0:0, კერლისლი-კოლჩესტერი 2:1, ჰადერსფილდი-ნორვიჩი 1:3, ლეიტონი-უოლსოლი 2:0, მილუოლი-ჩარლტონი 4:0, ოლდჰემი-უაიკომბი 2:2, საუთჰემპტონი-ლიდსი 1:0, საუთენდი-ექსეტერი 0:0, სტოკპორტი-ჯილინგემი 0:0, იეოვილი-ჰარტლპული 4:0.

## მეორე ლიგა

### XXXVI ტური

ბერნეტი-ეკრინგტონი 1:2, ბრედფორდი-ოლდერშიტო 2:1, ბარტონი-ჩელტენჰემი 5:6, ჩესტერფილდი-პორტ ვეილი 0:5, დაგენჰემი-როტერჰემი 0:1, მაკლსფილდი-ბერი 2:0, მორკეიმბი-გრიმსბი 1:1, ნორთემპონი-დარლინტონი 2:0, შრუსბერი-როჩდეილი 0:1, თირგუეი-ქრიუ 1:1.

## კონფერენსი

### XXXVII ტური

უიმბლდონი-ისტბერნი 2:0, ელტრინჩემი-იორკი 0:0, კემბრიჯი-ჰისტონი 2:1, ქროული-ებსფლიტი 2:1, გრეისი, ჰეიესი 0:0, ლუტონი-ვრექსჰემი 1:0, მენსფილდი-ტემუორთი 0:0, ოქსფორდი-კეტერინგი 1:1, რაშდენი-გეიტსჰედი 8:0.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ნაკრები

# რუმინული გაკვეთილი: მძიმედ ვიწყებთ, მძიმედ ვამთავრებთ



**რუმინეთი-საქართველო 22:10**

რუმინეთი: (15-9) დუმიტრაში, ფერკუ, დიმიფტე, დესკალუ (გალი 28), ჩუნტუ, დუმბრავა, სირბუ. (1-8) დიმა (პოპესკუ 57), ტინკუ, იონი, სოკოლი, ურსაკე (პეტრე 45), ბურეა, ტონიცა, კარპო

*ლ: ტონიცა. 4ს,ა: დუმბრავა*

საქართველო: (15-9) კვირიკაშვილი, ურჯუკაშვილი (თოდუა 62), კაჭარავა (გიორგაძე 75), ზიბზიბაძე, მაჩხანელი, მალალურაძე, აბუსერიძე (სამხარაძე 72). (1-8) ხინჩაგიშვილი, ნატრიაშვილი (ბრეგვაძე 75), ფეიქრიშვილი (შველიძე 48), ნემსაძე (დათუნაშვილი 48), ზედგინიძე, ლაბაძე (თავართქილაძე 65), ჩხაიძე, უდესიანი

*ლ: ნემსაძე. გ:კვირიკაშვილი. ს: მალალურაძე*

სინბინი: კვირიკაშვილი

მსაჯი: ს. მაკდაუელი (ირლანდია)

საქართველოს ნაკრებმა მსოფლიო თასის ამ შესარჩევ ტურნირში პირველად წააგო. „ბორჯღალოსნები“ ბუქარესტში რუმინეთის ნაკრებთან ვერას გახდნენ - 10:22.

წლეულს საქართველოს ნაკრების თამაშში რამდენიმე უჩვეულო, ერთობ დამაფიქრებელი ტენდენცია შეინიშნება. „ბორჯღალოსნები“ ნებისმიერ მეტოქესთან თამაშს მძიმედ იწყებენ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მატჩისწინა მოთელვაზე რალაც დააკლეს. გუნდი მთელი სიმძლავრით ამუშავებას 15-20 წუთის მერე იწყებს, რაც ხშირ შემთხვევაში ძალიან გვიანაა და შედეგზეც აისახება.

თითქმის ყველა მატჩში წავაგეთ მეორე ტაიმი, რაც, ერთი მხრივ, არასათანადო ფიზიკურ მომზადებას შეიძლება დავაბრალოთ, თუმცა შესაძლოა, ამ შემთხვევაში უფრო ფსიქოლოგიურ პრობლემებთან გვქონდეს საქმე. როგორც უნდა იყოს, ეს პრობლემური საკითხები განსჯის საგანია. საჭიროა სწორი ანალიზი და სილრმისეული მიზეზების ძიება, რაც მდგომარეობის სწრაფად გამოსწორებას ხელს შეუწყობს.

ვფიქრობთ, ამ ორი ჩვენთვის ძალიან საზიანო ტენდენციის შედეგია ქართველი მორაგბეების რეგულარულად სინბინში გაშვება. როცა გუნდი მატჩის სადავეებს ხელიდან უშვებს, ირღვევა სათამაშო დისციპლინაც და იძულებულნი ვართ, მოძალებული მეტოქე წესის დარღვევით შევაჩეროთ. ეს კი ხშირ შემთხვევაში არბიტრისგან ათწუთიანი გაძევებით ისჯება, რაც გუნდს დამატებით პრობლემებს უქმნის.

ერთი სიტყვით, საქართველოს ნაკრებს გამოსასწორებელი და დასალაგებელი მარტო უკანა ხაზის თამაში არ აქვს. პრობლემა ბევრად უფრო გლობალურია და მის გადაჭრას ასეთივე მიდგომა სჭირდება.

გუნდის თამაშის პლუს-მინუსი ყველაზე კარგად ძლიერ მეტოქესთან თამაშში გამოჩნდება ხოლმე. რუმინელებთან მატჩი ერთგვარი ლაკმუსის ქალალდი იყო. ამ თამაშს უნდა გაეცა პასუხი კითხვაზე - გაიზარდა თუ არა ჩვენი ნაკრები ისე, რომ ერთა თასის გათამაშებაში უპირობო ლიდერია. როგორც გამოჩნდა - არა.

ჩვენს ნაკრებს სხვადასხვა მიზეზით სამი წამყვანი მორაგბე აკლდა - **დავით ზირაქაშვილი, მამუკა გორგოძე** და **აქვსენტი გიორგაძე**. დიდთოვლობისა და ყინვების გამო „ბორჯღალოსნებს“ წესიერად არც უვარჯიშიათ, თუმცა ეს მიზეზები მარცხის გასამართლებლად ვერ გამოდგება. სამი საკვანძო მოთამაშე აკლდათ რუმინელებსაც. მესამეხაზელი **ალექსანდრუ მანტა**, პირველხაზელები **ბოგდან ბალანი** და **სილვიუ ფლორეა**. ვარჯიშისთვის ნორმალური პირობები არც მათ ჰქონიათ.

ისე ჩანდა, რომ გამარჯვება მასპინძლებს უფრო უნდოდათ. მათ დასაწყისიდანვე მედგრად შემოგვიტიეს. რუმინელთა მგეზავ **დანუც დუმბრავას** მიერ ცენტრიდან თამაშში შეტანილი ბურთი ქართველმა მორაგბეებმა ვერ აილეს. ამ შეცდომას კიდევ არაერთი შეცდომა მოჰყვა. „სტეუარის“ შერკინება, რომელიც გუნდში მიბრუნებული რამდენიმე გამოცდილი მორაგბით მოლონიერდა, ჩვენსას ჯობდა. „მუხის ფოთლების“ უპირატესობა სტატიკაში თუ უმნიშვნელო იყო, დინამიკაში ასე მწყობრად მოთამაშე მეტოქე დიდი ხანია, არ გვინახავს.

საქართველოს ნაკრებმა თითქმის ყველა თავისი დერეფანი წამოილო. ერთიც მეტოქეს აართვა. აუტს ჩვენი მორაგბეები გაჭირვებით იგებდნენ, რაც სწრაფი შეტევის ორგანიზებას აფერხებდა. „ბორჯღალოსნებმა“ ერთადერთი შეცდომა დერეფანში თამაშისას 26-ე წუთზე დაუშვეს, როცა კარში დასარტყმელი ჯარიმა აუტში გადაიტანეს. მეტოქის ლელოდან ხუთ მეტრში **ირაკლი ნატრიაშვილმა** უხეიროდ ააგდო, არადა შესაძლო იყო, მოლის შეკვრისა და ბიძგებით წინ სვლას ლელოც მოჰყოლოდა. ამ დროისთვის რუმინელები 10:7-ს იგებდნენ.

როგორც უკვე ვთქვით, რუმინელებმა თავიდანვე შემოგვიტიეს, თავიდანვე სცადეს ჩვენი წინააღმდეგობის გატეხა, რაც ჩვეულებრივი ტაქტიკური ჩანაფიქრია. დასაწყისშივე მოპოვებული უპირატესობა ფსიქოლოგიურად ანგრევს მეტოქეს.

„სტეუარიმ“ პირველ ხუთ წუთში სამი მრავალფაზიანი შეტევა განახორციელა. ორი მოვიგერიეთ, მესამე კი შედეგიანი გამოდგა. მეტოქე მარცხენა ფრთიდან გვიტევდა, ჩვენს მორაგბეებს მთელი ყურადღებაც სწორედ აქეთ ჰქონდათ გადატანილი. ამ დროს მარჯვენა ფრთაზე მეტოქემ რიცხობრივი უპირატესობა შექმნა და შეტევის მიმართულებაც დროულად შეცვალა, ოცდაორმეტრიან ზონასთან დაცვის ხაზი გაჭრეს, ჩათვლის მოედანს მიუახლოვდნენ, თამაში რაკში გადავიდა, მორკინალთა რამდენიმე მოკლე დარტყმა და მესამეხაზელმა **ოვიდიუ ტონიცამ** ლელოში შეაღწია. გარდასახვა დანუც დუმბრავამ ზუსტად დაარტყა - 7:0.

ცხადია, „ბორჯღალოსნები“ გულხელდაკრეფით ჯდომას არ აპირებდნენ. ანგარიშის გასათანაბრებლად ჩვენებს 6 წუთი დასჭირდათ. შეტევა სპონტანურად დაიწყო. ფულბეკმა **მერაბ კვირიკაშვილმა** ბურთი საკუთარი ოცდაორმეტრიანი ზონიდან ფეხით მეტოქის ნახევარზე გადაიტანა. იქ ყველას შუამარბმა **თედო ზიბზიბაძემ** დაასწრო. ოდნავ წაიწია, შებოჭეს და **ირაკლი აბუსერიძემ** რაკიდან ბურთი მარჯვენა, მოკლე ფრთაზე გაიტანა. იქ ხელდახელ ბურთაობით მესამეხაზელმა **გიორგი ჩხაიძემ** რუმინელთა ლელოს უწია, თუმცა მანამდე ფეხი გვერდითი ხაზის იქით დაადგა, არბიტრმა, ცხადია, ლელო არ ჩათვალა, მაგრამ ჩვენს სასარგებლოდ ჯარიმა დანიშნა. რუმინელებმა დაცვისას თამაშგარეს წესი დაარღვიეს.

**ლაშა მალალურაძემ** ბურთი აუტში გადაიტანა. ხუთმეტრიანი დერეფანი სუფთად მოვიგეთ, მოლი შევკარით, დავატრიალეთ და ბურთით ჩათვლის მოედანში მეორეხაზელმა **გიორგი ნემსაძემ** შეაღწია. კვირიკაშვილმა გარდასახა და ანგარიში გაათანაბრა - 7:7.

რუმინელები ერთ წუთში ისევ დაწინაურდნენ. დუმბრავამ საჯარიმოდან გაგვიტანა - 10:7. ეს მე-12 წუთზე მოხდა. აქედან მოყოლებული, მატჩის ბოლომდე მასპინძლებმა ჩვენს ოცდაორმეტრიან ზონაში მხოლოდ ერთხელ შეაღწიეს. ხოლო, რაც მატჩის 26-ე წუთზე მოხდა, უკვე ვთქვით. „ბორჯღალოსნებმა“ საჯარიმო არ დაარტყეს, რითაც ანგარიშის გათანაბრების შანსი გაუშვეს ხელიდან. უხეირო დერეფნის გამო კი სალელოვე შეტევაც ვერ განვახორციელეთ. ტაიმის ბოლო წუთზე ისევ რუმინელთა მგეზავმა იყოჩალა, დუმბრავამ კიდევ ერთი საჯარიმო მიითვალა და სხვაობა ექვსამდე გაზარდა - 13:7.

მეორე ტაიმში ისევ „სტეუარიმ“ შემოგვიტია და 20 წუთის განმავლობაში უპირატესობას ფლობდა. 43-ე წუთზე იმავ დუმბრავამ 35 მეტრიდან არეკნით გაგვიტანა, რასაც ცხრა წუთში საჯარიმოც მიაყოლა და ანგარიშში სხვაობა 12 ქულამდე გაზარდა - 19:7. ეს საჯარიმო მერაბ კვირიკაშვილის შეცდომას მოჰყვა. მან საკუთარ 22-მეტრიან ზონაში მეტოქის მიერ ფეხით დაკიდებული ბურთი ვერ დაიჭირა, მერე უბურთო მოწინააღმდეგის შეჩერება სცადა, რისთვისაც არბიტრმა ყვითელი ბარათი უჩვენა.

საქართველოს ნაკრებმა უმცირესობაში ყოფნისას ანგარიშის შემცირება შეძლო. საჯარიმო მალალურაძემ გაიტანა - 10:19. „ბორჯღალოსნებმა“ მატჩის ბოლო თხუთმეტი წუთი შეტევაში გაატარეს. ლელოს გატანაც შეეძლოთ, მაგრამ თავდადებით მებრძოლ რუმინელთა დაცვის გარღვევა ვერაფრით შეძლეს. მასპინძლებმა კი ჩვენების მორიგი შეცდომით ისარგებლეს და 78-ე წუთზე დუმბრავამ საჯარიმოდან კიდევ ერთხელ გაგვიტანა - 22:10.

ანთიმოზ ივერიელის თასი ბუქარესტში დავტოვეთ. ერთა თასს კი იმ შემთხვევაში შევინარჩუნებთ, თუ 20 მარტს ტრაბზონში რუსეთის ნაკრებს დავამარცხებთ. რუმინეთის ნაკრები კი ლისაბონში პორტუგალიასთან დამარცხდება.

**რუსეთი-გერმანია 48:11**

რუსეთი:(15-9) კლუჩნიკოვი, არტიომოვი, კუზინი, მაკოვეცკი, ოსტროუშკო, ი.კუშნარიოვი, შაკიროვი, (1-8) ხროკინი, მატვეევი, პრონენკო, ვოიტოვი, მინაძე, კ.კუშნარიოვი, ფატახოვი, პანასენკო.

*16. კორშუნოვი, 17. ბოტვინიკოვი, 18. ტრაკინი, 19. მედკოვი, 20. იანუშკინი, 21. კორობეინიკოვი, 22. ბაბაევი*

*ნლ: საჯარიმო, ოსტროუშკო (2), ხროკინი, მინაძე, მატვეევი. 2გ: კუშნარიოვი, კლუჩნიკოვი. 3ს: კუშნარიოვი (2), კლუჩნიკოვი*

გერმანია: (15-9) პაკლი, სიმი, ფონ გრუმბკოვი, პანონი, გუნგური, პირაში. (1-8) ვიდიკერი, კოლი, კრაუზე, ვილჰელმი, ვაპა, ჰიუსტონი, ჰუკი, ბრენერი.

*16. შლივა, 17. მეცი, 18. როზენტალი, 19. ჯონსონი, 20. ცინდერა, 21. ლებიგი, 22. ბუკმანი*

*ლ: კრაუზე. 2ს: გუნგური*

**ესპანეთი-პორტუგალია 15:33**

ესპანეთი: (15-9) პ.მარტინი, კანო, კანოზა, ნავა, ი.მარტინი, გრეტონი, მირონესი. (1-8) პრადალი, სიდრი, გურგენაძე, არამბურუ, რეკუერდა, ნეგრილიო, აკენა, კუკი.

*16. ბორხესი, 17. ასევედო, 18. ბერნასკონი, 19. კამაჩო, 20. არენასი, 21. გუბუნი, 22. მასო.*

*2ლ: კანოსა, პ.მარტინი. გ,ს: ნავა*

პორტუგალია: (15-9) გარდნერი, ოლივეირა, სილვა, დიეგო მატეუში, აგილარი, კაბრალი, პინტო. (1-8) ფერნანდესი, კორეია, და კოსტა, სტიკლინგი, გ. უვა, აკოსტა, ვ. უვა, სევერინო.

*16. ჟუნიორი, 17. დუარტე, 18. გირაო, 19. პალია, 20. ლეალი, 21. დუარტე პინტუ, 22. პორტელა*

*3ლ: აგილარი, კორეია, ოლივეირა, 4ს: კაბრალი (3), გარდნერი. 3გ: კაბრალი.*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 9 | 7 | 1 | 1 | +166 | 15 |
| 2. რუსეთი | 9 | 7 | 1 | 1 | +144 | 15 |
| 3. პორტუგალია | 9 | 5 | 1 | 3 | +117 | 11 |
| 4. რუმინეთი | 8 | 4 | 1 | 3 | +90 | 9 |
| 5. ესპანეთი | 8 | 1 | 0 | 7 | -118 | 2 |
| 6. გერმანია | 9 | 0 | 0 | 9 | -399 | 0 |

**20 მარტი**

საქართველო-რუსეთი
პორტუგალია-რუმინეთი
გერმანია-ესპანეთი

**27 მარტი**

რუმინეთი-ესპანეთი

ბესიკ ჯანგავაძე




www.sport.gov.ge

საქართველოს ჩემპიონატი — XVI ტური

# თსუ: 158



ფარქვეშ დინამოელები მეტოქეს აშკარად სჯობდნენ, რაც საბოლოო სტატისტიკამაც დაადასტურა: მოხსნებში „დინამომ" 48:30 იმარჯვა.

მეორე პერიოდში დილმელებმა 15-ქულიან უპირატესობას მიაღწიეს. პერიმეტრიდან შედეგიანად უტევდა **დუდა სანაძე** (24 ქულა), რომელიც დრიბლინგების პარალელურად სამქულიანებსაც ისროდა. ფარქვეშ კი ექსმაკაბელი **ილია ლონდარიძე** ყოჩაღობდა, რომელმაც საბოლოოდ 22 ქულა და 13 მოხსნა მიითვალა.

პირველი პერიოდის ბოლოს „სოხუმი" გამოფხიზლდა, დაცვაში თამაში გამოასწორა, შეტევაშიც სიზუსტემ იმატა და სხვაობამაც „ლღობა" იწყო. გამოცდილების, **კანკიას** (25 ქულა), ბერიშვილის (19 ქულა) და **სორდიას** (31 ქულა) აქტიურობის წყალობით ბოლო წუთებზე „სოხუმმა" მცირე უპირატესობა მოიპოვა და საბოლოოდ 104:92 გაიმარჯვა.

დღის მეორე მატჩში „ბათუმმა" „სამედიცინო/აკადემიას" დამაჯერებლად აჯობა - 105:76.

ზღვისპირელთა უპირატესობა უმთავრესად ფარქვეშ აქტიურობამ განაპირობა: „ბათუმმა" „აკადემიას" მოხსნებში 51:31 მოუგო.

გამოცდილმა ჟურნალისტმა მატჩის მსვლელობისას ერთი რჩევა მოგვცა: ქრონოლოგიაზე ბევრი სალაპარაკო თუ არ იქნება, ყურადღება გაამახვილეთ მეტოქეთა რიგებში არსებულ გვარების მსგავსებაზე: „ბათუმში" თამაშობენ **მაისურაძე, ლეჟავა** და **ელიაშვილი**, ხოლო „სამედიცინო/აკადემიაში" - **მაისურაძე, ლეჟავა და ელიაძე**...

ტურის ბოლო მატჩის (თსუ-"ქიათურა") შემდეგ თსუ-ს მთავარმა მწვრთნელმა **ნუგზარ ჭეიშვილმა** აღნიშნა:

- ვეცადეთ, თამაშისთვის მეტი ინტერესი მიგვეცა და ამიტომ მიზნად სეზონის რეკორდის დამყარება დავისახეთ. საბოლოოდ 158 ქულა ჩავაგდეთ, რაც მე-16 ჩემპიონატის რეკორდული მაჩვენებელია.

შეგახსენებთ, რომ თსუ-ელებმა თავისივე რეკორდი განაახლეს - 19 დეკემბერს „ჭიათურას" კალათში 152 ქულა ჰქონდათ ჩაგდებული.

სტუდენტებს ჩემპიონატების აბსოლუტურ რეკორდამდე ოთხიოდე ქულა დააკლდათ. საინტერესოა, რომ ეს რეკორდიც თსუ-ს ეკუთვნის: შარშან „ბათუმთან" 162 ქულა მიითვალეს.

მიმდინარე სეზონში ყველაზე მეტი ორქულიანიც (56) თსუ-ელებმა ჩააგდეს (შაბათს, „ჭიათურასთან")...

ტურის საუკეთესო კალათბურთელად „ენერჯის" უკანახაზელი **ანატოლი ბოისა** დავასახელეთ, რომელმაც შსსსთან მატჩში 19 ქულა და 9 მოხსნა მიითვალა.

| გუნდი | თ | მ | წ | სხ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ენერჯი | 16 | 16 | 0 | 1418/948 | 32 |
| 2. აგრარული | 16 | 14 | 2 | 1305/1093 | 30 |
| 3. თსუ | 16 | 12 | 4 | 1469/1187 | 28 |
| 4. ბათუმი | 16 | 10 | 6 | 1325/1131 | 26 |
| 5. შსს | 16 | 9 | 7 | 1311/1186 | 25 |
| 6. დინამო | 16 | 6 | 10 | 1177/1340 | 22 |
| 7. სოხუმი | 16 | 6 | 10 | 1134/1245 | 22 |
| 8. ავიამშენი | 16 | 4 | 11 | 770/869 | 19* |
| 9. სამედ/აკად. | 16 | 2 | 14 | 1058/1277 | 18 |
| 10. ჭიათურა | 16 | 1 | 15 | 942/1633 | 17 |

*მეორე წრეში „ავიამშენს" ყველა მატჩში ეთვლება ტექნიკური ნაგება - 0:20.

**13 მარტი. თბილისი**
სპორტის სასახლე

**სოხუმი-დინამო 104:92**
14:27, 26:22, 33:13, 31:30

სოხუმი: ტეტელაშვილი (15ქ, 3ჩ), სორდია (31ქ, 7მ), კვეტენაძე (2ქ, 5მ), ბ. ბერიშვილი (19ქ, 3პ, 6მ, 4ჩ), კანკია (25ქ), კობიძე (7ქ, 2დ), სულაბერიძე, გაბელია (5ქ), კობერიძე

დინამო: ნანიტაშვილი (12ქ), ეძგვერაძე (13ქ, 4პ, 3ჩ), სანაძე (24ქ), სიგუა (9ქ, 5მ, 6პ), გემაზაშვილი, ჩაველაშვილი (10ქ, 7მ), დეკანოიძე (2ქ), ლონდარიძე (22ქ, 13მ)

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, ხ. გაბედავა

კომისარი: მ. რატიშვილი

**სამედ/აკადემია-ბათუმი 76:105**
16:29, 19:25, 16:26, 25:25

სამედ/აკადემია: ს. ლეჟავა (3ქ, 3პ), ლომოური (6ქ), ბოქოლიშვილი (20ქ, 5მ, 4პ), ბექაური (4ქ, 2დ, 5ფ), ჯავახიშვილი (9ქ, 6მ), ელიაძე (12ქ), მაისურაძე (8ქ), ჩქარეული (8ქ), ღვალაძე (6ქ), ჭიჭველიშვილი, მუმლაძე

ბათუმი: მიქელაძე (2ქ), ვ. მაისურაძე (11ქ, 5მ, 3ჩ), ბ. ლეჟავა (18ქ, 6მ, 5პ), თავართქილაძე (3ქ), ელიაშვილი (5ქ), კეშელავა (23ქ), ნინუა (10ქ), მ. ბოლქვაძე (11ქ, 10მ), იმნაძე (22ქ, 16მ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, გ. მიქელაძე

კომისარი: რ. ხომერიკი

**ჭიათურა-თსუ 69:158**
20:36, 8:34, 21:43, 20:45

ჭიათურა: ფ. გურული (27ქ, 6მ), არონია (5ქ), ხაჩიური (4ქ), ენუქიძე (8ქ, 7მ, 3პ), დოლიძე (7ქ, 6მ, 4პ), სვანიძე (3პ), გაბუნია (5ქ, 5მ), მჭედლიშვილი (5ქ, 5ფ), თავამაიშვილი (8ქ, 6მ, 5ფ),

თსუ: ფანჩულიძე (35ქ, 4პ), გაფრინდაშვილი (4ქ, 10პ, 7ჩ), მინაშვილი (41ქ, 5მ), კობრეიძე (11ქ, 10მ, 9პ), კეიდია (9ქ), ლოსაბერიძე (15ქ), ხეცურიანი (16ქ, 9პ, 5მ), ივანეიშვილი (8ქ), დ. ბარბაქაძე (11ქ, 16მ, 5პ, 3ჩ, 4დ), ხიზანიშვილი (14ქ), კუჭავა (5ქ), შანიძე (8ქ), დეკანოიძე, ვ. ბოლქვაძე (5ქ)

მსაჯები: დ. არეშიძე, მ. ანდღულაძე

კომისარი: მ. რატიშვილი

პარასკევს რუსთავში გამართული ომის შემდეგ თბილისურმა მატჩებმა შედარებით მშვიდობიანად ჩაიარა: თსუ-მ „ჭიათურას" 158 ქულა ჩაუგდო და სეზონის რეკორდი დაამყარა, „ბათუმმაც" დაგეგმილი გამარჯვება მოიპოვა, ხოლო შედარებით დაძაბული ბრძოლა „დინამო"-"სოხუმის" მატჩში ვიხილეთ.

შეიძლება, სოხუმელები „დინამოსგან" მეტად აგრესიულ თამაშს არ ელოდნენ. ამიტომაც პირველ ტაიმში **ბუბა ბერიშვილის** გუნდს ჩვეული თამაშის დემონსტრირება გაუჭირდა.

ქართველი NBA-ში

# ფაჩულიას ნამოქმედარს ტელევიზია არაერთხელ დაატრიალებს

„ძალიან ლამაზი გამოვიდა. ზაზამ ყველაფერი კარგად შეასრულა. ფაჩულიას ნამოქმედარს ამ კვირაში ტელევიზია არაერთხელ დაატრიალებს", - განუცხადა გაზეთ „ატლანტა კონსტიტუშენს" „ატლანტა ჰოქსის" ფორვარდმა **ჯოშ სმიტმა**.

გაგიჩნდებოდათ კითხვა: რა ჩაიდინა ზაზამ? პასუხი ოთხი ასოსგან შედგება - პასი. მან მეორე პერიოდის მეხუთე წუთზე ბურთი ზურგსუკან მყოფ ჯოშ სმიტს გადააწოდა, კალათთან მარტო დარჩენილ სმიტს კი ეფექტურად ჩატენვა ნამდვილად არ ეშლება...

ამ დროს ტაბლოზე „ატლანტას" სასარგებლოდ 49:25 დაფიქსირდა. მანამდე, პირველი თორმეტწუთეულის ბოლოს ქართველმა ცენტრმა ფარქვეშიდან ორქულიანი გამოიყენა და - 30:11.

პირველ ტაიმში მოპოვებული ასეთი უპირატესობის განიავება მაღალი მიზნებისთვის მებრძოლ გუნდს არ შეეფერება. სწორედ ეს დაამტკიცა „ატლანტამ" და „დეტროიტი" 112:99 დაამარცხა.

ზაზამ პირველ ტაიმში მოგროვებულ 2 ქულას (ერთადერთი ტყორცნა შეასრულა), 1 მოხსნას და 1 პასს მეოთხე პერიოდში 5 მოხსნა მიამატა. მან მოედანზე 17 წუთი გაატარა.

მასპინძელთაგან ყველაზე მეტი **ჯო ჯონსონმა** ჩააგდო - 26 ქულა, ჯოშ სმიტმა 18 ქულა და 11 პასი გაიფორმა, ხოლო **ჯამალ კროუფორდმა** - 17 ქულა.

რადგან ამბავი პასით დავიწყეთ, იმასაც გეტყვით, რომ „ატლანტამ" 35 შედეგიანი გადაცემა შეასრულა, რაც ამერიკაშიც მაღალი მაჩვენებელია.

„ჰოქსი" აღმოსავლეთის კონფერენციაში „ორლანდოს" მისდევს, ხუთი მოგებით ჩამორჩება - 42 გამარჯვება და 23 ნაგება აქვს. მეოთხეადგილოსან „ბოსტონს" 41 მოგება უწერია...

ზაზა ფაჩულიას თანაგუნდელები 16 მარტს ეწვევიან თანაკონფერენციელ „ნიუ ჯერსის", რომელსაც 66 მატჩიდან 7 აქვს მოგებული.

**ატლანტა-დეტროიტი 112:99**

ზაზა ფაჩულია: 17 წუთი, 2 ქულა, 6 მოხსნა, 1 პასი, 3 ფოლი

| | |
|---|---|
| **I პერიოდი** | |
| 02:52 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 01:25 | ორქულიანი: 2ქ (30:11) |
| 00:06 | ზაზა უესტმა შეცვალა |
| **II პერიოდი** | |
| 09:49 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 07:01 | პასი: 1 (სმიტი 2ქ, 49:25) |
| 06:00 | ზაზა ჰორფორდმა შეცვალა |
| **IV პერიოდი** | |
| 11:43 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 |
| 10:41 | მოხსნა: შეტ-1, დაც-2 |
| 10:06 | მოხსნა: შეტ-1, დაც-3 |
| 09:13 | მოხსნა: შეტ-2, დაც-3 |
| 08:34 | ფოლი: 1 |
| 06:13 | ფოლი: 2 |
| 06:13 | ზაზა ჰორფორდმა შეცვალა |
| 02:22 | ზაზამ ჯონსონი შეცვალა |
| 01:22 | მოხსნა: შეტ-2, დაც-4 |
| 00:42 | ფოლი: 3 |



ზაზა ფაჩულია

# ცინცაძის 11, სოპოტის 66

პოლონეთის ჩემპიონატში საუკეთესო მატჩი ჩაატარა **გიორგი ცინცაძემ**, რომელმაც ვარშავის „პოლონიას" დამარცხებაში დიდი წვლილი შეიტანა. ბუმ 21 წუთი ითამაშა, 6-დან 4 ორქულიანი, 4-დან 3 საჯარიმო გამოიყენა და 11 ქულას 6 მოხსნა, 3 პასი და 2 ჩაჭრა მიამატა.

მიუხედავად იმისა, რომ ცინცაძის „სოპოტი" შინაურ კედლებში თამაშობდა, ვარშაველთა ძლევა მაინც გაუჭირდა: „პირველ წუთებზე „პოლონიას" კალათბურთელები დაწინაურდნენ, თუმცა „სოპოტმა" თამაში მეშვიდე წუთის შემდეგ გამოასწორა, როცა მოედანზე **მალესა, ცინცაძე** და **რატაიჩიკი** შევიდნენ. საწყისი ათწუთეული „სოპოტმა" 11:8 მოიგო.

მეორე პერიოდში კვლავ სტუმრებმა იმარჯვეს და დიდი შესვენების წინ 28:21 დაწინაურდნენ. მეორე ტაიმში მასპინძლები სხვაობას ნელ-ნელა ამცირებდნენ, სირენამდე 4 წუთით ადრე ანგარიში გიორგი ცინცაძემ გაათანაბრა - 52:52. დარჩენილ დროში სოპოტელებმა მეტოქეს არაფერი დაუთმეს და 66:60 გაიმარჯვეს.

მატჩის ბომბარდირი 12 ქულით **ჰლებოვიცკი** გახდა, ვიცე-სნაიპერზე უკვე გესაუბრეთ...

გიორგი ცინცაძის გუნდში ჩარიცხვის შემდეგ „სოპოტმა" მეხუთე მატჩი ჩაატარა და ამდენივე გამარჯვება მოიპოვა. 23 ტურის მერე ბუს თანაგუნდელებს 15 მოგება აქვთ და მესამეადგილოსან „პოლფარმას" 2 მოგებითღა ჩამორჩებიან. პოლონეთის რეგულარული ჩემპიონატის დასრულებამდე სამი ტური დარჩენილი.

17 მარტს „სოპოტი" მეექვსეადგილოსან „კოზალინს" ესტუმრება.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**



# კანტუ მილანით ამაღლდა



გუშინ, იტალიის დროით 12 საათზე **მანუჩარ მარკოიშვილის** „კანტუმ" „მილანს" უმასპინძლა და ბოლო წუთებზე მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა - 64:59.

ქართველმა უკანახაზელმა მატჩი სასტარტო ხუთეულში დაიწყო, 22 წუთში 7 ქულა (6-დან 2 ორქულიანი, 3-დან 1 სამიანი), 4 მოხსნა და 1 პასი მიითვალა.

მანუმ პირველი ორქულიანი საწყის წუთზე ჩააგდო, მეორე პერიოდის ბოლოს მან ორიანს სამქულიანი მიაყოლა და „კანტუს" 10-ქულიანი ჩამორჩენა ხუთამდე შეამცირა (36:31).

მეორე ტაიმში მანუჩარს ქულა არ ჩაუგდია, თუმცა გადამწყვეტ მომენტებში მოედანზე იყო. ბოლო წამებზე იგი საკუთარი ფარიდან ასხლეტილ ბურთს დაეუფლა, რის შემდეგაც მილანელებს ქულაც არ ჩაუგდიათ, ხოლო მასპინძელმა **ნიკოლა მარაცინომ** საჯარიმოთი საფინალო ანგარიში დააფიქსირა - 64:59.

გამარჯვებულთაგან ორნიშნას მხოლოდ ორმა კალათბურთელმა უწია: **მაარტენ ლუნენმა** 21 ქულას მოუყარა თავი, ხოლო **ჯერი გრინმა** 10 ქულა ჩააგდო.

„კანტუმ" მეოთხეადგილოსანი „მილანის" ძლევით მეშვიდე ადგილიდან აინაცვლა, თუმცა, რადგან მისი უშუალო კონკურენტების თამაშები გუშინ გვიან დასრულდა, სატურნირო მდგომარეობაზე ხვალ გამცნობთ. ხვალვე შემოგთავაზებთ გვიან დასრულებული „ვირტუსი"-"ვარეზეს" შეხვედრაში **ვიქტორ სანიკიძის** თამაშის მიმოხილვას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფარიკაობა

# გზას იკაფავენ მსოფლიოს პირველობისკენ

აპრილის პირველ დეკადაში აზერბაიჯანის დედაქალაქი ახალგაზრდა და კადეტ მოფარიკავეთა მსოფლიოს პირველობას უმასპინძლებს. პასუხსაგები შეჯიბრებისთვის მონდომებით ემზადებიან ქართველი მუშკეტერები, რომლებიც გასულ უქმეებზე საქართველოს პირველობაში მონაწილეობდნენ. საფარიკაო ბილიკებზე სხვადასხვა რეგიონის 1990 წელსა და უფრო გვიან დაბადებულმა ასამდე სპორტსმენმა მოსინჯა საკუთარი შესაძლებლობები. განსაკუთრებით დაძაბული გამოდგა დაშნით გოგონათა ფინალური შეხვედრა. თბილისელი **მარი ლომიძისა** და ქუთაისელი **ხატია ლელაძის** ორთაბრძოლა ძირითად დროში ფრედ — 11:11 დამთავრდა. დამატებით ერთწუთიან მონაკვეთში ლომიძემ მომგებიანი ჩხვლეტა მიაყენა მეტოქეს და ოქროს მედალიც დაიმსახურა. ამავე სახეობაში ვაჟთა გადამწყვეტი პაექრობა რუსთაველმა **გიორგი ქაფიანიძემ** შედარებით იოლად მოუგო დედაქალაქელ **ზვიად სისაურს**.

მოხმალავე გოგონათა ტრადიციული თბილისური დუელი ამჯერადაც **თათია აფციაურის** გამარჯვებით დამთავრდა: დაძაბულ ბრძოლაში **თეოდორა კახიანს** აჯობა — 15:13. ვაჟებში წარმატებას **ლაშა მიქელაძემ** (აჭარა) მიაღწია — ფინალში მან ქუთაისელ **სანდრო ბაზაძეს** ქულით მოუგო.

რაპირაში ახალგაზრდებს შორის პირველად ავიდნენ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე 13 წლის **თეონა გოგლიძე** და 16 წლის **არჩილ უგულავა**, რომლებმაც **ციმი ხარხელაურსა** და **სანდრო სიხარულიძეს** (ოთხივე — თბილისი) სძლიეს.

— გვახარებს ახალგაზრდა მოფარიკავეთა ბოლოდროინდელი წარმატებები, რაც წინსვლის საწინდარია, — გვითხრა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **მერაბ ბაზაძემ**. — განსაკუთრებით თეოდორა კახიანი მინდა გამოვყო. გასული წლის სექტემბრიდან ევროპის თასის ექვს გათამაშებაში, რომლებშიც 37 ქვეყნის წარმომადგენლები (მათ შორის — ამერიკის, კანადის, დომინიკის რესპუბლიკის, ვენესუელის, ეგვიპტის სპორტსმენებიც გამოდიოდნენ მათივე თხოვნით) მონაწილეობდნენ, კახიანმა თურქეთში მეორე, ბულგარეთში მესამე და გერმანიაში მერვე ადგილები დაიკავა. ამჟამად იგი თანატოლთა შორის 2009-2010 წლების მსოფლიო კლასიფიკაციაში მეთერთმეტე ადგილზეა. მიხეილ მარდალეიშვილს 23-ე, სანდრო ბაზაძეს კი 51-ე ადგილები უკავიათ. შესაძლოა, უკეთესი მაჩვენებლებიც გვქონოდა, ათენში კადეტთა ევროპის პირველობაზე საკუთარი შესაძლებლობები ბოლომდე რომ წარმოეჩინათ და მსაჯებიც უფრო ობიექტურები ყოფილიყვნენ.



მარცხნიდან: თეონა გოგლიძე, თათია აფციაური, არჩილ უგულავა და თეოდორა კახიანი
ავტორის ფოტო

თეოდორა კახიანმა ოცკაციან ჯგუფში ზედიზედ სამი შეხვედრა მოიგო და ძირითად ბადეში გაალწია, სადაც რუს **ტატიანა სივკოვას** დანებდა. საბოლოოდ 25-ე ადგილს დასჯერდა.

მიხეილ მარდალეიშვილმა ჯგუფში ოთხ მეტოქეს აჯობა, მთავარ ბადეში ბრიტანელი **კრის ლავრენსი** დაჯაბნა (15:10) და მეთექვსმეტედფინალში აზერბაიჯანელ **აზარ ტაგიევს** დაუპირისპირდა. ეს სპორტსმენი მიხეილს სხვადასხვა შეჯიბრებაზე შვიდჯერ მაინც ჰყავს დამარცხებული. იმ პაექრობასაც 8:4-ს იგებდა. ეტყობა, ნაადრევად ირწმუნა წარმატება და დაისაჯა კიდეც — 13:15 წააგო, რამაც მხოლოდ 23-ე ადგილი არგუნა.

სანდრო ბაზაძე ორი ორთაბრძოლის მოგების შემდეგ უკრაინელ **რომან სიდორენკოს** შეხვდა. პირველ ტაიმში 8:4 დაწინაურდა. ამის შემდეგ რაც მსაჯებმა გაკეთეს, ყოველგვარი ზნეობის ზღვარს სცილდება: უკრაინელს 4 მუქთი ქულა აჩუქეს და ანგარიში გაათანაბრებინეს. პროტესტი რომ გამოვთქვი, შავი ბარათით დარბაზი დამატოვებინეს და სანდრომაც ის ორთაბრძოლა დათმო. საბოლოოდ 50-ე ადგილი ერგო, ქუთაისელი **დავით უკლება** კი მე-60 ადგილზე გავიდა. რაპირაში არჩილ უგულავას 70-ე ადგილი ხვდა.

პირველი აპრილიდან კახიანი, მარდალეიშვილი, ბაზაძე და უგულავა ერთდროულად კადეტთა და ახალგაზრდების მსოფლიოს ჩემპიონატში ჩაებმებიან და სინგაპურის მსოფლიოს ახალგაზრდობის ოლიმპიური თამაშების საგზურისთვის იბრძოლებენ. მანამდე კი 20 მარტიდან თვის ბოლომდე თბილისში საწვრთნელ შეკრებას გაივლიან სხვა მოფარიკავეებთან ერთად, რომლებიც აზერბაიჯანის დედაქალაქში გამოვლენ. შესაძლოა, ამ შეკრებისას მოლდოველები და ბულგარელებიც შეუერთდნენ.

— ბაქოს ტურნირის შემდეგ დიდი სტუმრიანობა გვექნება, — ჩაერია საუბარში საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის გენერალური მდივანი **დავით სახვაძე**. — 11-14 აპრილს ევროპის ფარიკაობის ფედერაციის ჩეხ პრეზიდენტს ფრანტიშეკ იანდას და საერთაშორისო ფედერაციის უკრაინელ გენერალურ მდივან მაქსიმ პარამონოვს ვუმასპინძლებთ. სტუმრები ჩვენს ბაზებს დაათვალიერებენ, საქართველოს სპორტის მესვეურებს შეხვდებიან. საქმიანი საუბრები გვექნება სამომავლო გეგმებზე.

საერთაშორისო ოლიმპიური სოლიდარობის დაფინანსებით 11-დან 18 აპრილამდე ორი მაღალკვალიფიციური უცხოელი ექსპერტი გვეწვევა: ხმალში უკრაინელი გარიკ დავიდიანი და დაშნაში შვედი იგორ ჩიკინიოვი, რომლებიც მთელი კვირის განმავლობაში მწვრთნელთა სემინარებს ჩაატარებენ. სწავლებაში ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის 20-25 წარმომადგენელი მიიღებს მონაწილეობას, რომლებიც ქართული ფარიკაობის განვითარებისთვის ძალ-ღონეს და ენერგიას არ იშურებენ. ყოველივე ეს დიდად დაგვეხმარება იმ შეჯიბრებებისთვის მოსამზადებლად, რომლებიც წლეულს გველის: 22-25 აპრილს თურქეთის ფარიკაობის ფედერაციის მიწვევით 10-12 წლის სპორტსმენებს ანტალიის საერთაშორისო ტურნირზე გავგზავნით. 26-28 აპრილს პოლონურ გდანსკში 23-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატია დაგეგმილი. 16-22 ივლისს ლაიპციგი ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს, ხოლო წლის დამაგვირგვინებელი შეჯიბრება — მსოფლიოს ჩემპიონატი 4-13 ნოემბერს პარიზში გაიმართება. ყველაფერს ვილონებთ, რათა ჩვენმა მოფარიკავეებმა ამ შეჯიბრებებში ღირსეულად იასპარეზონ...

**კვარცხლბეკი**

**ხმალი. გოგონები:** 1. თათია აფციაური, 2. თეოდორა კახიანი, 3. სალომე მომცემლიძე და სოფიკო კახიანი (ოთხივე — თბილისი). **ვაჟები:** 1. ლაშა მიქელაძე (აჭარა), 2. სანდრო ბაზაძე, 3. გიორგი გორგიძე და მიხეილ მარდალეიშვილი (სამივე — ქუთაისი).

**რაპირა. გოგონები:** 1. თეონა გოგლიძე, 2. ციმი ხარხელაური, 3. ხატია უგულავა (სამივე — თბილისი) და მერი გოქაძე (ქუთაისი). **ვაჟები:** 1. არჩილ უგულავა, 2. სანდრო სიხარულიძე, 3. ლუკა ლალანიძე (სამივე — თბილისი) და ბექა ბენიძე (ქუთაისი).

**დაშნა. გოგონები:** 1. მარი ლომიძე (თბილისი), 2. ხატია ლელაძე, 3. ქრისტინე მიქაძე (ორივე — ქუთაისი) და დალი მამულაშვილი (თბილისი). **ვაჟები:** 1. გიორგი ქაფიანიძე (რუსთავი), 2. ზვიად სისაური, 3. ნიკოლოზ ზურაბიშვილი (ორივე — თბილისი) და ირაკლი ამბროლაძე (ქუთაისი).

ვაჟა დანელია

სამბო

# ხერგიანმა საგზური მოიპოვა...

25 რაიონისა და ქალაქის 250 სამბისტის მონაწილეობით გლდანის ოლიმპიური მზადების ცენტრში გაიმართა საქართველოს ახალგაზრდული პირველობა სამბოში.

პარალელურად, ჩატარდა ეროვნული ნაკრებისთვის შესარჩევი შეჯიბრება 57, 62, 68 და 74 კილოგრამ წონით კატეგორიებში, სადაც ნაკრების უფროს მწვრთნელ **ოლეგ იაძეს** და მწვრთნელთა საბჭოს საბოლოოდ არ ჰყავდათ გამოკვეთილი ლიდერები 13-17 მაისს მინსკში, ევროპის 2010 წლის ჩემპიონატში საასპარეზოდ. ეს ოთხეული სწორედ გლდანში გაირკვა. ერთგვარი სიურპრიზი იყო სამბოს ხალიჩაზე სახელოვანი ძიუდოისტის, ათენის (2004) ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალოსნის **ნესტორ ხერგიანის** გამოჩენა. თუმცა მრავალნაცადი ხერგიანი ძიუდოში სწორედ სამბოდან მივიდა. ის ახალგაზრდა სამბისტთა შორის მსოფლიოს ჩემპიონია (1994). ნესტორმა **ლევან ჩუბინიძესთან** გადამწყვეტი შერკინება მოიგო და 62 კილოში მინსკში სამბისტთა ევროპის ჩემპიონატზე გასამგზავრებელი საგზურიც მოიპოვა. თუმცა მანამდე, 26 მარტს, ნესტორი მოსკოვში დიდ საერთაშორისო ტურნირს იჭიდავებს ძიუდოში. თავის წონაში საგზური მოიპოვა **ავთანდილ ცინცაძემ** (57 კგ), რომელმაც ფინალური შეხვედრაში **ამირან პაპინაშვილს** სძლია. 68 კილოში ევროპის ჩემპიონატს **ლევან ნახუცრიშვილი** იჭიდავებს - მან ფინალში **გელა სანიკიძე** დაამარცხა.

74 კგ-ში კი მინსკის ხალიჩაზე გორელი **ზვიად ბაზანდარაშვილი** გამოვა. მას ზუგდიდელი **ოთარ ახალაია** ეცილებოდა საგზურს. ბაზანდარაშვილმა ეფექტური გდებით მოახერხა მეტოქის დაჯაბნა. სამბისტთა ახალგაზრდული ნაკრები კი საბერძნეთში (ქ. სალონიკი) 16-19 აპრილს იასპარეზებს ევროპის პირველობაზე. თუ ეროვნული ნაკრები ევროპის ჩემპიონატამდე ორ საწვრთნელ შეკრებას გაივლის ჯერ გლდანში, შემდეგ ბელარუსში (სტაიკებში), ჭაბუკთა და ახალგაზრდული ნაკრებები ევროპის პირველობისთვის საწვრთნელ შეკრებას უსახსრობის გამო ვერ ახერხებენ. ის კი არა, გასამგზავრებელი თანხებიც სანახევროდ აქვთ, ნახევარი კი იმ რაიონისა და ქალაქების მესვეურთა იმედზეა, საიდანაც ნაკრების წევრები არიან...

საქართველოს ახალგაზრდულ პირველობას, რაღა თქმა უნდა, ესწრებოდა სამბოს ფედერაციის პრეზიდენტი **ლევან თედიაშვილი**, რომელმაც თვითონ იმსაჯა 90 კგ-ში **ზაზა დავაძისა და ალექსი მილდიანის** ფინალური შერკინება. სწორედ ამ წონაში გახდა ლევანი სამბოში მსოფლიოს ჩემპიონი 37 წლის წინათ, 1973 წელს თეირანში — მსოფლიოს პირველ ჩემპიონატზე.

**კვარცხლბეკი:**

48 კგ: 1. იური ჯიხვაშვილი (ქუთაისი) 2. სოსო მარანელი (გორი), 3. აბესალომ ვაშაყმაძე (რუსთავი), 3. ლევან ბერბერაშვილი (თიანეთი).

52 კგ: 1. ლაშა ლატარია (ფოთი), 2. ბექა მხეიძე (ვანი), 3. გივი ნადარეიშვილი (ფოთი), 3. რამაზ ხახიაშვილი (თიანეთი).

57 კგ: 1. გენადი ჩირგაძე (ქუთაისი), 2. ვახტანგ ჩიდრაშვილი (თელავი), 3. თენგიზ მეკოკიშვილი (საგარეჯო), 3. შმაგი ყაჭიური (დუშეთი).

62 კგ: 1. გიორგი ტაბატაძე (გორი) 2. ბექა ფურცხვანიძე (ფოთი), 3. თამაზ თათარაშვილი (დუშეთი), 3. ზაზა დადვანი (ბოლნისი).

68 კგ: 1. ბესარიონ შვანგირაძე (სამტრედია), 2. ლევან დადვანი (ბოლნისი), 3. პაატა დოლიაშვილი (თიანეთი), 3. ლაშა ვეშაგური (თბილისი).

74 კგ: 1. ზებედა რეხვიაშვილი (რუსთავი), 2. ბექა ბერულავა (ზუგდიდი), 3. გიორგი პაპუნაშვილი (გორი), 3. არჩილ უსტარაშვილი (თბილისი).

82 კგ: 1. ვახტანგ სარაჯიშვილი (ახმეტა), 2. გიორგი არაბული (საგარეჯო), 3. მურთაზ პეტრიაშვილი (თბილისი), 3. ნოდარ კუდუხაშვილი (გორი).

90 კგ: 1. ზაზა დავაძე (მარნეული), 2. ალექსანდრე მილდიანი (დმანისი), 3. შოთა ცინცაძე, 3. გიორგი კობაიძე (ორივე - თბილისი).

100 კგ: 1. შოთა მონონელიძე (ქუთაისი), 2. შავლეგ ბერუაშვილი (ქარელი), 3. ვლადიმერ აფციაური (რუსთავი), 3. ბექარ ნემსაძე (ქუთაისი).

+100 კგ: 1. ლევან მუქერია (თბილისი), 2. ამირან წაქაძე (ზესტაფონი), 3. ილია მაჭავარიანი (თბილისი), 3. ვაჟა დაბრუნდაშვილი (ქარელი).

გაბრიელ ბარჯაძე

ჭადრაკი

# ნაბიჯი კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხურისკენ

ერთდღიანი შესვენების შემდეგ ხორვატულ რიეკაში მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის მონაწილენი კვლავ მიუსხდნენ 64-უჯრიან მაგიდებს. ჩვენი ყურადღება, ცხადია, **ბაადურ ჯობავას** და ტურნირის რეიტინგ-ფავორიტის, უნგრელი **ზოლტან ალმაშის** (2720) პარტიისკენ იყო მიპყრობილი. გალელმა დიდოსტატმა ქომაგებს მორიგი სიხარული აჩუქა - მრისხანე მეტოქე 53-ე სვლაზე აიძულა, საათი გაეჩერებინა, რითაც კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხურისკენ.

ლიდერთა დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: **ზახარ ეფიმენკო** (უკრაინა)-**ვლადიმირ აკოფიანი** (სომხეთი) 0.5:0.5, **ივან ნეპომნიაშჩი** (რუსეთი)-**ერნესტო ინარკიევი** (რუსეთი) 1:0, **ალექსანდრ რიაზანცევი** (რუსეთი)-**ივან სოკოლოვი** (ბოსნია) 0:1, **რაუფ მამედოვი** (აზერბაიჯანი)-**დენის ხისმატულინი** (რუსეთი) 0.5:0.5, **ფრანცისკო ვალიეხო** (ესპანეთი)-**ბოიან ვუკოვიჩი** (სერბეთი) 0.5:0.5, ფაბიანო კარაუნა (იტალია)-**დავით არუთინიანი** 1:0, **ბაჩანა მორჩიაშვილი**-ივან სალგადო (ესპანეთი) 0:1, **თამაზ გელაშვილი-დავით ბენიძე** 1:0, იანიკ პელეტიერი (შვეიცარია)- **მალხაზ სულაშვილი** 0.5:0.5, ევგენი რომანოვი (რუსეთი)-**გაიოზ ნიგალიძე** 0.5:0.5. **მერაბ გაგუნაშვილი**-ევგენი კალეგინი (რუსეთი) 1:0, მიროსლავ ზუფიჩი (ხორვატია)-**თორნიკე სანიკიძე** 0:1, გადირ გუსეინოვი (აზერბაიჯანი)-**შოთა აზალაძე** 0.5:0.5, ნესტორ-ანდრეი გიოარა (რუმინეთი)-**ლევან ფანცულაია** 0:1.

ამდენად, 8 ტურის შემდეგ 7 ქულით ერთპიროვნულად ბაადურ ჯობავა მეწინავეობს. ლიდერს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებიან ეფიმენკო, ნეპომნიაშჩი და სოკოლოვი. 5 მოჭადრაკეს (აკოფიანს, მამედოვს, ხისმატულინს, ვალიეხოს, ვუკოვიჩს) 6-6 ქულა აქვთ. ჩვენებურთაგან გელაშვილმა, გაგუნაშვილმა და სანიკიძემ 5-5, არუთინიანმა, მორჩიაშვილმა, სულაშვილმა, ნიგალიძემ, ფანცულაიამ - 4.5-4.5, ბენიძემ, აზალაძემ და ბენიძემ 4-4 ქულა მოაგროვეს.

ქალებში ორხელისუფლებიანობაა. მას შემდეგ, რაც **მონიკა სოჩკო** (პოლონეთი) და **პია კრამლინგი** (შვედეთი) დაზავდნენ, ხოლო **ვიქტორია ჩმილიტემ** (ლიტვა) **ქეთევან არახამია-გრანტი** (შოტლანდია) დაამარცხა, პოლონელმა და ლიტველმა 6.5-6.5 ქულას მოუყარეს თავი.

გაუწყებთ მე-8 ტურის ჩვენთვის საინტერესო შეხვედრების შედეგებს: **ელენა დემბო** (საბერძნეთი)-**ანტუანეტა სტეფანოვა** (ბულგარეთი) 0.5:0.5, **ანა მუზიჩუკი** (სლოვენია)-**ლილით გალოიანი** (სომხეთი) 1:0, **ევა მოზერი** (ავსტრია)-**ტატიანა კოსინცევა** (რუსეთი) 0:1, **მარია მუზიჩუკი** (უკრაინა)-**მარი სებაგი** (საფრანგეთი) 0.5:0.5, **მარია რომანკო** (რუსეთი)-**ლელა ჯავახიშვილი** 0.5:0.5, **ნატალია ჟუკოვა** (უკრაინა)-**ივეტა რაილიჩი** (პოლონეთი) 1:0, **ანასტასია სავინა** (რუსეთი)-**თრანგ თან ჰოანგი** (უნგრეთი) 0:1, ელმირა სკრიპჩენკო (საფრანგეთი)-**ნინო ხურციძე** 0:1, იოანა მაიდანი (პოლონეთი)-**ნანა ძაგნიძე** 0:1, ინა გაპონენკო (უკრაინა)-**ინგა ჭარხალაშვილი** 0.5:0.5, ელენა-ლუმინიცა კოსმა (რუმინეთი)-**სალომე მელია** 0:1, იოლანტა ზავადსკა (პოლონეთი)-**სოფიკო გურამიშვილი** 1:0, **ბელა ხოტენაშვილი**-ბეატა კაძიოლკა (პოლონეთი) 1:0, **მაკა ფურცელაძე**-ნატალია ზდებსკაია (უკრაინა) 1:0, ტურკან მამედიაროვა (აზერბაიჯანი)-**სოფიო გვეტაძე** 0:1, ოლგა გირია (რუსეთი)-**მერი არაბიძე** 1:0, პეტრა პაპი (უნგრეთი)-**მაია ლომინეიშვილი** 1:0, კუბრა ოზთურქი (თურქეთი)-**ნაზი პაიკიძე** 0.5:0.5, **ქეთი ნანალაშვილი**-იუდით ფუჩსი (გერმანია) 1:0, **მარიამ დანელია**-ნელი აგანიანი (სომხეთი) 0,5:0,5.

6-6 ქულა აქვს 8 მოჭადრაკეს: ევროპის ჩემპიონის მძლეველ ხურციძეს, სტეფანოვას, ანა მუზიჩუკს, ტატიანა კოსინცევას, ჰოანგს, კრამლინგს, ჟუკოვასა და დემბოს. ნახევარ-ნახევარი ქულით ნაკლები მოაგროვეს ძაგნიძემ, ჯავახიშვილმა, მელიამ; ხოლო გვეტაძემ, ფურცელაძემ, ჭარხალაშვილმა, ხოტენაშვილმა-5-5, გურამიშვილმა-4.5, არაბიძემ, ნანალაშვილმა-4-4, დანელიამ, ლომინეიშვილმა-3.5-3.5 ქულა.

დღეს მე-9 ტურის პარტიებია. ჯობავა შავი ფიგურებით ნეპომნიაშჩის დაუპირისპირდება, ხურციძე-კრამლინგს, ჯავახიშვილი-მარია მუზიჩუკს, ძაგნიძე-რომანკოს, მელია კი - ზავადსკას.

ვაჟა დანელია

სამთო თხილამურობა

# იასონი მეოთხე ადგილით დაბრუნდა

12-13 მარტს თურქულ ერზერუმში ფის-ის ეგიდით ორი საერთაშორისო შეჯიბრება გაიმართა, სამთო-მოთხილამურეებმა ჯერ სლალომში სცადეს ბედი, შემდეგ გიგანტურ სლალომში. ტურნირში ოთხმა ჩვენებურმა მიიღო მონაწილეობა: **იასონ აბრამაშვილმა, კოტე ვახტანგიშვილმა, ალექსი ბენიანიძემ** და 15 წლის **კახა კურტანიძემ**. პირველ დაშვებაზე ხელი ბენიანიძეს მოეცარა, მეორეზე კი ვახტანგიშვილს. კურტანიძე საბოლოოდ 22-ე ადგილზე გავიდა. ნაკრების ლიდერმა იასონ აბრამაშვილმა კი 1:27.48 წუთი შედეგით მე-8 ადგილი დაიკავა. შეგახსენებთ. რომ ოლიმპიადის შემდეგ იასონმა პირველად იასპარეზა.

გიგანტურ სლალომში კურტანიძის ნაცვლად **დავით თედიაშვილმა** მიიღო მონაწილეობა. ბენიანიძესა და ვახტანგიშვილს კვლავ მოეცარათ ხელი, თედიაშვილს დისკვალიფიკაცია მისცეს, აბრამაშვილმა კი 1:28.99 შედეგით მე-4 ადგილი დაიკავა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

წყალბურთი

# ორი მოგება, ორი წაგება

ათი გუნდის მონაწილეობით დნეპროძერჟინსკში დამთავრდა წყალბურთელ ვაჟთა უკრაინის XIX ლია ჩემპიონატის მე-3 ტური. გაუწყეთ, რომ საქართველოს ნაკრებმა სამი შეხვედრიდან ორი მოიგო და ერთი წააგო. ასპარეზობის მესამე დღეს ჩვენმა წყალბურთელებმა კიდევ ერთი მარცხი იწვნიეს — ამჯერად სევასტოპოლის ნაკრებისგან — 9:10 (0:4, 1:2, 3:2, 5:2). პირველი ტაიმი ქართველებმა პირწმინდად დათმეს, მერე კი ეცადნენ მდგომარეობის გამოსწორებას, მაგრამ სასურველ მიზანს მაინც ვერ მიაღწიეს.

პირველი მარცხი იგემა ერთპიროვნულმა ლიდერმა მარიუპოლის „ილიჩევეცმა", რომელსაც ხარკოვის ბმკ-მ სძლია 4:2. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ხარკოვის ხპი-მინსკი 5:9, სევასტოპოლი-მოლდოვა 13:10, ლვოვის „დინამო"-„ილიჩევეცი" 7:8, მინსკი-მოლდოვა 9:7, „ილიჩევეცი"-ხარკოვის ხპი 16:5, დნეპროპეტროვსკი-ხარკოვის ბმკ 2:30, სევასტოპოლი-ლვოვის „დინამო" 9:3, მოლდოვა-დნეპროპეტროვსკი 4:14.

ვაჟა დანელია

ეროვნული ბიბლიოთეკა



მძლეოსნობა

# საქართველოს რეკორდით დამშვენებული ოქრო ამერიკაში

გასულ უქმეებზე არკანზასის შტატის (აშშ) ქალაქ ფეიტევილში ამერიკის ზამთრის საუნივერსიტეტო ჩემპიონატი გაიმართა. შეჯიბრებაში მედლებისთვის იბრძოდა ათენისა და პეკინის ოლიმპიური თამაშების მონაწილე ქართველი მძლეოსანი **მარიამ ქევხიშვილი**, რომელიც მეოთხე წელიწადია, აშშში სწავლობს და იქვე ვარჯიშობს. მარიამმა წლეულს ექვსი საუნივერსიტეტო ტურნირი მოიგო ბირთვის კვრაში და საქართველოს ზამთრის ჩემპიონატების რეკორდი ორჯერ გააუმჯობესა. ქევხიშვილი ფეიტევილშიც კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა და კვლავ საქართველოს რეკორდით — ამჯერად მან ბირთვი 18,59-მეტრიან ზღვარს გადააცილა და უწინდელი საკუთარივე მიღწევა 3 სანტიმეტრით გააუმჯობესა (დოჰაში მძლეოსანთა ზამთრის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ამ შედეგით მე-8 ადგილს დაიკავებდა). ამერიკის საუნივერსიტეტო ჩემპიონატების ისტორიაში მეორე ქალია ბირთვის მკვრელთა შორის, რომელმაც ეს შეჯიბრება მესამედ მოიგო.


მარიამ ქევხიშვილი

„მარიამ ქევხიშვილს წლეულს დოჰაში (ყატარი) მსოფლიოს ზამთრის ჩემპიონატში უნდა ესასპარეზა, მაგრამ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას ხათრი ვერ გაუტეხა და ჩვენც თხოვნა შევუსრულეთ, თუმცა ამით ჩემს შეგირდს არაფერი დაუკარგავს — ამერიკის ჩემპიონატის ოქროს მედალი მოიპოვა და საქართველოს რეკორდიც დაამყარა. აშკარად კარგ სპორტულ ფორმაშია. იგი ახლა ამერიკის ზაფხულის საუნივერსიტეტო ჩემპიონატისთვის მოემზადება, რომელიც მაისში გაიმართება, 19 ივნისისთვის კი პირდაპირ მალტაზე ჩამოფრინდება. იქ ევროპის მე-3 დივიზიონის ჩემპიონატში 14 ქვეყნის წარმომადგენლები იასპარეზებენ. გამარჯვებული გუნდი მე-2 დივიზიონში გადავა. კუნძულზე სულ მცირე 25 სპორტსმენი მაინც უნდა ჩავიყვანოთ. მედლების მოპოვების გარდა, ქართველი ათლეტებისთვის ეს იქნება ერთ-ერთი შანსი, მძლეოსანთა ევროპის ინდივიდუალური ჩემპიონატის საგზური მოიპოვონ. შეჯიბრებას კი 27 ივლისიდან 1 აგვისტოს ჩათვლით ბარსელონა უმასპინძლებს. მარიამ ქევხიშვილმა საკვალიფიკაციო ნორმატივი (16.25 მ) ამერიკაში გადალახა. მალტაზე, ვფიქრობთ, ორგზის ოლიმპიელი **დავით ილარიანი** და **ენდრიკ ზილბერშტეინიც** დაიმსახურებენ კატალონიის დედაქალაქში გამგზავრების უფლებას", — გვითხრა საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა **ყარამან საბანაშვილმა.**

**ვაჟა დანელია**

ტყვიის სროლა — ევროპის ჩემპიონატი

# ნორვეგიული უდარდელობა და მსროლელთა ხიფათები

ოლიმპიურ ჩემპიონ **ნინო სალუქვაძის** შემდეგ ნორვეგიულ მერაკერში მიმდინარე ტყვიის მსროლელთა ევროპის ჩემპიონატზე პნევმატური პისტოლეტით სროლაში **ლევან ქადაგიძეც** წარუმატებლად გამოვიდა. მან შაბათს ისროლა, 561 ქულა გააკეთა და მე-60 ადგილზე გავიდა. ეს შედეგი მთელი 11 ქულით ნაკლებია იმ მაჩვენებელზე, რომელიც ქადაგიძემ მარტის დასაწყისში თბილისში, საქართველოს ჩემპიონატზე აჩვენა. მაშინ მან პირადი რეკორდი გააუმჯობესა – 572 ქულა დააგროვა და სპორტის ოსტატობის ნორმატივიც შეასრულა. ბოლო ხანებში მან თავი იმითაც გამოიჩინა, რომ ტურნირიდან ტურნირამდე უმატებდა შედეგებს. ველოდით, რომ ახლაც ასე მოხდებოდა. ყოველ შემთხვევაში, საკუთარ შედეგს აჩვენებდა მაინც, მაგრამ ასე არ მოხდა. ცხადია, მედალს ვერც იმ შედეგით მოიპოვებდა, თუმცა ბევრად წინ კი წაიწევდა და 40 მსროლელს შორის მოხვდებოდა.

ამასობაში სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის პრესსამსახურის უფროს **გიორგი ჭანიშვილის** მეშვეობით ცნობილი გახდა ჩვენების წარუმატებლობის მიზეზი. თურმე ნუ იტყვით და, ამაში დამნაშავე მასპინძელთა ცუდი ორგანიზატორობაა. რასაც ახლა წაიკითხავთ, იქნებ, არც დაიჯეროთ, მაგრამ თურმე პარასკევს მასპინძლებმა სპორტსმენების სასტუმროდან სასროლეთზე დროულად გადაყვანა ვერ უზრუნველყვეს და ერთი ჯგუფი დაგვიანებით მიიყვანეს. არადა, ამ ჯგუფში შედიოდა ლიდერთა დიდი ნაწილი – სალუქვაძე, ბულგარელი ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი **მარია გროზდევა**, ჩეხი ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი **ლენკა ჰიკოვა, მარუსკოვა**, რუსი მსოფლიოსა და ევროპის არაერთგზის მედალოსანი **სვეტლანა სმირნოვა**, ბელარუსი ევროპის ჩემპიონი **ეუჰენია გალუზა**... თუ გახსოვთ, შაბათს „ლელო" სწორედ ამათზე წერდა, ძალიან ცუდად გამოვიდნენო – ამათგან, გალუზას გარდა, ყველამ 378 ქულა დააგროვა და მეთვრამეტე-ოცდამესამე ადგილები გაინაწილეს. როცა ესენი სასროლეთზე მისულან, შეჯიბრება ლამის ნახევარი საათის დაწყებული ყოფილა და ტურნირში ყოველგვარი მოთელვა-მომზადების გარეშე ჩაბმულან. ბუნებრივია, ამას სპორტსმენთა ნერვიულობა და უკმაყოფილება მოჰყვა, რაც ორგანიზატორებთან დავაკამათში გადაიზარდა, ამან კი გუნდის სხვა წევრებზეც იქონია გავლენა. იმავე წყაროს ცნობით, დაზარალებული სპორტსმენები ორგანიზატორებს უჩივიან, რაც უფრო გულის მოოხებას ჰგავს. ცხადია, შედეგი რომ არ შეიცვლება და ტურნირს თავიდან არავინ ჩაატარებს, ამათაც კარგად იციან, მაგრამ ეს იმაზეა გათვლილი, რომ მსგავსი წარმოუდგენელი ლაფსუსები მომავალშიც არ გამეორდეს.

არადა, ტყვიის სროლაში ასეთი კაზუსები იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება. აქ შეიძლება გავიხსენოთ რამდენიმე წლის წინანდელი შემთხვევა, როცა მიუნხენში მსოფლიოს თასზე რის ვაივაგლახით გაგზავნილი ჩვენი ნაკრები ანალოგიურ ტურნირზე მილანში გადავიდა, იქ კი აღმოჩნდა, რომ იტალიელებს მათი საბუთები დაკარგული ჰქონდათ და ტურნირში არ უშვებდნენ. საბოლოოდ, სალუქვაძისთვის გამონაკლისი კი დაუშვეს, მაგრამ მერე პროტესტის ნიშნად მან აღარ ისროლა – ჩემს თანაგუნდელებსაც თუ დართავთ ნებას, მაშინ გამოვალ, ისე - არაო. იმ პერიოდში გუნდი ოლიმპიური ლიცენზიებისთვის იბრძოდა და სალუქვაძის ულტიმატუმიც ამან განაპირობა – მას სურდა, გამოცდილება მის თანაგუნდელებსაც მიეღოთ.

სხვათა შორის, იმ ტურნირში საბუთები სომეხ **ნორაირ ბახტამიანსაც** დაუკარგეს და არც ის დაუშვეს შეჯიბრებაზე.

ერთი სიტყვით, ბოლო ხანებში ჩრდილოევროპელები გვარიანად ირცხვენენ თავს დიდი ტურნირების მასპინძლობისას – შარშან დანიაში გამართულ მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე მასპინძლებმა ჩვენს მოჭიდავეებს აეროპორტში ავტობუსი არ დაახვედრეს და ესენიც კოპენჰაგენიდან 100 კილომეტრით დაშორებულ ჰერნინგში საკუთარი ხარჯებით ჩავიდნენ.

ბოლოს შეგახსენებთ, რომ შარშან ევროპის ჩემპიონატზე ნინო სალუქვაძემ ვერცხლი მოიპოვა.

**ირაკლი თავაძე**




სუმოს სამყარო — ჰარუ ბაშო. 14-28 მარტი


მარცხნიდან: ტოჩინოშინი, კოკაი, გაგამარუ

# ბრწყინვალე სტარტი

სუმოში ძველი ეპოქა დასრულდა და ახალი დაიწყო. პირველადაა, რომ დოჰიოზე აღარ ავიდა დიდი ჩემპიონი **ასაშორიუ**, რადგან ის მოქმედი სპორტსმენი აღარ არის. ოსაკას ბაშო კი ჩვენთვის ბრწყინვალედ დაიწყო - სამივე ქართველმა მოიგო პირველ დღეს. 22 წლის **ლევან გორგაძე,** ანუ დასავლეთის მე-6 მაეგაშირა **ტოჩინოშინი** ყოფილ ჩემპიონ **მიაბიამას** ხვდებოდა, რომელიც ქართველზე 10 წლით უფროსი და 20 კილოგრამით მძიმეა. პირველი დაჯახების შემდეგ მეტოქეებმა ცუპარი (ხელის კვრები კორპუსში) გაცვალეს, შემდეგ ლევანმა ცაციათი იაპონელის მავაში მოიგდო, მისი კონტრშეტევა არად ჩააგდო და მიწოლით გაიყვანა „კეთილშობილი მთა" ბრინჯის ღეროთაგან გაკეთებული რკალიდან. ელიტის ყველაზე ახალგაზრდა სუმოისტმა მაკუუჩის დივიზიონში მე-80 გამარჯვება მოიპოვა, მიაბიამას კი მე-500 გამარჯვება არ დაანება.

**ლევან ცაგურია (კოკაი)** 29 წლის 10 მარტს გახდა, ქართველი აღმოსავლეთის მე-14 მაეგაშირაა და დადებითი ბალანსი უმაღლეს დივიზიონში ადგილის შესანარჩუნებლად სჭირდება. გუშინ მან 26 წლის მონღოლ დებიუტანტ **ტოკუსეგავას** აჯობა, ორთაბრძოლის დაწყებიდან რამდენიმე წამში გასვლის კოკაი დოჰიოს ცენტრში ოსტატურად გამოეცალა მონღოლს და ის თიხნარზე დაენარცხა.

ძურიოს დივიზიონი შესანიშნავად დაიწყო ჩემპიონმა **თეიმურაზ ჯუღელმა (გაგამარუ)**. ჩვენებური რანგით აღმოსავლეთის მე-3 ძურიოა და დადებითი ბალანსი უმაღლესის საგზურს მისცემს. გუშინ გაგამარუმ უმაღლესიდან გავარდნილი ექსსეკივაკე **ტოჩინონადა** დაამარცხა. ტოჩინონადას სახელი ერთ დროს ქუხდა დოჰიოზე, მას ორჯერ მოუპოვებია „მებრძოლი სულის" პრიზი, სამჯერ -"ბრწყინვალე ასპარეზობის" თასი, ერთხელ კი ბაშოს ყველაზე ტექნიკური რიკიში გამხდარა, მაგრამ 36 წლის სუმოისტის კარიერა დაისისკენ მიდის. 23 წლის ქართველმა უშფოთველად გაიყვანა ტიტულოვანი მეტოქე დოჰიოდან (იორიკირი).

დღეს ტოჩინოშინის მეტოქე დასავლეთის მე-5 მაეგაშირა **ჰომაშოა.** 28 წლის იაპონელს ლევანი 4-ჯერ შეხვდა და 2-ჯერ მოუგო, მათ შორის იანვრის ბაშოზე ცურიდაშის ილეთით. კოკაის მეტოქე გამოცდილი მონღოლი **ტოკიტენკუა.** 30 წლის ტოკიტენკუ ადრე, კოკაის დარად, კომუსუბი იყო, ახლა კი მე-13 მაეგაშირაა. ეს მათი მეათე შეხვედრაა, აქამდე მონღოლი უფრო ყოჩაღობდა - 6:3.

გაგამარუს მეტოქე ძურიოს მე-2 ნომერი **მასაცუკასაა,** რომელმაც ქართველივით მოგებით დაიწყო ბაშო. 25 წლის მასაცუკასას მიღწევა კარიერაში მე-8 მაეგაშირობაა. იანვრის ბაშოზე თეიმურაზმა მოუგო მასაცუკასას, დღეს ისინი მეორედ გაეჯიბრებიან ერთმანეთს.

32 თვეა, ასეთი რამ არ მომხდარა - გუშინ სუმოს პირველი სამი წოდების (იოკოძუნა, ოძეკი, სეკივაკე) ყველა წარმომადგენელმა მოიგო. ასაშორიუს წასვლის შემდეგ უპირველესმა ფავორიტმა, მონღოლმა **ჰაკუჰომ** კომუსუბი **ამინიშიკი** დაამარცხა. ჰაკუჰო ეგრევე ეკვეთა „მატადორს" და როცა ეს უკანასკნელი თავის დახსნას შეეცადა, 180 გრადუსით შეატრიალა და ცაციის კვრით მოისროლა დოჰიოდან.

I დღე: **ჰაკუჰო**-ამინიშიკი (ოკურიდაში); **ჰარუმაფუჯი**-კისენოსატო (ოშიტაოში); **კოტოოშუ**-კაკურიუ (ოშიდაში); **კაიო**-ვაკანოსატო (ცუკიოტოში); **კოტომიცუკი**-კიოკუტენჰო (იორიკირი); **ბარუტო**-არანი (იორიკირი); **ტოიონოშიმა**-გოეიდო (სუკუინაგე); **კოტოშოგიკუ**-ტამავაში (ჰატაკიკომი); **ტოიოჰიბიკი**-ტოსაიუტაკა (ოშიტაოში); **ტოჩიოძანი**-ჰომაშო (იორიკირი); **ტოჩინოშინი**-მიაბიამა (იორიკირი); **ივაკიამა**-კაკიძოე (ჰატაკიკომი); **ტაკეკაძე**-ჰაკუბა (ჰიკიოტოში); **კიტატაიკი**-იოშიკაძე (უვატენაგე); **ასასეკირიუ**-შიმოტორი (იორიკირი); **ტაკამისაკარი**-ჰოკუტორიკი (იორიკირი); **ტოკიტენკუ**-ოკინოუმი (კატასუკაში); **კოკაი**-ტოკუსეგავა (ჰატაკიკომი); **საგაცუკასა**-ტამანოშიმა (ჰატაკიკომი); **კასუგაო**-მოკონამი (უვატენაგე); **ბუშუიამა**-ვაკაკოიუ (ოკურიდაში).

II დღე: ჰაკუჰო-კაკურიუ, კოტოოშუ-ამინიშიკი, კაიო-კიოკუტენჰო, კოტომიცუკი-კისენოსატო, ჰარუმაფუჯი-ვაკანოსატო, ტოიონოშიმა-არანი, ბარუტო-გოეიდო, კოტოშოგიკუ-ტოსაიუტაკა, ტამავაში-ტოიოჰიბიკი, ტოჩინოშინი-ჰომაშო, მიაბიამა-ტოჩიოძანი, კაკიძოე-ტაკეკაძე, ივაკიამა-ჰაკუბა, იოშიკაძე-შიმოტორი, კიტატაიკი-ასასეკირიუ, ტოკუსეგავა-ჰოკუტორიკი, ოკინოუმი-ტაკამისაკარი, კოკაი-ტოკიტენკუ, ტამანოშიმა-მოკონამი, საგაცუკასა-ბუშუიამა, კასუგაო-შოტენრო.

**ძურიო**

**I დღე** (მნიშვნელოვანი): მასაცუკასა-შოტენრო (იორიკირი), **გაგამარუ**-ტოჩინონადა (იორიკირი), ტოსანოუმი-ასოფუჯი (ჰატაკიკომი), კიმურაიამა-საკაიზავა (ცუკიოტოში), კოტოკასუგა-კიოსეუმი.

**II დღე** (მნიშვნელოვანი): ტოჩინონადა-ვაკაკოიუ, **გაგამარუ**-მასაცუკასა, კიმურაიამა-ტოსანოუმი, ასოფუჯი-საკაიზავა, კიოსეუმი-კორიუ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მშვილდოსნობა — ევროპის ზამთრის პირველობა

# ზამთარს პორეჩში გაატილებენ

დღეს მშვილდოსან ქალთა ნაკრები გაემგზავრა ხორვატიაში, სადაც 17-20 მარტს ევროპის ზამთრის პირველობა გაიმართება. იმის მიუხედავად, რომ ეს ზამთრის ჩემპიონატია და არა ზაფხულის, ანუ ოლიმპიური, მასში 32 ნაკრები გამოვა და „ბებერი კონტინენტის" თითქმის ყველა უძლიერესი მშვილდოსანი გამოვა. 17 მარტს საკვალიფიკაციო ტურნირია პირად პირველობაში, რომელიც გამოავლენს პლეი ოფის მონაწილეებს როგორც ინდივიდუალურ ჩათვლაში, ასევე გუნდურში. 18-ში გუნდურის პლეი ოფები გაიმართება, 19 მარტი ახალგაზრდების პლეი ოფს დაეთმობა – პირადშიც და გუნდურშიც, ბოლო დღეს კი მედალოსნები უფროსებში გამოვლინდებიან.

ჩვენი ნაკრები მხოლოდ ქალთა ტურნირში გამოვა – მონაწილე არ გვეყოლება არც ვაჟებში და არც ახალგაზრდებში, რაც ქართული მშვილდოსნობის სამწუხარო ტრადიციაა. ასევე ტრადიციულად, საქართველოს ქალთა ნაკრების ღირსებას **ხათუნა ნარიმანიძე, ქრისტინე ესებუა** და **ასმათ დიასამიძე** დაიცავენ. საუბედუროდ, უფრო მოზრდილი დელეგაციის გაგზავნა ხელმძღვანელობამ არც ახლა მიიჩნია მიზანშეწონილად, რადგან როგორც ახალგაზრდების, ასევე უფროსი ვაჟების შედეგები მნიშვნელოვნად ჩამორჩება საერთაშორისო მაჩვენებლებს.

ჩვენმა ნაკრებმა ჩემპიონატისთვის მოსამზადებელი ბოლო შეკრება ბათუმში გაიარა, რომელიც თბილისის მერიამ დააფინანსა. უფრო ადრე კიდევ ერთი შეკრება ბათუმმა დააფინანსა და მშვილდოსნები მოსამზადებელი ეტაპით კმაყოფილები წავიდნენ ხორვატიაში.

შეგახსენებთ, რომ ჩვენი ნაკრები ზამთრის ევროპულ ჩემპიონატებში წარმატებით გამოდის – 2002 წელს კონტინენტის ვიცე-ჩემპიონი გახდა, 2004-ში კი ბრინჯაო მოიპოვა. იმის შემდეგ ამ ტურნირში ან საერთოდ არ მონაწილეობდნენ, ან – არასრული გუნდით, რის გამოც გუნდურში ველარ გამოდიოდნენ.

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

# ბერძენ-რომაელების დუშეთში

დღეს დუშეთის ახალგახსნილ ოლიმპიურ ბაზას ბერძენ-რომაელებიც ესტუმრებიან – დაახლოებით 40-კაციანი გუნდით, და ევროპის პირველობისთვის მოსამზადებელ მეორე შეკრებას დაიწყებენ. ნაკრების თავკაცი **ბეგი დარჩია** შეკრებაზე ყველა უძლიერეს ფალავანს იახლებს იმის მიუხედავად, რომ რამდენიმე მათგანს ტრავმა აწუხებს. ოლიმპიური, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი **მანუჩარ კვირკველია** (74), ევროპის ორგზის და მსოფლიოს ჩემპიონი, ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი **რამაზ ნოზაძე** (96), მსოფლიოს ჩემპიონი **დავით ბედინაძე** (60), ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს ვერცხლის პრიზიორი **ბადრი ხასაია** (84), შარშან საქართველოს საუკეთესო სპორტსმენი ყველა ვერსიით, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი და ევროპის პრიზიორი **მანუჩარ ცხადაია** (66) – შეკრებას ყველა მათგანი დაიწყებს, თუმცა არაა გამორიცხული, რომელიმემ ბოლომდე ვერ ჩაამთავროს ან სრულად არ დაიტვირთოს. მაგალითად, ჯერ ისევ გაურკვეველია ცხადაიას კოჭის, ნოზაძის ნეკნის, ხასაიას შინაგანი სნეულების ამბები, რაც შეკრებაში მათ მონაწილეობას სათუოს ხდის, ვინაიდან ამაზე საბოლოო დასკვნა ექიმებზეა. ისიც სათქმელია, რომ რამდენიმე ლიდერის ევროპის პირველობაზე წასვლა ლამის გამორიცხულია – არც ტურნირებში უჭიდავიათ, პირველი შეკრების ნაწილიც გაუცდათ და სათანადოდაც არ ემზადებიან, რადგან მსოფლიოს პირველობას უმიზნებენ.

ეს რაც შეეხებოდათ ტიტულოვან ფალავნებს. შეკრებაზეა საქართველოს ყველა წლევანდელი ჩემპიონი, ანუ ისინი, რომლებიც სწორედ საევროპო ნაკრების უპირველეს კანდიდატებად მოიაზრებიან. აღნიშნული შეკრება ზუსტად ცამეტი დღე გაგრძელდება, მაგრამ მოჭიდავეები დიდხანს არ შეისვენებენ – 31 მარტს ისევ დუშეთში მესამე და დასკვნით შეკრებას დაიწყებენ.

თვითონ ევროპის ჩემპიონატი 13-18 აპრილს ბაქოში გაიმართება, ბერძენ-რომაელები კი იქ 15 აპრილს წავლენ. 16-ში აწონვაა, 17-18-ში კი ევროპის ჩემპიონატში გამოვლენ.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებიც ახლა დუშეთშია შეკრებაზე. ისინი ევროპის ჩემპიონატში პირველივე დღიდან ჩაებმებიან.

**ირაკლი თავაძე**

ხელბურთი




# გაერთიანებული გუნდი უპრაქტიკობას განიცდის

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის დაწყება რამდენჯერმე გადაიდო და თუ კიდევ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ქვეყნის პირველობა სტარტს 20 მარტს აიღებს. საქართველოს ხელბურთის ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტის გადაწყვეტილებით, თავიდან ჩემპიონატი ორ, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ზონებად ჩატარდება. 20-22 მარტს ქუთაისში სამი დასავლური გუნდი – "ქუთაისი" "ბათუმი" და ფოთის "ფაზისი" ერთ წრეს ჩაატარებენ, 24-26 მარტს კი თბილისში, ასევე ერთ წრედ, სსაუ-"თბილისი", სტუ-"შევარდენი" და "ქარიშხალა" ითამაშებენ.

გაერთიანებული ტური 5-8 აპრილს თბილისშია დანიშნული, შემდეგ ჩემპიონატის მონაწილენი კვლავ ზონებად ითამაშებენ, დასკვნითი, გაერთიანებული წრე კი ყოველგვარი პლეი ოფის გარეშე 9-12 მაისს ქუთაისში გაიმართება და საქართველოს ჩემპიონ-პრიზიორებიც იქ გამოვლინდებიან.

კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშაა ჩემპიონატში ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონის, სტუ-"შევარდენის" მონაწილეობა, თუმცა, როგორც ფედერაციაში გვითხრეს, ეროვნული პირველობა 20 მარტს ყველა შემთხვევაში დაიწყება.

ჩემპიონატის მთავარ ფავორიტად კი სსაუ-"თბილისი" უნდა მივიჩნიოთ. მოქმედი ჩემპიონი "თბილისი" და აგრარული უნივერსიტეტის "მამული" გაერთიანდნენ და ამით ორივე მხარე მოგებული დარჩა – "თბილისმა" ბაზის პრობლემა მოაგვარა, აგრარულ უნივერსიტეტს კი უწინდელზე გაცილებით ძლიერი გუნდი ეყოლება.

გაერთიანებული გუნდის მთავარი მწვრთნელი **რევაზ ჭანტურია** იქნება, რომელიც აქამდე "მამულს" წვრთნიდა, **ტიტე კალანდაძე** მოთამაშე-მწვრთნელის ფუნქციებს შეასრულებს, ხოლო **მამუკა მჟავანაძე**, რომელიც "თბილისის" მწვრთნელი იყო, კლუბ სსაუ-"თბილისის" დირექტორი გახდა. გუნდის ღირსებას უმეტესად "თბილისის" ხელბურთელები დაიცავენ. სსაუ-"თბილისს" მაქსიმალურად უდგას მხარში აგრარული უნივერსიტეტის რექტორი **გელა ჯავახიშვილი.**

მამუკა მჟავანაძე ჩემპიონატის გვიან დაწყების გამო წუხს: *"ვშრომობთ, ცდას არ ვაკლებთ იმისთვის, რომ კიდევ უფრო ბრძოლისუნარიანი გუნდი ჩამოვაყალიბოთ, მაგრამ რად გინდა, სათამაშო პრაქტიკის გარეშე გუნდი ვერ განვითარდება. ამდენი ხანია, ჩემპიონატის დაწყებას ამაოდ ველით და ამასობაში სეზონი უკვე დასასრულს უახლოვდება. იმედია, პირველობა ახლა მაინც დაიწყება, თორემ მთელი შრომა წყალში ჩაგვეყრება. ამბობენ, პრიორიტეტი ეროვნული ნაკრებიაო, რასაც არ ვეთანხმები. რა თქმა უნდა, ნაკრები მნიშვნელოვანია, მაგრამ ძლიერი ჩემპიონატის გარეშე მის არსებობას ნელ-ნელა აზრი დაეკარგება".*

სსაუ-"თბილისის" მიზანი, ბუნებრივია, საქართველოს ჩემპიონობის შენარჩუნებაა, მაგრამ გუნდის წევრებისთვის ისიც მნიშვნელოვანია, რომ ამას მთავარ მეტოქე სტუ-"შევარდენთან" ჭიდილში მიაღწიონ. როგორც გახსოვთ, წინა ჩემპიონატში "შევარდენმა" უსახსრობის გამო ვერ იასპარეზა და "თბილისს" პირველად გაჩემპიონება არ გასჭირვებია.

მჟავანაძის გუნდი ევროთასებზე წარმატებით გამოსვლასაც ისახავს მიზნად. შეგახსენებთ, გასულ შემოდგომაზე "თბილისმა" ევროტურნირებზე ერთი ეტაპის გავლა შეძლო, რაც ქართული საზომებით დიდი წარმატება იყო. შემდეგ ცდაზე კი სსაუ-"თბილისი" ორი ეტაპის გადალახვასაც იმედოვნებს.

გუნდის ბირთვი უცვლელი დარჩა, სსაუ-"თბილისს" კიდევ ერთი ძლიერი ხელბურთელი, საქართველოს ნაკრების კანდიდატი, ხაზის მოთამაშე **ალექსანდრე ლობჟანიძე** დაემატა, რომელიც ბოლო დროს ესპანეთში თამაშობდა.

კლუბის ხელმძღვანელობამ ჩვენი ჩემპიონატის შეფერხების გამო, ერთი პირობა, მეზობელი ქვეყნების პირველობაზე უკონკურსოდ ასპარეზობაზეც იფიქრა, მაგრამ ეს იდეა განუხორციელებელი აღმოჩნდა – აზერბაიჯანულ და სომხურ ხელბურთში ჩვენზე უფრო სავალალო ვითარებაა და იქ ჩემპიონატი საერთოდ არ იმართება, თურქეთის საკმაოდ ძლიერ პირველობაზე თამაში კი დიდ ფინანსებს მოითხოვს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

თავისუფალი ჭიდაობა



ინტერვიუ ბესიკ გოჩაშვილთან

# ევროპის თუ არა, მსოფლიოს ჩემპიონატზე მაინც ვიჭიდავებ

**საქართველოს** შვიდგზის ჩემპიონს და ქვეყნის პირველი ნაკრების ერთ-ერთ გამოცდილ წევრს, 28 წლის ბესიკ გოჩაშვილს (55 კგ) ბოლო ორი სეზონია, ქვეყნის ჩემპიონატის გამოტოვება უწევს, თუმცა იძულებითი პაუზების მერე, შარშანაც და წლეულსაც დამაკმაყოფილებელი შედეგით დაუბრუნდა ხალიჩას - კიევის ტურნირზე შარშან ბრინჯაოს, წლეულს კი ვერცხლის მედლის მოპოვება შეძლო. შარშან ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი გახდა, გამარჯვებების დიდი იმედი მას წლევანდელ სხვა შეჯიბრებებშიც აქვს.

— საქართველოს წლევანდელი ჩემპიონატი ხელის ტრავმამ გამომატოვებინა. ნაკრების შეკრებაზე ბაკურიანში ფაქტობრივად მხოლოდ რეაბილიტაციით ვიყავი დაკავებული, ხალიჩაზე ერთადერთხელ შევედი. კიევის ტურნირზე ბოლომდე გამოკეთებული არც ვყოფილვარ. ვჭიდაობდი ფრთხილად, ტაქტიკურად, ქულას მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში ვიღებდი. მიუხედავად ამისა, ამერიკელ, ბელარუს, რუს და კანადელ ფალავნებთან მოპოვებული დამაჯერებელი გამარჯვებებით მივედი ფინალამდე, სადაც უკრაინის სახელით მოასპარეზე სომხური წარმოშობის ნიკოლა აივაზიანთან ბოლო წამებზე დასანანი მარცხი ვიწვნიე. ვერ ვიტყვი, რომ მეორე ადგილით კმაყოფილი ვარ, უბრალოდ, გამიხარდა, როცა თითქმის უვარჯიშებელმა მეტად წარმომადგენლობითი საერთაშორისო ტურნირის ფინალში შევძელი გასვლა, — გვითხრა ბესიკმა.

**— ტრავმების გამო საქართველოს ჩემპიონატის გამოტოვებამ მეორედ მოგიწია...**

— ეს შარშან იყო. თუმცა ერთი თვით ადრე თურქეთის საერთაშორისო ტურნირზე ჩვენი ნაკრების 55 კილოს ყველა ლიდერმა მივიღეთ მონაწილეობა და მე ისევ სხვებზე უკეთესი შედეგი ვაჩვენე. იძულებითი უქმობისას ვითვალისწინებდი წონის კლების პრობლემასაც. ისეთ ასაკში აღარ ვარ, რომ წონის დაკლება-აღდგენა მალ-მალე შევძლო. ვატყობ, რომ ხშირად ჭიდაობა ჩემთვის იოლი სულაც აღარაა. წონის აღსადგენად ბოლო ხანს ერთი თვეც აღარ მყოფნის. შარშან ამ მიზეზების გათვალისწინებით კიდევ რამდენიმე ტურნირი გამოვტოვე, თუმცა დარწმუნებული ვიყავი, რომ ევროპის ჩემპიონატზე შედეგის მიღწევა შემეძლო და მწვრთნელების ნდობა გავამართლე— ვერცხლის მედალი დავისაკუთრე.

**— შარშანდელი წელი თავისუფალი ჭიდაობის ეროვნული გუნდისთვის, მართალია, დიდად მოსავლიანი არ ყოფილა, მაგრამ გორელების წვლილი წარმატებებში განსაკუთრებული იყო.**

— ჩვენი შესაძლებლობები საერთაშორისო სარბიელზე არაერთხელ გამოგვივლენია. შარშან საქართველოს ნაკრებმა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე ოთხი მედალი მოიპოვა და აქედან სამი გორელების წილად მოდის (ევროპა — ბესიკ გოჩაშვილი, მალხაზ მუზიაშვილი; მსოფლიო — გიორგი გოგშელიძე — ვ.ბ). იმედია, ამ სეზონშიც სერიოზულ წვლილს შევიტანთ საერთო ქართულ წარმატებებში.

**— წლეულს კონტინენტის პირველობაზე შესაძლოა, არც მოგიწიოს გამოსვლამ, იქ საასპარეზოდ შენი უშუალო კონკურენტი თანადარბაზელი ლადო ხინჩეგაშვილია.**

— ლადო საქართველოს ჩემპიონია, სერიოზული საერთაშორისო მიღწევებიც აქვს და არც მეეჭვება, რომ მომავალში არაერთ უკეთეს შედეგს მიაღწევს. ჩვენ შორის კონკურენციაზე ლაპარაკიც მიჭირს, ძმებივით ვართ. ევროპაზე ის იჭიდავებს, მწვრთნელები ვისაც ენდობიან, საწინააღმდეგო არაფერი მექნება. კონტინენტის ჩემპიონატზე თუ ვერ მივიღებ მონაწილეობას, მაშინ მსოფლიოს ჩემპიონატზე ასპარეზობისთვის ვიბრძოლებ. წინაა ბალავაძის სახელობის ტურნირი და სხვა შეჯიბრებები, ვნახოთ...

**— სხვათა შორის, ნიკოლა აივაზიანთან შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზეც მოგიწია ბრძოლამ და იქაც მოგიგო, ეს ფალავანი უხერხულ მეტოქედ იქცა შენთვის?**

— არც მთლად ასეა საქმე. აივაზიანს შარშან მის მშობლიურ სომხეთში სტეფან სარქისიანის სახელობის ტურნირზე მოვუგე, თანაც ფინალში. კიევში კი, როგორც იტყვიან, მოგებული ბრძოლა დავთმე მასთან. გადამწყვეტი ქულის აღება რომ შეძლო, თვითონაც გაკვირვებული იყო.

**— შენი საკლუბო გეგმების შესახებაც გვითხარი.**

— კლუბი „ამასია შაქარსფორი", რომელშიც მე და ოთარ თუშიშვილი ვირიცხებოდით, ძალიან ძლიერი იყო. შარშან თურქეთის ჩემპიონებიც გავხდით, მაგრამ, სამწუხაროდ, დიდი ხანი არაა, რაც პრობლემათა გამო დაიშალა და სხვაგან გადასვლა მომიხდა. იქ ჯერ ერთადერთი ლეგიონერი ვარ, თუმცა, როგორც ვიცი, კიდევ აპირებენ უცხოელი ფალავნების დამატებას.

**ვასილ ბალახაძე**

***P.S.* სპორტსმენის გვართან დაკავშირებით პრესაში გაურკვევლობაა. ხან გოჩაშვილი იწერება, ხან - გუჩაშვილი. ასე გრძელდება უკვე წლებია. ინტერვიუს ბოლოს ბესიკს ვკითხე, ბოლოს და ბოლოს, რომელია შენი გვარი-მეთქი და გაირკვა, რომ გოჩაშვილი ყოფილა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფალი ჭიდაობა

# კავკასიელთა რუსული როლი

## რუსებმა კაცი შეცვალეს

მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატამდე ერთი თვე რჩება - 13-18 აპრილს ბაქოში გაიმართება, მაგრამ აქედანვე შეიძლება იმის მტკიცება, რომ რუსეთის თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები ტურნირის უპირობო ფავორიტი იქნება. მსოფლიოს საჭიდაო ოჯახის სავალალოდ, **ჯამბულათ თედეევი** ასრულებს შარშან ქომაგებისთვის მიცემულ პირობას, გაისად კიდევ უფრო ძლიერი ნაკრები გვეყოლებაო. ახლახან მისმა გუნდმა ტრიუმფით მოიგო მოსკოვში ჩატარებული მსოფლიოს თასი, სადაც ფინალში ირანის ნაკრები 5:2 დაამარცხა. აღსანიშნავია, რომ რუსებს არც ერთ მეტოქესთან 2 შეხვედრაზე მეტი არ წაუგიათ, ანუ ყველას დიდი უპირატესობით აჯობეს. თუმცა მთლიანად რუსეთის ნაკრების ბოლოდროინდელი მასშტაბური წარმატება რა გასაკვირია, როცა ახლახან მისი რეგიონების გუნდებმა თავისუფალი ჭიდაობის მამამთავარ აშშ-ის ნაკრებიც კი დაიბრიყვეს – ჩრდილო ოსეთის გუნდმა ოკეანისგაღმელებს 5:3 მოუგო, ყაბარდო-ბალყარებმა კი სულაც 7:0 გაანადგურეს სტუმრები.

თედეევმა ადრევე განაცხადა, რომ ევროპის წლევანდელ პირველობაზე სამი-ოთხი ოქროს მედლის მოპოვებას გეგმავს. მას შემადგენლობა ჯერ ოფიციალურად არ დაუსახელებია, თუმცა ერთი საკადრო გადაადგილება ახლავე გაცხადდა – 84 კილოგრამ წონით კატეგორიაში კონტინენტის პირველობაზე არა ივან იარიგინის ტურნირის გამარჯვებული **აბდუსალამ გადისოვი**, არამედ ვიცე-ჩემპიონი **ანზორ ურიშევი** იჭიდავებს. ამის შესახებ რუსულ პრესაში მსოფლიოს თასის შემდეგ გამოქვეყნებული გადისოვის კომენტარებიდან გახდა ცნობილი.

რუსეთის ნაკრებისთვის საევროპოდ მთავარი შესარჩევი ტურნირი სწორედ იარიგინის მემორიალია, რომელიც იმავდროულად ოქროს დიდი პრიზის ტურნირია. როცა გადისოვმა ფინალში ურიშევი დაამარცხა, ყველას ეგონა, რომ ევროპაზეც ის იჭიდავებდა. ეს მოსაზრება თითქოს მსოფლიოს თასმაც გაამყარა, სადაც მახაჩყალელმა ფალავანმა სამი შეხვედრა გამართა (ერთხელ დაასვენეს) და სამივე მოიგო. მათ შორის, უკრაინელ ევროპის ჩემპიონ **ტარას დანკოსა** და ირანელ აზიის ჩემპიონ **ეხსან ლაშგარისთან**. აღსანიშნავია, რომ თითო პერიოდში ორივეს დიდი უპირატესობით აჯობა – 5:0. მაგრამ როგორც გაირკვა, მწვრთნელთა საბჭომ იმსჯელა და ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება მიიღო. სამწუხაროდ, რუსული სპორტული ინტერნეტწყაროები ჩვეულ ზედაპირულობას არც ახლა ღალატობენ და მწვრთნელთა გადაწყვეტილების მიზეზებზე არაფერს წერენ. ამის შესახებ ისევ გადისოვის კომენტარებიდან თუ გავიგებთ, რომელიც თვითონვე აღიარებს, რომ მსოფლიოს თასზე წარმატებით გამოსვლის მიუხედავად, ჯერ მხოლოდ 70-80 პროცენტითაა მზად. სავარაუდოდ, მწვრთნელებმაც ამიტომ ამჯობინეს ურიშევი, თუმცა მათი გადაწყვეტილება მაინც უცნაურად ჩანს. ჯერ ერთი, გადისოვი ევროპის პირველობამდე ფორმის გაუმჯობესებას მოასწრებდა და მეორეც – ნუთუ ურიშევი მასზე კარგ ფორმაშია? თუ ასეა, მაშინ იარიგინის მემორიალზე გადისოვთან არ წააგებდა.

ურიშევით ჩანაცვლების ამბავი გადისოვს პირადი მწვრთნელის – **იმანმირზა ალიევისგან** გაუგია. ბარემ აქვე გეტყვით, რომ მსოფლიოს თასის შემდეგ მახაჩყალის „დინამოს" მწვრთნელი, ორი ოლიმპიური ჩემპიონის, ერთი ოლიმპიური ვერცხლის პრიზიორის, სპორტის სამი დამსახურებული ოსტატის, საერთაშორისო კლასის ორი სპორტის ოსტატის, სპორტის 18 ოსტატისა და 25 კანდიდატის აღმზრდელი ალიევი რუსეთში სეზონის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელეს. *„ევროპის ჩემპიონატზე რომ არ ვიჭიდავებდი, ამის შესახებ ჩემმა მწვრთნელმა ალიევმა მაცნობა. მისი განმარტებით, აჯობებს, ივლისში გასამართი რუსეთის პირველობისთვის უფრო გულდასმით მოვემზადო, რადგან ის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მთავარი შესარჩევი შეჯიბრებაა. რუსეთის ყველა მოჭიდავისთვის სეზონის უმთავრესი ტურნირი სწორედ მსოფლიოს ჩემპიონატია და ამიტომ მწვრთნელთა ამ გადაწყვეტილებას არ გავაპროტესტებთ"* - უთხრა იქაურ მედიას გადისოვმა. მან მსოფლიოს თასზეც ილაპარაკა, რომელიც მისთვის უფროსებში მოპოვებული პირველი გამარჯვებაა. *„ჩემს გამოსვლას 4+ შევაფასებ, რადგან უკეთაც შეიძლებოდა ჭიდაობა. განწყობა არც ისე კარგია, ვინაიდან იყო გარკვეული შეცდომები. ამჟამად მხოლოდ 70-80 პროცენტით ვარ მზად. პირველი შეხვედრა ბელარუს ივან იანკოვსკისთან მძიმედ დავიწყე, რადგან თავიდან ყოველთვის ძნელია ჭიდაობა. კიდევ კარგი, მასთან შეკრებებზე მქონდა ნაჭიდავები და ვიცოდი, მის წინააღდეგ როგორ უნდა მებრძოლა. დანკოს აქამდე არასოდეს შევხვედრივარ, მაგრამ მისი ჭიდაობა ნანახი მქონდა და ვიცოდი, როგორ უნდა მემოქმედა, აი, ირანელი ლაშგარი კი აბსოლუტურად უცნობი იყო ჩემთვის. მსოფლიოს თასი ჩემთვის მეორე სერიოზული ტურნირი იყო უფროსებში მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ, სადაც ტრავმა მივიღე და უმედლოდ დავრჩი. ამდენად, ეს ჩემი პირველი გამარჯვებაა რუსეთის უფროსთა ნაკრებში. სამწუხაროა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი წლეულს მახაჩყალიდან მოსკოვში გადაიტანეს. დაღესტანში რამდენი გულშემატკივარი და მეგობარი მოვიდოდა პერსონალურად ჩემს საქომაგოდ. ტურნირის გადატანით მათ გუნება ძალიან გაუფუჭდათ. სახლში გამარჯვება ჩემთვისაც ორმაგად სასიამოვნო იქნებოდა. კარგია, რომ გაისად მსოფლიოს თასი ისევ მახაჩყალაში ჩატარდება"* - თქვა გადისოვმა.

როგორც ზემოთ გითხარით, ის მახაჩყალელია და რუსი სპეციალისტები პირველად შარშან გააკვირვა, როცა ყველასთვის მოულოდნელად რუსეთის ჩემპიონატში გამოვიდა. არადა, იმხანად ის ახალგაზრდების მსოფლიოს პირველობისთვის ემზადებოდა და იმ ტურნირშიც სტარტისთვის იჭიდავა, თუმცა, როგორც მერე აღიარა, გულის სიღრმეში ჩემპიონობაზეც ოცნებობდა. *„წლების განმავლობაში ამ წონით კატეგორიაში ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული კონკურენცია იყო მთელი რუსეთის მასშტაბით, მაგრამ მას შემდეგ, რაც გიორგი კეტოევი 96 კილოგრამ წონით კატეგორიაში გადავიდა, ხოლო საჯიდ საჯიდოვი და ადამ საიტიევი სპორტიდან წავიდნენ, ლიდერის ადგილი თავისუფალი დარჩა. რუსეთის ჩემპიონატზე მიმავალი ჩემს თავს ვეკითხებოდი - რატომ არ უნდა დავიკავო ის მე? განწყობა ჩინებული მქონდა, ჭიდაობა კი ვიცოდი"* - თქვა იმ გამარჯვების შემდეგ გადისოვმა. ამ სიტყვების მიუხედავად, ალბათ, ლიდერის ადგილის იმ ტურნირზევე დაკავებას ნაკლებად ელოდა. ალბათ, ამაზე ფიქრი უფრო ოცნება იყო, რადგან იმ ტურნირზე ევროპის მოქმედი ჩემპიონი, ოსი **ალან კცოევიც** ჭიდაობდა. თუმცა შეჯიბრების მიმდინარეობამ აჩვენა, რომ ლიდერობაზე ფიქრი ოცნება კი არა, რეალური შესაძლებლობა იყო. მით უფრო, მას შემდეგ, რაც გადისოვმა სწორედ კცოევი დაამარცხა! მახაჩყალელმა ფალავანმა კარგად დაწყებული საქმე წარმატებით დააგვირგვინა – ფინალში **ალბერტ სარიტოვი** დაჯაბნა. მოგვიანებით მან მსოფლიოს პირველობაზეც იჭიდავა, მაგრამ მეხუთეზე დარჩა – ნახევარფინალში მომავალ ვიცე-ჩემპიონთან, ამერიკელ **იაკობ ჰერბერთან** დამარცხდა, ბრინჯაოსთვის ბრძოლა კი აზერბაიჯანელ **შარიფ შარიფოვთან** დათმო.

23 წლის ყაბარდოელი ალბერტ ურიშევი პირველად იჭიდავებს რუსეთის ნაკრებში. საერთაშორისო ასპარეზზე მას თავი აქამდე არ გამოუჩენია.

თედეევს ბაქოში წასაყვანი შემადგენლობა ჯერ ოფიციალურად არ დაუსახელებია, კანდიდატებად კი იარიგინის ტურნირის გამარჯვებულები რჩებიან. არაა გამორიცხული, ისეთი მოულოდნელი გადაწყვეტილებები, რაც 84-ში მიიღო, სხვაგანაც შემოგვთავაზოს.



აბდუსალამ გადისოვი

იარიგინის ტურნირის დამთავრებისას მწვრთნელმა მხოლოდ 55 კილოგრამი წონითი კატეგორიის ფალავნები გააკრიტიკა, სადაც ევროპის დაღესტნელი ჩემპიონი **ნარიმან ისრაპილოვი** მეორეზე, ხოლო მსოფლიოს მესამე პრიზიორი, ნაკრების ერთადერთი ციმბირელი წევრი (სახა-იაკუტიის ავტონომიური რესპუბლიკიდანაა) **ვიქტორ ლებედევი** მესამეზე კი გავიდნენ, მაგრამ მათი ჭიდაობის ხარისხით უკმაყოფილო დარჩა. მათ მაინცდამაინც დამაჯერებლად ვერც მსოფლიოს თასზე იჭიდავეს – თედეევმა ორივეს ორ-ორ შეხვედრაში მისცა თავის გამოჩენის შანსი, მათ კი თითო მოიგეს და ამდენივე წააგეს. თან იმ მოგებულ შეხვედრებშიც ძალიან გაუჭირდათ საქმის გამარჯვებამდე მიყვანა. რუსულ ფორუმებს თუ დავუჯერებთ, ორივეს წონის პრობლემა აწუხებს.

ძიუდო



ელნურ მამედლი

# მამედლი ევროპაზეც გამოირიცხა

ძიუდოისტთა ევროპის პირველობას 22-25 აპრილს ვენა უმასპინძლებს. სავარაუდოდ, წლეულს ის არცთუ ძლიერი იქნება, რადგან ტიტულოვან სპორტსმენთა უმეტესობა ჯერჯერობით ისვენებს და ტურნირებში ან საერთოდ არ ჩნდება, ანაც - იშვიათად. თუმცა ასე არა მხოლოდ ევროპელები, სხვებიც იქცევიან. ეტყობა, 6-13 სექტემბერს ტოკიოში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ინახავენ ძალებს, მანამდე კი - პირველი მაისიდან სალიცენზიო ტურნირები იწყება. თავის მხრივ, ყოველი მათგანი მსოფლიოს პირველობისთვის მოსამზადებელ დატვირთვასაც ატარებს. სავარაუდოდ, პირველი მაისიდან უკვე ყველას ვიხილავთ ტურნირებში.

ამასობაში გაირკვა, რომ ევროპის პირველობას ერთი ტიტულოვანი ძიუდოისტი დააკლდება - აზერბაიჯანელი ოლიმპიური და ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს ვერცხლის პრიზიორი **ელნურ მამედლი**. ყველა ჩამოთვლილი ტიტული მან 73 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოიპოვა, თუმცა ახლა 81-ში გადადის. არადა, ამ წონაში ევროპის შარშანდელ პრიზიორ **ლევან წიკლაურის** გამოჩენის შემდეგ წარმატების გარკვეული იმედები გაგვიჩნდა და წლევანდელ ევროპირველობასაც ოპტიმიზმით ვუყურებთ. ამდენად, მამედლის ამბავი ჩვენთვის ფრიად საყურადღებოა.

შეგახსენებთ, რომ აზერბაიჯანელმა ფეხი პეკინის ოლიმპიადაზე იტკინა, თუმცა ფინალში კორეელი **კი-ჩუნ ვანგი** უსწრაფესად დაიპონა და 2007-ის მსოფლიოს პირველობის ფინალში მარცხისთვის რევანში აიღო. ამის შემდეგ მამედლი მთელი წელიწადი მკურნალობდა და ოპერაციას არიდებდა თავს, მაგრამ შარშან ზაფხულში ეს გარდაუვალი გახდა და ზედ მსოფლიოს პირველობის წინ გერმანელ დასტაქარ **ალბერტ გიუზბახერს** მიაშურა...

მას შემდეგ მამედლის თემა აზერბაიჯანულ მედიაში მუდამ აქტუალურია. იქაურები სიხარულით აღნიშნავდნენ, რომ სარეაბილიტაციო პროცესი წარმატებით მიდიოდა და მოუთმენლად ელოდნენ ლიდერის დაბრუნებას. რამდენჯერმე სავარაუდო თარიღიც დაასახელეს, მაგრამ ყოველთვის გადაიდო, ერთი კვირის წინ დიუსელდორფის დიდ პრიზზე კი თითქოს უეჭველად უნდა ეჭიდავა. მაშინ ამაზე ნაკრების თავკაცმა **აგიარ ახუნდზადემაც** დაწვრილებით ილაპარაკა, მაგრამ მამედლის ქომაგებმა ცივი შხაპი მიიღეს - მათი კერპი არც გერმანიაში გამოჩენილა. ეს ამბავი ყველასთვის მოულოდნელი აღმოჩნდა და იქაურ მედიაში პესიმისტური სტატიებიც კი დაიბეჭდა მისი დაბრუნების თაობაზე. განსაკუთრებით უცნაური ის იყო, რომ წაუსვლელობის მიზეზებს არავინ განმარტავდა. საიდუმლოს ფარდა საკმაოდ გვიან - 28 თებერვალს გერმანული შეკრებიდან ბაქოში დაბრუნებულმა ახუნდზადემ ახადა, რომელმაც მიზეზად ტემპერატურის უეცარი მომატება დაასახელა. ვერ გეტყვით, მართლა აუწია თუ არა სიცხემ მამედლის, მაგრამ იქაური მედია ამ განმარტებამ დააკმაყოფილა, მთავარმა მწვრთნელმა კი მომხდარის გამო სინანული გამოთქვა. მისი თქმით, მამედლი კარგად ემზადებოდა და მზად იყო დასაბრუნებლად. ახუნდზადემ სწორედ მაშინ განაცხადა, რომ ევროპის პირველობაზე მამედლის გამოსვლა თითქმის გამოირიცხა, თუმცა ეს „თითქმის" რას ნიშნავს, ცოტა გვიკვირს - მამედლის აბსოლუტურად არ გააჩნია სატურნირო პრაქტიკა და ნუთუ ასეთი მომზადების მქონე კაცის წაყვანას მაინც გარისკავს?

ახუნდზადემ შეგირდის უახლოეს სამომავლო გეგმებზეც ილაპარაკა და დაბრუნების ახალი თარიღიც დაასახელა: 7-9 მაისს გასამართი ტუნისის დიდი პრიზი. მწვრთნელმა იმის იმედიც გამოთქვა, რომ მანამდე მამედლი ზედმეტ წონასაც დაიკლებს. ის 81-ში კი გადადის, მაგრამ ახლა რეალურად 90 კილოგრამია და დიუსელდორფში რომც ეჭიდავა, სწორედ ამ წონაში უპირებდნენ დაყენებას.

ახუნდზადემ კიდევ ერთი უცნაური გადაწყვეტილების შესახებ განაცხადა - ევროპის პირველობაზე იჭიდავებს მსოფლიოსა და ოლიმპიური პრიზიორი **მოვლუდ მირალიევი** (100). მამედლის არ იყოს, ისიც შარშან ზაფხულში, მსოფლიოს პირველობის წინ დაშავდა და მას შემდეგ არც მას უჭიდავია არსად. ის სპორტს თითქოს ნოემბერ-დეკემბერში გასამართ ტურნირებზე უნდა დაბრუნებოდა, მაგრამ უსახსრობის გამო აზერბაიჯანის ფედერაციამ ნაკრები ვერც ერთ შეჯიბრებაზე ვერ გაგზავნა. მირალიევს არც აზერბაიჯანის ჩემპიონატში უჭიდავია და არც წლევანდელ საერთაშორისო ტურნირებში. ამის მიუხედავად, ახუნდზადეს მაინც მიჰყავს ევროპაზე და ამბობს, რომ მისი მომზადებით კმაყოფილია. მიხარია, მის ვარჯიშებს რომ ვუყურებო, ესეც მწვრთნელის სიტყვებია.

ცხადია, მირალიევის ევროპაზე წაყვანაზე ლაპარაკისას ახუნდზადემ გვერდი ვერც კონკურენტის, ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონ **ელმარ გასიმოვის** კანდიდატურას აუარა და განაცხადა, რომ მას ჯერ კიდევ აკლია გამოცდილება და მეტი მუშაობა მართებს. მწვრთნელმა მაგალითად ჩეხი **ლუკაშ კრპალეკი** დაასახელა, ვისაც გასიმოვმა ევროპირველობის ფინალში 21 წამში წმინდად მოუგო და დასძინა, იმის შემდეგ ჩეხმა დიუსელდორფში ბრინჯაოც მოიპოვა, გასიმოვი კი მის მდევრად იქცაო. ჩვენ დავამატებთ, რომ იმ ფინალის შემდეგ კრპალეკმა ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულიც შეინარჩუნა და ზედიზედ მეორედ გახდა ჩემპიონი, კვირას კი ბრინჯაო მშობლიურ პრაღის ტურნირზეც მოიპოვა. აი, გასიმოვი კი რატომღაც მართლა ჩაიკარგა და იმედებს ვერ ამართლებს.

გვერდი მოამზადა
**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი. ტურნირები

# სენსაციური ქალები

ძალიან საინტერესო გახდა ინდიან უელსის ქალთა ტურნირი მას შემდეგ, რაც მეორე წრიდან ბრძოლაში განთესილი ჩოგბურთელები ჩაებნენ. ბრძოლას რამდენიმე ძლიერი ჩოგბურთელი გამოეთიშა და შემდეგ წრეში გასულ ფავორიტებსაც სერიოზული ბრძოლა გადახდათ თავს.

მაგალითად, ბეწვზე გადაურჩა დამარცხებას რუსი **მარია შარაპოვა**, რომელიც თანამემამულე **ვერა დუშევინას** ხვდებოდა. პირველ პარტიაში მსოფლიოს პირველ ჩოგანს შვიდი ორმაგი შეცდომა დაუგროვდა და სეტი 4:6 დათმო. მეორეში დუშევინა 3:0 დაწინაურდა და 5:3-ზე მატჩზეც აწვდიდა, მაგრამ შანსი ვერ გამოიყენა, შემდეგ გეიმში კი მარიამ, როგორც იქნა, თავის მოწოდებაზე ნორმალურად ითამაშა და ამან მატჩის გადარჩენის საშუალება მისცა. სწორედ ეს მომენტი გახდა შეხვედრაში გარდამტეხი. შარაპოვამ სეტებში ანგარიში გაათანაბრა, რის შემდეგაც მესამე პარტიაში მეტოქეზე ერთით მეტი ბრეიკი გააკეთა და მესამე წრეში გავიდა, სადაც მას ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალისტი, ჩინელი **ჟიე ჟენგი** ელის.

წარუმატებელი გამოდგა მეორე წრე ჩინური ჩოგბურთის მეორე ლიდერისთვის - **ნა ლისთვის**. მეშვიდე ნომრად განთესილმა აზიელმა სენსაციურად წააგო ბრიტანელ **ელენა ბალტაჩასთან**. არადა, გადამწყვეტი სეტის ტაიბრეიკზე ლი 5:1-ს იგებდა, შემდეგ სამი მატჩ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ ცნობილი ფეხბურთელის - **სერგეი ბალტაჩას** ქალიშვილმა გაძლო და ჩინელი ბრძოლას გამოთიშა.

ამით შაბათის სენსაციები არ ამოწურულა. ბელგიელმა **ჟუსტინ ანენმა** მოულოდნელად წააგო არგენტინელ **ხისელა დულკოსთან**. მეორე სეტში დამაჯერებელი ანგარიშით (6:1) მოგების შემდეგ, ყველამ ირწმუნა, რომ პირველ პარტიაში ანენის წაგება შემთხვევითობა იყო. მაგრამ დულკომ დაამტკიცა, რომ მისი წარმატება ლოგიკური ყოფილა. მესამე სეტის პირველივე გეიმებიდან ანენი მდევრის როლში აღმოჩნდა და ველარ შეძლო არგენტინელის დაწევა. დულკომ მეორე ცდაზე მოახერხა მატჩზე ჩაწოდება, თანაც ის გეიმი სამხრეთამერიკელმა ნულზე მოიგო. განსაკუთრებულ ყურადღებას იწვევს ანენის ცუდი თამაში საკუთარ მოწოდებაზე - პირველი ბურთის ჩაგდების 51 პროცენტი და რვა ორმაგი შეცდომა.

სენსაციები კვირასაც გაგრძელდა. მთავარი მოულოდნელობა გახდა ტურნირის პირველი ჩოგანის, რუსი **სვეტლანა კუზნეცოვას** მარცხი ესპანელ **კარლა სუარეს-ნავაროსთან**. თუ მატჩის სტატისტიკას გადავხედავთ, იქ იოლად მივაგნებთ რუსი ჩოგბურთელის მარცხის მიზეზს - კუზნეცოვამ 69 (!) უნებლიე შეცდომა დაუშვა, ასე რომ, ნავარომ სულ რაღაც 18 აქტიურად მოგებული ქულაც იკმარა საბოლოო გამარჯვების მოსაპოვებლად. განსაკუთრებით უუნარო იყო კუზნეცოვა მესამე სეტში, რომელიც 29 წუთში 1:6 წააგო.

ინდიან უესლში ასე ნაადრევ ეტაპზე პირველ ნომრად განთესილი ჩოგბურთელი 2002 წელს გავარდა - ეს იყო ბელგიელი **კიმ კლაისტერსი**, რომელმაც მეორე წრეში ფრანგ **ნატალი დეშისთან** წააგო. წელს კლაისტერსი მხოლოდ მე-14 ნომრად არის განთესილი და ამჯერად წარმატებით დაძლია მეორე წრის ბარიერი.

კაცებში უფრო ლოგიკურად ვითარდება ყველაფერი. აქ ერთადერთი მოულოდნელობა გახდა **მარინ ჩილიჩის** მარცხი ესპანელ **გილერმო გარსია-ლოპესთან**. მას შემდეგ, რაც პირველ პარტიაში მერვე ნომერმა სეტზე ვერ ჩააწოდა, შეხვედრის დარჩენილ დროში ჯამში მხოლოდ 13 გათამაშება მოიგო და ვერც ერთი გეიმი ვერ აიღო.

### ATP

**BNP Paribas. ინდიან უელსი (აშშ)**

**საპ. ფონდი: 3 645 000 დოლარი. ჰარდი**

**I წრე**

**ანდრეას სეპი (იტა)**-რობი ჯინეპრი (აშშ) 2:6, 7:6(5), 6:3; **მარინკო მატოშევიჩი (ავსტრა)**-მიხაელ ლოდრა (საფ) 6:3, 6:0; **სიმონ გროული (გერ)**-რიშარ გასკე (საფ) 7:6(6), 7:6(7); **ჯეიმს ბლეიკი (აშშ)**-დანიელ ხიმენო-ტრავერო (ესპ) 6:3, 6:2; **იან-ჰსუნ ლუ (ტაივ)**-ოსკარ ერნანდესი (ესპ) 6:1, 6:2; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ)**-მიშა ზვერევი (გერ) 6:3, 6:2; **სერგეი სტახოვსკი (უკრ)**-უეინ ოდესნიკი (აშშ) 6:1, 6:4; **ევგენი კოროლიოვი (რუს)**-ფლორიან მაიერი (გერ) 6:3, 6:2; **დუდი სელა (ისრ)**-ჯესე ლევინი (აშშ) 6:2, 6:2; **მაიკლ რასელი (აშშ)**-პაოლო ლორენცი (იტა) 6:2, 7:5; **დავიდ ნალბანდიანი (არგ)**-სტეფან კუბეკი (ავსტრია) 6:2, 7:6(2); **პოლ-ანრი მატიო (საფ)**-ბენიამინ ბეკერი (გერ) 6:3, 6:1; **რიკარდო მელო (ბრა)**-ორასიო სებალიოსი (არგ) 2:6, 6:3, 6:4; **ტიემო დე ბაკერი (ჰოლ)**-მარკოს დანიელი (ბრა) 6:3, 6:3; **ვიქტორ ჰანესკუ (რუს)**-ხუან იგნასიო ჩელა (არგ) 6:3, 7:6(4); **არნო კლემანი (საფ)**-პეტერ ლუჩაკი (ავსტრალია) 4:6, 6:3, 6:2.

**II წრე**

**ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 2)**-მარდი ფიში (აშშ) 6:1, 0:6, 6:2; **რაფაელ ნადალი (3)**-რაინერი შუტლერი (გერ) 6:4, 6:4; **ნიკოლაი დავიდენკო (5)**-ერნესტ გულბისი (ლატ) 6:4, 6:4; **გილერმო გარსია-ლოპესი (ესპ)**-მარინ ჩილიჩი (ხორ, 8) 7:6(1), 6:0; **ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 10)**-რამონ დელგადო (პარ) 6:4, 6:1; **ხუან კარლოს ფერერო (ესპ, 11)**-დანიელ კოლერერი (ავსტრია) 6:3, 6:0; **ჯონ ისნერი (აშშ, 15)**-კევინ ანდერსონი (ს. აფრ) 6:3, 7:5; **ბრიან დაბული (არგ)**-ჟილ სიმონი (საფ, 16) 7:5, 6:4; **სემ კუერი (აშშ, 17)**-ჟერემი შარდი (საფ) 6:3, 6:4; **ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 19)**-ფლორან სერა (საფ) 7:5, 4:6, 6:4; **ივან ლუბიჩიჩი (ხორ, 20)**-რაიან ჰარისონი (აშშ) 6:2, 7:6(2); **ხუან მონაკო (არგ, 21)**-ფაბიო ფონინი (იტა) 6:4, 7:5; **ფილიპ კოლშრაიბერი (25)**-ფილიპ პეტცშნერი (გერ) 6:3, 6:2; **ვიქტორ ტროიცკი (სერ, 29)**-პაბლო კუევასი (არგ) 1:0 კუევასის უარი; **მარიო ანჩიჩი (ხორ)**-ჟულიან ბენეტო (საფ, 31) 4:6, 7:6(5), 6:3; **ტომას ბელუჩი (ბრა, 26)**-კარლოს მოია (ესპ) მოიას უარი.

### WTA

**BNP Paribas. ინდიან უელსი (აშშ)**

**საპ. ფონდი: 4 500 000 დოლარი. ჰარდი**

**II წრე**

**კარლა სუარეს ნავარო (ესპ)**-სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 1) 6:4, 4:6, 6:1; **კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 2)**-ვანია კინგი (აშშ) 5:7, 6:2, 6:4; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 3)**-სიბილ ბამერი (ავსტრია) 6:1, 7:5; **ელენა დემენტევა (რუს, 4)**-ოლგა გოვორცოვა (ბლრ) 6:4, 4:6, 6:0; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 5)**-ანა ჩაკვეტაძე (რუს) 6:2, 5:3 ჩაკვეტაძის უარი; **ელენა იანკოვიჩი (სერ, 6)**-პეტრა მარტიჩი (ხორ) 6:3, 7:6(2); **ელენა ბატლაჩა (ბრიტ)**-ნა ლი (ჩინ, 7) 7:6(8), 2:6, 7:6(7); **სამანტა სტოსური (ავსტრა, 8)**-ჟული კუანი (საფ) 6:1, 7:6(4); **ფლავია პენეტა (იტა, 9)**-პეტრა კვიტოვა (ჩეხ) 6:3, 6:3; **მარია შარაპოვა (რუს, 10)**-ვერა დუშევინა (რუს) 4:6, 7:5, 6:2; **მარიონ ბარტოლი (საფ, 11)**-პოლონა ჰერცოგი (სლოვენ) 6:4, 6:2; **ვერა ზვონარევა (რუს, 12)**-შელი სტეფენსი (აშშ) 6:4, 7:5; **იანია ვიკმაიერი (ბელ, 13)**-ჯულია გორჯესი (გერ) 6:2, 6:4; **კიმ კლაისტერსი (ბელ, 14)**-ბარბორა ზახვალოვა (ჩეხ) 6:2, 6:1; **ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 15)**-კიმიკო დატე (იაპ) 6:3, 6:4; **ნადია პეტროვა (რუს, 16)**-პატი შნიდერი (შვეიც) 6:3, 5:7, 6:4; **შაარ პეერი (ისრ, 17)**-ბეტანი მატეკი (აშშ) 6:2, 6:3; **ჟიე ჟენგი (ჩინ, 18)**-სორანა კირსტეა (რუმ) 6:3, 7:5; **არავან რეზაი (საფ, 19)**-ტამარინე ტანასუგარნი (ტაილ) 6:4, 7:5; **შუაი პენგი (ჩინ)**-ალიონა ბონდარენკო (უკრ, 20) 6:1, 6:4; **რობერტა ვინჩი (იტა)**-დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ, 21) 6:3, 7:5; **ჯილ კრეიბასი (აშშ)**-საბინ ლისიცკი (გერ, 22) 4:6, 7:5, 2:0 ლისიცკის უარი; **ალისა კლეიბანოვა (რუს, 23)**-ცვეტანა პირონკოვა (ბულ) 6:7(5), 6:3, 6:1; **ანასტასია სევასტოვა (ლატ)**-ანა ივანოვიჩი (24) 6:2, 6:4; **ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს, 25)**-კაროლინა შპრემი (ხორ) 6:3, 6:1; **სარა ერანი (იტა)**-დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ, 26) 7:5, 6:4; **აგნეს შავაი (უნგ, 27)**-იუნ-იან ჩანი (ტაივ) 6:3, 6:2. **მარია ხოსე მარტინეს სანჩესი (ესპ, 28)**-ალექსანდრა დულგერუ (რუმ) 2:6, 6:3, 6:1; **ალისია მოლიკი (ავსტრა)**-ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ, 29) 6:4, 5:7, 7:6(3); **კირსტენ ფლიპკენსი (ბელ)**-ალექსანდრა ვოზნიაკი (კან, 30) 6:1, 6:2; **ხისელა დულკო (არგ, 31)**-ჟუსტინ ანენი (ბელ) 6:2, 1:6, 6:4; **მარია კირილენკო (რუს, 32)**-ვირჟინ რაზანო (საფ) 7:5, 6:3.

კალათბურთი

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# სკოლას მასტერკლასი




გუშინდელი ტურის მთავარი სენსაცია დალასში მოხდა, სადაც შეწყდა ადგილობრივი "მავერიქსის" 13-მატჩიანი მოგებათა სერია. მატჩის წინ ამ გუნდის გულშემატკივრებისთვის რომ ეთქვათ - "კოვბოები" "ნიუ იორკ ნიქსთან" განადგურდებიანო, პროგნოზის ავტორს, უბრალოდ, სიცილით აიკლებდნენ. პირველი ტაიმის შემდეგაც, როცა სტუმართა უპირატესობა 10 ქულას შეადგენდა, დალასელებს ჯერ კიდევ სჯეროდათ, რომ მათმა საყვარელმა გუნდმა ძალები დაზოგა და დიდი შესვენების შემდეგ აჩვენებდა მეტოქეს ნამდვილ ძალას. მაგრამ დასრულდა მესამე მეოთხედი და ადგილობრივი პუბლიკა გაოგნებული მიშტერებოდა ტაბლოს, რომელზეც ყოვლად აბსურდული რიცხვები ეწერა - 66:91! ბოლო მეოთხედს ძალთა თანაფარდობასა და ანგარიშში შესამჩნევი ცვლილებები არ შეუტანია - "ნიუ იორკმა" თავისი უპირატესობა 34 ქულამდე აიყვანა და სრულფასოვანი რევანში აიღო იანვარში შინ წაგებისთვის, რომელიც, სხვათა შორის, "ნიქსისთვის" ყველაზე გამანადგურებელი საშინაო მარცხი იყო ისტორიაში.

ამ სეზონში "ნიუ იორკს" ასე კარგად არ უთამაშია - 28 შედეგიანი გადაცემა, თამაშიდან ტყორცნებისა და სამქულიანების გამოყენების შესანიშნავი პროცენტი (შესაბამისად, 56.2 და 53.3), დამაჯერებელი თამაში სამწამიან ზონაში და მხოლოდ რვა გუნდური შეცდომა. შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ სტუმრებმა ფავორიტი გაანადგურეს. სხვათა შორის, "დალასმა" ერთგვარი რეკორდი დაამყარა - ადრე ზედიზედ 13 ან მეტი თამაშის მომგებ გუნდს არ შეუწყვეტია სერია ასეთი კატასტროფული მარცხით. წინა "რეკორდი" 1990-91 წლებში "ჰიუსტონს" ეკუთვნოდა, რომელმაც ასევე 13-მატჩიანი მოგებათა სერიის შემდეგ 32 ქულა წააგო.

"დალასს" შეუძლია თავი იმით ინუგეშოს, რომ მისმა ვეტერანმა ვარსკვლავმა **ჯეისონ კიდმა** პირველ მეოთხედში სეზონში 140-ე სამქულიანი გამოიყენა, რითაც პირადი რეკორდი დაამყარა. ახლა ამ გამთამაშებლის ანგარიშზე 143 შორეული ტყორცნა მოდის. სიხარულის საბაბი აქვთ ნუიიორკელებსაც - ამ გუნდში ერთბაშად ოთხმა კალათბურთელმა დააგროვა 20 და მეტი ქულა - **ბილ უოკერმა** (23), **უილსონ ჩენდლერმა** (22), **ტონი დაგლასმა** (21) და **ელ ჰარინგტონმა** (20). აუცილებლად უნდა აღინიშნოს **დევიდ ლის** დამაჯერებელი თამაში, რომელმაც თავის აქტივში 15 ქულა, 14 მოხსნა და 7 შედეგიანი პასი ჩაიწერა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია გუშინ, "ჰიუსტონ როკეტსის" არგენტინელი ცენტრის **ლუის სკოლას** თამაში. "ნიუ ჯერსისთან" მოგებულ შეხვედრაში "რაკეტების" ლეგიონერი მეტოქის სამწამიან ზონაში ბატონობდა, პრაქტიკულად, ნებისმიერი მდგომარეობიდან აგდებდა ბურთს და რაც მთავარია, თითქმის უშეცდომოდ ისროდა. მატჩის შემდეგ არგენტინელის ოქმში ასეთი რიცხვები ეწერა - 44 ქულა (თამაშიდან 25 სროლა და 20 ზუსტი, ოთხიდან ოთხი საჯარიმო), 12 მოხსნა, 3 შედეგიანი პასი, 2 ჩაჭრა და ერთი დაფარება. სკოლას ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ასეთი შედეგიანობა არასოდეს უჩვენებია. უფრო მეტიც, მას უკვე მესამე მეოთხედის შემდეგ ჰქონდა გაუმჯობესებული მსოფლიოს მთავარ ლიგაში შედეგიანობის პირადი რეკორდი, რომელიც 26 თებერვალს "სან ანტონიოს" წინააღმდეგ მატჩში იყო დამყარებული. ბოლო მეოთხედის წინ ლუისის ანგარიშზე 32 ქულა იყო.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

### 12 მარტი

**შარლოტი-კლიპერსი 106:98**

31:23, 30:22, 19:23, 26:30

შ: ჯექსონი (24), უოლასი (17+6 მოხსნა), დიაო (16+5 პასი), ჩენდლერი (13+9 მოხსნა).

კ: დევისი (24+7 პასი+5 ჩაჭრა), ბატლერი (18), გუდენი (16+5 მოხსნა), აუთლო (16), კამანი (13+11 მოხსნა).

**ფილადელფია-კლივლენდი 95:100**

34:36, 23:25, 22:17, 16:22

ფ: იგუოდალა (30+7 მოხსნა+5 პასი), ბრენდი (24+9 მოხსნა), იანგი (15+5 მოხსნა).

კ: ჯეიმსი (23+10 პასი+6 მოხსნა), უესტი (17), ვარეჯაო (12+12 მოხსნა).

**ბოსტონი-ინდიანა 122:103**

29:23, 38:24, 31:31, 24:25

ბ: პირსი (20), რონდო (16+11 მოხსნა), რობინსონი (15+5 პასი), დევისი (15), ალენი (13), პერკინსი (10+7 მოხსნა).

ი: ჰიბერტი (23), მერფი (17+10 მოხსნა), გრეინჯერი (16), უოტსონი (13+6 პასი).

**მაიამი-ჩიკაგო 108:95**

28:22, 22:27, 29:18, 29:28

მ: ჯ. ო'ნილი (25+6 მოხსნა), რიჩარდსონი (23+7 მოხსნა), უეიდი (22+7 პასი), ჩალმერსი (17).

ჩ: ჯონსონი (20+6 პასი), პარგო (20), მილერი (18+11 მოხსნა), მიურეი (15), ჰაინრიხი (10+6 პასი).

**დეტროიტი-ვაშინგტონი 101:87**

27:23, 29:17, 21:23, 24:24

დ: ჟერებკო (18+8 მოხსნა), პრინსი (18), ჰემილტონი (18), გორდონი (17), მაქსიელი (12+10 მოხსნა), ბინუმი (5+20 პასი).

ვ: ბლეტჩი (23+10 მოხსნა), ტორნტონი (16+6 მოხსნა), ფოიე (11+8 პასი), მილერი (10).

**მემფისი-ნიუ იორკი 119:112**

32:24, 31:18, 31:31, 25:39

მ: რენდოლფი (24+11 მოხსნა), მაიო (22), გეი (20+6 მოხსნა), კონლი (18+6 პასი+5 მოხსნა), იანგი (13+5 მოხსნა), მ. გასოლი (12+9 მოხსნა).

ნ-ი: უოლკერი (21), დაგლასი (19+6 მოხსნა), ლი (17+14 მოხსნა), ჰარინგტონი (15), ჩენდლერი (14+5 მოხსნა), როდრიგესი (11).

**მინესოტა-სან ანტონიო 85:103**

21:22, 22:29, 15:22, 27:30

მ: ელინგტონი (17), ჯეფერსონი (13+9 მოხსნა), მილიჩიჩი (12+5 მოხსნა).

ს-ა: ჯეფერსონი (19+9 მოხსნა), პილი (19+8 პასი), დანკანი (15+8 მოხსნა), ბოგანსი (10).

**ნიუ ორლეანი-დენვერი 95:102**

29:29, 23:22, 23:22, 20:29

ნ-ო: უესტი (30+6 მოხსნა), ტორნტონი (23+6 მოხსნა+5 პასი), კოლისონი (17+10 მოხსნა), რაიტი (13+8 მოხსნა+5 ჩაჭრა).

დ: ენტონი (32+12 მოხსნა), ბილაპსი (21+7 პასი), ნენე (17+12 მოხსნა), პეტრო (10+10 მოხსნა).

**ოკლაჰომა-ნიუ ჯერსი 104:102**

31:20, 28:29, 23:22, 22:31

ო: დურანტი (32+12 მოხსნა), გრინი (27+6 მოხსნა), უესტბრუკი (11+10 მოხსნა), კოლისონი (10+9 მოხსნა), კრსტიჩი (10+6 მოხსნა).

ნ-ჯ: ჰარისი (19+8 პასი+5 მოხსნა), ჰეისი (16), დულინგი (15+7 პასი), ლოპესი (14+8 მოხსნა), უილიამსი (14+6 მოხსნა).

**მილუოკი-იუტა 95:87**

25:22, 23:18, 23:23, 24:24

მ: სალმონსი (24+5 მოხსნა), ჯენინგსი (23+6 პასი), ბოგუტი (16+12 მოხსნა+4 დაფარება), ილიასოვა (14+8 მოხსნა).

ი: ბუზერი (26+14 მოხსნა), ოქური (20+11 მოხსნა), მაილზი (17), უილიამსი (11+9 პასი+6 მოხსნა).

**ფინიქსი-ლეიკერსი 96:102**

31:24, 15:29, 27:24, 23:25

ფ: სტაუდმაიერი (29+16 მოხსნა), რიჩარდსონი (16+5 მოხსნა), ნეში (14+8 პასი), პილი (13), ამუნდსონი (11+10 მოხსნა).

ლ: ბრაიანტი (21+10 მოხსნა+8 პასი), ბინუმი (18+9 მოხსნა), გასოლი (15+8 მოხსნა), არტესტი (15), ფიშერი (15).

**საკრამენტო-პორტლენდი 94:110**

24:31, 22:30, 20:26, 28:23

ს: ლენდრი (18+6 მოხსნა), გარსია (17), ტომპსონი (15), უდრიხი (13+6 პასი), ევანსი (10+10 მოხსნა).

პ: როი (28), ოლდრიჯი (18+6 მოხსნა), მილერი (15), ბატუმი (11), ფერნანდესი (10), ბეილესი (10).

### 13 მარტი

**ატლანტა-დეტროიტი 112:99**

30:12, 39:29, 23:36, 20:22

ა: ჯონსონი (26+5 პასი), სმიტი (18+11 პასი+5 ჩაჭრა), კროუფორდი (17+6 პასი), ჰორფორდი (15+7 მოხსნა), უილიამსი (12).

დ: მაქსიელი (19+12 მოხსნა), ჰემილტონი (18), ბინუმი (17+7 პასი), გორდონი (12).

**ვაშინგტონი-ორლანდო 95:109**

33:20, 22:41, 21:27, 19:21

ვ: ბლეტჩი (32), ლივინგსტონი (18+8 პასი), ტორნტონი (15).

ო: ჰოვარდი (28+15 მოხსნა+5 პასი), კარტერი (18), რედიკი (18), ბასი (16+9 მოხსნა).

**მემფისი-დენვერი 108:125**

33:24, 30:33, 22:28, 23:40

მ: მაიო (25), რენდოლფი (22+12 მოხსნა), გასოლი (17+7 მოხსნა+6 პასი), უილიამსი (13+6 პასი), გეი (12).

დ: სმიტი (30), ენტონი (24+6 მოხსნა), ბილაპსი (22), ნენე (13).

**დალასი-ნიუ იორკი 94:128**

25:30, 23:28, 18:33, 28:37

დ: ნოვიცკი (20+12 მოხსნა), კიდი (15+6 პასი+5 მოხსნა), მერიონი (14+8 მოხსნა), ბარეა (14), ბობუა (13).

ნ-ი: უოკერი (23), ჩენდლერი (22+6 მოხსნა), დაგლასი (21+8 პასი), ჰარინგტონი (20+8 მოხსნა), ლი (15+14 მოხსნა+7 პასი), მაკგრეიდი (11).

**ჰიუსტონი-ნიუ ჯერსი 116:108**

31:31, 23:24, 28:23, 34:30

ჰ: სკოლა (44+12 მოხსნა), მარტინი (20), ბრუქსი (18+7 პასი), არიზა (12+10 მოხსნა+6 პასი).

ნ-ჯ: ლი (24), ლოპესი (22+10 მოხსნა), ჰარისი (19+7 პასი), ჰეისი (16), უილიამსი (14).

**სან ანტონიო-კლიპერსი 118:88**

32:18, 33:30, 25:20, 28:20

ს-ა: ბონერი (21), ჯეფერსონი (18+9 მოხსნა), პილი (14+11 მოხსნა), ჯინობილი (14+6 მოხსნა), ჰეირსტონი (12), მეისონი (11).

კ: დევისი (22), აუთლო (17+6 მოხსნა+5 პასი).

**გ. სტეიტი-ტორონტო 124:112**

25:35, 31:25, 41:25, 27:27

გ-ს: კარი (35+10 პასი+6 მოხსნა+4 ჩაჭრა), ელისი (31), მაგეტი (20), უილიამსი (12), მოროუ (11).

ტ: კალდერონი (24+12 პასი), ბოში (24+11 მოხსნა+5 პასი), დეროზანი (18), ჯონსონი (14+6 მოხსნა), ბარნიანი (11), უიმსი (10).

ჰოკეი

NHL რეგულარული ჩემპიონატი

### 12 მარტი

**ნიუ ჯერსი-პიტსბურგი 3:1**

1:1, 0:0, 2:0

გოლები: 1:0 ელიაში-12 (ე. გრინი-24, კოვალჩუკი-33), 1:1 კროსბი-45 (კუნიტცი-18, დუპუი -15), 2:1 ე. გრინი-6 (კოვალჩუკი-34, სალვადორი-9), 3:1 კოვალჩუკი-35 (ზუბრუსი-12, ზაიაცი-37).

**დალასი-ლოს ანჯელესი 1:2 (ბ)**

0:1, 0:0, 1:0, 0:0

გოლები: 0:1 მოდინი-5 (დ. ბრაუნი-28, ფროლოვი-30), 1:1 მოროუ-15 (რობიდასი-26, მოდანო-13).

ბულიტები გაიტანეს: სტოლი (ლოს ანჯელესი).

**ვაშინგტონი-ტამპა ბეი 2:3**

1:1, 0:2, 1:0

გოლები: 1:0 ფლიშმანი-20 (ოვეჩკინი-51, ნუბლი-20), 1:1 ბოჩენსკი-2 (ფედორუკი-2, ლუნდინი-4), 1:2 მ. უოკერი-2 (ველო-6, ტომპსონი-6), 1:3 ლეკავალიე-19 (მ. უოკერი-3, პურსელი-6), 2:3 ლეიჩი-21 (მაიკ გრინი-50, ოვეჩკინი-52).

**ბაფალო-მინესოტა 2:3**

0:2, 0:1, 2:0

გოლები: 0:1 ებეტი-8 (ჟიდლიცკი-34, ჰარდინგი-1), 0:2 ლატენდრესი-24, 0:3 ბრუნეტი-19 (მიეტინენი-17), 1:3 ვანეკი-21 (დ. როი-31, პომინვილი-28), 2:3 ვანეკი-22 (პომინვილი-29, ჰეხტი-19).

**ატლანტა-რეინჯერსი 2:5**

0:3, 1:1, 1:1

გოლები: 0:1 პროსპალი-16 (გაბორიკი-36, ჟირარდი-12), 0:2 გაბორიკი-36 (დრური-13, პროსპალი-35), 0:3 პროსპალი-17 (დრური-14, კელეპანი-18), 1:3 მაკარტური-15 (ვეევერლი-30, კუბინა-30), 1:4 დელ ზოტო-7 (გაბორიკი-37), 2:4 პეინსი-4 (ტორნბური-7), 2:5 კელეპანი-18.

**ანაჰაიმი-ნეშვილი 0:1**

0:1, 0:0, 0:0

გოლი: 0:1 შ. უებერი-13 (არნოტი-23, რ. სუტერი-29).

### 13 მარტი

**ფილადელფია-ჩიკაგო 3:2**

0:0, 0:0, 3:2

გოლები: 1:0 სამონ განიე-13 (კარჩილო-9), 1:1 ვერსტეეგი-16 (მარიან ჰოსა-20, ბროუერი-15), 1:2 მარიან ჰოსა-20 (ბროუერი-16, კეიტი-47), 2:2 ჰარტნელი-13 (ტიმონენი-30, ლეიტონი-1), 3:2 პრონგერი-9 (ტორესი-27, ჰარტნელი-26).

**აილენდერსი-ნიუ ჯერსი 4:2**

1:1, 2:0, 1:1

გოლები: 0:1 მოტო-2 (ველეი-7, მაკამონდი-8), 1:1 ფ. მეიერი-3 (ჯეკმენი-2, ბელეი-17), 2:1 სიმი-10 (პარკი-16, ჰილენი-15), 3:1 შტრაიტი-10 (ნილსენი-20), 3:2 კოვალჩუკი-36 (მაკამონდი-9), 4:2 ბერგენჰაიმი-6 (კომო-12).

**ტორონტო-ედმონტონი 6:4**

2:0, 3:2, 1:2

გოლები: 1:0 კულემინი-14 (ბოზაკი-11), 2:0 ბოზაკი-6 (კესელი-23, კულემინი-14), 2:1 კოლიანო-7 (პენერი-26, გილბერტი-13), 3:1 ლუნდმარკი-5 (ჯ. მიტჩელი-10, გუნარსონი-8), 4:1 კესელი-24 (ტ. კაბერლე-41, გუსტავსონი-1), 5:1 გრაბოვსკი-8 (სტალბერგი-3, გუნარსონი-9), 5:2 ბრული-15 (კოლიანო-11, პენერი-27), 5:3 პენერი-25 (რაიან უ იტნი-25, სემ განიე-24), 6:3 კესელი-25 (ფანოფი-15, ბოზაკი-12), 6:4 ა. ჯონსონი-2 (კომრი-7, პორკოფი-17).

**მონრეალი-ბოსტონი 3:2**

2:0, 0:1, 1:1

გოლები: 1:0 მარკოვი-5 (ბ. პუიო-9, ა. კოსტიცინი-15), 2:0 ს. კოსტიცინი-4 (მარკოვი-22, მური-13), 2:1 უელერი-16 (რაიდერი-12, კრეისი-23), 3:1 ს. კოსტიცინი-5 (გილი-7, მური-14), 3:2 ლუჩიჩი-7 (სობოტკა-4).

**კაროლინა-ფინიქსი 0:4**

0:2, 0:1, 0:1

გოლები: 0:1 სტემპნიაკი-18 (ფიდლერი-18), 0:2 სტემპნიაკი-19 (ტოვანოვსკი-20, ა. ოკუანი-17), 0:3 ჰანზალი-9 (დოუნი-32, ა. ოკუანი-18), 0:4 ჰანზალი-10 (ზ. მიხალეკი-12).

**დეტროიტი-ბაფალო 3:2 (ო)**

2:1, 0:1, 0:0, 1:0

გოლები: 1:0 დაციუკი-21 (ბ. სტიუარტი-12, კრონვალი-11), 2:0 ილსი-10 (ჰელმი-10), 2:1 ჰეხტი-15 (პომინვილი-30, ტიმ კონოლი-44), 2:2 ჰეხტი-16 (პომინვილი-31, ტიმ კონოლი-45), 3:2 რაფალსკი-6 (ლიდსტრომი-35, ზეტერბერგი-38).

**კოლამბუსი-სტ. ლუისი 1:5**

0:0, 0:3, 1:2

გოლები: 0:1 ენდი მაკდონალდი-21 (კოიაკოვო-19), 0:2 ბეკსი-15 (კარია-21, პოლაკი-15), 0:3 პერონი-17 (სტინი-18, ენდი მაკდონალდი-22), 0:4 სტინი-19 (ენდი მაკდონალდი-23), 1:4 ვორაჩეკი-11 (ბრასარი-22), 1:5 კომბინი-6 (მაკლემანი-16).

**სან ხოსე-ფლორიდა 2:3 (ო)**

2:0, 0:1, 0:1, 0:1

გოლები: 1:0 ქლოუ-16 (მარლო-31), 2:0 მარლო-41 (ვაველსკი-22, ქლოუ-29), 2:1 ბალარდი-5 (დვორაკი-13, გ. კემპბელი-12), 2:2 მატიასი-6 (ალენი-8, დვორაკი-14), 2:3 ალენი-4 (მატიასი-5).

**ვანკუვერი-ოტავა 5:1**

1:0, 3:1, 1:0

გოლები: 1:0 სამუელსონი-29 (დემიტრა-8, სალო-16), 1:1 სპეცა-16 (ვოლჩენკოვი-10, მ. მიხალეკი-11), 2:1 ბაროუზი-31 (კესლერი-44), 3:1 სამუელსონი-30 (დ. სედინი-48), 4:1 დ. სედინი-18 (ჰ. სედინი-64), 5:1 სალო-8 (ედლერი-28, სამუელსონი-22).

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფორმულა 1. ბაჰრეინის გრან-პრი

# ფერარიმ დუბლით დაიწყო

**გუშინ, ბაჰრეინის საჰირში სეზონის პირველი რბოლა გაიმართა და ის „ფერარის" პილოტთა დუბლით აღინიშნა. „წითელი" ბოლიდით სადებიუტო რბოლა ფერნანდო ალონსომ მოიგო, მაგრამ ეს გამარჯვება არ იქნებოდა, სებასტიან ფეტელს რბოლისას ტექნიკური პრობლემები რომ არ შექმნოდა. რაც შეეხება მიხაელ შუმახერის ხელმეორე დებიუტს, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი მეექვსე მივიდა ფინიშთან და პრინციპული დუეტი წააგო თანაგუნდელ ნიკო როსბერგთან.**

შაბათის კვალიფიკაცია **სებასტიან ფეტელმა** მოიგო. „რედ ბულის" პილოტისგან სეზონში სწრაფ სტარტს ელოდნენ, მაგრამ ეჭვი ეპარებოდათ მისი ბოლიდი საიმედოობაში. სასტარტო ბილიკზე მეორე-მესამე ადგილებზე „ფერარის" პილოტები - **ფელიპე მასა** და **ფერნანდო ალონსო** იდგნენ, შემდეგ მოდიოდნენ **ლუის ჰემილტონი** („მაკლარენი"), **ნიკო როსბერგი** („მერსედესი"), **მარკ უებერი** („რედ ბული"), **მიხაელ შუმახერი** („მერსედესი") და მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი **ჯენსონ ბატონი** („მაკლარენი"). სამწლიანი შესვენების შემდეგ „დიდ ცირკში" დაბრუნებული შუმახერისთვის მთავარი პრობლემა ის იყო, რომ გერმანელი პრაქტიკულად ყველგან აგებდა თავის თანაგუნდელ როსბერგთან.

სასტარტო არეულობა გამოიწვია **მარკ უებერმა** („რედ ბული"). მეორე მოსახვევში ავსტრალიელის ბოლიდის უკანა საბურავიდან თეთრი ბოლი ავარდა და ნახევარი პელოტონი ბურუსში გაეხვია. ამ სიტუაციაში ყველაზე ცუდად **რობერტ კუბიცა** („რენო") და **ადრიან სუტილი** („ფორს ინდია") გაერკვნენ - მათ ბოლიდებს შორის მცირე კონტაქტს ჰქონდა ადგილი და პილოტებმა ბევრი დრო დაკარგეს. ამ პრობლემის გამო უებერიც დაზარალდა - მას შუმახერმა გაუსწრო. პელოტონის სათავეში მყოფ პილოტებისთვის თეთრ ბოლს ხელი არ შეუშლია - ალონსომ სტარტზე მასას გაუსწრო, როსბეგმა - ჰემილტონს.

პირველი წრის შემდეგ ლიდერთა შორის სიტუაცია უცვლელი იყო - მხოლოდ დროში სხვაობა იცვლებოდა. ფეტელი კარგა მანძილით დაშორდა „ფერარის" დუეტს. უკან მიდიოდნენ როსბერგი-ჰემილტონისა და შუმახერი-უებერის წყვილები. მათ შორის სხვაობა წამზე ოდნავ მეტი იყო, თუმცა ღია შეტევაზე არც ერთი პილოტი არ აპირებდა გადასვლას. შარშანდელი ჩვეულების მიხედვით, ყველა პირველი პიტსტოპის სერიას ელოდა.

დისტანციის მე-14 წრეზე რობერტ კუბიცამ პიტ-სტოპების პირველი სერია გახსნა. პოლონელმა ახალი საბურავებით მაშინვე საუკეთესო წრე გაიარა. რბოლის ლიდერებმა მიიღეს ეს სიგნალი და უახლოესი ოთხი წრის განმავლობაში თავადაც მიაკითხეს ბოქსებს. როგორც აღმოჩნდა იმ პილოტებმა, რომლებიც პიტ-სტოპზე უფრო ადრე შევიდნენ, კონკურენტებზე უპირატესობა მიიღეს - ჰემილტონმა როსბერგს გაასწრო, ბატონმა - უებერს!

პელოტონი გამოცოცხლდა და ლიდერები წრეს დაახლოებით 2 წუთში გადიოდნენ. 30 წრემდე არც ერთ დაწინაურებულ პილოტს არ ჰქონია განსაკუთრებული უპირატესობა - ფეტელს, მასას, ალონსოსა და ჰემილტონს მორიგეობდით გამოსდიოდათ სწრაფი წრეები. შემდეგ კი „ფერარის" პილოტებმა ტემპის მომატება გადაწყვიტეს და ამისგან დიდი სარგებელიც ნახეს. თავიდან ალონსო ლიდერ ფეტელს 31-ე წრეზე ერთი წამის მანძილზე მიუახლოვდა. გერმანელმა კონკურენტის სუნთქვა იგრძნო და მანაც ტემპის მომატება გადაწყვიტა. ეს გადაწყვეტილება დამღუპველი აღმოჩნდა ფეტელისთვის - 33 წრეზე მას ტექნიკური პრობლემები შეექმნა. ამის შემდეგ სებამ მხოლოდ ერთი წრე გაძლო ლიდერის რანგში და პირველი ადგილი ალონსოს გადაულოცა, ცოტა ხანში კი მას ფელიპე მასამაც გაუსწრო. „ფერარიმ" სეზონში პირველი დუბლის შესრულების შანსი მიიღო, თანაც ალონსო მასაზე გაცილებით სწრაფი იყო. ფერნანდო ყოველ წრეს წუთსა და 59 წამში გადიოდა და მისი უპირატესობა ბრაზილიელთან ყოველ წრეზე იზრდებოდა.

ამასობაში, ფეტელმა გადარჩენაზე ფიქრი დაიწყო. ჰემილტონი, რომელიც 10 წამს აგებდა გერმანელთან, სწრაფად შეამცირა ჩამორჩენა და საბოლოოდ პოდიუმის მესამე საფეხურზე აღმოჩნდა. ლუისმა და სებასტიანმა შეინარჩუნეს მესამე და მეოთხე ადგილები, თუმცა ფეტელს კიდევ ერთხელ მოუწია ნერვიულობამ, რადგან მას კვალში როსბერგი ჩაუდგა, თუმცა ამ უკანასკნელმა ბოლო შეტევის განხორციელება ვერ მოასწრო და მეხუთე ადგილს დასჯერდა.

საუკეთესო რვა პილოტს შორის მოხვდნენ ბატონი და უებერი და მთლიანად გაამყარეს ტოპ-ოთხეულის გუნდების პროგნოზირებადი უპირატესობა. ბაჰრეინში „ფერარის", „მაკლარენს", „რედ ბულსა" და „მერსედესს" კონკურენტები არ ჰყავდათ.

ქულათა ზონაში შევიდნენ **ვიტანტონიო ლიუცი** („ფორს ინდია") და **რუბენს ბარიკელო** („უილიამსი"). მათ კარგად ისარგებლეს სტარტზე კუბიცასა და სუტილის შეჯახებით და დამაჯერებლად შეინარჩუნეს თავიანთი პოზიციები.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**



| ბაჰრეინის გრან-პრი (საჰირი) | |
|---|---|
| 49 წრე, 308.405 კმ | |
| 1(3). ფერნანდო ალონსო (ფერარი, იტალია) | 1:39.20,396 |
| 2(2). ფელიპე მასა (ფერარი, ბრაზილია) | +16,099 |
| 3(4). ლუის ჰემილტონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | +23,182 |
| 4(1). სებასტიან ფეტელი (რედ ბული, გერმანია) | +38,799 |
| 5(5). ნიკო როსბერგი (მერსედესი, გერმანია) | +40,213 |
| 6(7). მიხაელ შუმახერი (მერსედესი, გერმანია) | +44,163 |
| 7(8). ჯენსონ ბატონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | +45,280 |
| 8(6). მარკ უებერი (რედ ბული, ავსტრალია) | +46,360 |
| 9(12). ვიტანტონიო ლიუცი (ფორს ინდია, იტალია) | +53,008 |
| 10(11). რუბენს ბარიკელო (უილიამსი, ბრაზილია) | +1.02,489 |
| 11(9). რობერტ კუბიცა (რენო, პოლონეთი) | +1.09,093 |
| 12(10). ადრიან სუტილი (ფორს ინდია, გერმანია) | +1.22,958 |
| 13(18). ხაიმე ალგერსუარი (ტორო როსო, ესპანეთი) | +1.32,656 |
| 14(13). ნიკო ჰიულკენბერგი (უილიამსი, გერმანია) | 1 წრე |
| 15(21). ჰეიკი კოვალაინენი (ლოტუსი, ფინეთი) | 2 წრე |
| 16(15). სებასტიან ბუემი (ტორო როსო, შვეიცარია) | 3 წრე |
| 17(20). იარნო ტრული (ლოტუსი, იტალია) | 3 წრე |
| 18(14). პედრო დე ლა როსა (BMW-ზაუბერი, ესპანეთი) | 20 წრე |
| 19(23). ბრუნო სენა (HRT F1, ბრაზილია) | 31 წრე |
| 20(19). ტიმო გლოკი (ვირჯინი, გერმანია) | 33 წრე |
| 21(17). ვიტალი პეტროვი (რენო, რუსეთი) | 36 წრე |
| 22(16). კამუი კობაიაში (BMW-ზაუბერი, იაპონია) | 37 წრე |
| 23(22). ლუკას დე გრასი (ვირჯინი, ესპანეთი) | 46 წრე |
| 24(24). კარუნ ჩანდჰოკი (HRT. ინდოეთი) | 47 წრე |

**პირადი ჩათვლა**

1. ფერნანდო ალონსო - 25; 2. ფელიპე მასა - 18; 3. ლუის ჰემილტონი - 15; 4. სებასტიან ფეტელი - 12; 5. ნიკო როსბერგი - 10; 6. მიხაელ შუმახერი - 8; 7.ჯენსონ ბატონი - 6; 8. მარკ უებერი - 4; 9. ვიტანტონიო ლიუცი - 2; 10. რუბენს ბარიკელო - 1.

**კონსტრუქტორთა თასი**

1. ფერარი - 43; 2. მაკლარენი - 21; 3. მერსედესი - 18; 4. რედ ბული - 16; 5. ფორს ინდია - 2; 6. უილიამსი - 1.

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **მექსიკა** | |
| ტეკოსი-ინდიოსი | 4:1 |
| ხაგუარესი-სან ლუისი | 1:1 |
| კერეტარო-მორელია | 1:1 |
| ატლანტე-ამერიკა | 2:2 |
| ჩივასი-პუმასი | 0:0 |
| პაჩუკა-ს. ლაგუნა | 0:3 |
| ტიგრესი-ატლასი | 0:1 |
| ტოლუკა-კრუს ასული | 2:3 |
| პუებლა-მონტერეი | გვ. დასრულდა |
| **იაპონია** | |
| იოკოჰამა-შონანი | 3:0 |
| ნიიგატა-ჯუბილო ივატა | 1:1 |
| შიმიცუ-იამაგატა | 3:0 |
| ვეგალტა-ომიია | 3:1 |
| ნაგოია-კავასაკი | 2:3 |
| კიოტო-კაშიმა | 1:1 |
| ურავა-ტოკიო | 1:0 |
| სერეზო-გამბა | 1:1 |
| კობე-ჰიროშიმა | 1:2 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **NBA** | |
| მილუოკი-ინდიანა | 98:94 |
| კლივლენდი-ბოსტონი | 104:93 |
| **გერმანია** | |
| სკაილაინერსი-ერტლანდი | 77:65 |
| ფინიძსი-ალბა | 50:83 |
| მიტლდოიჩე-ბრემერჰავენი | 69:82 |
| ტელეკომი-გიოტინგენი | 85:76 |
| ულმი-ლუდვიგსბურგი | 76:84 |
| გესენი-ტრირი | 84:67 |
| ბამბერგი-დიუსელდორფი | 90:68 |
| ტიუბინგენ-ბრაუნშვაიგ | 104:112 (ო) |
| **ესპანეთი** | |
| ვალენსია-რეალი | 67:78 |
| სევილია-ვალიადოლიდი | 69:64 |
| ბარსელონა-გრანადა | 79:72 |
| ესტუდიანტესი-კ-ლაბორალი | 74:58 |
| ობრადოირო-ბრუესა | 86:77 |
| ალიკანტე-უნიკახა | 71:68 |
| ბილბაო-მურსია | 58:57 |
| გრან კანარია-მანრესა | 90:65 |
| ხუვენტუდი-ფუენლაბრადა | 96:69 |
| **იტალია** | |
| კაზერტა-ტერამო | 59:67 |
| კანტუ-მილანი | 64:59 |
| ბენეტონი-ვანოლი | 70:72 |
| ვირტუსი-ვარეზე | 80:67 |
| რომა-სკავოლინი | 70:61 |
| სიენა-ბიელა | 97:65 |
| ფერარა-აველინო | 78:63 |
| **საფრანგეთი** | |
| შოლე-გრაველენი | 72:73 |
| ვილერბანი-ნანსი | 71:74 |
| რუანი-შალონი | 83:71 |
| როანი-დიჟონი | 105:61 |
| ჰავრი-ორლეანი | 58:78 |
| ტულონი-სტრასბური | 96:87 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **NHL** | |
| დალასი-კოლორადო | 3:5 |
| ლოს ანჯელესი-ნეშვილი | 2:3 |
| ნიუ იორკი-ფილადელფია | 3:1 |
| ჩიკაგო-ვაშინგტონი | 3:3 დ.დ. 0:1 |
| **კჰლ** | |
| ლოკომოტივი-ატლანტი | 4:3 |
| სპარტაკი-დინამო | 1:3 |
| ცსკა-მვდ | 2:5 |
| დინამო (რ)-სკა | 2:4 |
| ბარისი-აკ ბარსი | 1:3 |
| ავანგარდი-ნეფტიხიმიკი | 1:2 |
| ავტომობილისტი-ს. იულიაევი | 4:3 |
| ტრაქტორი-მეტალურგი (მ) | 1:1 |
| სპარტაკი-დინამო | 4:0 |
| დინამო (რ)-სკა | 4:2 |
| ლოკომოტივი-ატლანტი | 1:1 დ.დ. 2:1 |
| **ავსტრია** | |
| ვენა-ლინცი | 5:4 |
| ზალცბურგი-ზაგრები | 1:4 |
| **გერმანია** | |
| ჰანოვერი-მანჰაიმი | 2:1 |
| აისბარენი-ნიურნბერგი | 4:0 |
| კრეფელდი-ვოლფსბურგი | 4:5 |
| აუგსბურგი-ინგოლშტადტი | 5:3 |
| იზერლონი-შტრაუბინგი | 4:6 |
| კასელი-დიუსელდორფი | 3:2 |
| ჰამბურგი-კიოლნი | 3:3 ბულ. 1:0 |
| **დანია** | |
| როდოვრე-ფრედრიკშავენი | 2:5 |
| ჰერნინგი-ესბერგი | 3:1 |
| **ნორვეგია** | |
| სტიორნენი-სპარტა | 1:2 |
| ლილეჰამერი-სტავანგერი | 0:1 |
| **სლოვაკეთი** | |
| ბისტრიცა-ნიტრა | 3:3 |
| სლოვანი-ზვოლენი | 8:2 |
| ბისტრიცა-ნიტრა | 2:1 |
| სლოვანი-ზვოლენი | 1:6 |
| **ფინეთი** | |
| ჰიფკ-ჰპკ | 4:1 |
| ილვესი-ტპს | 1:3 |
| იუვიასკიულა-იოკერიტი | 6:1 |
| კალპა-კიეკო | 2:3 |
| კერპეტი-ესეტი | 2:3 |
| ლუკო-ტაპარა | 2:6 |
| სეიპა-პელიკანსი | 3:3 |
| **ჩეხეთი** | |
| ბრნო-კლადნო | 3:1 |
| ბოლესლავი-კარლოვი ვარი | 2:1 |
| ლიბერეცი-ბუდეიოვიცე | 9:1 |
| სლავია-ლიტვინოვი | 5:3 |
| **შვეიცარია** | |
| ბერნი-ლუგანო | 7:0 |
| ბილი-ამბრი პიოტა | 2:5 |
| დავოსი-კლოტენი | 3:2 |
| რაპერსვილი-ლანგნაუ | 2:2 |
| ცუგი-ციურიხი | 6:3 |
| სერვეტი-ფრიბურგი | 3:3 |
| **შვედეთი** | |
| ლულეა-ტიმრა | 0:1 |
| მოდო-როგლე | 4:2 |
| ბრიუნასი-აიკ | 4:4 |
| ფერიესტადი-სიოდერტალე | 1:3 |
| ლინჩოპინგი-ჰვ71 | 3:3 |
| ფრიოლუნდა-იურგორდენი | 2:5 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. ინდიან უელსი** | |
| ცონგა-მატოშევიჩი | 6:1, 6:3 |
| ტიპსარევიჩი-დე ბაკერი | 2:6, 0:6 |
| ბაღდატისი-კლემანი | 7:6, 6:1 |
| კარლოვიჩი-ალმაგრო | 5:7, 6:7 |
| მიურეი-სეპი | 6:4, 6:4 |
| **WTA. ინდიან უელსი** | |
| ა. რადვანსკა-დულკო | 6:1, 6:0 |
| ბალტაჩა-მოლიკი | 0:6, 2:6 |
| სკიავონე-რეზაი | 7:6, 6:7, 4:6 |
| ბარტოლი-კრეიბასი | 6:2, 6:0 |

## სამთო-სათხილამურო სპორტი

**გარმიში (გერმანია)**

**კაცები**

**სლალომი**

1. ფელიქს ნოიროიტერი (გერ) - 1.43,63; 2. მანფრედ პრანგერი (ავსტრია) - 1.43,92 (+0,29); 3. ანდრე მიურერი (შვეიც) - 1'43,98 (+0,35); 4. ჟულიან ლიზერუ (საფ) - 1.44,08 (+0,45); 5. მაიკლ იანჩიკი (კან) - 1.44,18 (+0,55); 6. ჟულიან კუზინო (კან) - 1.44,33 (+0,70)...

**სლალომის ჩათვლა**

1. რაინფრიდ ჰერბსტი (ავსტრია) - 534; 2. ჟულიან ლიზერუ (საფ) - 512; 3. სილვან ცურბრიგენი (შვეიც) - 365; 4. ივიცა კოსტელიცი (ხორ) - 360; 5. ფელიქს ნოიროიტერი (გერ) - 329; 6. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) - 304...

**საერთო ჩათვლა**

1. კარლო იანკა (შვეიც) - 1197; 2. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) - 1091; 3. დიდიე კუში (შვეიც) - 952; 4. აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორ) - 883; 5. ივიცა კოსტელიჩი (ხორ) - 805; 6. მარსელ ჰირშერი (ავსტრია) - 691...

**ქალები**

**სლალომი**

1. მარლის შილდი (ავსტრია) - 1.49,57; 2. კატრინ ცეტელი (ავსტრია) - 1.50,77 (+1,20); 3. მარია რიში (გერ) - 1.51,47 (+1,90); 4. ფანი ხმელარი (გერმანია) - 1.51,64 (+2,07); 5. სანდრინ ობერი (საფ) - 1.51,81 (+2,24); 6. ტინა მაზე (სლოვენ) - 1.51,82 (+2,25)...

**სლალომის ჩათვლა**

1. მარია რიში (გერ) - 493; 2. კატრინ ცეტელი (ავსტრია) - 490; 3. მარლის შილდი (ავსტრია) - 420; 4 . სანდრინ ობერი (საფ) - 406; 5. სარკა ზარობსკა (ჩეხ) - 347; 6. ტინა მაზე (სლოვენ) - 272...

**საერთო ჩათვლა**

1. ლინდსი ვონი (აშშ) - 1671; 2. მარია რიში (გერ) - 1516; 3. ანია პერსონი (შვედ) - 1047; 4. ტინა მაზე (სლოვენ) - 943; 5. კატრინ ცეტელი (ავსტრია) - 938; 6. ელიზაბეტ გიორგლი (ავსტრია) - 591...

## TV პროგრამა

**15 მარტი. ორშაბათი**

**I არხი**

22:00 არენა - სპორტული პროგრამა.

**რუსთავი 2**

00:00 საფეხბურთო ღამე.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. სანდერლენდი-მანჩესტერ სიტი.
09:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ჯენოა-კალიარი.
11:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-ჰამბურგი.
13:10 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი.
15:00 მხატვრული ტანვარჯიში. მსოფლიოს თასი. პორტიმანი. პორტუგალია.
18:25 პოკერი.
19:15 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
19:20 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჰალი-არსენალი.
21:10 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
21:15 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
21:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
22:10 ფიგურული სრიალი. ვანკუვერის ოლიმპიადის შეჯამება.
22:50 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
23:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:55 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-პორტსმუტი (LIVE).
02:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი.
03:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. სანდერლენდი-მანჩესტერ სიტი.
05:35 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ჯენოა-კალიარი.
07:15 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-ჰამბურგი.

**SPORT 2 (უკრაინა)**

08:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ფრაიბურგი.
09:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
10:10 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/8 ფინალი. პირველი მატჩი. რუბინი-ვოლფსბურგი.
12:00 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიოს თასი. კოტბუსი. გერმანია.
15:00 კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. VI ტური. ხიმკი-ოლიმპიაკოსი.
16:40 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-კიევო.
18:25 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. რეალი-ლიონი.
20:10 პოკერი.
21:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. მარსელი. საფრანგეთი.
22:20 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ჯენოა-კალიარი.
00:05 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/8 ფინალი. პირველი მატჩი. რუბინი-ვოლფსბურგი.
01:50 კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. VI ტური. ხიმკი-ოლიმპიაკოსი.
03:30 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიოს თასი. კოტბუსი. გერმანია.
06:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. მარსელი. საფრანგეთი.
07:55 პოკერი.

**EUROSPORT**

11:30 ავტომოტოსპორტი. უიქ ენდის მიმოხილვა. ტელეჟურნალი.
11:40 თოვლის უიქ ენდი. ტელეჟურნალი.
11:45 სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. კაცები, ქალები. სპრინტი. ოსლო. ნორვეგია.
12:15 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. ქალები. რბოლა გამოდევნებით. კონტიოლაჰტი. ფინეთი.
13:00 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. კაცები. რბოლა გამოდევნებით. კონტიოლაჰტი. ფინეთი.
13:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS128. ოსლო. ნორვეგია.
15:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. V დღე. ინდიან უელსი. აშშ.
17:30 ველოსპორტი. პარიზი-ნიცა. VII ეტაპი. საფრანგეთი (LIVE).
18:00 ველოსპორტი. ტირენო-ადრიატიკო. VI ეტაპი. იტალია (LIVE).
19:30 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. კაცები. რბოლა გამოდევნებით. კონტიოლაჰტი. ფინეთი.
20:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS128. ოსლო. ნორვეგია.
21:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
21:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა კლუბი. ტელეჟურნალი.
23:15 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. მონაწილე ქვეყნების პრეზენტაცია. ტელეჟურნალი.
23:45 მულტისპორტი.
00:00 პრო-რესტლინგი.
01:25 მულტისპორტი.
01:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა კლუბი. ტელეჟურნალი.
03:00 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. ქალები. რბოლა გამოდევნებით. კონტიოლაჰტი. ფინეთი.
03:45 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. კაცები. რბოლა გამოდევნებით. კონტიოლაჰტი. ფინეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი

# ფენომენი




გუშინ, გამთენიისას, დალასის Cowboys Stadium-ზე მორიგი ბრძოლა გამართა ფილიპინელმა ფენომენმა **მენი პაკიაომ**. მსოფლიოს საუკეთესო მოკრივეს მეტოქედ მსოფლიოს ექსჩემპიონი, განელი **ჯოშუა კლოტი** ჰყავდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი ერთ-ერთ ყველაზე ამტან და ძალისმიერ მოკრივედ ითვლება, სპეციალისტთა და კრივის მოყვარულთა აბსოლუტური უმრავლესობა პაკიაოს გამარჯვებაში იყო დარწმუნებული. მართლაც, აფრიკელს ვერ მივაკუთვნებთ ტექნიკურ და სწრაფ მოკრივეთა რიცხვს, ამ თვისებების გარეშე კი შეუძლებელია ფილიპინელისთვის რინგზე პრობლემების შექმნა. შესაბამისად, განელს ერთი ძლიერი დარტყმით გამარჯვების მოპოვების თითქმის არანაირი შანსი არ ჰქონდა.

საკრივო საზოგადოების პროგნოზი გამართლდა. პაკმენმა გაიმარჯვა და თან ეს მეტად დამაჯერებლად გააკეთა - 12-რაუნდიან ბრძოლაში ორმა მსაჯმა მხოლოდ ერთ რაუნდში დააფიქსირა კლოტის უპირატესობა, მესამემ კი განელის ეს ლოკალური წარმატებაც ვერ შეამჩნია - 119:109, 119:109 და 120:108.

პაკიაომ დაამტკიცა, რომ კვლავაც ბრწყინვალე ფორმაშია. თუმცა თავად ბრძოლის მსვლელობა საკმაოდ ერთფეროვანი გამოვიდა. ტრიბუნებზე შეკრებილმა 51 ათასმა მაყურებელმა ვერ მიიღო ის სიამოვნება, რომელსაც ამ ბრძოლისგან მოელოდა. პირველ რიგში, ამაში დამნაშავე კლოტი იყო, რომელმაც, როგორც ჩანს, არა გამარჯვება, არამედ საფინალო გონგამდე რინგზე გაძლება დაისახა მიზნად. განელმა თავიდანვე თავისი საფირმო ბლოკი დააყენა და მეტოქის დაზვერვა დაიწყო. პირველივე წუთებიდან არც პაკიაო გავარდნილა შეტევაში და თანდათან უახლოვდებოდა გაბარიტებით უფრო დიდ მოწინააღმდეგეს. შესაბამისად, პირველი რაუნდი პოზიციურ ბრძოლაში გაილია.

მეორე რაუნდში პაკიაომ საქმეში თავისი საფირმო სისწრაფე ჩართო. ის დარტყმების სერიას პაუზებს უნაცვლებდა და ასეთი ტაქტიკით იმუშავა მთელი სამი წუთი. დარტყმების დიდ ნაწილს კლოტის ბლოკი იგერიებდა, თუმცა იმის გამო, რომ აფრიკელი საკუთარ ბრონირებულ ნიჟარაში იყო ჩაკეტილი, პაკმენი თავისი აქტიურობით ქულათა მარაგს ამდიდრებდა. განელს საპასუხო დარტყმების განხორციელების საშუალებას ფილიპინელის რეაქტიული სიჩქარე არ აძლევდა - მენი ხანდახან ჩიკორივით ტრიალებდა მეტოქის გარშემო და ბზარს ეძებდა მის ყრუ დაცვაში.

მესამე რაუნდში პაკიაომ უფრო მრავალფეროვანი გახადა თავისი შეტევები და მეტოქის ბლოკის მოხსნას შეეცადა. კლოტიმ აზიელის გააქტიურების გამოყენება მოინდომა და რამდენიმე ზუსტი კონტრშეტევით უპასუხა მენის. მაგრამ უდიდესი უპირატესობისა და დარტყმების დიდი რაოდენობის ხარჯზე, ბრძოლა სწორედ პაკიაოს მიჰყავდა. მომდევნო რაუნდში სურათი არ შეცვლილა, მეხუთეში კი თავისი მწვრთნელის - **ფრედი როუჩის** რჩევით პაკიაომ მცირე პაუზა აიღო, მაგრამ კლოტის მეტოქის ეს პასიურობა არ გამოუყენებია.

რაუნდები გაჭრილი ვაშლივით ჰგავდნენ ერთმანეთს და ბუნებრივია, პუბლიკა იმედგაცრუებული იყო ბრძოლის ამგვარი მსვლელობით. მერვე რაუნდში დაგვამახსოვრდა მეტოქეთა თავებით შეჯახება და ეპიზოდი, როცა კლოტიმ მუცლის ქვემოთ ჩაარტყა ფილიპინელს. საერთო ჯამში კი რინგზე დომინირებას ფილიპინელი „ენერჯაიზერი" აგრძელებდა.

მეცხრე რაუნდში მენი ტემპის მაქსიმალურად გაზრდას შეეცადა. მისი მიზანი მეტოქის მაქსიმალურად გამოფიტვა და ნოკდაუნში გაგზავნა იყო. თუმცა აზიელი მალე მიხვდა, რომ ამის გაკეთებას ვერ შეძლებდა, ამიტომაც დარტყმების სიმძლავრეს უკლო, სამაგიეროდ მათი რიცხვი გაზარდა, რითაც ქულების მარაგი კიდევ უფრო გაამდიდრა. მეათე რაუნდიც პაკმენის მიერ დაწესებული ტემპით მიმდინარეობდა. და აი, აქ კლოტიმ, როგორც იქნა, გამოიღვიძა და რამდენიმე ერთჯერადი ზუსტი დარტყმით უპასუხა მოწინააღმდეგეს. მე-11 რაუნდის დასაწყისში ფილიპინელმა პაუზა აიღო, მაგრამ კლოტის აქედან არანაირი ხეირი არ ჰქონია.

ბრძოლის ბოლო ნაწილი, ისევე როგორც ყველა წინა რაუნდი, ჩემპიონის კარნახით წარიმართა. ფილიპინელი კვლავ აგრძელებდა დარტყმების სერიას და ხანდახან არღვევდა მეტოქის ბლოკს. კლოტის კონტრშეტევები კი იშვიათობა იყო. ფინალური გონგის შემდეგ ფენომენალურ პაკიაოს დაღლილობა საერთოდ არ ეტყობოდა და რინგზე ხტომას განაგრძობდა. ბრძოლის შედეგების მიხედვით, კლოტის მსაჯების პოზიტიური ვერდიქტის იმედი არ უნდა ჰქონოდა. განელის აქტივში მხოლოდ ის ფაქტი უნდა ჩაიწეროს, რომ 12 რაუნდის განმავლობაში ერთხელაც არ მოხვედრილა ნოკდაუნში. ამით ფილიპინელის წინა მეტოქეები ნამდვილად ვერ დაიტრაბახებენ.

პაკიაოსა და კლოტის ბრძოლამ კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ფილიპინელი მოკრივის ძალისმიერი ან დაცვითი სტილით დამარცხება პრაქტიკულად არარეალურია. ამ მომენტისთვის არც ჩანს თუნდაც ერთი მოწინააღმდეგე, რომელიც ასეთი გზით შეძლებს პაკიაოს დამარცხებას. მენის წინააღმდეგ წარმატების მიღწევა მხოლოდ მაღალტექნიკური კრივითა და კონტრშეტევებზე აგებული ტაქტიკით იქნება შესაძლებელი. ასეთი ოპონენტი, რა თქმა უნდა, **ფლოიდ მეივეზერია**. მათ ბრძოლას მთელი საკრივო სამყარო ელოდება, მაგრამ, როგორც გახსოვთ, პირველ ცდაზე ამ შეხვედრის ორგანიზება არ მოხერხდა.

პაკიაოს პრომოუტერმა **ბობ არუმმა** განაცხადა, რომ თუ მეივეზერთან მოლაპარაკება ისევ ვერ მოხერხდა, ფილიპინელის მორიგ მეტოქეს პოპულარულ და ცნობილ მოკრივეებს შორის ამოირჩევენ. ესენი არიან: **ანტონიო მარგარიტო, ხუან მანუელ მარკესი, ედვინ ვალერო ან შეინ მოზლი.**

**გია თვალაბეიშვილი**







